

თენგიზ სიმაშვილი

# თელავი

ქალისმთავარი სტრუქტურები, პოლიტიკური პარტიები და  
საზოგადოებრივი ვითარება  
მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის  
დასაწყისში

*ვუძღვნი თელავს და თელაველებს!*

**მადლობას ვუხდის,**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს

ქალბატონ **ირმა შიოშვილს,**

საქართველოს ეროვნული არქივის დირექტორს

ქალბატონ **თეონა იაშვილს,**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის დირექტორს

ბატონ **ომარ თუშურაშვილს,**

ასევე, დასახელებული არქივების და თელავის უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს,  
ისტორიის დეპარტამენტის წევრებს და

ჩემს მეგობრებს **გურამ სამადაშვილს** და **მიხეილ ბერინაშვილს**

განუული თანადგომისა და დახმარებისათვის

წინამდებარე მონოგრაფია შეიქმნა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს ეროვნული არქივის ერთობლივი მემორანდუმის საფუძველზე განხორციელებული პროექტის „თელავი – ისტორია და თანამედროვეობა“ ფარგლებში.

ნაშრომი ეყრდნობა ავტორის მიერ არქივებში მოძიებულ დოკუმენტებს, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა სამეცნიერო ბრუნვაში პირველადაა შემოტანილი. იგი განკუთვნილია საქართველოს ისტორიით დაინტერესებული აკადემიური წრეებისა და ფართო საზოგადოების წარმომადგენლებისათვის.

#### **რედაქტორი:**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – დიმიტრი შველიძე

#### **რეცენზენტები:**

ისტორიის დოქტორი – ალექსანდრე მოსიაშვილი

ისტორიის დოქტორი – ზაურ გუმაშვილი

ისტორიის დოქტორი – ალექსანდრე ოთარაშვილი

#### **სტილისტ-კორექტორი:**

ფილოლოგიის დოქტორი ნინო კოჭლოშვილი

#### **კომპიუტერული უზრუნველყოფა:**

პაატა მამფორია

ISBN 978-9941-27-366-7

**წიგნი დაკაბადონდა და დაიბეჭდა**

**შპს „ედვერთ სტუდიოს“ სტამბაში**

**მის.: თბილისი, რობაქიძის 7**

**ტელ.: +995 99 92 08 03**

## რედაქტორისგან

### ფურცლები თელავის წარსულიდან

თუ გავიხსენებთ, რომ თითოეული საუკუნის განმავლობაში დაახლოებით ოთხი-ხუთი თაობის ადამიანი მონაცვლეობს, მაშინ უნდა წარმოვიდგინოთ, 1900-იანი წლების თელავში, ჩვენი წინაპრების მეოთხე-მეხუთე თაობის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. ეს არც ისე შორეული ხანაა. სწორედ ამ დროის თელავსა და თელაველებს ეძღვნება ბ-ნ თენგიზ სიმაშვილის წინამდებარე ნაშრომი: „თელავი – ძალისმიერი სტრუქტურები, პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ვითარება მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში“.

1900-იანი წლების თელავზე უფრო მეტი ვიცით, ვიდრე თელაველებზე. ვიცით დაახლოებით როგორ გამოიყურებოდა მაშინდელი ქალაქი, ქუჩები, ეკლესიები, ციხე-გალავნები, ტრანსპორტი. წიგნის ავტორმა მიზნად დაისახა უფრო მეტი გვცოდნოდა 1900-იანი წლების პერიოდის თელავისა და თელაველების შესახებ. ვინ იყვნენ ისინი – მცხოვრებლები, პოლიტიკურად გამორჩეული პირები, პატრიოტული მოძრაობის წარმომადგენლები, რევოლუციონერები, სხვადასხვა პარტიის აქტივისტები; ვინ იყვნენ ქალაქის მაშინდელი ბატონ-პატრონები – ხელისუფლების ფუნქციონერები, ბიზნესმენები, პოლიციისა და ფარული სპეცსამსახურების ჩინები... და ბოლოს, როგორ ებრძოდნენ ხელისუფლების მოწინააღმდეგეები ხელისუფლების დამცველებს, ვის თანაუგრძობდა ხალხი, ვის მხარეზე იყო მათი აქტიური თუ პასიური მხარდაჭერა.

რა გზა აირჩია ავტორმა საუკუნის წინანდელი თელავის რეალობის აღსადგენად? საამისოდ არაერთი წყარო არსებობს: მაშინდელი ჟურნალ-გაზეთები, ადგილობრივი მოღვაწეების მწირი სახით შემორჩენილი მიმონერა, მოგონებები, სამეცნიერო ლიტერატურაში აქაიქ გაფანტული ცნობები. არის კიდევ ერთი წყარო, რომელიც ყველაზე უფრო ზუსტად აღწერს მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებას – ძალოვანი სტრუქტურების, საიდუმლო პოლიციის მიერ წარმოებული დოკუმენტები, რომლებიც საარქივო ფონდებშია დავანებული.

ნაშრომი მთლიანად დაფუძნებულია საარქივო მასალების მონაცემებზე. მასში აღწერილია თელავსა და მის მაზრაში მიმდინარე პოლიტიკური ელფერის მოვლენები. პოლიტიკური მოვლენები მთლიანად ეყრდნობა უამრავ საარქივო დოკუმენტს, სხვადასხვა ინსტანციებს შორის მიმონერას; ზემდგომი სამსახურებისადმი მოხსენებებს, რომლებშიც დაგროვილია ინფორმაცია ადგილობრივი პარტიების, მათი აქტივისტების, რევოლუციური და ეროვნული მოძრაობის მონაწილე მოღვაწეების, ტყეში გასული საძმობის, მათი ქმედებების, ხელისუფლებისა და მათი მოწინააღმდეგეების დაუნდობელი ურთიერთბრძოლის შესახებ.

1900-იანი წლების პერიოდი რევოლუციური და ეროვნული ბრძოლის ეპოქა იყო და მაშინდელი ცხოვრების რიტმი ამ რეალობას ექვემდებარებოდა, ამ სულისკვეთებით სუნთქავდა. ნაშრომის ავტორი სკრუპულოზური სიზუსტითა და მრავალფეროვანი ეპიზოდებით გადმოგვცემს თელავისა და მისი მაზრის მღელვარე ყოფას. ირკვევა, რომ თელავი, როგორც მოსალოდნელი იყო, კახეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს ეროვნულ-რევოლუციური, ანტიიმპერიული განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრი იყო. ხოლო ეროვნულ-რევოლუციური პარტიების, განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-ფედერალისტების გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ ისინი 1905-1907

წლების რევოლუციის პერიოდში, თითქმის უგულვებელყოფდნენ ადგილობრივ ოფიციალურ ხელისუფლებას და თავის ნებაზე მოქმედებდნენ – მართავდნენ მიტინგებს, დემონსტრაციებს, გამოჰქონდათ გადაწყვეტილებები და ზენოლას ახდენდნენ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე.

თენგიზ სიმაშვილის ნაშრომში თანმიმდევრულადაა შესწავლილი და წარმოჩენილი თუ ვინ იყვნენ და როგორ იბრძოდნენ თელავის ადმინისტრაციის ორგანოები ადგილობრივი ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. თელავის მაზრის უფროსები ხშირად იცვლებოდნენ, რადგან ვერაფერს უხერხებდნენ „მოძრაობას“ და გამუდმებით თხოულდნენ „სტრაჟნიკებისა“ და პოლიციის ჩინების რაოდენობის გაზრდას.

ავტორი მაზრის უფროსების ხშირი ცვლის მიზეზად სამართლიანად ასახელებს ტერორისტების წინაშე შიშს. რუსი მოხელეები ცდილობდნენ ნაკლებად ემსახურათ ისეთ მშფოთვარე რეგიონში, როგორიც კავკასია და კერძოდ – საქართველო იყო.

ნაშრომში ცალკეა შესწავლილი თელავის მაზრის პოლიციის ორგანოები, თელავის სამაზრო ციხე და მისი „ბინადრები“. განსაკუთრებით საყურადღებოა თელავის მაზრაში შექმნილი და მოქმედი აგენტურული ქსელი და მისი საქმიანობა, რომლის შესახებაც ინფორმაციის გადმოცემა დეტექტივივით იკითხება.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი მკითხველს წარმოუდგენს თელავის მაზრისა და ქალაქ თელავის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობას, პარტიებისა თუ ცნობილ რევოლუციონერთა, პატრიოტ-მოღვაწეთა საქმიანობას. უამრავი დეტალი და ეპიზოდი ახალ ცნობებსა და დღემდე გამოუვლენელ ფაქტს შეიცავს. მაგალითისათვის ჩვენთვის კარგად ნაცნობი ხარებასა და გოგიას დაჯგუფება კმარა. ჟანდარმერიის მონაცემების შუქზე ე. წ. „ტყის ძმები“ მხოლოდ რომანტიკულად მოქეიფე პროტესტანტები არ იყვნენ. ისინი იარაღით უსწორდებოდნენ მეფის კაცებს, ტერორისტები იყვნენ და მათ მსხვერპლთა შორის ხანდახან უდანაშაულონიც გამოერეოდნენ ხოლმე. მაგრამ დრო იყო ასეთი. ეროვნული და რევოლუციური ბანაკი ებრძოდა მეფის რეჟიმს და ეს ბრძოლა მშვიდობიანი ვერ იქნებოდა. თელავი კი ანტიმონარქისტული ბრძოლის ერთ-ერთი ცენტრი იყო რეგიონში. ხარება ჯიბუტი, გოგია კენკიშვილი, ზალიკო სვიმონიშვილი, გიორგი ბერძენიშვილი და სხვანი მათი მსგავსნი, ფაქტია, ის ხალხი იყო, რომლებმაც, სხვა ძალებთან ერთად, იარაღით ბრძოლის გზით დაასუსტეს და დაამხეს რუსეთის მონარქისტული იმპერია.

თენგიზ სიმაშვილის წიგნში ბევრ ისეთი გვარის კაცს შეხვდება მკითხველი და განსაკუთრებით კი თელავის მკვიდრი, რომელშიც შეიძლება თავისი წინაპარი შეიცნოს. ცხადია, მკითხველი ინტერესით გაეცნობა ნაშრომის იმ ნაწილსაც, რომელშიც საუბარია სტალინის მამის საფლავის თელავში შესაძლო არსებობის, ასევე სტალინის ურთიერთობებზე კახეთსა და თელავში მოქმედ რევოლუციონერებთან.

ბ-ნმა თენგიზ სიმაშვილმა საინტერესო ნაშრომი შესთავაზა მკითხველს. მასში უამრავი საარქივო დოკუმენტია გამომზეურებული, ციტირებული თუ დამოწმებული. საარქივო დოკუმენტებს ახლავს ავტორისეული ანალიზი და საყურადღებო დასკვნები, მოსაზრებები.

ვფიქრობთ, ავტორმა ჩვეული შრომისმოყვარეობით შეისწავლა დიდძალი მასალა და მკითხველს წარმოუდგინა რეალური სურათი 1900-იანი წლების თელავისა და მისი შემოგარენის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შესახებ.

**დიმიტრი შველიძე**  
**პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**

**თავი 1. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები და  
ქალისმიერი სტრუქტურები**

1.1. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები თელავის მაზრაში . . . . . 7  
1.2. პოლიციის ადგილობრივი ორგანოები ქალაქ თელავში . . . . . 16  
1.3. სამაზრო ციხე ქალაქ თელავში . . . . . 20  
1.4. მეფის ხელისუფლების საიდუმლო პოლიცია თელავში . . . . . 22

**თავი II. 1905-1907 წლების რევოლუციური მოძრაობა და თელავი**

2.1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება  
1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში . . . . . 34  
2.2. პოლიტიკური პარტიები და ცნობილი თელაველი რევოლუციონერები . . . 43

**თავი III. სტალინი, ტერორისტები და თელავი**

3.1. რევოლუციური მოძრაობის უკიდურესი გამომვლინებები თელავში . . . . . 58  
3.2. სოციალ-დემოკრატი გოლშევიკი „ჯგუფისტები“ თელავში . . . . . 60  
3.3. სტალინი და თელავი . . . . . 64  
3.4. ტერორისტების მიერ თელავში ჩადენილი  
განმაურაველი თავდასხმები და მკვლევობები . . . . . 71  
3.5. ფულის გამოქაღვა . . . . . 85  
3.6. პოლიციის ჩინების მკვლევობები . . . . . 95  
დამატება. თელავში გენაროონ (გენო) ჯუღაშვილის  
სავარაუდო საფლავის არსებობის შესახებ . . . . . 99

# თავი 1

## ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები და ქალისმიერი სტრუქტურები

### 1.1. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები თელავის მაზრაში

მეფის რუსეთის დროს კავკასიაში შემავალი შვიდი გუბერნიიდან ერთ-ერთი თბილისის გუბერნია იყო, რომელიც 1846 წელს შეიქმნა და 1917 წლისათვის მოიცავდა – თბილისის, დუშეთის, გორის, თელავის, თიანეთის, სიღნაღის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს, მაზრებსა და ზაქათალის ოლქს. თავის მხრივ, თელავის მაზრა ბევრად ადრე 1801 წელს ჩამოყალიბდა.

თელავის მაზრის მცხოვრებლების რაოდენობა 1897 წლის რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით სამოცდაექვსი ათას შვიდას სამოცდაშვიდ (66 767) ადამიანს შეადგენდა. ამავე დროს, ქალაქი თელავი ათი ათას მოსახლეს ითვლიდა.

თელავი მაზრის მთავარი სამაზრო ქალაქი იყო. აქ მდებარეობდა რუსეთის იმპერიის მართვის შესაბამისი ადგილობრივი ორგანოები, მათ შორის მაზრის უფროსის სამმართველო.

თელავის მაზრის სამმართველო შედგებოდა – მაზრის უფროსის, მისი თანაშემწის, მდივნის, საქმის მწარმოებლის, რეგისტრატორის (არქივარიუსი), ორი თარჯიმანისა და ერთი უშტატო ჩინისაგან. გარდა ამისა, მაზრის უფროსის განკარგულებაში იყო მაზრის პოლიციის „სტრაჟნიკების“<sup>1</sup> ორმოცდაცხრა (49) კაციანი შემადგენლობა.<sup>2</sup>

როგორც მასალებიდან ჩანს, მაზრის უფროსის მოვალეობაში შედიოდა, როგორც ადმინისტრაციული მართვა-გამგეობის განხორციელება – სოციალ-ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებების გატარება, სტიქიური უბედურებების დროს ზარალის აღმოფხვრაზე ზრუნვა, ასევე სამართლებრივი წესრიგის დაცვა, ყაჩაღების დევნა-დაპატიმრება და ა.შ. 1906 წლის შემოდგომაზე თელავის მაზრის უფროსად დანიშნულ ანტონოვის მოხსენებებიდან ირკვევა, რომ მას ყაჩაღების დევნასთან ერთად გადასახადების აკრეფაც ევალებოდა და ეს მისი, როგორც მაზრის უფროსის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობა იყო.<sup>3</sup> თელავის მაზრის უფროსების საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია მათ მიერ განეული საქმიანობის ანგარიშებში მრავლად მოიპოვება.

1907 წელს თელავის მაზრის მდგომარეობის ამსახველ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ თელავის მაზრა ბოლო 10 წლის განმავლობაში 4 საპოლიციო უბნად იყო დაყოფილი. მაზრაში სხვადასხვა ადგილზე განლაგებული იყო ე.წ. „პოლიციის პუნქტები“,<sup>4</sup> სადაც იმყოფებოდნენ პოლიციის უმცროსი ჩინები. მათ გააჩნდათ შესაბამისი შეიარაღება და ას-

<sup>1</sup> პოლიციის უმცროსი ჩინები

<sup>2</sup> საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 17, აღწერა 1, საქმე 7283, გვერდი 1 (შემდეგ შემოკლებით – სსცა, ფ., აღ., საქ., გვ.)

<sup>3</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 5869, გვ. 70-71

<sup>4</sup> საარქივო მასალის ანალიზისას ვიყენებ საკვლევ პერიოდში გამოყენებულ ტერმინოლოგიას, ასევე ადამიანების გვარებს ვწერ იმ სახით, როგორც ისინი დოკუმენტებშია ნახსენები, რათა შეძლებისდაგვარად ავსახო ეპოქის „სუნთქვა“

რულებდნენ სხვადასხვა სახის დავალებებსდა როგორც უკვე აღვნიშნე, მათ „სტრაჟნიკებს“ უწოდებდნენ.<sup>5</sup>

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ იყვნენ ცხენოსანი, ასევე ფეხოსანი „სტრაჟნიკებიც“. „სტრაჟნიკები“ წარმოადგენენ რეალურ ძალას, რადგან ჰქონდათ იმ პერიოდისათვის თანამედროვე შეიარაღება (ხუთ ვაზნიანი შაშხანები) და გადასაადგილებად ცხენებს იყენებდნენ, რაც დანაშაულზე სწრაფი რეაგირების საშუალებას იძლეოდა. ხელისუფლებამ იზრუნა იმაზეც, რომ მათი სახით ჰყოლოდა ცარიზმის ინტერესების დამცველი ძალა. „სტრაჟნიკების“ საქმიანობის განმსაზღვრელ დებულებაში პირდაპირაა მითითებული, რომ „შტატში მიღებისას უპირატესობა უნდა მიეცათ რუსი ეროვნების პირებისათვის, ხოლო სხვა ერის წარმომადგენლები მიეღონ მცირე რაოდენობით“. ამასთან, აკრძალული იყო „სტრაჟნიკებად“ ადგილობრივი მოსახლეობის მიღება მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე, რაც რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების აზრით „რევოლუციური მოძრაობის წარმომადგენლების დევნის საქმეში ერთ-ერთი გონივრული ნაბიჯი იყო“.<sup>6</sup>

თელავის მაზრის სამმართველოს გააჩნდა სარეგისტრაციო კართოთეკა, სადაც შეჰყავდა მის მიერ დაპატიმრებული პირების მონაცემები. სარეგისტრაციო კართოთეკაში შესაბამისი პირი აღირიცხებოდა ე.წ. „სარეგისტრაციო ფურცელზე“. მასზე დაიტანებოდა მოქალაქის მცირე ბიოგრაფია, ფოტოსურათი, გარეგნული აღწერილობა, დაპატიმრების მიზეზი, ოჯახური მდგომარეობა, ახლობლების (და-ძმა, მშობლები, ნათესავები) მისამართების მითითებით და სხვ.<sup>7</sup>

გარდა ამისა, თელავის სამაზრო სამმართველო მოვალე იყო გადაეღო თელავის სამაზრო ციხეში პატიმრობაში მყოფი თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოსათვის „საინტერესო“ პირის ფოტოები ჟანდარმერიის კართოთეკისათვის. მაგალითად, თელავში „მოღვაწე“ სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკის ელენე ოგანეზოვას შესახებ შედგენილ, 1911 წლით დათარიღებულ დოკუმენტებში პირდაპირაა მითითებული, თუ როგორი სახის ფოტოები უნდა გადაეღოთ ამ უკანასკნელისათვის. აღნიშნულია, რომ გადაღებული ფოტოებისათვის თელაველ ფოტოგრაფ ბარკლაის აუნაზღაურეს ორი მანეთი. აქვეა ბარკლაის ხელისმონერა ფულის მიღებაზე.<sup>8</sup>

თელავის მაზრის უფროსები ძირითადად არაქართველები იყვნენ. მაგალითად, 1900-იანი წლების დასაწყისში თელავის მაზრის უფროსი პოდპოლკოვნიკი განსვეიჩი, ხოლო 1906 წელს კი პორუჩიკი პუშკინი გახლდნენ. როგორც ირკვევა, ეს უკანასკნელი, მეფის ხელისუფლების ერთ-ერთი ერთგული მოხელე იყო. საინტერესოა დოკუმენტი საიდანაც ვიგებთ, რომ პორუჩიკ პუშკინს მხოლოდ იმის გამო, რომ ეჭვი შეეპარა თელავის რევოლუციური ორგანიზაციებისათვის ხელისუფლების საიდუმლო სატელეგრაფო შიფრი გახდა ცნობილი მისი გაუქმება მოუთხოვია. პუშკინის წარდგინების საფუძველზე კი, სილ-

<sup>5</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 6341, გვ. 28

<sup>6</sup> სსცა, ფ. 153, აღ. 1, საქ. 236

<sup>7</sup> თელავის მაზრის სარეგისტრაციო კართოთეკის საილუსტრაციოდ შეგიძლიათ, ნაშრომის ბოლოს დანართში ნახოთ ცნობილი ტერორისტის ზალიკო სვიმონიშვილის დაპატიმრებული ძმების შესახებ არსებული აღნიშნული სახის დოკუმენტები

<sup>8</sup> სსცა, ფ. 160, აღ. 2, საქ. 1, გვ. 23



ნალის, თელავისა და თიანეთის მაზრებში თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის მოადგილე როტმისტრ რუნიჩს ძიება უნარმოებია.<sup>9</sup>

ჩვენს საკვლევ პერიოდში თელავის მაზრის უფროსები და მათი მოადგილეები ყაჩაღებთან დევნაში საკმაოდ გამოცდილი და „სახელმოხვეჭილი“ პირები იყვნენ. თუმცა, მათ შორის საკმაოდ „სუსტი“ მმართველებიც ერივნენ. მაგალითად, ხელისუფლების აზრით ასეთი უნიათო მმართველი იყო კარახანოვი, რომელიც თელავის მაზრას პორუჩიკ პუშკინის შემდეგ ხელმძღვანელობდა. იგი დანიშნვიდან რამდენიმე თვეში გაანთავისუფლეს, რადგან ვერ შეძლო რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ „სათანადო“ ძალისხმევის გამოჩენა და ამ მოტივით პასუხისგებაშიც მისცეს.<sup>10</sup>

1907 წლის მაისში თელავის მაზრის უფროსად ანტონოვი ინიშნება, რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თელავის ორგანიზაციის ტერორისტების მიერ მასზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ მაზრიდან მალევე სხვა თანამდებობაზე გადაიყვანეს.<sup>11</sup> ანტონოვის შემდეგ, იმავე 1907 წელს თელავის მაზრას თავადი ყარალოვი ჩაუდგა სათავეში.<sup>12</sup>

განსაკუთრებით მინდა გამოვყო თელავის მაზრის უფროსის თანაშემწისა და შემდგომ უკვე მაზრის უფროსის, თავად ირაკლი ბარათოვის პიროვნება. ბარათოვი თავდაპირველად 1907 წლის ოქტომბერში ინიშნება თელავის მაზრის უფროსის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებლად. იგი ამ თანამდებობაზე გადმოიყვანეს გორის მაზრის უფროსის უმცროსი თანაშემწის თანამდებობიდან.<sup>13</sup> სხვა დოკუმენტის მიხედვით თავადი ბარათოვი 1910 წელს თელავის მაზრის უფროსია.<sup>14</sup>

როგორც მასალებიდან ირკვევა, იმის მიუხედავად, რომ მას 1910 წელს თელავის მაზრაში გადასახადების „კარგი“ ამოღებისათვის მაღლობა გამოუცხადეს,<sup>15</sup> „ყაჩაღებთან ბრძოლაში გამოჩენილი უმოქმედობის გამო“ მაინც „დასაჯეს“ – 1911 წლის ზაფხულში, ბარათოვი დუშეთის მაზრის უფროსის თანაშემწედ გადაიყვანეს.<sup>16</sup> თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მასალების ანალიზიდან ჩანს, თელავის მაზრაში მოქმედი ყაჩაღებისა და ტერორისტების წინააღმდეგ ბარათოვის ძალისხმევა საკმაო იყო.

1911 წლის 26 აგვისტოს ხელისუფლებისგან „შერისხული“ ირაკლი ბარათოვის მაგივრად, თბილისის გუბერნატორის ბრძანებით თელავის მაზრის უფროსად თბილისის პოლიციის I ნაწილის პრისტავი განბერგი ინიშნება.<sup>17</sup> განბერგი იმ დროს კავკასიის ადგილობრივ ხელისუფლებაში დიდი გავლენის მქონე, თბილისის პოლიციის ხელმძღვანელის, „პოლიცმეისტერ“ პოლკოვნიკ ზასიპკინის აშკარა მხარდაჭერით სარგებლობდა. მინდა აღვნიშნო, რომ ზასიპკინი თავის დროზე, კერძოდ 1906 წელს რუსეთის საიდუმლო (პოლიტიკური) პოლიციის ადგილობრივი ორგანოს – თბილისის „ოხრანკის“ განყო-

<sup>9</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 5557, გვ. 18

<sup>10</sup> ამ საკითხს უფრო ღრმად ქვემოთ შევხვები

<sup>11</sup> სსცა, ფ. 13, აღ. 21, საქ. 167, გვ. 4

<sup>12</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 5869, გვ. 135

<sup>13</sup> სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 9916, გვ. 12

<sup>14</sup> სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 10714, გვ. 70

<sup>15</sup> სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 9916, გვ. 34

<sup>16</sup> სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 9916, გვ. 36

<sup>17</sup> სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 11630, გვ. 7

ფილების უფროსი იყო. 1911 წელს მისი საქმიანობა თბილისის „პოლიცმეისტერის“ თანამდებობაზე, არა მარტო სისხლის სამართლის დამნაშავეების, არამედ გაყაჩაღებული „წითელ რაზმელებისა“ და ტერორისტების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლასაც მოიაზრებდა.

რუსეთის იმპერიის საიდუმლო პოლიციის, როგორც ცენტრალური ორგანოების, ასევე ადგილობრივი „ოხრანკის“ განყოფილებების მიერ რევოლუციური და ტერორისტული ორგანიზაციების, დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი მეთოდი აგენტურის გამოყენება იყო.<sup>18</sup> შესაბამისად, დასახელებულ პერიოდში თბილისის პოლიციის მიერ აგენტურული ქსელის შექმნა და აგენტურული ინფორმაციების საფუძველზე ტერორისტული თუ ყაჩაღური ბანდების განადგურება ზასიპკინის მთავარ დამსახურებას წარმოადგენდა. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, განბერგი ზასიპკინის ე.წ. „კადრი“, ანუ მისი ნდობით მოსარგებლე ქვეშევრდომი იყო და კარგად იცნობდა ამ უკანასკნელის „მუშაობის“ მეთოდებს.

განბერგი თელავის მაზრაში ჩამოსვლისთანავე ყაჩაღების, თუ გაყაჩაღებული „წითელ რაზმელების“ წინააღმდეგ აგენტურული ქსელის შექმნას შეუდგა. თელავის მაზრის ხელმძღვანელად ყოფნისას, მისი ასე ვთქვათ მთავარი „დამსახურება“ იყო ის, რომ 1912 წელს ცნობილი ტერორისტი ნიკოლოზ კასრაძე იქნა მოკლული.<sup>19</sup> ეს პიროვნება 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ძირითადად თბილისში „მოღვაწეობდა“ და სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ტერორისტი იყო. თბილისში კასრაძეს თანამედრვეების მოგონებების მიხედვით ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი დაუხოცია. მას შემდეგ კი, რაც ამ პარტიამ თავისი „წითელი რაზმების“ საქმიანობა პარტიისაგან დამოუკიდებლად გამოაცხადა, იგი ზალიკო სვიმონიშვილის რაზმის, თუ როგორც მას ხელისუფლება უწოდებდა – „ბანდის“ წევრი გახდა.<sup>20</sup>

არსებობს დოკუმენტები, სადაც თბილისის გუბერნატორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თელავის მაზრის პოლიციის ჩინებმა ნიკოლოზ კასრაძე მაზრის უფროს განბერგის ხელმძღვანელობით და „დამსახურებით“ მოკლეს. აქვე პოლიცმეისტერ ზასიპკინის მისამართით მადლობაა გამოთქმული, რადგან მან განბერგის თელავის მაზრაში გაგზავნას დაუჭირა მხარი.<sup>21</sup>

განბერგმა სამაზრო პოლიციის თავისი კადრით დაკომპლექტება თელავის მაზრაში ჩასვლისთანავე დაიწყო. პირველ რიგში, მან თელავის მაზრის უფროსის მოადგილის შეცვლა მოითხოვა. განბერგის წერილში თბილისის გუბერნატორისადმი ვკითხულობთ, რომ თელავის მაზრის უფროსის მოადგილე კაპიტან მილერს, ფსიქიკური დაავადება – ნერვების მოშლა დაუდგინეს და იგი თავის მოვალეობას ველარ ასრულებსო.<sup>22</sup> შესაბამისად განბერგი თბილისის მე-7 ნაწილის პრისტავ ფლამანის მილერის ადგილზე გადაყვანას ითხოვდა. განბერგის მოსაზრებით თელავის მაზრაში ფლამანის გადაყვანა იმის გამო უნდა მომხ-

<sup>18</sup> სიმაშვილი, თენგიზ, „საიდუმლო (პოლიტიკური) პოლიცია რევოლუციონერების წინააღმდეგ საქართველოში 1894-1908 წლებში“ (აგენტურის გამოყენების სტრატეგია, ტაქტიკა, მეთოდები და ხერხები ტერორის წინააღმდეგ), თელავი, 2003, გვ. 42-55

<sup>19</sup> ცნობილი იყო მეტსახელებით – „პატარა ნიკა“, „მოკლე ნიკა“

<sup>20</sup> ზალიკო სვიმონიშვილის პარტიულ კუთვნილებას ქვემოთ შევეხები

<sup>21</sup> სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 11630, გვ. 19

<sup>22</sup> უნდა აღინიშნოს, რომ 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ასეთი შემთხვევები ხშირი იყო – პოლიციის, ჟანდარმერიის და „ოხრანკის“ განყოფილებების ჩინები ამა თუ იმ საბაბით ცდილობდნენ კავკასიას გარიდებოდნენ. გარიდების ძირითად მიზეზს ხელისუფლების წარმომადგენლებზე დაწყებული თავდასხმების, ტერორისტული აქტების წინაშე შიში წარმოადგენდა

დარიყო, რომ „თელავის მაზრაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდით დამნაშავე ელემენტებს, ხოლო ფლამანი პოლიციის „გამოცდილი კადრი“ იყო“.<sup>23</sup>

განბერგის მიერ თელავის მაზრის უფროსად მუშაობა და შემდეგ მისი განთავისუფლება, საკმაოდ საინტერესოა იმის ნათელსაყოფად, თუ მეფის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებს შორის როგორი დაპირისპირება არსებობდა.

კერძოდ, თელავის მაზრის უფროსად ყოფნის დროს განბერგი ტერორისტებისა და გაყაჩაღებული ნითელრაზმელების დევნაში საკმაოდ აქტიურობდა. თუმცა, მისი კარიერა თელავის მაზრაში 1913 წლის 12 იანვარს სოფელ მალრანთან მაჭარულას ხეობაში განვითარებულ მოვლენებს – ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ „ხარებას და გოგიას“ დაჯგუფების ამოხოცვას შეეწირა. როგორც მასალების ანალიზიდან ჩანს, ნიკოლოზ კასრაძის მკვლელობის შემდეგ ხელისუფლებისაგან „ნახალისებული“ და გათამამებული განბერგი, ყაჩაღების წინააღმდეგ აქტიური საპოლიციო ხასიათის ღონისძიებების გატარებას იწყებს. 1913 წლის 9-10 იანვარს, სწორედ თელავის მაზრის „სტრაჟნიკების“ მიერ განბერგის ხელმძღვანელობით განხორციელებული დევნის გამო „ხარებას და გოგიას“ დაჯგუფება სოფლების წინანდლისა და ქვემო ხოდაშნის მიდამოებიდან მდინარე ალაზნისკენ დაეშვა. შემდეგ, მდინარის კალაპოტს ზემოთ აუყვა და სოფლების ფშავლის, ლეჩურის მიმდებარე ტყეში გადავიდა, და ბოლოს სოფელ მალრანის ზემოთ მდებარე მაჭარულას ხეობას შეაფარა თავი.

1913 წლის 12 იანვარს კი „ხარებას და გოგიას“ 12 კაციანი ჯგუფი თიანეთის მაზრის თანამშრომლებისა და პოლიციის „სტრაჟნიკებისგან“ დაკომპლექტებულმა თერთმეტ კაციანმა რაზმმა ეკო დარჩიევის ხელმძღვანელობით ამოხოცა. იმის გამო, რომ ყაჩაღების ამოხოცვა მეზობელი მაზრის ხელმძღვანელობამ მოახერხა და მისი მცდელობები „წყალში ჩაიყარა“, განაწყენებულმა განბერგმა თბილისის გუბერნატორის სახელზე წერილი გააგზავნა, სადაც იგი „ხარებას და გოგიას“ დაჯგუფების ამოხოცვას – „უგონოდ მთვრალი ყაჩაღების დაუნდობლად ჩახოცვად“ მოიხსენიებდა. ჩანს, რომ იმდროინდელ პრესაშიც ამ დაჯგუფების ლიკვიდაციის დასახელებული ვერსია სწორედ განბერგის „მეშვეობით“ გავრცელდა. არადა, საარქივო მასალებით დასტურდება, რომ დაჯგუფებას, რომელიც რიცხობრივად მათზე ბევრად მეტ მდევარს გაურბოდა, 1913 წლის იანვრის ცივ დღეებში ღვინო არ ჰქონდა, და ამ ამბავს გადარჩევილი გიორგი მახნიაშვილის (უტრუხუნე) სიტყვებით „არც ღრეობებს აწყობდნენ“.<sup>24</sup>

თელავის მაზრის უფროს განბერგს თიანეთის მაზრის იმჟამინდელი მმართველი თავადი ყარალოვი და ფშავ-ხევსურეთის ბოქაული მათურელი დაუპირისპირდნენ, რომლებიც მას მიზანმიმართული სიცრუის გავრცელებაში ადანაშაულებდნენ. შედეგად, განბერგი თელავის მაზრის უფროსობიდან გაათავისუფლეს.

განბერგი, სავარაუდოდ, ხელისუფლების მიერ „შერისხულ“ იქნა და გარკვეული ხანი იგი სამსახურის გარეშე იყო დარჩენილი. 1913 წლის ნოემბრით დათარიღებული მისი თხოვნები რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქების (ჩერნიგოვოს, ეკატერინოსლავის და სხვების) საპოლიციო სტრუქტურების მიმართ, რომ ხომ არ მოეპოვებდათ თავისუფალი

<sup>23</sup> სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 12097, გვ. 1-2

<sup>24</sup> ახლად მოძიებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ შესაძლებელია დაჯგუფების წევრებს თიანეთის მაზრის პოლიციის ჩინებმა აგენტების მეშვეობით მონამღული საჭმელი შეაპარეს, თუმცა ეს სხვა ისტორიაა. ამის შესახებ დაინტერესებულმა მკითხველმა შეგიძლიათ ნახოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი „ხარება და გოგია (უცნობი დეტალები)“, რეჟისორი მიხეილ ბერინაშვილი

თანამდებობა პოლიციაში, პირდაპირ მიგვანიშნებს ამის თაობაზე.<sup>25</sup> თუმცა, თბილისის „პოლიცმეისტერმა“ ზასიპკინმა მისთვის თანამდებობა გამონახა და 1914 წლის იანვრის დასაწყისში განბერგი თბილისში, მე-9 ნაწილის პრისტავად დაინიშნა.<sup>26</sup>

ამავე წლის 13 იანვარს, ანუ „ხარება და გოგიას“ დაჯგუფების ამოხოცვიდან ერთი წლის შემდეგ განბერგს თბილისში, ავლაბარში ტერორისტების ილიკო იმერლიშვილისა და ვასილ (ვასო) ფარესიშვილის წინააღმდეგ ჩატარებული საპოლიციო ოპერაციისას კლავენ. უფრო სწორედ, იგი მძიმედ დაიჭრა და 15 იანვარს გარდაიცვალა. ზოგიერთი ცნობით მას ტყვია არა ტერორისტებმა, არამედ საკუთარმა კოლეგა-პოლიციელებმა „შეცდომით“ მოარტყეს.

რაც შეეხება თელავის მაზრას, განბერგის შემცვლელად, თელავის მაზრის ახალ უფროსად პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ოლხოვსკი დაინიშნა. 1914 წლის 15 სექტემბრით დათარიღებული წერილიდან ვიგებთ, რომ შორაპნის მაზრის ყოფილი უფროსი ოლხოვსკი, თელავის მაზრის უფროსად გადაიყვანეს.<sup>27</sup> ოლხოვსკის პიროვნება თელავის მაზრის სხვა უფროსებისაგან საკმაოდ „გამოირჩეოდა“ და მისი ასე ვთქვათ „ცხოვრების სტილი“ თელავის მაზრის „ტიპიური“ უფროსების ცხოვრებისგან ამკარად განსხვავდებოდა. ეს უკანასკნელი ქალაქ თელავის „საზოგადოებრივ კლუბში“ კარტის თამაშს არ ერიდებოდა, ქეიფებიც უყვარდა, და ქალთა საზოგადოებაში ტრიალიც. თუმცა, დოკუმენტებში ისიცაა ნათქვამი, რომ იგი დიდ თანხებზე არ თამაშობდა და ქრთამებსაც შეძლებული პირებიდან, იგულისხმება ვაჭრები, თითქოსდა არ იღებდა.<sup>28</sup>

მე მოვიძიე კავკასიის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლების სახელზე გაგზავნილი ანონიმური წერილები, სადაც უცნობი, ანონიმი ავტორები, თუ ავტორი, რადგან ერთი შეხედვით წერილების ხელნაწერი ტექსტები ერთმანეთს წააგავს, ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებიდან ზოგს აქებენ და ზოგსაც აძაგებენ. სავარაუდოდ, აღნიშნული დოკუმენტები მათი ე.წ. „მომხრეების“ თუ „მონინააღმდეგეების“ მიერაა დაწერილი. წერილებში ბევრი რამაა ნათქვამი მაზრის უფროსებზე და მათ შორის ოლხოვსკის შესახებ საინტერესო ინფორმაციებსაც ვხვდებით.

სწორედ ერთ-ერთ ანონიმურ წერილში აღნიშნულია მისი მეტად „უცნაური“ ჩვევა – თელავის მაზრის უფროსი ოლხოვსკი ღია ეტლით (შარაბანი) გადაადგილდებოდა,<sup>29</sup> რომელში შებმულ ცხენებსაც ზანზალიკები ეკეთათ, რომლებიც ისე ხმამაღლა წკარუნობდნენ, რომ „მათი ხმა 60 ვერსზე ისმოდა“. ოლხოვსკი ამ ეტლით პოლიციის „სტრაჟნიკების“ და ყაჩაღების შეტაკების ადგილებსაც სტუმრობდა.<sup>30</sup>

აღსანიშნავია, რომ ოლხოვსკი თელავის მაზრის ჩინოვნიკებისა და ასევე მოქალაქეების ნაწილის მხრიდან საკმაოდ „უარყოფითად“ არის დახასიათებული. მაგალითად მომყავს საარქივო საქმე, რომელიც შეიცავს თელავის მოქალაქეების ალექსანდრე მიკირტუმოვი-

<sup>25</sup> სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 11630, გვ. 45-46

<sup>26</sup> სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 11630, გვ. 47

<sup>27</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 8158, გვ. 9

<sup>28</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 8158, გვ. 11-12

<sup>29</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 8158, გვ. 14

<sup>30</sup> მკითხველი ალბათ ფილმს „ხარება და გოგია“ გაიხსენებს, რომელშიც ოლხოვსკი თითქოსდა ამ პირების მაზრაში „მოღვაწეობის“ დროს თელავის მაზრის უფროსად არის გამოყვანილი, რაც როგორც ვნახეთ სინამდვილეს არ შეესაბამება. საარქივო დოკუმენტების მიხედვით ოლხოვსკი თელავის მაზრის უფროსად „ხარება და გოგიას“ დაჯგუფების განადგურებიდან ერთი წლის შემდეგ, 1914 წელს ინიშნება

სა და მისი ცოლის ძმის ბაგრატ ბეგიანოვის საჩივარებს საიდანაც ირკვევა, რომ ოლხოვსკი თითქოსდა სომხების საპირისპიროდ ქართველებისადმი კეთილად იყო განწყობილი. მის „მონინააღმდეგე“ პირებს სხვა არგუმენტებთან ერთად მოყავთ თელავის მაზრის სოფელ კონდოლის მცხოვრებ ნიკოლოზ ცუცუნაშვილისთვის ჯარში განვევის გადავადება, სოფელ ვაჩნაძიანის მცხოვრებ ლევან ჯანდიერის ცხენების სამხედრო სავალდებულო განვევისგან დამალვა და ოლხოვსკის სხვა ამდაგვარი „დანაშაულებრივი“ ქმედებები. თუმცა, დანამდვილებით იმის თქმა, რომ ოლხოვსკი თელაველ ქართველებს სომხებთან შედარებით მართლაც სწყალობდა შეუძლებელია. ჩანს ეს „სენი“ – მოსახლეობის მიერ ქალაქში თუ მაზრაში მმართველად ჩამოსული ადამიანის ქმედებებში რომელიმე ეთნიკური თუ პოლიტიკური ჯგუფისადმი „დაპირისპირების“ თუ „მხარდაჭერის“ დანახვა, მხოლოდ საბჭოთა პერიოდისთვის არ იყო დამახასიათებელი.<sup>31</sup>

მე ვერ მოვიძიე საზოგადოების იმ წარმომადგენლების მოგონებები, ვინც ხელისუფლებასთან არ იყვნენ დაკავშირებული, ამიტომ, მეფის ხელისუფლების ორგანოების საარქივო საქმეებში შემორჩენილი დოკუმენტების ანალიზით ვიფარგლები, რომელიც ჩემი აზრით ცალმხრივია. ვფიქრობ ოლხოვსკი, უფრო დარდიმანდი, შინაგანად თავისუფალი პიროვნება იყო და მის უგულისყურო დამოკიდებულებას პოლიციური მოვალეობებისადმი სწორედ ეს განაპირობებდა. თელავში თავისი კარიერის დასასრულს, იგი ამა თუ სხვა მიზეზის გამო მოქმედ არმიაში ითხოვდა გაგზავნას, რაც სხვათა შორის მაზრის არც ერთ სხვა უფროსს, ასევე შემდგომი პერიოდის თელავის მმართველს არ გაუკეთებია!

ვფიქრობ, ოლხოვსკის შეფასების ჩემეულ ანალიზს ადასტურებს სამსახურეობრივი მოვალეობებისადმი მისი დამოკიდებულება. მაგალითად, როდესაც თელავის პოლიციის „გოროდოვოი“ ხახიაშვილი ყაჩაღებმა მოკლეს,<sup>32</sup> ოლხოვსკი ერთ-ერთ შეძლებულ თელავის მაცხოვრებელთან სტუმრად ყოფილა, სადაც, როგორც დოკუმენტშია ხაზგასმული – „შეკრებილი იყო ქალთა საზოგადოებაც“. თანამედროვის სიტყვებით, როდესაც სტუმრად მყოფ ოლხოვსკის შიკრიკმა გააგებინა, რომ მოკლულ იქნა პოლიციის თანამშრომელი, მას უთქვამს – „მოკლეს, მოკლეს გააგზავნეთ ვინმე და გაიგეთ რაშია საქმე და ამ სიტყვების შემდეგ შებრუნდა და ისევ მაგიდას მიუჯდა“.<sup>33</sup> საინტერესოა, რომ როდესაც, თავის მხრივ ხახიაშვილის მკვლელები „სტრაჟნიკებმა“ ქალაქგარეთ დახოცეს, ოლხოვსკი შემთხვევის ადგილზე სწორედ ზემოდასახელებული ზანზალიკებიანი ეტლით გამგზავრებულა.

აღსანიშნავია, რომ ოლხოვსკიზე საკმაოდ უარყოფითი შეხედულების იყვნენ მეფის ხელისუფლების ის წარმომადგენლებიც, ვინც მას იმ დროიდან იცნობდნენ, როდესაც იგი ქუთაისის გუბერნიაში შორაპნის მაზრის უფროსი იყო. როგორც ირკვევა, ოლხოვსკი იქაც მაზრის უფროსისათვის შეუფერებელ „ზრუნვას“ და „ყურადღებას“ იჩენდა შორაპნის და მის მეზობელ მაზრებში „მოქმედი“ ყაჩაღების მიმართ. ზემოდასახელებულ ანონიმურ წერილში მითითებულია ოლხოვსკის მიერ წინა თანამდებობაზე მუშაობის დროს, გამოსასყიდის მიღების მიზნით გატაცებული ექიმის გამტაცებლებისგან თანხის აღება.<sup>34</sup>

<sup>31</sup> სსცა, ფ. 153, აღ. 2, საქ. 421, გვ. 1-20

<sup>32</sup> ხახიაშვილი ავად იყო და სახლში იწვა, როდესაც ყაჩაღები ოთახში შეუვარდნენ და საწოლში ჩაცხრილეს

<sup>33</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 8158, გვ. 14

<sup>34</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 8158, გვ. 12

საარქივო დოკუმენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თელავის მაზრაში ჩამოსვლისთანავე ოლხოვსკის მაზრის ბიუროკრატიული აპარატის შემადგენლობა შეუცვლია. მაზრის სამმართველოს მდივნად დაუნიშნია ათაბეგოვი, რომელსაც ანონიმური წყარო ორი მსუბუქი ყოფაქცევის ქალის „შენახვაში“, ქრთამების აღებასა და სხვა ცოდვებშიც ადანაშაულებდა.

ოლხოვსკიმ თავის ახალ მოადგილედ 1914 წლის სექტემბერში ლიკოვი დანიშნა.<sup>35</sup> მანვე უშუამდგომლა და ქალაქ თელავის პრისტავად დაინიშნა ახვლედიანი, რომელიც მანამდე ქუთაისის გუბერნიის პოლიციის სტრუქტურებში მუშაობდა.<sup>38</sup>

ქალაქ თელავის ისტორიის უკეთ წარმოსაჩენად, ძალიან საინტერესოა 1915 წლის 8 ნოემბრის ოლხოვსკის მოხსენება თელავის მაზრის მდგომარეობის შესახებ. ეს საკმაოდ დიდი მოცულობის დოკუმენტია, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ ოლხოვსკის „წყალი ჰქონდა შემდგარი“ და ამიტომ ცდილობდა ხელისუფლების უმაღლესი ემელონებისათვის ისეთი ინფორმაციის გაგზავნას, რომელიც მის შერყეულ „მდგომარეობას“ გამოასწორებდა. შესაბამისად, ამ მოხსენებაში აისახა ოლხოვსკის დამსახურებები ხელისუფლების წინაშე და ასევე გამოცემულია ჩვენი საკვლევი პერიოდის ამსახველი საკმაოდ საინტერესო მასალები, როგორც ქალაქ თელავის, ასევე თელავის მაზრის სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.<sup>36</sup>

ოლხოვსკის თელავში გადმოყვანის პერიოდში მასზე, როგორც შორაპნის მაზრის უფროსზე, სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების მოტივით ძიება იყო დაწყებული. ზემოთ აღვნიშნე, რომ მან თელავის მაზრაშიც უამრავი მტერი გაიჩინა. შესაძლებელია არჩია გარიდება და იმ დროს უკვე მიმდინარე პირველ მსოფლიო ომში მოქმედ არმიაში გაგზავნა მოითხოვა.<sup>37</sup> 1915 წლის 30 დეკემბერს თბილისის გუბერნატორმა კავკასიის მეფისნაცვალს, წარუდგინა პოდპოლკოვნიკ ოლხოვსკის თხოვნა გადადგომის თაობაზე. შედეგად, 1916 წლის მაისში ოლხოვსკი მოქმედ არმიაში ჩარიცხეს.<sup>38</sup>

მე შეგნებულად გავამახვილე ყურადღება ოლხოვსკის პიროვნებაზე, რადგან მისი როგორც მაზრის მმართველის და პიროვნების შესახებ არსებული სხვადასხვა მასალები კარგად გვიჩვენებენ, თუ თელავის მაზრასა და ქალაქ თელავში არსებულ სახელმწიფო ორგანოებში სხვადასხვა რანგის მოხელეებს შორის რა ურთიერთდამოკიდებულება არსებობდა. ამასთან, კარგად იკვეთება თელავის მაზრასა და თვითონ თელავში არსებული ძალისმიერი სტრუქტურების იერარქია, საქმიანობის სფეროები, კავშირები და დაპირისპირებები შედარებით მაღალი იერარქიის პირებსა და დაბალი რანგის ჩინოვნიკებს შორის და ა.შ.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მომყავს, წარმოშობით სიღნაღის მაზრის სოფელ იორმულალოს, იმჟამად (1916 წელი) ქალაქ თელავის მაცხოვრებლის ნასიბ კასუმოვის (ნასიბ კასუმ ოღლი) თხოვნა, თბილისის გუბერნატორთან. იგი წერდა: „მეორე წელია ვარ თელავის, ამჟამად კი წინანდლის პრისტავ ახვლედიანის საიდუმლო აგენტი. პირადად ვმონაწილეობდი დანაშაულებების გახსნასა და ასევე ცნობილ ყაჩაღ ბინკინაშვილის<sup>39</sup> მკვლელობაში. ამიტომ, ახლა ყაჩაღები მე დამდევენ მოსაკლავად.“<sup>40</sup>

<sup>35</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 8479, გვ. 47

<sup>36</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 2, საქ. 688, გვ. 38

<sup>37</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 2, საქ. 688, გვ. 21

<sup>38</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 8692, გვ. 38

<sup>39</sup> სავარაუდოდ საუბარია ზაქარია (ზაქრო) ბინკინაშვილზე (იგივე ლურჯაშვილი)

<sup>40</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 2, საქ. 8692, გვ. 64

დასახელებულ საარქივო საქმეში არსებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ნასიბ კასუმოვი ქალაქ თელავის პოლიციის „გოროდოვოი“ და იმჟამად ქალაქ თელავის პრისტავ ახვლედიანის „კონსპირაციული აგენტი“ იყო. მასალების ანალიზიდან ჩანს, რომ ახვლედიანის აგენტი კასუმოვი „გოროდოვოის“ თანამდებობიდან ნასვლის შემდეგ ხდება. ეს ინფორმაცია ერთის მხრივ გვიჩვენებს, თუ პოლიციის მიერ აგენტურის გამოყენების რა ფორმები არსებობდა იმ დროს და მეორე, იმასაც რომ შესაძლებელი იყო, პოლიციის ყოფილი თანამშრომლები ახლა უკვე პოლიციის საიდუმლო აგენტის სახით ჩამდგარიყვნენ ხელისუფლების ძალისმიერი ორგანოების სამსახურში.

საკმაოდ საინტერესოა, თუ რას შეეხებოდა კასუმოვის თხოვნა. იგი ითხოვდა მისთვის „მაუზერის“ სისტემის პისტოლეტი დაებრუნებინათ, რომელიც მას ოლხოვსკიმ დაპატიმრებისას ჩამოართვა. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კასუმოვს დასახელებული „მაუზერი“ პრისტავმა ახვლედიანმა 120 მანეთად მიჰყიდა, რომელმაც თავის მხრივ „ვილაცას“ წაართვა.

ირიბად, ოლხოვსკის კახელ ყაჩაღებზე „ზრუნვის“ შესახებ მეტყველებს სწორედ ეს გარემოებაც, რადგან მან, როგორც მაზრის უფროსმა იცოდა, რომ კასუმოვი პოლიციის აგენტი იყო და მაინც დაიჭირა. კასუმოვის სიტყვებით: „მადლობის მაგიერ მას ოლხოვსკიმ წაართვა ფული 550 მანეთი და „მაუზერი“ და ეს იმიტომ, რომ როდესაც კლავდნენ ყაჩაღებს, ოლხოვსკი გამოდიოდა მდგომარეობიდან და ჯავრს აგენტებზე იყრიდა.“<sup>41</sup> კასუმოვი აქვე უჩვენებს, რომ „როგორც შემდეგ გამოირკვა ოლხოვსკის „საქმიანი“ ურთიერთობა ჰქონდა ყაჩაღებთან.“<sup>42</sup>

აღსანიშნავია, რომ ოლხოვსკის ყაჩაღებთან კავშირზე სხვა საარქივო საქმეც მეტყველებს, რომელიც თელავის სატყეოს მეტყევის თანაშემწეს გვარად კოლნერს ეხება. ირკვევა, რომ ოლხოვსკი კოლნერთან ერთად ხშირად ნადირობდა, რომელიც თავის მხრივ „კახელ ყაჩაღებთან“ – სესიაშვილთან, ფირანაშვილთან და სხვებთან კავშირის ბრალდებით დაპატიმრებულ იქნა.<sup>43</sup>

1916 წელს თელავის მაზრის უფროსად მატიაკინი ინიშნება, ხოლო მაზრის სამმართველოს მწერლად ილარიონ კიკნაძე დაბრუნდა. რადგან თელავის მაზრის სამმართველოს მდივანი კიკნაძე ვახსენეთ, მინდა ასევე შევეხო 1913 წელს თელავის მაზრის სამმართველოს თანამშრომელს ივანე საჩინოს ძე ჯაფარიძეს.<sup>44</sup> საქმე იმაშია, რომ ეს ადამიანი ყოველგვარი მიზეზის გარეშე 1924 წლის 5 სექტემბერს, კომუნისტებმა „კონტრევოლუციასთან და ბანდიტიზმთან მებრძოლი თელავის სამაზრო სამეულის განკარგულებით“ ქალაქ თელავში, ე.წ. „გიგოს გორაზე“ იმ 30 ადამიანს შორის დახვრიტეს, ვისი ერთადერთი დანაშაულიც „ინტელიგენტობა“, „აზნაურობა“, „დიაკნობა“ თუ „თავადობა“ იყო.<sup>45</sup> არადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ივანე ჯაფარიძე თელავის ქალთა წმინ-

<sup>41</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 2, საქ. 8692, გვ. 72

<sup>42</sup> იგულისხმებიან „ხარებას და გოგიას“ ბანდის გადარჩენილ წევრები: გიორგი სესიკაშვილი, გიორგი (ჟორჯიკა) ბერძენიშვილი, გიორგი მახნიაშვილი და სხვები

<sup>43</sup> სსცა, ფ. 156, აღ. 3, საქ. 356, გვ. 13

<sup>44</sup> სსცა, ფ. 156, აღ. 3, საქ. 356, გვ. 13

<sup>45</sup> საბჭოთა პერიოდში, 1920-იან წლებში ივანე ჯაფარიძის და სხვა თელაველების ტრაგიკული ისტორია უაღრესად რეალისტურადაა ასახული ქალატონ ზაირა არსენიშვილის შესანიშნავ რომანში „ვა, სოფელო...“ (კახური ქრონიკები), 2011

და ნინოს სახელობის გიმნაზიაში მუშაობდა და საბჭოთა ხანაშიც რიგითი მოქალაქის ცხოვრებით ცხოვრობდა.<sup>46</sup>

## 1.2. პოლიციის ადგილობრივი ორგანოები ქალაქ თელავში

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებში საქალაქო და სამაზრო პოლიციის შესაბამისი ორგანოები არსებობდა. როგორც უკვე აღვნიშნე, მაზრებში სამართლებრივი წესრიგის დაცვა მაზრის უფროსის მოვალეობა იყო. რაც შეეხება თვითმმართველ ქალაქებს, ისეთებს, როგორც იყო თელავი – საქალაქო პოლიციას პოლიციის „პრისტავები“ – ბოქაულები ედგნენ სათავეში.

პოლიციის დაბალი ჩინები იწოდებოდნენ „გოროდოვობად“, რომელთა შორის იყვნენ უფროსი და უმცროსი ჩინის „გოროდოვობი“. „გოროდოვობის“ პირადი შემადგენლობა არმიის ყოფილი ჯარისკაცებისგან და უნტერ-ოფიცრებისგან კომპლექტდებოდა. ისინი სპეციალურ ფორმასა და იარაღს – ხმალსა და რევოლვერს ატარებდნენ, ხოლო ხელფასი ქალაქის ბიუჯეტიდან ეძლეოდათ.

„გოროდოვობს“ ქალაქის ქუჩებში წესრიგისა და სიმშვიდის დაცვა ევალებოდათ. მათ ასევე სხვადასხვა ანტისახელმწიფოებრივი საზოგადოებების, არალეგალური პარტიების წევრებზე მეთვალყურეობა უნდა ეწარმოებინათ. კანონის მიხედვით რუსეთის იმპერიის ქალაქებში სადაც მოსახლეობა შეადგენდა ორი ათას ადამიანს აუცილებელი იყო ხუთი „გოროდოვობის“ ყოლა. იმ ქალაქებში, კი სადაც მოსახლეობის რაოდენობა მეტი იყო, ყოველ ხუთას კაცზე დამატებით ერთი „გოროდოვობი“ უნდა ჰყოლოდათ.

რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს 1890 წლის 28 სექტემბრის საქალაქო პოლიციის შესახებ განკარგულების თანახმად, ქალაქ თელავს სამი უფროსი და თორმეტი უმცროსი „გოროდოვობი“ უნდა ყოლოდა. უფროსი „გოროდოვობის“ ხელფასი თვეში დაახლოებით 17.50 მანეთს, უმცროსების კი 10.50 მანეთს შეადგენდა.<sup>47</sup>

1905-1907 წლების რევოლუციის დროს დაწყებულმა ანტისახელმწიფოებრივმა გამოსვლებმა – დემონსტრაციებმა, მიტინგებმა, სისხლის სამართლის დანაშაულებების ზრდამ, მათ შორის ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანების გატაცებებმა, და საერთოდ რევოლუციისათვის დამახასიათებელმა სხვა გამოვლინებებმა, როგორებიცაა ტერორი, საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად ახალი მოთხოვნები გააჩინა.

სხვა ქალაქების მსგავსად, ქალაქ თელავშიც დაისვა პოლიციის რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი. აღნიშნული პერიოდის თელავში არსებობდა პოლიციის ორი უბანი, იგივე „პოლიციის ნაწილი“, ანუ თელავი ორ საპოლიციო სამართავ ერთეულად იყო დაყოფილი. თელავის პოლიციის ბოქაულს ჰყავდა ერთი თანაშემწე, რომელიც თელავში პოლიციის მეორე უბანზე რამოდენიმე „გოროდოვობისთან“ ერთად იმყოფებოდა. თელავის მაზრის უფროსის „1905 წლის ანგარიშში მაზრის მდგომარეობის შესახებ“ ხაზგასმულია, რომ ჯერ კიდევ 1903 და 1904 წლების ანგარიშებში მაზრის მდგომარეობის შესახებ აღნიშნული ყოფილა თელავში პოლიციის მესამე უბნის დაარსების აუცილებლობა – „რადგან პოლიცი-

<sup>46</sup> სსცა, ფ. 1891, აღ. 1, საქ. 768, გვ. 21

<sup>47</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 2, საქ. 1246, გვ. 2



ის უზნები ერთმანეთს საკმაოდაა დაშორებული, მაშინ, როდესაც თელავის მოსახლეობა თორმეტი ათას ადამიანს შეადგენს.“

გარდა ამისა, როგორც ამ დოკუმენტებიდან ჩანს, ჯერ კიდევ 1903-1904 წლებში მოუთხოვიათ პოლიციის რაოდენობის გაზრდა – ერთი ბოქაულისა და ცხრა „გოროდოვოს“ დამატება. სწორედ, აღნიშნული მოთხოვნაა ასახული ზემოდასახელებულ 1905 წლის ანგარიშში მაზრის მდგომარეობის შესახებ, სადაც ნათქვამია – „დღევანდელ მშფოთვარე დროს ამის გაკეთება აუცილებელია, რადგან ძარცვებისა და სხვა დანაშაულებების რაოდენობა ძალიანაა გაზრდილი“.<sup>48</sup>

1907 წლის ანგარიშში თელავის მაზრის მდგომარეობის შესახებ აღნიშნულია, რომ ქალაქ თელავის საქალაქო პოლიციაში დასაქმებული იყო ათი „გოროდოვო“, ერთი ბოქაულისა და ერთი ბოქაულის თანაშემწე, მაშინ, როდესაც ამ დროს, თელავის მოსახლეობა უკვე თოთხმეტი ათას (14.000) ადამიანს შეადგენდა.<sup>49</sup> ამრიგად, აღნიშნულ პერიოდში ქალაქ თელავში კანონის თანახმად მოსახლეობის რიცხვის შესაბამისი რაოდენობის პოლიცია არ იმყოფებოდა.

1907 წელს თელავის მაზრის ადგილობრივ ხელისუფლებას ჰქონია იმის მცდელობა, რომ „გოროდოვოების“ რიცხვი შეევსოთ ოც კაცამდე და ასევე გაეზარდათ მათი ხელფასი. თუმცა, თბილისის დროებითი გენერალ-გუბერნატორის 1907 წლის 1 ნოემბრით დათარიღებული წერილიდან ჩანს, რომ ზემდგომი ინსტანციების მოსაზრების თანახმად – „თელავში „გოროდოვოების“ რიცხვის ზრდა მიზანშეწონილი არ იყო“. ასევე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული თელავის პოლიციის „გოროდოვოების“ ხელფასის ზრდაც.<sup>50</sup>

ამის მაგივრად, აღნიშნულ პერიოდში ქალაქ თელავში და თელავის მაზრაში არსებული კრიმინოგენული სიტუაციის „გამოსასწორებლად“, ტერორისტული და ექსპროპრიაციული აქტების შემსრულებლების დასაპატიმრებლად, თელავში რეგულარული არმიის ნაწილი გაგზავნეს. 1907 წლის ნოემბერში თბილისიდან დისლოკაციის ადგილი შეიცვალა და თელავში განლაგდა მეორე მსროლელი ბატალიონი პოლკოვნიკ შლიტერის მეთაურობით, რომელსაც პოლიციური ხასიათის ღონისძიებების გატარება – ქალაქის ქუჩებში მორიგეობა, ანტისახელმწიფოებრივი შეკრებების მონაწილეების დაპატიმრება და სხვა ამ სახის საქმიანობის განხორციელება დაევა.<sup>51</sup>

საარქივო მასალებიდან გამომდინარე, არც შემდგომ პერიოდში მოხდა პოლიციის შემადგენლობის რიცხვობრივი თუ ხარისხობრივი ზრდა – თელავის პოლიციის რაოდენობრივი შემადგენლობა უცვლელი დარჩა 1917 წლამდე. 1911 წელს თელავში კვლავ ათი „გოროდოვო“ იყო, მაშინ, როდესაც 1911 წლის ანგარიშში თელავის მაზრის მდგომარეობის შესახებ ნათქვამია, რომ ქალაქ თელავის მოსახლეობა ბოლო აღწერით უკვე თოთხმეტი ათას შვიდას სამოცდათოთხმეტ (14974) ადამიანს შეადგენდა.<sup>52</sup>

მინდა აღვნიშნო, რომ როგორც დოკუმენტების ანალიზიდან ჩანს, თელავის შეძლებული მოსახლეობა „საკუთარ ტყავზე“ გრძნობდა „გოროდოვოების“ რიცხვის ზრდის საჭიროებას. 1912 წელს თელავში არსებული კერძო სახლების, სავაჭრო დაწესებულებების, სახე-

<sup>48</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 9611, გვ. 2-11

<sup>49</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 6341, გვ. 27-34

<sup>50</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 5869, გვ. 116

<sup>51</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 5869, გვ. 142

<sup>52</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 7283, გვ. 1

ლოსნოების მფლობელებმა, სულ ას ოცდაშვიდმა (127) ადამიანმა შუამდგომლობა აღძრა, რომ მათ ხარჯზე ქალაქში პოლიციას დამატებით დაექირავებინა ოცი „გოროდოვოი“. ამ საკითხის დადებითად გადაჭრით თვით თბილისის გუბერნატორიც კი დაინტერესებულა და პეტერბურგში ხელისუფლების უმაღლეს ემელონებში შესაბამისი მოთხოვნა გაუგზავნია.<sup>53</sup>

რაც შეეხება თელავის საქალაქო პოლიციის შემადგენლობას, როგორც უკვე აღვნიშნე, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში თელავში პოლიციის ბოქაულებად და „გოროდოვოებად“, ასევე პოლიციის „სტრაჟნიკებად“ ძირითად უცხო ეროვნების ადამიანები მუშაობდნენ.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ქალაქ თელავის პოლიციის ბოქაული ყოფილა გვარად ავეტიკიანცი. მის თანაშემწედ კი ამავე პერიოდში, რვა წლის განმავლობაში უმუშავია კონკოვს. ირკვევა, რომ ამ უკანასკნელს 1901 წელს შეუტანია განცხადება, რადგან ავეტიკიანცი სამუშაოდ ერევნის გუბერნიაში გადაუყვანიათ, ქალაქ თელავის ბოქაულად მის მაგივრად დაენიშნათ.<sup>54</sup> თუმცა, 1902 წლით დათარიღებული მასალებიდან ირკვევა, რომ კონკოვი ისევ თელავის ბოქაულის თანაშემწედ მუშაობდა.<sup>55</sup>

ვფიქრობ მკითხველისათვის ასევე საინტერესოა აღნიშნულ პერიოდში ქალაქ თელავის პოლიციის „გოროდოვოების“ რიგითი შემადგენლობის ჩამონათვალი. 1903 წელს ქალაქ თელავის „გოროდოვოები“ იყვნენ: სერგეი იაკოვენკო, ნაუმ ემეცი, არტემ მუნჯიევი, ივანუ კრივენკუ, აბრამ კაპანაძე, დათიკო ვარძელაშვილი, ელბერტ ერზოლი, გიორგი აკოპოვი, სარგის ავეტიკოვი, ივანე გოგოლაშვილი, მიხეილ ბურნაძე, სოსიკო ონიკოვი, ბუღდან სახიევი, დონგურ სულთანოვი. ამ დროს უფროსი „გოროდოვოი“ სერგეი იაკოვენკო ყოფილა.<sup>56</sup> აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩანს რომ ბოქაულებს რიგითი „გოროდოვოებისგან“ განსხვავებით იმ დროისთვის საკმაოდ მაღალი ანაზღაურება ჰქონდათ, თვეში 50 მანეთი.<sup>57</sup>

1906 წელს ქალაქ თელავის ბოქაულის მოვალეობის შემსრულებელი სააკოვი ხდება, რომელიც 1907 წელს შეცვალა ბაგირ-ბეკმა. ამ უკანასკნელის თანაშემწედ კი დასახელებულია ვინმე მოლოდოვი, რომელიც მალევე თელავის ბოქაული გახდა.<sup>58</sup>

ამრიგად, თელავში პოლიციის ბოქაულების ცვლა საკმაოდ სწრაფად ხდებოდა, რასაც ირიბად ადასტურებს 1908 წლის დასაწყისში თელავის ბოქაულად დავით ლუკას ძე თარხან-მოურავის დანიშვნა.<sup>59</sup> 1908 წლის ნოემბერში კი თელავის ბოქაულის მოვალეობის დროებით შემსრულებლად ვლადიმერ ჩიჩუა<sup>60</sup> ინიშნება, რომელიც 1911 წელს თელავის ბოქაულად გვევლინება,<sup>61</sup> თუმცა იგი მალევე გაათავისუფლეს.<sup>62</sup>

<sup>53</sup> სსცა, ფ. 13, აღ. 21, საქ. 1888, გვ. 1

<sup>54</sup> სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 6506, გვ. 3

<sup>55</sup> სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 6506, გვ. 17

<sup>56</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 2, საქ. 1246, გვ.1

<sup>57</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 688, გვ. 38

<sup>58</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 2, საქ. 5869, გვ. 40

<sup>59</sup> სსცა, ფ. 13, აღ. 21, საქ. 401, გვ. 3

<sup>60</sup> ვლადიმერ გიორგის ჩიჩუა ჩანს თელავში ბავშვობიდან ცხოვრობდა, რადგან მის პირად საქმეში წერია, რომ მას დამთავრებული ჰქონდა თელავის საქალაქო სასწავლებელი. იგი საბჭოთა პერიოდში, 1924 წლის 5 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის და სხვა თელაველებთან ერთად ე.წ. გიგოს გორაზე დახვრიტეს

<sup>61</sup> სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 11661, გვ. 18

<sup>62</sup> სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 13211, გვ. 1-7

1911 წლის ბოლოს კი თელავის ბოქაულის მოვალეობას უკვე გაგუნოვი ასრულებს,<sup>63</sup> 1912 წელს იგი თელავის ბოქაულის თანამშემწედ მუშაობს. ერთ-ერთ საქმეში აღნიშნულია, რომ თელავის ბოქაულის თანამშემწე გაგუნოვმა 1912 წელს „სამსახურეობრივი გადაცდომა“ ჩაიდინა, საუბარია მინის კანონდარღვევით გადაფორმებაზე და ჩამოთვლილია მის მიერ ჩადენილი სხვა „ცოდვები“.<sup>64</sup>

1911 წელს ქალაქ თელავში პოლიციას ასევე ჰყავდა რეზერვი, სადაც ირიცხებოდნენ – ასანა ხაიაური, ივანე ვისოცკი, სამსონ ბარამიძე, სტეფანე ალბორიშვილი, იოსებ კოკელაძე და ნესტორ თედეშვილი.<sup>65</sup>

1911 წლის ოქტომბერში მაზრის სამმართველოში თარჯიმნად დავით სავანელი მუშაობს,<sup>66</sup> რომელიც 1912 წელს გაგუნოვის ნაცვლად თელავის ბოქაულის თანამშემწე ხდება.<sup>67</sup> სავარაუდოდ, იგი დავით მიხეილის ძე სავანელია, რომელიც სხვა საარქივო მასალებშიც იხსენიება.<sup>68</sup> 1913 წელს თელავის ბოქაული თავადი მაცაყვია, ხოლო მისი თანამშემწე კი იუნაშევი.<sup>69</sup>

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ 1915 წლის მეორე ნახევარში თელავის მაზრის უფროს ოლხოვსკის წარდგინებით თელავის ბოქაულის მოვალეობის შემსრულებელი ქუთაისის გუბერნიის პოლიციის ჩინოვნიკი ახვლედიანი გახდა,<sup>70</sup> რომელიც ოლხოვსკის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ წინანდლის ბოქაულად გადაიყვანეს.

1915 წლის ოქტომბერში ზემონახსენები ვლადიმერ ჩიჩუა კვლავ თელავის ბოქაულის მოვალეობის შემსრულებლად გვევლინება, რომელიც როგორც მასალების ანალიზი გვიჩვენებს, დასახელებულ წლებში თელავის მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან და შემდეგ უკვე მაზრის უფროს თავად ირაკლი ბარათოვთან იყო დაახლოებული.<sup>71</sup> ჩანს, ეს უკანასკნელი პოლკოვნიკ ოლხოვსკის გადადგომის შემდეგ დაბრუნდა თელავის მაზრის უფროსად და ჩიჩუაც ბოქაულად დააბრუნა. თუმცა, თელავში მყოფი ჟანდარმერიის პუნქტის უნტერ-ოფიცრის 1917 წლის იანვართი დათარიღებული საიდუმლო მოხსენებიდან ირკვევა, რომ ვლადიმერ ჩიჩუამ ამ დროს პოლიციაში სამსახურს თავი დაანება. მან ქალაქ თელავში არსებულ ერთ-ერთ სააქციო საზოგადოებაში დაიწყო მუშაობა.<sup>72</sup>

1916 წელს თელავის ბოქაული კოვალენკო ხდება. თანამდებობიდან მისი წასვლის შემდეგ შემდეგ თელავში ბოქაულად ახვლედიანი ბრუნდება, რომელიც 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პერიოდში თელავის ბოქაულის მოვალეობას კვლავ ასრულებდა.<sup>73</sup>

<sup>63</sup> სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 12134, გვ. 64

<sup>64</sup> სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 13206, გვ. 4, 12

<sup>65</sup> სსცა, ფ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 15

<sup>66</sup> სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 11661, გვ. 76

<sup>67</sup> სსცა, ფ. 160, აღ. 2, საქ. 8, გვ. 11

<sup>68</sup> სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 11661, გვ. 70

<sup>69</sup> სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 11661, გვ. 54; სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 14069, გვ. 8

<sup>70</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 8692, გვ. 22

<sup>71</sup> სსცა, ფ. 13, აღ. 21, საქ. 2690, გვ. 175

<sup>72</sup> სსცა, ფ. 160, აღ. 2, საქ. 25, გვ. 2

<sup>73</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 7283; სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 16001; სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 16127, გვ. 1-5

### 1.3. სამაზრო ციხე ქალაქ თელავში

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში, თელავის მაზრასა და ქალაქ თელავში, როგორც სისხლის სამართლის, ასევე ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებულებს სამაზრო ციხეში ამყოფებდნენ. აღნიშნული პენიტენციალური დაწესებულება ქალაქ თელავის ცენტრში მდებარე ე.წ. ბატონის ციხის გალავნის შიგნით მდებარეობდა.

თელავის ციხე 1842 წელს აშენდა და თავდაპირველად 30-50 პატიმარზე იყო გათვლილი. დროთა განმავლობაში მოსახლეობის რიცხვისა და პატიმართა რაოდენობის ზრდასთან ერთად მას გაფართოება სჭირდებოდა, მაგრამ მან საფუძვლიანი გადაკეთების გარეშე საკმაო ხნის განმავლობაში იარსება. ამ ნაგებობას აშენებიდან უკვე ნახევარი საუკუნის შემდეგ კაპიტალური რემონტიც ესაჭიროებოდა, რაზეც მეტყველებს 1897 წლით დათარიღებული შესაბამისი საარქივო დოკუმენტები.<sup>74</sup>

თელავის სამაზრო ციხე ემსახურებოდა თელავის და თიანეთის მაზრებს. ირკვევა, რომ 1905-1907 წლებში თელავის ციხე პატიმრებით იყო გადავსებული. 1907 წლის 20 ივნისით დათარიღებული თელავის მაზრის უფროსის თანაშემწის ობოლენსკის მოხსენებიდან ვიგებთ, რომ თელავის სამაზრო ციხეში ამ დროს 150 პატიმარი მჯდარა.<sup>75</sup>

1910 წლის ოქტომბერში თელავის ციხეში პატიმრების რაოდენობა შემცირებულა და 130-დან 140-მდე მერყეობდა.<sup>76</sup> სავარაუდოდ, ეს აღნიშნულ პერიოდში რევოლუციური აქტივობის შესუსტებით იყო გამოწვეული.

1911 წლის ანგარიშში თელავის მაზრის მდგომარეობის შესახებ ნათქვამია, რომ თელავის სამაზრო ციხეში, რომელიც ორმოცდაათ პატიმარზე იყო გათვლილი ას ოცდაათი პატიმარი (124), მათ შორის ცხრა ქალი და რვა არასრულწლოვანი იჯდა. ამ მოხსენებიდან ისიც ირკვევა, რომ თელავის ციხეში მაღალი წოდების წარმომადგენელი (თავადი, აზნაური) პირებისათვის გამოყოფილი არ იყო ცალ-ცალკე საკნები. ასევე, არასრულწლოვანები, ქალები და პოლიტიკური დამნაშავეები განცალკევებულად არ ჰყავდათ.<sup>77</sup> ამ დროსაც დღის წესრიგში კვლავ მდგარა ციხის გაფართოების აუცილებლობა.<sup>78</sup>

თელავის ციხეში მჯდომი დამნაშავე პირები არამარტო წინასწარ პატიმრობაში იყვნენ და მოკლევადიან სასჯელსაც იხდიდნენ, არამედ აქვე ციხეში ხდებოდა პატიმრების სიკვდილით დასჯა. კერძოდ, 1906 წელს თელავის მაზრაში სამხედრო-საველე სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად თელავის მცხოვრები მიხეილ კაკატუნიძე სიკვდილით იქნა დასჯილი. მან 1906 წლის ოქტომბერში თელავის პოლიციის უფროსი „გოროდოვოი“ დარჩო ამირგულაშვილი მოკლა. როგორც დოკუმენტებშია ნათქვამი, მკვლელობა „პოლიტიკურ ნიადაგზე“ იქნა ჩადენილი. სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ კაკატუნიძის დაკითხვის ოქმს, რომელიც 1906 წლის 4 ოქტომბრითაა დათარიღებული, ხელს თელავის სამხედრო გარნიზონის ოფიცრები – სამხედრო-საველე სასამართლოს უფროსი პოდპოლკოვნიკი თავადი მაყაევი, სამხედრო-საველე სასამართლოს წევრები: კაპიტანი ჟევავ-

<sup>74</sup> სსცა, ფ. 204, აღ. 1, საქ. 1062

<sup>75</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 5869, გვ. 57

<sup>76</sup> სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 11550

<sup>77</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 5869, გვ. 57

<sup>78</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 7283, გვ. 25

ვი, კაპიტანი კრომოვი, კაპიტანი კლოდნიცკი და „პოდესაული“ ერგარდი ანერენ. ოქმი თავის მხრივ, დამონმებულია თელავის გარნიზონისა და თელავის მაზრაში განლაგებული ჯარის ნაწილების უფროსის პოლკოვნიკ ჯაიანის და ბატალიონის ადიუტანტ პორუჩიკ დოლგოევის მიერ. თავის მხრივ, ოქმს ამონმებს კიკნაძე, რომელიც, როგორც ჩანს, თელავის მაზრის საქმის მწარმოებელი ილარიონ კიკნაძეა. 1906 წლის 5 ოქტომბერს კაკატუნიძე თელავის ციხეში სიკვდილით იქნა დასჯილი – ჩამოახრჩეს.<sup>79</sup>

თელავის სამაზრო ციხეს ერთი უფროსი და ექვსი უმცროსი ზედამხედველი ემსახურებოდა. რევოლუციის პერიოდში თელავის მაზრის უფროსების შეხედულებით ეს საკმაოდ მცირე რიცხვი იყო პატიმრებით გადავსებული ციხის სამეთვალყურეოდ.<sup>80</sup> როგორც ირკვევა, ციხის ზედამხედველებს ხშირად, ყოველ მეორე დღეს უწევდათ მორიგეობა. შესაბამისად „მოვალეობის“ უკეთ შესრულების მიზნით, მათი საცხოვრებელი ბინები უშუალოდ ბატონის ციხის მიმდებარე ტერიტორიის სიახლოვეს მდებარეობდა.

საარქივო დოკუმენტებმა შემოგვინახა იმ ადამიანების ვინაობა, ვინც თელავის სამაზრო ციხეში მუშაობდნენ. მაგალითად, 1902 წლის აგვისტოში თელავის ციხის ზედამხედველი ვინმე ხახუტოვი ყოფილა, რომელსაც საკმაო სტაჟიანი იყო და „კარგ მუშაკად“ თვლიდნენ.<sup>81</sup> 1907 წლისათვის თელავის სამაზრო ციხის მთავარ ზედამხედველად ვინმე ჯავახიას უმუშავია. თუმცა, იგი თელავის ციხის მთავარი ზედამხედველის მოვალეობიდან მალევე გაუთავისუფლებიათ, რადგან 1907 წლის 14 ივნისს წყლის მოსატანად წასული პატიმართა ჯგუფიდან ორი პატიმარი – აზნაური ნიკოლოზ მაჭავარიანი და გლეხი ნიკოლოზ ქრელაშვილი გაიქცნენ.<sup>82</sup>

ამ დროს უფროსი ზედამხედველი დავით მარალოვი, ხოლო უმცროსი ზედამხედველი ვიქტორ ფოფანოვი ყოფილან. ზედამხედველებს შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც ამ ადგილზე 15 წელზე მეტი მუშაობდნენ – სერგეი სტოლბიკი, პავლე ლევჩენკო.<sup>83</sup> 1908 წელს თელავის ციხის ზედამხედველი ვინმე გიორგი ნარეკლიევი ყოფილა.<sup>84</sup>

სხვადასხვა საარქივო მასალები გვიჩვენებენ, რომ თელავის ციხეში მყოფი პატიმრები წყალს ციხის ეზოში არსებული ჭიდან ტუმბოთი იღებდნენ.<sup>85</sup> საინტერესოა, რომ როდესაც ტუმბო უფუჭდებოდათ, პატიმრები იქვე მდებარე ე.წ. გვირაბის წყლით არ სარგებლობდნენ და წყლის მოსატანად ზედამხედველის მეთვალყურეობის ქვეშ სოფელ კურდღელაურის მახლობლად მდებარე წყაროზე მიდიოდნენ.<sup>86</sup>

<sup>79</sup> სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 10830, გვ. 4

<sup>80</sup> სსცა, ფ. 13, აღ. 31, საქ. 1153, გვ. 4

<sup>81</sup> სსცა, ფ. 26, აღ. 2, საქ. 6506, გვ. 11

<sup>82</sup> სსცა, ფ. 13, აღ. 31, საქ. 1153, გვ. 8

<sup>83</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 5869, გვ. 57

<sup>84</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ. 48

<sup>85</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 5869, გვ. 57

<sup>86</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 31, საქ. 1153, გვ. 6

#### 1.4. მეფის ხელისუფლების საიდუმლო პოლიცია თელავში

საქართველოში XIX და XX საუკუნის მიჯნაზე მეფის რუსეთის საიდუმლო (პოლიტიკური) პოლიციის ადგილობრივი ორგანოები, ერთის მხრივ, თბილისის „ოხრანკის“ განყოფილება და მეორეს მხრივ, ჟანდარმთა ორი საგუბერნიო სამმართველო – თბილისის და ქუთაისის არსებობდა. თბილისის „ოხრანკის“ განყოფილება პოლიტიკური „ძებნის“ ანუ, პოლიტიკური და სხვა ხასიათის დანაშაულის მომზადების აღმოჩენი ორგანო იყო, რაც შეეხება ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოებს, მათ ძირითადად აღმოჩენილ პოლიტიკურ დანაშაულზე ძიება ევალებოდათ. თბილისის „ოხრანკის“ განყოფილებას საქართველოში მხოლოდ ერთი ქვემდებარე ორგანო – ე.წ. ბათუმის „ოხრანკის“ პუნქტი გააჩნდა.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოებს შორის წამყვანი როლი თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს ჰქონდა მინიჭებული. მას სათავეში სამმართველოს უფროსი – ჩინით პოლკოვნიკი ედგა. სამმართველოს უფროსს ჰყავდა თანაშემწეები, რომლებიც საიდუმლო პოლიციისათვის საჭირო ინფორმაციას ერთი ან რამდენიმე მაზრიდან აგროვებდნენ. თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის პირველი თანაშემწე თბილისის, მეორე – თელავისა და სიღნაღის (შემდეგ დაემატა თიანეთის მაზრა), მესამე – ახალციხის, ახალქალაქისა და გორის მაზრებს, მეოთხე – ელიზავეტოპოლის გუბერნიას განაგებდნენ.<sup>87</sup>

ზემოთ ჩამოთვლილი უფროსი ჩინის ოფიცრები, თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის თანაშემწის ჩათვლით, თბილისში იმყოფებოდნენ. ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს დაბალი ჩინები კი მაზრებში. ქალაქ თელავში ე.წ. პუნქტზე, ერთი უნტერ-ოფიცერი იმყოფებოდა, რომელიც ქვემდებარებოდა თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის თანაშემწეს თელავისა და სიღნაღის მაზრებში.

ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოები იმ უნტერ-ოფიცრებისაგან კომპლექტდებოდა, ვინც იმსახურა რა ჯარში, გავიდნენ თადარიგში, ანდა რაიმე საპატიო მიზეზით დატოვეს არმია. უნტერ-ოფიცრებად 25 წელზე ნაკლებ ახალგაზრდებს არ იღებდნენ. თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უნტერ-ოფიცრების პირადი საქმეებიდან ირკვევა, რომ უნტერ-ოფიცრებად ძირითადად 35-დან 50 წლამდე ასაკის პირები მსახურობდნენ.

მაგალითად მომყავს, შემდგომში თელავის პუნქტის უნტერ-ოფიცრის მიხეილ რომანენკოს ისტორია. 1906 წლის მარტში თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსი ნიკოლაევსკის მაზრის ადმინისტრაციას წერდა, რომ „არმიის თადარიგში მყოფმა მე-16 გრენადერთა სამეგრელოს პოლკის უფროსმა უნტერ-ოფიცრმა მიხეილ რომანენკომ მომმართა თხოვნით ის ჩემს სამმართველოში უნტერ-ოფიცრად მივიღო.“ მიხეილ რომანენკო წარმოშობით სამარის გუბერნიის ნიკოლაევსკის მაზრიდან იყო, ამიტომ, თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსი ითხოვდა ეცნობებინათ „რომანენკო მანამ სამხედრო სამსახურს დაინყებდა, რაიმე არასწორ ქცევაში ხომ არ იყო შემჩნეული.“<sup>88</sup>

ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცრები, ვინც მაზრებში მსახურობდნენ მოვალენი იყვნენ ადგილობრივი მოსახლეობის ენა სცოდნოდათ. ეს იმ გარემოებით იყო განპირობებული, რომ მაზრებში მყოფ უნტერ-ოფიცრებს თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოსთვის მაზრის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის, ასევე ჩინოვნიკების

<sup>87</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 2, საქ. 134, გვ. 4

<sup>88</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 931, გვ. 6

უკანონო ქმედებების, სისხლის სამართლის დანაშაულებების, მოსახლეობის სხვადასხვა ფენების განწყობის, რევოლუციური მოძრაობის გამოვლინებების შესახებ ინფორმაციის მინოდება ევალუბოდათ. აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად კი ადგილობრივ მოსახლეობასთან უშუალო კონტაქტში ყოფნა იყო აუცილებელი.

1903 წელს თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის მოადგილე თელავის, სიღნაღის მაზრებში პოდპოლკოვნიკი გალიცინსკი იყო.<sup>89</sup> 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში თელავისა და სიღნაღის მაზრებში თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის მოადგილეს „სამართავად“ თიანეთის მაზრაც დაემატა.

1908 წლის დასაწყისში სიღნაღის, თელავისა და თიანეთის მაზრებში თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის მოადგილე როტმისტრი რუნიჩი ყოფილა,<sup>90</sup> რომელიც რევოლუციონერებმა მოკლეს.<sup>91</sup> შესაბამისად, მარტში ელიზავეტოპოლის რკინიგზის ჟანდარმერიის უფროსი როტმისტრი პრიგარა სიღნაღის, თელავის და თიანეთის მაზრებში თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის მოადგილედ იქნა გადაყვანილი.<sup>92</sup>

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საიდუმლო პოლიციის წარმომადგენლები მაზრებში არსებულ ვითარებას ხშირ შემთხვევებში ობიექტურად აფასებდნენ. მაგალითად, 1910 წლის მარტში როტმისტრი პრიგარა არგუმენტირებულად უარყოფდა, თელავის მაზრის სოფელ კურდღელაურში თითქოსდა რევოლუციური აგიტაციის შესახებ კავკასიის ხელისუფლებისათვის მიწვდილი ინფორმაციის სისწორეს. იგი თავის უშუალო ხელმძღვანელს – თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსს შესაბამისი ფაქტების მოყვანით უსაბუთებდა, რომ სოფელ კურდღელაურში რევოლუციური მოძრაობის და რევოლუციური აგიტაციის შესახებ, თავად მიხეილ ევგენის ძე რუსიევ-ყორჩიბაშევის მიერ გამოთქმული მოსაზრება სინამდვილეს არ შეეფერებოდა. პრიგარას სიტყვებით, თავადმა რუსიევ-ყორჩიბაშევმა სოფელ კურდღელაურის მაცხოვრებელ გლეხებს სოფლის საჭიროებისათვის მინის ნაკვეთი მოტყუებით მიჰყიდა. გლეხები მას ტყუილს მიუხვდნენ და პირობის შესრულება მოსთხოვეს. რუსიევ-ყორჩიბაშევმა კი, მათზე ხელისუფლების მხრიდან ზეგავლენის მოსახდენად, სოფელ კურდღელაურში რევოლუციური აგიტაციის არსებობა მოიგონა, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა.<sup>93</sup> ცხადია, რომ ეს ინფორმაცია სიღნაღის, თელავის და თიანეთის მაზრებში თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის მოადგილეს ერთის მხრივ, თელავის მაზრის უფროსისა და მეორეს მხრივ, მისი უშუალო წარმომადგენლის – თელავში მყოფი პუნქტის უნტერ-ოფიცრის მეშვეობით ჰქონდა მიღებული.

1905-1907 წლების რევოლუციის დროს თელავში პუნქტის უნტერ-ოფიცრი ნოვიკოვი იყო.<sup>94</sup> 1908 წლის ივლისში კი თელავის პუნქტის უნტერ-ოფიცერი უკვე მიხეილ რომა-

<sup>89</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 479

<sup>90</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ.1442, გვ. 1

<sup>91</sup> როგორც თანამედროვის, რევოლუციონერ სერგო აბრამოვის მოგონებიდან ჩანს, როტმისტრ რუნიჩის მკვლელობაში მონაწილეობა მიუღია პირს სახელად იაშა, რომელიც ქალაქ თელავის მცხოვრები ყოფილა – შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული არქივი, ფონდი 8, აღწერა 2 (ნაწილი 2), საქმე 403, გვერდი 3-4 (შემდეგ შემოკლებით – შსსპა, ფონ., აღ., საქ., გვ.)

<sup>92</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ.1442, გვ. 2

<sup>93</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 2, საქ. 634, გვ. 21-25

<sup>94</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 413

ნენკოა.<sup>95</sup> დუშეთის მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ყარამან ფალავა თავის ჩვენებებში, რომელიც მან საბჭოთა პერიოდში ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით წარმოებული გამოძიების და გიგლა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესის დროს მისცა, მიხეილ რომანენკოს რამოდენიმეჯერ ახსენებს.<sup>96</sup> საარქივო მასალებში ასევე შემორჩენილია კახეთის ტერიტორიაზე არსებულ მაზრებში ჟანდარმერიის პუნქტებზე მყოფი ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცრების ვინაობის შესახებ ინფორმაციები. მაგალითად, 1916 წელს სიღნაღში ჟანდარმერიის პუნქტის უნტერ-ოფიცერი ტიმოფეი ბარსკი ყოფილა.<sup>97</sup>

ჩვენ საშუალება გვაქვს საარქივო დოკუმენტების მეშვეობით გავაანალიზოთ, იგივე „გავაშუქოთ“ – როგორც საიდუმლო პოლიციის წარმომადგენლები ხმარობდნენ ამ ტერმინს, თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს თელავში მყოფი პუნქტის უნტერ-ოფიცრის მოვალეობა და საქმიანობა. როგორც ირკვევა, თელავში მყოფი ჟანდარმერიის პუნქტის უნტერ-ოფიცრები პოლიტიკური ხასიათის შემცველი ინფორმაციის შეგროვებასთან ერთად ქალაქში და მაზრაში არსებული კრიმინალური ვითარებითაც ინტერესდებოდნენ, იძიებდნენ ინფორმაციებს მაზრის ხელმძღვანელების მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ ფულის გახშირებული გამოძალვების აღსაკვეთად და ა.შ.<sup>98</sup>

თელავში მყოფი ჟანდარმერიის პუნქტის უნტერ-ოფიცრების მოხსენებებიდან ჩანს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მაზრაში ვითარების გამოსასწორებლად სათანადო ძალისხმევას არ იჩენდა და მიღებულ საიდუმლო ინფორმაციებსაც სათანადოდ ვერ იყენებდა. მაგალითად, 1911 წლის 7 ნოემბერს, თელავის მაზრის უფროსს წერენ – „თბილისის გუბერნატორის კანცელარია გთხოვთ აცნობოთ, თუ რატომ არ ისარგებლეთ იმ ცნობებით, რომელიც თელაველი ვაჭრის ბეგიანოვისათვის ფულის გამომძალველი ყაჩაღების ადგილსამყოფელის შესახებ მოგანოდათ, თელავში მყოფმა თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უნტერ-ოფიცერმა“.<sup>99</sup>

თელავის, სიღნაღისა და თიანეთის მაზრებში თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის მოადგილე თელავში მყოფ პუნქტის უნტერ-ოფიცრს უამრავ სხვადასხვა სახის დავალებას აძლევდა. ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, რომელიც 1907 წლის მაისით თარიღდება, თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსი თავის მოადგილეს თელავის, სიღნაღის და თიანეთის მაზრებში სთხოვდა შეეკრიბა ცნობები თელავში ქალაქის მამასახლისად არჩეული, თუ ასარჩევი მიხეილ აბაკუმის ძე ვერმიშევის პოლიტიკური კეთილსაიმედოობის და მორალური თვისებების შესახებ, რაც ცხადია შემდგომ უკვე თელავში მყოფ პუნქტის უნტერ-ოფიცერს უნდა შეესრულებინა.<sup>100</sup>

სხვა მაგალითია, 1911 წლის 16 ივნისით დათარიღებული ერთ-ერთი ასეთი საიდუმლო მინერილობა, რომლის თანახმად – „მიუნხენის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტები დისტელი და ბუმი, რომლებიც ბავარიის ხელისუფლების მიერ არიან მოვლინებული კავკასიაში ფოტოების გადასაღებად, გეოგრაფიული და გეოდეზიური კვლევების ჩასატარებლად,

<sup>95</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 44, გვ. 96

<sup>96</sup> სიმაშვილი, თენგიზ, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები ილია ჭავჭავაძის მკვლელები“ (ილიას მკვლელთა ვინაობისათვის), თბილისი, 2011, გვ. 36-37

<sup>97</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 21, საქ. 2925, გვ. 74

<sup>98</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 7205, გვ. 151

<sup>99</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 7205, გვ. 152

<sup>100</sup> სსცა, ფონ. 156, აღ. 3, საქ. 74, გვ. 1



მიმდინარე წელს კავკასიის მხარეში იმოგზაურებენ. თუ ისინი თქვენს სამოქმედო რაიონში გამოჩნდებიან მათზე მკაცრი საიდუმლო მეთვალყურეობა დაამყარეთ.“ ამავე დღით დათარიღებულ სხვა მიწერილობაში კი თელავში მყოფ პუნქტის უნტერ-ოფიცრს აცნობებდნენ, რომ ვინმე ჰენრიხ კელერი ფოტოების გადასაღებად გერმანიიდან, კერძოდ, მიუნხენიდან კავკასიაში ჩამოდიოდა. შესაბამისად, მასზეც მკაცრი საიდუმლო მეთვალყურეობის დაწესებას ითხოვდნენ.<sup>101</sup>

1913 წლის თებერვალში თელავში მყოფ უნტერ-ოფიცერს ხელმძღვანელობა აცხობინებდა, რომ „ყველა ზომა ეხმარა ამჟამად კავკასიის ფარგლებში ტურისტად მყოფი ე. ლაკონის, 30 წლის, ეჭვმიტანილის აგენტურული საქმიანობის განწევაში დასაპატიმრებლად. ლაკონი 1911 წლის ბოლოს კავკასიაში გაიქცა და 5 დღე ქალაქ თელავში იმყოფებოდა, საიდანაც წავიდა სიღნაღის მაზრაში და შემდეგ გადავიდა ზაქათალაში.“<sup>102</sup> ემანუელ ლაკონი 1913 წლის მარტში ქალაქ კუბში დაუპატიმრებიათ.<sup>103</sup> იმავე წლის 26 ოქტომბრით დათარიღებული საიდუმლო მიწერილობის თანახმად კი, ერზრუმიდან კავკასიაში გერმანიის დაზვერვის აგენტი კარლ ოგუსტ ლენერი უნდა ჩასულიყო, რომელიც „განსაკუთრებით დაინტერესებული იყო სამხედრო საიდუმლოებების მოძიებით და სომხებში პროპაგანდით.“<sup>104</sup>

აქვეა საკმაოდ საინტერესო და ურთიერთ-განსხვავებული ინფორმაციები. მაგალითად, თელავში მყოფი ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცერი თელავის, სიღნაღის და თიანეთის მაზრებში თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის მოადგილეს სწერდა, რომ 1909 წლის იანვარში თელავში ვინმე ალექსანდრე თეთრაძე 1905 წლის 9 იანვრის მოვლენების გამო თელავის მოსახლეობას გაფიცვისაკენ მოუწოდებდა.<sup>105</sup> 1911 წელს თელავში მყოფი ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცერი ბონდარევი თბილისში აგზავნიდა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ თელავის ცენტრში, ბაღში რამოდენიმე ადამიანმა გააუპატიურა ოლგა დ-შვილი და იგი უგონო მდგომარეობაში მყოფი მხოლოდ მეორე დღით იპოვეს.<sup>106</sup>

თელავში მყოფი ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცერის მიერ გაგზავნილ სხვა დოკუმენტში კი საუბარია იმაზე, რომ თელავის მაცხოვრებლის ვინმე მოსე ბატიაშვილის სამზარეულოში შეიპარა ქურდი და ტომარაში ჩაანყო ნივთები წასაღებად. ბატიაშვილმა ქურდი, რომელიც თელავის მცხოვრები აღმოჩნდა ხანჯლით ადგილზევე მოკლა.<sup>107</sup>

1911 წლის მაისში თელავში მყოფი პუნქტის უნტერ-ოფიცერი ხელმძღვანელობას სწერდა, რომ „თელავის ცენტრში სამი მართლმადიდებლური ეკლესია მდებარეობს. მათში საეკლესიო მსახურება მხოლოდ ქართულ ენაზე ტარდება და რადგან თელავსა და მის მიმდებარე სოფლებში სახელმწიფო დაწესებულებებში რუსებიც მუშაობენ და ცხოვრობენ, ისინი ითხოვენ ქალაქის ერთ-ერთ ეკლესიაში მსახურება რუსულ ენაზეც ჩატარდეს.“ აქვე აღნიშნავდა, რომ „რუსები ტოვებენ სახელმწიფო რელიგიას და გადადიან სექტანტებში, ე.ი. ბაპტისტებშიო.“<sup>108</sup>

<sup>101</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 1, გვ. 48

<sup>102</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 8, გვ. 34

<sup>103</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 8, გვ. 49

<sup>104</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 8, გვ. 113

<sup>105</sup> სსცა, ფონ. 156, აღ. 3, საქ. 124, გვ. 1

<sup>106</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 2, გვ. 37

<sup>107</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 2, გვ. 2

<sup>108</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 2, გვ. 5

1912 წლის სექტემბრით დათარიღებულ მოხსენებაში უნტერ-ოფიცერი მიხეილ სტეპკინი ხელმძღვანელობას თელავში მცხოვრები ვინმე პრასკოვია კრეხოვას შესახებ აცნობებდა, რომელიც „ბაპტისტი“ ყოფილა: „კრეხოვა თელავის მაზრაში მცხოვრებელ რუსებთან დადის და მართლმადიდებლურ რელიგიას აძაგებსა. ამის შედეგად მაზრის მცხოვრებელი ოცამდე რუსული ოჯახი გადაიბირა. თითოეულ ადამიანზე, ვინც სექტანტებში გადადის პრასკოვია კრეხოვა ფულად ჯილდოს იღებს. ფარული გზით მოვიკვლიე, რომ ბაპტისტების მისწრაფებები ახლოსაა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მისწრაფებებთანო.“<sup>109</sup> სხვა საარქივო საქმეში წერია, რომ ხელმძღვანელობა სტეპკინს ავალებდა პრასკოვია კრეხოვას ბაპტისტებში გადასასვლელი „პროპაგანდის“ შესახებ ინფორმაცია ადგილობრივი პოლიციისა და სამღვდელოების მაღალი რანგის წარმომადგენელებისათვის გაეცნო.<sup>110</sup>

უნტერ-ოფიცერი სტეპკინი ხელმძღვანელობას ასევე აცნობებდა, რომ ქალაქის ბულვართან ახლოს 1911 წელს თელავის მცხოვრებელ ვასილ ახვერდოვს ასევე თელაველი მარტია კულიჯანოვი რევოლუციით მოუკლავს.<sup>111</sup> მასევე 1912 წლის ნოემბერში თელავში ფოსტალიონ ამბარცუმ ოგანესიანს რევოლუციურ სიმღერებიანი გრამაფონის ფირფიტები ჩამოურთმევია.<sup>112</sup>

„თელაველი“ ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცრები ხელმძღვანელობას სხვა სახის ინფორმაციებს – ზალიკო სვიმონიშვილის ტერორისტული საქმიანობის, პურზე თუ სხვა პროდუქტებზე ფასების ზრდის, მოსახლეობის განწყობის შესახებაც აწვდიდნენ.

თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველო ქალაქ თელავის და თელავის მაზრის შესახებ ინფორმაციის მიღებას თელავში პუნქტზე მყოფი უნტერ-ოფიცერისგან დამოუკიდებლადაც ცდილობდა. ჩანს ეს განპირობებული იყო ინფორმაციის მიღების რამოდენიმე განსხვავებული წყაროს ყოლის სურვილით. მაგალითად, 1914 წელს, თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის მოადგილე თელავის, სიღნაღისა და თიანეთის მაზრებში ხელმძღვანელობას წერს, რომ „ქალაქ თელავში საიდუმლო აგენტი შევიძინე, რომელიც თელავის მაზრაში ოპერირებულ ყაჩაღურ ბანდებზე მომანვდის ინფორმაციასო.“<sup>113</sup> 100 დასახელებულია მისი გვარ-სახელი ეგორ ბ-ვი<sup>114</sup> და აგენტურული მეტსახელიც – „გრამაბოი“.

ირკვევა, რომ ამ პიროვნების საქმიანობა ღვინის კასრების დამზადებასთან იყო დაკავშირებული. ამასთან, აღნიშნული საიდუმლო აგენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციები გარკვეულწილად ყაჩაღურ ბანდების შესახებ მასალების მოძიებას სცდება და უფრო პოლიტიკური ხასიათისაა. მაგალითად, ჟანდარმერიას იგი ინფორმაციას აწვდიდა, რომ კასრების დამამზადებელი ხელოსნები თელავში ანტონ ყაზახოვის ხელმძღვანელობით ვინმე გოგელიას სახლში შეკრებილან, სადაც ვერმიშვევის კასრების სახელოსნო ყოფილა განთავსებული. შეკრებაზე ხელოსნებს კასრების ხელოსნების კავშირის შექმნის შესახებ საკითხი დაუყენებიათ. აგენტურულ ინფორმაციაში ჩამოთვლილია შეკრების მონაწილე-

<sup>109</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 5, გვ. 31-32

<sup>110</sup> სსცა, ფონ. 156, აღ. 3, საქ. 232, გვ.37

<sup>111</sup> სსცა, ფონ. 156, აღ. 3, საქ. 274, გვ. 39

<sup>112</sup> სსცა, ფონ. 156, აღ. 3, საქ. 232, გვ. 44

<sup>113</sup> 100 სსცა, ფონ. 156, აღ. 3, საქ. 272, გვ. 8

<sup>114</sup> ზოგიერთ პიროვნებას გასაგები მიზეზის გამო სრული გვარ-სახელით არ ვახსენებ

ბი, მათ შორის თელავის მცხოვრებლები ვასილ ბატიაშვილი, ილო საყვარელიძე, აკურის მცხოვრები ვანო ხიზანოვი და სხვები.<sup>115</sup>

1915 წელს თელავში ჟანდარმერიის პუნქტის უნტერ-ოფიცერი კვლავ მიხეილ სტეპკინი ყოფილა.<sup>116</sup> ამა წლის თებერვალში სწორედ უნტერ-ოფიცერ სტეპკინის მიერ მიწვდილი ინფორმაციიდან გამომდინარე წერდა თელავის, სიღნაღის, თიანეთის მაზრებში თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის მოადგილე ხელმძღვანელობას, რომ „უნტერ-ოფიცერმა სტეპკინმა თელავის მაზრაში თავისი მორიგი ჩამოვლისას თელავის მაზრის მაცხოვრებლები გამოკითხა და დაასკვნა, რომ თელავის მაზრის მაცხოვრებელი ქართველი მოსახლეობა მტრულადაა განწყობილი სომხების მიმართ<sup>117</sup> და დადის ხმები, რომ დროთა განმავლობაში, შესაძლებელია აქ ამ ორ ერს შორის შეტაკება დაიწყოს იმ სახით, როგორც კავკასიაში 1905 წელს მოხდა“.<sup>118</sup>

აღნიშნულ პერიოდში მიმდინარეობს პირველი მსოფლიო ომი და ასეთი ანტაგონიზმის ერთ-ერთი სავარაუდო მიზეზი თელაველი შეძლებული სომეხი ვაჭრების მიერ პროდუქტებზე და პირველადი მოხმარების საგნებზე ფასების ხელოვნური ზრდა იყო. ფაქტობრივად, იმ დროს, როგორც ქალაქის მართვა-გამგეობა, ასევე ვაჭრობაც ეთნიკური სომხების ხელში იყო მოქცეული და ფასების ხელოვნური აწევა შეძლებული სომეხი ვაჭრებისათვის პრობლემას არ წარმოადგენდა. ხოლო თუ ამას დავამატებთ იმ გარემოებასაც, რომ ამ უკანასკნელებს კავკასიის მთელ ტერიტორიებზე, ასევე ქალაქ თელავშიც მეფის რუსეთის ადგილობრივი ადმინისტრაცია ყველანაირად მხარს უჭერდა და ეხმარებოდა, გასაგებია შეძლებული სომხების მიმართ ქართველი მოსახლეობის ასეთ უარყოფით დამოკიდებულებას რა განაპირობებდა.

ამ ვარაუდს ადასტურებს, 1916 წლის იანვრით დათარიღებული თელავის მაზრის უფროსის წერილი, რომ „გასული 1915 წლიდან მოყოლებული მიმდინარეობს ენერგიული ბრძოლა ქალაქ თელავში ადგილობრივი ვაჭრების სიხარბის<sup>119</sup> წინააღმდეგ, რადგან ისინი ცდილობენ ხელოვნურად მაღლა ასწიონ პროდუქტებზე დაწესებული ფასები“.<sup>120</sup> თუმცა უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ტედენცია – სომეხი ვაჭრების მიერ საქონელზე და პრო-

<sup>115</sup> სსცა, ფონ. 156, აღ. 3, საქ. 272, გვ. 9-11

<sup>116</sup> სსცა, ფონ. 156, აღ. 3, საქ. 2, გვ. 56

<sup>117</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 2, საქ. 671, გვ. 21

<sup>118</sup> სავარაუდოდ, საუბარია სომეხ-თათრების შეტაკებებზე 1905 წელს ბაქოში და თბილისში. შესაძლებელია სტეპკინის მოხსენებით ბარათში ასევე აისახა 1906 წელს ქალაქ თელავში ქართველებს და სომხებს შორის არსებული დაპირისპირება. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ამ წელს სიმთვრალის ნიადაგზე ქართველებს და სომეხ მედუქნეს შორის მოხდა შეჯახება. ეს უკანასკნელი ჩხუბში დაჭრილა. ამის გამო თელავის მაცხოვრებელი სომეხები, ძირითადად შეძლებული ადამიანები შურისძიებას აპირებდნენ. მაზრის იმდროინდელ უფროსის კარახანოვის ჩვენებით, მას თელავის ბულვარში, თელავის მაცხოვრებელი ქართველი და სომეხი მოსახლეობის წარმომადგენლებისათვის, იმისათვის რომ შერიგებულიყვნენ შეკრების ნებრათვაც კი მიუცია, – სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 8595, გვ.38

<sup>119</sup> 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომის დროსაც, პირველადი მოხმარების საგნებზე და განსაკუთრებით პროდუქტებზე, ფასების უცაბედი, არნახული ზრდა დაფიქსირდა, რასაც მხოლოდ ერთი ახსნა აქვს – ვაჭრის ეროვნებას ფასების მატებასთან კავშირში არაა. როგორც ჩანს, სამწუხაროდ მათ უმეტესობას მხოლოდ ფულადი მოგების მიღება აინტერესებთ

<sup>120</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 2, საქ. 8692, გვ. 4

დექტებზე ფასების ხელოვნური ზრდა როგორც თბილისში, ასევე გორსა და საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სხვა ქალაქებშიც შეინიშნებოდა.<sup>121</sup>

1916 წლის ივლისში, თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველო აცნობებდა მეფისნაცვლის მოადგილეს, რომ „მიღებული ცნობების თანახმად თელავის, სიღნაღისა და თიანეთის მაზრებში მოსახლეობაში მღელვარებაა – ისინი პროტესტის გამოხატვას შეკრებებით და გამოსვლებით აპირებენ“<sup>122</sup> და მათ აღსაკვეთად შესაბამისი ზომების მიღებას ითხოვდა.

მკითხველი ქვემოთ ნახავს, რომ თავის მხრივ, თელავის მაცხოვრებელი დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი სომეხი მოსახლეობა, შეძლებულ ზედაფენას და მდიდარ სომეხ ვაჭრებს გარკვეულწილად უპირისპირდებოდა. თელაველი ღარიბი სომეხი ოჯახების წარმომადგენელი ახალგაზრდები არა სომხური ნაციონალისტური იდეოლოგიის მქონე „დაშნაკცუტუნის“ პარტიის რიგებში შედიოდნენ, რომელიც მართალია აქცენტს სოციალურ სამართლიანობაზეც აკეთებდა, მაგრამ რეალურად შეძლებული ზედაფენის ინტერესებს იცავდა, არამედ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიაში წევრიანდებოდნენ.

ქალაქ თელავის და თელავის მაზრის ქართველი მოსახლეობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ეს კარგად ესმოდათ და შეშფოთებული იყვნენ შექმნილი ვითარებით. ისინი ქართველებსა და სომხებს შორის დაძაბულობის ზრდას, უფრო სწორედ შეძლებული სომხების მიზეზით, თუ რუსული ადმინისტრაციის მიერ ფარული ნაქეზებით გამოწვეული დაპირისპირების მოგვარებას თავისი ძალებით, სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდნენ. მაგალითად, 1915 წლის 6 ნოემბერს თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის მოადგილე თელავში მყოფ პუნქტის უნტერ-ოფიცერ სტეპკინს წერდა: „თელავიდან შენს მიერ გამოგზავნილი ბროშურა, რომელიც ქართულ ენაზეა დაბეჭდილი არანაირ დანაშაულებრივს არ შეიცავს. პირიქით მასში გატარებულია აზრი, რომ ქართველებს და სომხებს შორის დაპირისპირება დღეს-დღეისობით დაუშვებელია.“<sup>123</sup> ამრიგად, უნტერ-ოფიცერის მიერ სავარაუდოდ ფარული გზებით თელავში „მოძიებული“ ასეთი შინაარსის ბროშურა, აღნიშნულ პერიოდში თელავის მოსახლეობის შეგნების და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიმნიფის მაღალ დონეს ვფიქრობ ფაქტობრივად ადასტურებს.

თელავის მაცხოვრებელ დაბალი და საშუალო სოციალური ფენის სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებს, ერთმანეთთან გასაყოფი და დასაპირისპირებელი მიზეზები არ ჰქონდათ. თავის მხრივ, თელავის მაცხოვრებელ შეძლებულ სომხებს ქართველებთან დასაპირისპირებელი მიზეზები, გარდა ომის დროს არასტაბილური ვითარების გამო ეკონომიკური სარგებლის მიღების სურვილისა ერთიც ჰქონდათ. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, შეძლებულ სომხებს კავკასიის იმდროინდელი რუსული ადმინისტრაცია კავკასიაში და მათ შორის თელავშიც, ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის გაძლიერებაში ყველანაირად უწყობდა ხელს. ეს კი, ბუნებრივია თელავის მაცხოვრებელ შეძლებულ სომხებს გარკვეულ ვალდებულებებსაც უჩენდა მეფის ხელისუფლების წინაშე. ამიტომ, ისინი ფაქტობრივად რუსული ადმინისტრაციის მოკავშირედ და დამხმარედ იყვნენ ქცეული.

პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს, ქართველი საზოგადო მოღვაწეების ერთი ნაწილი გერმანიასთან პოლიტიკური კავშირების გაბმას ცდილობდა. მაგალითად,

<sup>121</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 27, საქ. 4337, გვ. 4

<sup>122</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 27, საქ. 4337, გვ. 7

<sup>123</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 12, გვ. 29

თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსი 1915 წლით დათარიღებულ წერილში წერდა: „პეტერბურგში მცხოვრებმა პროფესორმა ჯავახოვმა<sup>124</sup> საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივნის სამსონ ფირცხალავას სახელზე წერილი გამოგზავნა, რომ გერმანიის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი ციმერმანი კარგად იცნობს ქართულ საკითხს... ჯავახოვი თითქოსდა საიდუმლოდ იმყოფებოდა სტოკჰოლმში, სადაც შეხვდა გერმანიის ელჩს და მასთან ქართულ საკითხზე ჰქონდა მოლაპარაკება“.<sup>125</sup>

1914 წელს ბერლინში გერმანელების მხარდაჭერით „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ იქმნება, რომლის ერთ-ერთი აქტიური წევრი გიორგი მაჩაბელი გერმანული წყალქვეშა ნავით საქართველოში შავი ზღვით რამოდენიმეჯერ ჩამოვიდა, იარაღი ჩამოიტანა და სხვადასხვა ქალაქებშიც მიმოდიოდა.

მეფის ხელისუფლების წარმომადგენლების ერთ-ერთი უკანასკნელი მიმონერიდან (1917 წლის 11 თებერვალი) ვიგებთ, რომ „სხვადასხვა აგენტურული წყაროდან მიღებული ინფორმაციით,<sup>126</sup> გერმანიასა და ავსტრიაში დაპატიმრებულ ქართველებში პროპაგანდის გამწევი და გერმანელთა წინაშე პასუხისმგებლობის ამლები, რომ ამირკავკასიაში მოაწყობს აჯანყებას, გერმანული წყალქვეშა ნავებით შავი ზღვისპირეთში, საქართველოში რამოდენიმეჯერ ჩამოსული თავადი გიორგი მაჩაბელი, დღესდღეისობით თბილისში „სახალხო ფურცელის“ რედაქტორ ჯორჯაძესთან და ხან კი ქალაქ თელავში – ილიკო მაჩაბელთან იმალება.“<sup>127</sup>

შესაძლებელია სწორედ ამ სახის ინფორმაციებიც გახდა იმის მიზეზი, რომ მეფის რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლების და მათ შორის საიდუმლო პოლიციის წარმომადგენლები საქართველოს სხვა ქალაქებში და მათ შორის თელავშიც, ქართველების წინააღმდეგ სომხების გამოყენებას ცდილობდნენ. ჩემი აზრით, სტეპკინის ზემომოყვანილი მოხსენების არსი, რომ თელავის მაზრაში ქართველებსა და სომხებს შორის დაპირისპირებაა მოსალოდნელი, სწორედ მეფის საიდუმლო სამსახურის საქმიანობის შედეგს ასახავდა. პირველი მსოფლიო ომის დროს, თელავსა თუ საქართველოს სხვა ქალაქებში ქართულ-სომხური ურთიერთობების გაფუჭება და ერთა შორის შუღლის გაღვივება, რათა ქართველებს თავისი ყურადღება ამ სახის საკითხებზე გადაეტანათ და საქართველოს მომავალზე არ ეფიქრათ, ვფიქრობ იმ ხანად მეფის რუსეთის საიდუმლო პოლიციის ინტერესში ნამდვილად შედიოდა.

დიდი იმპერიების მიერ მცირე ერების და სახელმწიფოების წინააღმდეგ გამოყენებული ე.წ. „გათიშე და იბატონეს“ მეთოდის სხვადასხვა ინტერპრეტაციით გამოყენება, ცხადია რუსეთის იმპერიისათვის არ იყო უცხო ხილი. მასალებიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში კავკასიაში მეფის რუსეთის ხელისუფლების ადგილო-

<sup>124</sup> საუბარია გამოჩენილ ქართველ ისტორიკოს ივანე ჯავახიშვილზე

<sup>125</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 27, საქ. 4425, გვ. 11-12

<sup>126</sup> დოკუმენტების ანალიზიდან ჩანს ასეთი „აგენტურული“ წყაროები ილია ქავჭავაძის ყოფილი მორავი დიმიტრი ჯაში და ჟურნალისტი ა. ლულაძე იყვნენ. 1908-1911 წლებში თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების ყოფილი აგენტი დიმიტრი ჯაში 1916 წელს კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან არსებული სამხედრო კონტრდაზვერვის განყოფილების თანამშრომელიხდება. მას კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან არსებული სამხედრო კონტრდაზვერვის განყოფილების მაშინდელი უფროსი ალექსანდრე ბასოვი გერმანელთა კოლონიების „მიმოხილვას“ და შავ ზღვაზე გააქტიურებული გერმანული წყალქვეშა ნავების, ასევე გერმანული აგენტების შესახებ ინფორმაციის მოძიებას ავალებდა.

<sup>127</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 27, საქ. 5020, გვ. 1

ბრივი წარმომადგენლები აქტიურად ცდილობდნენ ქართველებისა და სომხების ერთმანეთისათვის დაპირისპირებას. მაგალითად, თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების საქმეებში მოიპოვება 1907 წლით დათარიღებული აგენტურული ინფორმაცია, რომელშიც ნათქვამია „თბილისში ქართველებმა ვიღაც ქალბატონის მეთაურობით ჯგუფი შექმნეს, რომელმაც გადაწყვიტა გავლენიან სომხებზე ტერორის განხორციელება.“ რამოდენიმე დღიანი ინტერვალის შემდეგ დაწერილ სხვა ინფორმაციაში კი წერია – „სომხებმა ეს შეიტყვეს და თავის მხრივ გავლენიანი ქართველების ტერორიზებისათვის შეიარაღებული რაზმი შექმნეს.“<sup>128</sup> ალბათ, ასეთი სახის საიდუმლო ინფორმაციის „გაჟონვამ“ და „სომხებისთვის შეტყობინება“, ვისშიც, სავარაუდოდ, რომელიმე სომხური ნაციონალისტური პარტია იგულისხმებოდა, მეფის ხელისუფლების საიდუმლო პოლიციის ჩარევის გარეშე არ ჩაიარა.<sup>129</sup>

კავკასიაში მეფის რუსეთის ხელისუფლების ასეთი „საშინაო“ პოლიტიკა ადგილობრივი ერების წარმომადგენლებისათვის ცნობილი იყო. მინდა მოვიყვანო რუსეთის საიდუმლო პოლიციის ადგილობრივი ორგანოს მიერ თბილისის ფოსტაში „პერლუსტრირებული“, ანუ ნაკითხული, 1910-ანი წლებით დათარიღებული წერილის მცირე ნაწყვეტი. მისი ავტორი, რომლის ასლიც თბილისის „ოხრანკის“ მასალებში შემორჩა, ვინმე ა. შარაშენიძე მეგობარს სწერს „ვიღაც ინტელიგენტი თათართან“ საუბრის შინაარსს: „მე მასთან საუბარმა გამაოცა. იგი ამბობდა – რუსები დაუფიქრებლად მიიყვანენ რუსეთის იმპერიას დალუპვისაკენ. როცა რუსული გაზეთები ქართველებს აქებდნენ, რადგან მართლმადიდებლები არიან და აქეზებდნენ სომხების წინააღმდეგ, ჩვენ მოლოდინში ვიყავით და ვაკვირდებოდით. როდესაც რუსებმა ეს ვერ შეძლეს, მაშინ თათრები მიგვისიეს სომხებზე, დაიწყო სისხლისმღვრელი შეტაკებები. შემდეგ რუსებმა ახალი ხერხი იხმარეს. დაადანაშაულეს ქართველები სეპარატიზმში და დაიწყეს სადამსჯელო ექსპედიციების გაგზავნა ქართველი მოსახლეობის დასარბევად.<sup>130</sup> ახლა კი გაიძახიან – „რუსეთი რუსებისათვის“. ჩვენც თვალი აგვეხილა – რუსებისთვის ზედმეტები ვართ, მათ მხოლოდ ჩვენი მხარე სჭირდებათ.“<sup>131</sup>

იმ პერიოდში მეფის რუსეთის ხელისუფლება საშინაო პოლიტიკის გარდა, საგარეო პოლიტიკაშიც აქტიურად ცდილობდა ნაციონალისტურად განწყობილი სომხებისა და კერძოდ „დაშნაკცუტუნის“ პარტიის აქტიურ გამოყენებას. მაგალითად, ჯერ კიდევ 1907 წელს, როგორც „დაშნაკცუტუნის“ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გაბრიელ კეშიშინიაცმა, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო პარტიის ხელმძღვანელობას დაუპირისპირდა გამოარკვია, რომ თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების უფროს როტმისტრ თევდორე როჟანოვსა და კავკასიაში მოქმედი „დაშნაკცუტუნის“ პარტიის ხელმძღვანელობას შორის მჭიდრო საიდუმლო კავშირი არსებობდა. ამ სახის კავშირის სავარაუდო მიზეზი კი „დაშნაკცუტუნის“ პარტიის ოსმალეთის, იგივე თურქეთის იმდროინდელ ხელისუფლებასთან დაპირისპირება, შესაბამისად მათი და მეფის რუსეთის საიდუმლო სამსახურის ინტერესების დამთხვევა იყო.<sup>132</sup>

ამ ვარაუდის დადასტურება შესაძლებელია, თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის მოადგილის მიერ, თელავში მყოფ პუნქტის უნტერ-ოფიცერისთვის გაგზავნილი საიდუმლო მინერილობებით. მაგალითად, 1913 წლის თებერვლით დათარიღე-

<sup>128</sup> სსცა, ფონ. 95, აღ. 1, საქ. 37, გვ. 93

<sup>129</sup> სსცა, ფონ. 95, აღ. 1, საქ. 37, გვ. 93

<sup>130</sup> საუბარია 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდზე

<sup>131</sup> სსცა, ფონ. 95, აღ. 1, საქ. 13, გვ. 131

<sup>132</sup> საუბარია 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდზე

ბულ მასალებში, რომლებიც თელავში მყოფი უნტერ-ოფიცრის მიერ შესაბამისი ზომების გასატარებლად იყო განკუთვნილი აღნიშნულია, რომ სომხები თურქეთში შეიარაღებული აჯანყების მოწყობას ცდილობდნენ. ისინი კავკასიაში მცხოვრებ „თანატომელებში“ ფულს აგროვებდნენ, იარაღს ყიდულობდნენ და თურქეთში აგზავნიდნენ: „კონსტანტინეპოლიდან მიღებული ცნობებით ადგილობრივი სამხედრო ხელისუფლება აგზავნის რუსეთში ორ ოფიცერს, რათა შეამოწმოს ხმები კავკასიაში, განსაკუთრებით ყარსში სომხების მიერ იარაღის გაძლიერებული შესყიდვისა და რუსეთის ხელისუფლების მიერ სომხების შეიარაღების შესახებ, რის დამადასტურებლადაც ერზრუმში ბოლო დროს იქ მყოფმა თურქმა აგენტებმა სენსაციური ცნობები მოიძიეს.“<sup>133</sup> როგორც ჩანს, იმის გამო რომ რუსეთის ხელისუფლების როლი თურქეთში მაცხოვრებელი სომხების შეიარაღების საკითხში არ გააჟღავნებულა, იმავე წლის სექტემბერში თელავში მყოფი უნტერ-ოფიცრისგან ითხოვდნენ არ დაეშვა ადგილობრივი სომხების მიერ თურქეთში მცხოვრები სომხებისთვის აჯანყების მოსაწყობად იარაღის გაგზავნა.<sup>134</sup> ეს წერილი იმის ირიბი დადასტურებაცაა, რომ თელაველი შეძლებული სომხები აქტიურად იყვნენ ჩაბმული აღნიშნულ საქმიანობაში. ვფიქრობ, თელავში მყოფი ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცრისთვის აღნიშნული წერილების გაგზავნის მიზეზი სწორედ ეს იყო<sup>135</sup>.

ჩემი აზრით, იმ ვარაუდს, რომ მეფის რუსეთის საიდუმლო სამსახური, კონკრეტულად კი თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველო, რომელიც ამ პერიოდში გარკვეულწილად კონტრდაზვერვის და კავკასიის საზღვრებთან მდებარე სახელმწიფოებში დაზვერვის ფუნქციებსაც ითავსებდა, ანტიოსმალურ (ანტითურქულ) საქმიანობაში იყო ჩართული და ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება სომხების შეიარაღება გახლდათ. სხვანაირად შეუძლებელია აიხსნას შემდეგი ფაქტი – 1918 წლის 19 ივნისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ქალაქ თბილისში მელიქ-კაზარიანცის სახლის გაჩხრეკისას „აღმოაჩინეს იარაღის და სამხედრო აღჭურვილობის საწყობი, რომელსაც მილიციის ფორმაში გამოწყობილი ეთნიკური სომეხები იცავდნენ. საარქივო მასალებით დასტურდება, რომ პორუჩიკმა ნიკოლაძემ ამ ოპერაციის ჩატარებისას პოლკოვნიკი კუნკოვსკი, პასტრულინი (თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს ყოფილი უფროსი), გენერალი ფონ რუბენაუ და პორუჩიკი ალექსანდროვი, რომლებიც სომხური ეროვნული საბჭოს მითითებით მოქმედებდნენ პატიმრობაში აიყვანა.“<sup>136</sup>

სომეხ ნაციონალისტებთან და კერძოდ „დამნაკცუტუნის“ პარტიასთან ისეთი რა კავშირი უნდა ჰქონოდა მეფის ხელისუფლების იმ ორგანოს წარმომადგენელ პასტრულინს, რომელსაც ოფიციალურად თავის დროზე, სულ რაღაც ერთი წლის წინ დასახელებული პარტიის წინააღმდეგ ბრძოლა ევალებოდა, თუ არა ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული მიზეზი. მით უმეტეს, სომეხი ნაციონალისტები სულ რამოდენიმე თვეში ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ იწყებენ ომს. შესაძლებელია ამ ბრძოლების დროს გამოყენებუ-

<sup>133</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 8, გვ. 19; 95

<sup>134</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 8, გვ. 95

<sup>135</sup> ეს ინფორმაციები გარკვეულწილად ამყარებენ თურქი ისტორიკოსების მოსაზრებას, რომ ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ოსმალეთის (თურქეთის) ტერიტორიაზე მცხოვრები სომხები, რუსების წაქეზებით ჩაბმული იყვნენ ანტითურქული შეიარაღებული გამოსვლების მომზადებაში

<sup>136</sup> ვადაჭკორია, შოთა, „სომხურ-ქართული ურთიერთობა და 1918-1919 წლების სამხედრო დაპირისპირების მიზეზები“, მეომრის ბიბლიოთეკა, №2, თბილისი, 2008

ლი იარაღის ნაწილი, სწორედ პასტრულინის და კავკასიაში „მომსახურე“ მეფის რუსეთის სხვა ყოფილი მაღალჩინოსნების მეშვეობით იყო შექცენილი.

მეფის ხელისუფლების ძალისმიერი სტრუქტურები საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის ქალაქ თელავსა და თელავის მაზრის ტერიტორიაზე განსახლებული მუსულმანების განწყობითაც იყვნენ დაინტერესებული. 1913 წლის თებერვალში თელავის, სიღნაღის, თიანეთის მაზრებში თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის თანაშემწე თელავში მყოფ ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცერს სწერდა: „ახლახანს მიღებული ცნობების თანახმად „ახალგაზრდა თურქებმა“, რადგან თურქეთს ქრისტიანების მხრიდან საფრთხე ემუქრება – რუსეთში, მაროკოში, ბირმაში, ალჟირში, ინდოეთში და საერთოდ იმ ქვეყნებში, სადაც მუსულმანი მოსახლეობა რაოდენობრივად ბევრია, გადანყვიტეს აგიტატორების გაგზავნა, რომ მუსულმანებს მიუთითონ თუ რა საფრთხეც ემუქრებათ“. იქიდან გამომდინარე, რომ რომ თელავის მაზრაში მუსულმანებიც ცხოვრობდნენ თელავში მყოფ პუნქტის უნტერ-ოფიცერს ავალებდნენ, რომ მუსულმანი აგიტატორების შესაძლო გამოჩენაზე მეთვალყურეობა დაენესებინა.<sup>137</sup>

ამავე პერიოდში თელავში მყოფ პუნქტის უნტერ-ოფიცერს ატყობინებდნენ, რომ „თურქული პარტიის „ერთობა და პროგრესი“ ერზრუმში არსებული ფილიალის მიერ კავკასიაში პროპაგანდის გასაწევად ორი გავლენიანი წევრი გაიგზავნა“.<sup>138</sup> იმავე წლის სექტემბერში თელავის, სიღნაღის, თიანეთის მაზრებში თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის თანაშემწე თელავში მყოფ ჟანდარმერიის პუნქტის უნტერ-ოფიცერს წერდა: „მიღებული ცნობებით თურქეთის სამხედრო მინისტრმა ნება დართო თურქეთის არმიის იმ ოფიცრებს, რომლებიც „ახალგაზრდა თურქებს“ ეკუთვნიან რუსეთის ტერიტორიაზე გაემგზავრნენ „პანისლამიზმის“ პროპაგანდისათვის“.<sup>139</sup> იმავე წლის ოქტომბრით დათარიღებულ დოკუმენტში კი აღნიშნულია: „ქალაქ მექაში 20 აგვისტოს მთავარი შეიხის მიერ დიდი მიტინგი ჩატარდა, სადაც სხვადასხვა ქვეყნიდან სამი ათასი მომლოცველი ესწრებოდა. შეიხებმა და მოლებმა დამსწრეებს დარწმუნება დაუწყეს, რომ აუცილებელია მთელი საშუალებებით თურქეთისა და თვითონ სულთნის, როგორც ყველა მუსულმანის წმინდა ხალიფის მხარდაჭერა, რომ თურქეთის დაცემა გამოიწვევს მუსულმანური რელიგიის დამსხვრევას. ამის გამო ეს მოსაზრება გაავრცელეთ თქვენს ნათესავებშიო“.<sup>140</sup> გამომდინარე იქიდან, რომ მექის მომლოცველები შესაძლებელია საქართველოში მცხოვრები მუსულმანებიდან და მათ შორის ალბათ კახეთიდანაც ყოფილიყვნენ, უნტერ-ოფიცერს მექადან დაბრუნებულ მომლოცველებზე მკაცრი მეთვალყურეობის დაწესებას სთხოვდნენ.

თელავში მყოფ უნტერ-ოფიცერს ასევე ეგზავნებოდა ინფორმაციები ირანელების (სპარსეთი) აქტიურობაზეც: „არსებული აგენტურული ცნობებით თებერვალში სპარსეთიდან კავკასიაში ჩამოვლენ ბეკ-ხანი (რაგიმ-ხანის შვილი) და მისი ფიდაი გუსი-ალი. ისინი მოდიან რომ დაარწმუნონ ჩვენი მუსულმანები სპარსელებს ფულით, იარაღით და ადამიანებით დაეხმარნენ“.<sup>141</sup>

<sup>137</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 8, გვ. 18

<sup>138</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 8, გვ. 32

<sup>139</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 18, გვ. 96

<sup>140</sup> სცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 18, გვ. 97

<sup>141</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 8, გვ. 89



„ჩვენს მუსულმანებში“, ჩანს, ძირითადად დაღესტნელი ლეკები იგულისხმებოდნენ. ქალაქ თელავში ამ დროს გარკვეული რაოდენობის ლეკები ცხოვრობდნენ, უფრო სწორედ მიდი-მოდოდნენ – წვრილმან ვაჭრობას ეწეოდნენ, დღიურ მუშეებად მუშაობდნენ.

რაც შეეხება თელავის მაზრას, მუსულმანი მოსახლეობით დასახლებული სოფლების, მაგალითად ყარაჯალის<sup>142</sup> გარდა, მასში შედიოდა დღევანდელი ყვარლის რაიონის ის ადგილები, რომლებზეც ახლა ლეკებით დასახლებული სოფლები თივი, თებელჯოხი და არეშია. ამ სოფლების ადგილას, მე-19 საუკუნის ბოლოს ფაქტობრივად მხოლოდ დროებით საცხოვრებელი ადგილები იყო ლეკებისათვის – ისინი აქ საქონელს აზამთრებდნენ, ზაფხულობით კი დაღესტანში ბრუნდებოდნენ. მეფის ხელისუფლებას სურდა მათი დამაგრება ამ ადგილებზე, რადგან 1907 წლისთვის თითქმის დამთავრდა ავარო-კახეთის გზის მშენებლობა,<sup>143</sup> რომლის ინფრასტრუქტურასაც, ცხადია, მიხედვა სჭირდებოდა და რომელიც საქართველოდან დაღესტანში მიმავალი ერთადერთი გზა იყო. მეფის რუსეთისთვის ავარო-კახეთის გზას სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა. ამიტომ, 1900-იან წლების დასაწყისში რუსეთის ხელისუფლება ერთის მხრივ, ლეკებს საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებისათვის ყველანაირ პირობას უქმნიდა – ყვარლის რაიონში საქონლის გამოსაზამთრებელი ბინები სოფლების სტატუსში აუყვანა და მეორეს მხრივ კი, არ სურდა რა დაღესტნის თუ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ და მყოფ ლეკებში ირანის გავლენა გაზრდილიყო, მათში პროირანული გავლენის ზრდას ებრძოდა.<sup>144</sup>

<sup>142</sup> აღნიშნულ პერიოდში სოფელ ყარაჯალას ქართულად ეწოდებოდა – ყარაჭალა

<sup>143</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 6341, გვ. 28-31

<sup>144</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 5869, გვ. 36, 37, 79

## თავი 2

### 1905-1907 წლების რევოლუციური მოძრაობა და თელავი

#### 2.1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში

ჩემს მიერ არქივებში ახლად მოძიებული მასალები პირდაპირ ადასტურებს, რომ 1905-1907 წლების რევოლუცია ქალაქ თელავსა და თელავის მაზრაში საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობდა. 1905-1906 წლებში მეფის ხელისუფლების როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ორგანოები უკიდურესად შემფოთებული იყვნენ უშუალოდ ქალაქ თელავში შექმნილი სიტუაციით და მას ძალიან საშიშად, საგანგაშოდ მიიჩნევდნენ.

საქმე იმაშია, რომ 1905 წელს ქალაქ თელავში რევოლუციური მოძრაობის წარმომადგენლები აშკარად და ღიად გამოდიოდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ. ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ქალაქ თელავში ადგილობრივი ძალისმიერი სტრუქტურები რევოლუციური მოძრაობის გამოვლინებების წინააღმდეგ სრულ უმოქმედობას იჩენდნენ. ამის შედეგად, კი სხვადასხვა ანტისახელმწიფოებრივი პარტიების წარმომადგენლები ქალაქის მოსახლეობაში აქტიურ აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდნენ, პროკლამაციებს არიგებდნენ, ღიად ატარებდნენ იარაღს. თელაველი ახალგაზრდები ქალაქის ქუჩებში დადიოდნენ და რევოლუციურ სიმღერებს ხმამაღლა მღეროდნენ. თელავის ბულვარში გამართულ რევოლუციონერთა კრებებს, მიტინგებს, რომლებიც გვიან ღამემდე გრძელდებოდა მოსახლეობის საკმაო ნაწილი ესწრებოდა. აქ რევოლუციური პარტიების წევრები ერთმანეთს თავისუფლად ეპაექრებოდნენ და დისპუტებს მართავდნენ, მოსახლეობას კი შეიარაღებული აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ.<sup>1</sup>

პოლიციის ჩინები ხედავდნენ არსებულ სიტუაციას, მაგრამ რაიმე სახის ღონისძიებებს მათ აღსაკვეთად არ მიმართავდნენ.<sup>2</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ქალაქი თელავი კახეთში ყველაზე „რევოლუციური“ ქალაქი იყო. სხვა მასალებთან ერთად აღნიშნულს ადასტურებს, თელავის მაზრის უფროსის მოხსენების ამონარიდი: „ყველაზე დიდი პრობლემა პოლიტიკური კეთილსაიმედოობის მხრივ ქალაქ თელავშია, რომელიც, როგორც მე დავრწმუნდი რევოლუციური მოძრაობის ლიდერების და აგიტაციის ბუდეა“.<sup>3</sup>

თბილისში მყოფი მეფის ხელისუფლების წარმომადგენლები ასევე თვლიდნენ, რომ იმ ხანად ქალაქი თელავი ფაქტობრივად „რევოლუციური მთავრობის“ მმართველობაში იმყოფებოდა და ადგილობრივი ადმინისტრაციისგან უპატრონოდ იყო მიტოვებული. მათი აზრით, თელავის „რევოლუციურ მთავრობას“ რევოლუციური პარტიების და სომხური საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები შეადგენდნენ.<sup>4</sup>

თელავის მაზრის უფროსის 1905 წლის წლიურ ანგარიშში მითითებულია – „თელავში რევოლუციურმა მოძრაობამ თავისი გამოხატულება არა მხოლოდ მანიფესტაციების,

<sup>1</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 5557, გვ. 1-7

<sup>2</sup> სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 8595, გვ. 1-2

<sup>3</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 5557, გვ. 116

<sup>4</sup> სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 8595, გვ. 1-2

მიტინგების გამართვაში პოვა, არამედ, რევოლუციონერების მიერ რევოლუციური მიზნები-სათვის მშვიდობიანი მოსახლეობისათვის იარაღის წართმევაში.“<sup>5</sup>

საარქივო მასალებმა შემოგვინახა მეფის ხელისუფლების ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მომონერა და იმ დროს „სავსებით საიდუმლო ცნობები თელავის მაზრის და ქალაქ თელავის ტერიტორიაზე აგრარულ-პოლიტიკურ ნიადაგზე მიმდინარე რევოლუციური მოძრაობის შესახებ.“<sup>6</sup>

საარქივო დოკუმენტებიდან ვიგებთ, რომ ქალაქ თელავში 1905 წლის 28 თებერვალს მოსახლეობას „ყენობის დღესასწაული“ ჩაუტარებია. მასალაში აღნიშნულია: „ყენობის დღესასწაული ადრეც ტარდებოდა, მაგრამ ბოლო დროს ხელისუფლებისგან მისი ჩატარება აკრძალული იყო, თუმცა, ახლა მოსახლეობამ აკრძალვა არ გაითვალისწინა.“ ხელისუფლების ინფორმაციით ქალაქ თელავში თავიდან ვითომდა „ყენობის“ აღსანიშნავად, დაახლოებით ხუთასი ადამიანი შეიკრიბა. ამ ადამიანებმა, რომლებიც დოკუმენტში „საზოგადოების ნაძირლებად“ არიან მოხსენიებული, ყვირილით – „გაუმარჯოს ერთობას და თავისუფლებას“, წითელი დროშით ჩაატარეს დიდი დემონსტრაცია. დემონსტრანტები თელავის ბაზრის სასწორთან მისულან და აქ მათ პოლიციელები დახვედრიან. დემონსტრანტებს ქვების სროლა დაუწყიათ. როგორც თელაველ ვაჭრებს, ასევე მშვიდობიან მოსახლეობას „პანიკური შიშის“ გამო სავაჭრო დახლები, სახლებიც კი ჩაუკეტიათ და გაქცეულან. თავის მხრივ, პოლიციის ჩინებს დემონსტრანტებისათვის უსვრიათ. იმის გამო, რომ პოლიციას საკმარისი ძალა არ ჰქონდა, ჯარის ნაწილი გამოუძახიათ, რის შემდეგ ქალაქში არეულობები შემწყდარა.<sup>7</sup>

ქალაქ თელავის ბოქაულს, რომელიც დემონსტრანტებისათვის წითელი დროშის წართმევას ცდილობდა, ნასროლმა ქვებმა ხელის თითები დაუზიანა, მსუბუქად დაზიანდნენ პოლიციის „სტრაჟნიკებიც“. თავის მხრივ, პოლიციელებისგან ნასროლი ტყვიებით არეულობის აქტიური მონაწილეები დაჭრილან.

ირკვევა, რომ თელავში ასეთი სახის გამოსვლები პერმანენტულად იჩენდა თავს. ამ ამბიდან დაახლოებით ორი კვირის შემდეგ 20 მარტს საღამოთი, თელავში სამას კაცამდე – მოსწავლეები, სახელოსნოების შეგირდები, სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი ქალაქის ქუჩებში დადიოდნენ და სახელოსნოების და სავაჭრო ფარდულების დილით 8 საათზე გაღებას და საღამოს 8 საათზე დაკეტვას მოითხოვდნენ. 21-22 მარტს კი საყოველთაო გაფიცვა დაიწყო, რომელსაც ქალაქ თელავის ყველა სასწავლებლის მოსწავლე შეუერთდა.<sup>8</sup>

1905 წლის 2 აპრილს თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსი პოლიციის დეპარტამენტს წერდა: „ამა წლის 21 მარტს თელავის საქალაქო სასწავლებლის უფროსი კლასების მოსწავლეებმა დაამტვრიეს სამელნეები, დახიეს ჟურნალები, დაამტვრიეს მერხები. ამავე საღამოს მოსწავლეები და სემინარიელები დახლოებით ათას კაცამდე, ბაზრის ქუჩაზე დადიოდნენ და ყვიროდნენ“ „გაუმარჯოს თავისუფლებას.“<sup>9</sup>

<sup>5</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 9611, გვ. 5

<sup>6</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 9611, გვ. 7

<sup>7</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 9611, გვ. 12

<sup>8</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 9611, გვ. 17

<sup>9</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 692, გვ. 6

ჩანს, რომ თელავში არსებული სასწავლებლების მოსწავლეები რევოლუციურ გამოსვლებში აქტიურად იყვნენ ჩაბმული. თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს ჩინების მიმონერაში ნათქვამია: „1905 წლის 22 მარტს თელავის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეებმა სასწავლებლის ინსპექციას თავიანთი მოთხოვნები წაუყენეს, რაც არ დააკმაყოფილეს და გვიან საღამოს მათ ქალაქის სხვა სასწავლებლების მოსწავლეები შეუერთდნენ. ისინი წმინდა ნინოს სასწავლებელში გაემართნენ და ყველა მოსწავლე გარეთ გამოყარეს. შემდეგ საეკლესიო სკოლაში წავიდნენ და იქიდანაც ყველა მოსწავლე გარეთ გამოიყვანეს. აბრეშუმის ფაბრიკაში მივიდნენ და ფაბრიკის მოსწავლეებიც წამოიყვანეს“. აქვე აღნიშნულია, რომ „თელავში სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები გაიფიცნენ. მათ 1905 წლის 21-22 მარტს სავაჭრო დანესებულებები დაკეტეს. მაღაზიის გამყიდველებმა მეპატრონეებს ხელფასის მომატების მოთხოვნა წაუყენეს, კასრების მკეთებლებმა ეროვნებით რუსი კასრების დამამზადებელი სახელოსნოების მეპატრონეების გაძევება მოითხოვეს. თელავის ტერიტორიაზე მოძრავი ეტლების (ფაეტონების) მფლობელებმა კი, თავის მხრივ, „დილიჟანების“ მოძრაობის აკრძალვის მოთხოვნა დააყენეს“.<sup>10</sup>

აქვე მინდა ერთ საინტერესო საკითხსაც შევხვო. ჩემი აზრით, ეს ისტორია თელავის მაცხოვრებლებს გარკვეულწილად, თუ შესაძლებელია ასე ითქვას, პოზიტიურად ახასიათებს. 1905 წლის 1 აპრილს ქალაქ თელავში დაწყებული რევოლუციური ხასიათის გამოსვლები არეულობებში გადაიზარდა – დუქნებზე და მაღაზიებზე ძარცვის მიზნით თავდასხმები დაიწყო. ასეთი ქმედებების აღსაკვეთად ხელისუფლებამ სამხედროები გამოიყენა და ჯარისკაცებისაგან დაკომპლექტებულმა ე.წ. სამხედრო პატრულმა ქალაქში ღამით მორიგეობის დროს რამოდენიმე მძარცველი დააპატიმრა. თავდამსხმელებისა და მძარცველების დასაჭერად თელავის მცხოვრებლებიც გაერთიანებულან და რვა ათას (8000) ადამიანამდე ქალაქის ქუჩებში გამოსულა, მსვლელობა მოუწყიათ – ეძებდნენ სავარაუდო დამნაშავეებს. მათ სამხედრო პატრულის მიერ დაპატიმრებული მძარცველების გადაცემა მოუთხოვიათ და ამ პირების სახალხოდ დასჯასაც ითხოვდნენ.

როგორც თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს მიერ პოლიციის დეპარტამენტში გაგზავნილი, 1907 წლის 7 აპრილით დათარიღებული საიდუმლო წერილიდან ჩანს, მოსახლეობამ ეს ნაწილობრივ შეძლო კიდევ: „თელავის მოსახლეობამ გადანყვიტა თავისი გარემოდან ქურდები აღმოფხვრას. ამიტომ თავისი რიგებიდან ოცდაათი ადამიანი ამოირჩიეს, ვინც უფლებამოსილი არიან მოძებნონ და დააკავონ ქურდები. დაჭერილ ქურდებს ბაზრის მოედანზე სადაც ბევრი ხალხი იკრიბება დასაკითხად ბოძზე აბამენ, ჯოხებით და ქვებით სცემენ. შემდეგ, მაზრის უფროსთან მიყავთ და თელავიდან მათ დაუყოვნებლივ გასახლებას ითხოვენ. პირველ აპრილს ოთხი კაცი დაიჭირეს, ორ აპრილს კი ორი, სამ აპრილს სამი. დაკავებულებიდან სამი მათგანი სასწრაფოდ თბილისის ციხეში გადააგზავნეს. ამბობენ, რომ მოსახლეობა აპირებს ამ გზით თელავიდან სამოცამდე ადამიანი გაასახლოს.“<sup>11</sup>

აღნიშნულ პერიოდში ქალაქ თელავში გაფიცვები და მოსახლეობის გამოსვლები პერმანენტულად მეორდებოდა. თელავის მაზრის უფროსის მიერ გაგზავნილ ერთ-ერთ საიდუმლო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1905 წლის 27 ივნისს თელავში კვლავ დაწყებულა საერთო გაფიცვა, რაშიც ადგილობრივი სავაჭრო დანესებულებების მოსამსახურეებს მი-

<sup>10</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 692, გვ. 6

<sup>11</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 692, გვ. 6; 38

უღიათ მონაწილეობა – ყველა მაღაზია და დუქანი დაკეტილა.<sup>12</sup> დოკუმენტის მიხედვით, პურს მოსახლეობისათვის მხოლოდ „იმერელი მცხოვრებლები აცხობდნენ და აგიტატორების და ბრბოს შიშით მხოლოდ მესამე ხარისხის პური ცხვებოდა“. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თელავის სამაზრო ციხეშიც პატიმრები გაფიცულან და საკვების, პურის მიღებაზე უარი უთქვამთ.

იმავე წლის 25 ოქტომბერს, ქალაქ თელავში მოსახლეობის ნაწილი კვლავ გაფიცულა. სავაჭრო დანესებულებები – მაღაზიები, დუქნები, პურის საცხობები, სასწავლო დაწესებულებები დაკეტილა. გაფიცულებს და მომიტინგეებს ქალაქში სურსათის შემოტანა აუკრძალათ. ქალაქში ორი ათას ადამიანამდე დადიოდა და სკანდირებდა „ძირს მეფე“, მღეროდნენ „მარსელიოზას“, წითელ დროშებს აფრიალებდნენ და ქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და ბულვარში არიგებდნენ, ხალხში ისროდნენ პროკლამაციებს. გაფიცულებს და მომიტინგეებს რადიკალური მოთხოვნები წამოუყენებიათ, თელავის მაზრის სამმართველოს შენობისა და სხვა დაწესებულებების აფეთქების მუქარის ჩათვლით, ამიტომ, მაზრის სამმართველოს, ფოსტა-ტელეგრაფის და სხვა სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი შენობები შეიარაღებული ჯარისკაცების მიერ ყოფილა დაცული. იმავე წლის 17-24 დეკემბერს, როგორც ჩანს, რუსეთის იმპერიის ცენტრალურ და ასევე თბილისში მიმდინარე მოვლენების პარალელურად ქალაქ თელავის მოსახლეობაში შეინიშნებოდა შეიარაღების დანყება.

რევოლუციური მოძრაობის გამოვლინებები ქალაქ თელავში 1906-1907 წლებშიც საკმაოდ აქტიურად გრძელდებოდა. მაგალითად, 1906 წლის სექტემბრით დათარიღებულ წერილში კავკასიის პოლიციის გამგე აღნიშნავს, რომ „თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსმა მომანოდა ქართულიდან რუსულად თარგმნილი პროკლამაციები: 1. „ყურადღება თელავის მოქალაქეებს“, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თელავის ორგანიზაციის და 2. „გლეხებს“ – სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის თელავის ორგანიზაციის“.<sup>13</sup>

დასახელებულიდან საკმაოდ საინტერესოა პირველი პროკლამაცია, რადგან მასში სოციალ-დემოკრატიული პარტიის თელავის ორგანიზაციის სახელით დასმულია კითხვები ქალაქ თელავში მოქმედი ე.წ. „წითელ რაზმის“ წევრების მისამართით – თუ რატომ აგროვებენ ისინი ფულს, რაში სჭირდებათ შეგროვილი ფული და ა.შ.<sup>14</sup> იმავე შინაარსის პროკლამაციები გვხვდება სხვა საარქივო საქმეში.<sup>15</sup>

მასალებში დაცულია სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მიერ ქალაქ თელავში გამოშვებული სხვა პროკლამაციაც, რომელიც დათარიღებულია 1906 წლის აგვისტოთი. მასში დასახელებული პარტია მოსახლეობას თავის მოთხოვნებს აცნობდა. ამ პროკლამაციის დევიზია „მინა და თავისუფლება გლეხებს“.<sup>16</sup>

ამრიგად, აღნიშნული პროკლამაციები ერთი მხრივ, ადასტურებს ქალაქ თელავში 1905-1907 წლების რევოლუციაში მოსახლეობის აქტიურ ჩართვას და მეორე მხრივ კი, გვიჩვენებენ იმ პერიოდში თელავში ყველაზე გავლენიანი თუ რომელი პოლიტიკური პარტიები იყო.

<sup>12</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 692, გვ. 9

<sup>13</sup> სსცა, ფონ. 83, აღ. 1, საქ. 183, გვ. 4

<sup>14</sup> სსცა, ფონ. 83, აღ. 1, საქ. 183, გვ. 2

<sup>15</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ. 36

<sup>16</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ. 37

1908 წლის 21 ივნისით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია, რომ 1906 წელს თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოში ერთი სომხურ,<sup>17</sup> ერთი ქართულ,<sup>18</sup> ხოლო დანარჩენი რუსულ ენებზე დაბეჭდილი ის პროკლამაციები იყო წარდგენილი, რომლებიც თელავში რევოლუციონერებმა გაავრცელეს. საკმაოდ საინტერესოა ქალაქ თელავში მოქმედი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ ქართულ და სომხურ ენებზე დაბეჭდილი პროკლამაციების შინაარსი.<sup>19</sup>

ქალაქ თელავში აღნიშნულ პერიოდში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესახებ, საკმაოდ „მდიდარი“ მასალა 1906 წელს თელავის მაზრის უფროს კარახანოვის შესახებ არსებულ დოკუმენტებშიც მოიპოვება. საქმე იმაშია, რომ თელავის მაზრის უფროსი კარახანოვი რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ გამოჩენილი უმოქმედობის ბრალდებით დანიშნვიდან რამდენიმე თვეში თანამდებობიდან გაათავისუფლეს და პასუხისგებაში მისცეს. შემორჩა რამოდენიმე საარქივო საქმე, რომელიც შეიცავს კარახანოვის წინააღმდეგ დაწყებული სამართლებრივი დევნის მასალებს.

კარახანოვი თელავის მაზრის უფროსად 1906 წლის 16 მარტიდან 17 აგვისტომდე მუშაობდა და როგორც მის წინააღმდეგ აღძრული საქმის მასალებშია აღნიშნული, იგი რევოლუციური მოძრაობის წარმომადგენლების მიმართ ლოიალობით გამოირჩეოდა.<sup>20</sup>

ეს დოკუმენტები იმ დროს თელავში არსებული რევოლუციური სიტუაციის, საზოგადოების განწყობის შესახებ საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას იძლევა. ამასთან ირკვევა ისიც, რომ კარახანოვს მაზრის უფროსად მუშაობის დროს, მას მაზრის სამმართველოს „ძველი“, ძირითადად ეთნიკურად ქართველი ჩინოვნიკები დაუპირისპირდნენ, რადგან ისინი, ჯერ ერთი კარახანოვმა თანამდებობებიდან გაათავისუფლა, და მეორე, ეს უკანასკნელი ჩანს თელავში მოქმედი „დაშნაკცუტუნის“ პარტიის განყოფილების წევრებთან „ახლო ურთერთობაში“ იმყოფებოდა. აღსანიშნავია, რომ მის მიერ თელავში თანამდებობებზე დანიშნული პირები ძირითადად ეთნიკური სომხები იყვნენ. სწორედ ჩინოვნიკების – ერთი მხრივ, მისი „მონინააღმდეგეების“ და მეორე მხრივ, კი „მომხრეების“ მიერ, 1906 წელს ქალაქ თელავში რევოლუციური აქტივობების შესახებ ძიებისათვის მიცემულ ჩვენებებშია თავმოყრილი ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციები.

თელავის მაზრის ყოფილი და მოქმედი ჩინოვნიკები კარახანოვს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ მაზრის უფროსად მისი ყოფნის პერიოდში ქალაქ თელავში სხვადასხვა რევოლუციური პარტიის წევრები თავისუფლად მართავდნენ მიტინგებს და დემონსტრაციებს. მეტიც, მათი სიტყვებით კარახანოვის მმართველობის პერიოდში თელავში შეიარაღებული პირები, მათ შორის ე.წ. „წითელი ასეულის“ წევრები თამამად და დაუფარავად გადაადგილდებოდნენ.<sup>21</sup>

მასალების მიხედვით, მაზრის უფროსის ბინის სიახლოვეს ქალაქ თელავში, რომელიც თავის მხრივ, თელავის მაზრის სამმართველოს მეზობლად მდებარეობდა, კონსპირაციული ბინა არსებობდა, სადაც რევოლუციონერებს თავისი სასამართლო ჰქონიათ მოწყო-

<sup>17</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ. 30-34

<sup>18</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ. 37

<sup>19</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ. 22-37

<sup>20</sup> სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 8595, გვ. 39

<sup>21</sup> „წითელი ასეული“ იმ დროს სხვადასხვა რევოლუციური პარტიის შეიარაღებული რაზმების ერთ-ერთი სახელწოდება იყო

ბილი. სწორედ ამ სასამართლოზე, რომელიც შესაძლებელია სინამდვილეში რევოლუციური პარტიების, ანდა ერთი პარტიის ორგანოს წარმოადგენდა, სხვადასხვა გადანყვეტილებების გამოტანა ხდებოდა. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი „გადანყვეტილება“ რევოლუციის „საჭიროებისათვის“ მოსახლეობის შეძლებული ფენებიდან „ფულის ამოღება“ ყოფილა.<sup>22</sup>

კარახანოვს დაპირისპირებული ჩინოვნიკები მას იმაში ადანაშაულებდნენ, რომ იგი, როგორც მაზრის უფროსი, მაღავედა რევოლუციონერების მიერ ჩადენილ ქმედებებს და ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს ამის შესახებ ინფორმაციას არ აწვდიდა. მეტიც, მათი აზრით ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს მაზრის უფროსი კარახანოვი ქალაქ თელავში სისტემატურად მიმდინარე მიტინგების შესახებ ცნობებს საერთოდ არ უგზავნიდა. მაზრის სამმართველოს ყოფილი ჩინოვნიკები კარახანოვს იმაშიც ადანაშაულებდნენ, რომ რევოლუციონერები ქალაქის მოსახლეობას იარაღს თავისი წევრების შესაიარაღებლად ხელისუფლების მხრიდან ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ართმევდნენ.

კარახანოვის სამართლებრივი დევნის საქმეზე საკმაოდ რაოდენობის მოწმეები დაუკითხიათ. მათგან საკმაოდ საინტერესოა ვალერიან და ლეონიდე კიკნაძეების ჩვენებები, სადაც ისინი კარახანოვს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ მან 1906 წლის აგვისტოს დასაწყისში თელავში მოქმედი რევოლუციური პარტიების წარმომადგენლებს – მიხეილ ჟღენტს, სერგო დანდუროვს და ვინმე აჯამამუდოვს უფლება მისცა, ქალაქში მდებარე ბაღ „ფანტაზიაში“ სახალხო სეირნობა მოეწყოთ, ხოლო ამ დროს გამართული ვაჭრობისას მიღებული შემოსავალი კი რევოლუციური მიზნებისთვის მოეხმარათ.

მაზრის სამმართველოს თანამშრომელი ნარეკლიევი კარახანოვს რევოლუციური მოძრაობის წარმომადგენლების მიმართ გამოჩენილ ლმობიერებაში ადანაშაულებდა. მისი სიტყვებით „კარახანოვი მაზრის შენობის აივანზე იდგა, როდესაც ჟღენტი და სხვა რევოლუციონერები პირდაპირ, ხმამაღლა პოლიციის „სტრაჟნიკ“ ლალიძეს აგინებდნენ, რადგან მან სასტიკად სცემა მათ ამხანაგ გელოვანს“. საუბარია სოფელ ნაფარეულში სოციალ-დემოკრატიული პარტიის აგიტატორების სასტიკ ცემაზე, რომელთა შორის ერთი კირო, იგივე კირილე გელოვანი. კიროს ძმის, შაქრო გელოვანის სიტყვებით – მისი ძმა და სხვა აგიტატორები ნაფარეულში სასტიკად სცემეს, შემდეგ თელავში ურმებით ამოიტანეს და თელავის ციხეში ჩასვეს.<sup>23</sup> ნარეკლიევი პირდაპირ მიუთითებდა, რომ კარახანოვი არანაირ ზომებს არ იღებდა თელავში რევოლუციური გამოსვლების, მათ შორის პროკლამაციების გავრცელების წინააღმდეგ: „ქალაქ თელავში პროკლამაციები ღიად რიგდებოდა და მაზრის ხელმძღვანელი ასეთი ქმედებების წინააღმდეგ არანაირ რეაგირებას არ ახდენდა.“<sup>24</sup>

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში გახშირებულმა ტერორმა ხელისუფლების წარმომადგენლები იმდენად დააშინა, რომ ისინი რევოლუციური მოძრაობის წარმომადგენლების „დასამშვიდებლად“ ყველანაირ ზომას იყენებდნენ. 1906 წლის სექტემბერში თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსი წერდა: „მართალია, არ არის ზუსტი მითითებები თელავის მაზრასა და თელავში ხელისუფლების უმოქმედობაზე, მაგრამ არის ინფორმაცია, რომ კარახანოვმა მაზრის და თელავის ადმინისტრაციის დაცვა გახ-

<sup>22</sup> სავარაუდოდ, იგულისხმება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ვინაიდან თელავში მას საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ყავდადა მოსახლეობიდან „ფულის ამოღებაშიც“ საკმაოდ „გამოცდილებაც“ გააჩნდა

<sup>23</sup> შსსპა, ფონ. 8, აღ. 2(2), საქ. 285, გვ. 2

<sup>24</sup> სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 8598, გვ. 39-44

შირეული ტერორისტული თავდასხმებისაგან ადგილობრივ რევოლუციურ პარტიებს სთხოვა, რისთვისაც მან თავისთან გამოიძახა სერგო დანდუროვი, ილია ზარაფოვი და ასევე ინსპექტორი კახიძე“.<sup>25</sup>

ვერაფერს იტყვი, ფაქტი საკმაოდ საინტერესოა და ამკარად მიუთითებს იმ დროს თელავის მაზრაში არსებულ რევოლუციურ სიტუაციასა და რევოლუციური პარტიების გავლენაზე. მათგან სერგო დანდუროვი – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის, ხოლო ილია ზარაფიშვილი – სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის წამყვანი წევრები და ლიდერები იყვნენ.

რადგან საქმე ჩინოვნიკების ბედს ეხება, გარკვეულწილად თანამედროვეობასთან პარალელების გასავლებად აქვე მინდა აღვნიშნო, რომ, როგორც ჩანს, „ძველი სისტემის“ ჩინოვნიკებისათვის, უცხო არ იყო არა მარტო თანამდებობისთვის ბრძოლისათვის ყოფილი ხელმძღვანელის საქმიანობის უარყოფითი შეფასება, არამედ, „თავისიანი“-ს დაცვისთვის. საქმე იმაშია, რომ მასალებში ასევე დევს, თელავის მაზრის რამდენიმე ჩინოვნიკის, მათ შორის ბოქაულ სააკოვის მიერ კარახანოვის სასარგებლოდ მიცემული წერილობითი ჩვენება. ჩანს, ამ გამოქომაგებამ და „სხვა“ გარემოებებმა გაჭრა და კარახანოვი მეფის ხელისუფლების სასამართლო ორგანოებმა გაამართლეს.<sup>26</sup>

ერთი მხრივ, თუ რამდენად სწორი იყო კარახანოვის დადანიშნულება მოვალეობის შეუსრულებლობაში, და მეორე მხრივ კი, ქალაქ თელავში მისი მაზრის უფროსად მუშაობის პერიოდში რეალურად რა ვითარება სუფევდა, შესაძლებელია ისეთი საარქივო მასალების საფუძველზე ვიმსჯელოთ, როგორიცაა ანონიმური წერილები. როგორც მათი ანალიზიდან ჩანს, საბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელი სენი – ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებთან ანონიმური წერილების დაგზავნის მეშვეობით არასასურველი პირების დისკრედიტაცია, თელავის მოქალაქეებისათვის უცხო ხილი არც მეფის ხელისუფლების დროს ყოფილა. მაგალითად, ჩემს მიერ მოძიებული ერთ-ერთი ანონიმური წერილის ავტორი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მათ შორის კარახანოვს აკრიტიკებს და ამ უკანასკნელს საკმაოდ უარყოფითად მოიხსენიებს. სამაგიეროდ მაზრის ახალ უფროსს აქებს, წერს, რომ „მას შემდეგ რაც თელავში კარახანოვი აღარაა მაზრის უფროსი ამკარად აღარ იკრიბებიან „ჯგუფისტები“, მოქალაქეებს ფულს 100-დან 2000 მანეთამდე აღარ სძალავენ და საერთოდ, ქალაქში სიტუაცია დაწყნარდა.“<sup>27</sup>

კარახანოვის მაზრის უფროსად ყოფნის დროს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკების, იგივე „ჯგუფისტების“, როგორც ისინი საარქივო მასალებში არიან მოხსენიებული, თელავში აქტიურობა ამ წერილითაც დასტურდება, რაზეც საუბარი ცოტა ქვემოთ გვექნება. ანონიმური წერილის ავტორი ასევე იძლევა ფაქტობრივ ინფორმაციას ქალაქ თელავში რევოლუციური მოძრაობისათვის დამახასიათებელი სენის – ფულის გამოძალვის ფორმების შესახებ. იგი წერს, რომ ძარცვებთან ერთდ – „ტერორისტები და რევოლუციონერები შეძლებულ ადამიანებს წერილების დაგზავნის მეშვეობით ფულს სძალავდნენ და თუ ეს ადამიანები ფულს არ იხდიდნენ, მაშინ ტერორისტები მათ ღამით თავს ესხმოდნენ და კლავდნენ.“<sup>28</sup>

<sup>25</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 5557, გვ. 5

<sup>26</sup> სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 8595, გვ. 35

<sup>27</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 5557, გვ. 14

<sup>28</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 5557, გვ. 15



ანონიმური წერილის ავტორი იმ გარემოებასაც უსვამდა ხაზს, რომ თელავსა და თელავის მაზრაში რევოლუციური ათეულები და ასეულები ყოფილა ჩამოყალიბებული, რომლებიც „იმპერიის დიდი ქალაქებიდან, მათ შორის თბილისიდან პროვინციებში დაპატიმრებებს გამოქცეული და თელავში ჩამოსული ადამიანებისაგან იყო დაკომპლექტებული.“ საკმაოდ საინტერესოა სხვა ანონიმური წერილიც, რომელშიც კარახანოვის სხვა „ცოდვებზეცაა“ საუბარი.

რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებამ ჩანს ცვლილებები შეიტანა მაზრის მართვაშიც. ეს კარგადაა ასახული ქართულ ენაზე დაბეჭდილ პროკლამაციაში, რომელიც „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თელავის ხელმძღვანელ კოლექტივს“ 1906 წლის 9 სექტემბერს გამოუშვია. პროკლამაციაში ნათქვამია, რომ „მეფის ხელისუფლებამ თავისი ადგილობრივი წარმომადგენლების შეცვლაზე აიღო გეზი და მაზრის უფროსებად ასაკიანი, „დამსახურებული“ პოლკოვნიკების და გენერლების მაგივრად, ახლა „ბიჭბუჭობას“ ნიშნავს.“<sup>29</sup>

აღნიშნული პროკლამაციები ქალაქ თელავში არსებულ არალეგალურ სტამბებში იბეჭდებოდა. თბილისის გუბერნიის კანცელარიის ჩინოვნიკ პირდელის მოხსენებიდან ვიგებთ, რომ თელავის მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ ანტონოვს, რომელიც კარახანოვის მაგივრად თელავის მაზრის უფროსად 1906 წლის აგვისტოს ბოლოს დაინიშნა, თელავში საიდუმლო სტამბა აღმოუჩინია.

1907 წლის ივნისში თბილისის დროებითი გენერალ-გუბერნატორი აღმოფთვებული აღნიშნავდა თელავის სამაზრო პოლიციის ჩინების უსაქმურობასა და უმოქმედობას. საქმე შემდეგში მდგომარეობდა – როგორც თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსი თბილისის გენერალ-გუბერნატორს 1907 წლის 22 მაისს აცნობებდა: „კახეთის მეზაღვლის ამხანაგობის გამგეობის ნევრ კონსტანტინე კავრიევს<sup>30</sup> 12 ფუთი „ნალმის დენთი“ მიუღია ქვემეხიდან (მორტირა) სროლისათვის და ოთხი ყუთით თელავის მაზრაში სოფელ გრემის სასოფლო საზოგადოების საჭიროებისათვის გაუგზავნია.“<sup>31</sup> დენთის გადასატანად კავრიევს დაუქირავებია ორი მეურმე – სოფელ მერეს მცხოვრებლები ზაქრო ჩიკვაიძე და არჩილ ბაქრაძე. დენთის გადატანის მინდობილობა „კახეთის მეზაღვლის“ თელავის ბიუროს გამგის დავით გამყრელიძეს სახელზე ყოფილა გამოწერილი. 15 მაისს დასახელებულ პირებს და მათ თანასოფელელ ლევან სასურქინაშვილს დენთით სავსე ოთხი ყუთი თელავის ბაზარში მიუტანიათ და დავით გამყრელიძე უნახავთ, რომელმაც დენთის მიღებაზე უარი განუცხადებია. ამ უკანასკნელს თელავის ბოქაულის მოდგილე კოსტინზე მიუთითებია, ვისაც თავის მხრივ უარი უთქვამს მათ დახმარებაზე. ამის შემდეგ ჩიკვაიძე და ბაქრაძე თელავის მაზრის ერთ-ერთი ადმინისტრაციული შენობის დარაჯ იოსებ მესაბლიშვილის რჩევ-

<sup>29</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 5557, გვ. 12

<sup>30</sup> სავარაუდოდ, ის იყოსაბჭოთა ხელისუფლების მიერ 1923 წელს დახვრეტილი გიორგი ნიკოლოზის ძე ხიმშიაშვილის მამიდის ქმარი. ანუ, ილია ჭავჭავაძის მკვლელების – ილიკო იმერლიშვილის, გიგლა ბერბიჭაშვილის მიერ 1909 წელს მოკლული ნიკოლოზ ხიმშიაშვილის დის ქმარი

<sup>31</sup> თელავის მაზრის მდგომარეობის ამსახველი 1911 წლის ანგარიშიდან საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას ვიგებთ, თუ მაშინ ზარბაზნების ეს სახეობა რატომ სჭირდებოდათ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „თელავის მაზრის მთავარი ეკომომიკური კეთილდღეობის წყარო მევენახეობაა, რომელსაც საკმაოდ დიდი თანხები სჭირდება და შესაბამისად მევენახეობას კარგად უძღვებიან ძლიერი მეურნეობები, რომლებიც სეტყვის სანინაალმდეგო მორტირებს იყენებენ,“ ანუ, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ კახეთში ჯერ კიდევ 1907 წელს, სეტყვის თავიდან ასაცილებლად, სეტყვასაშიმღრუბლებს ზარბაზნებით ფანტავდნენ – სსცა, ფონ. 17, აღ.1. 7283, გვ. 23, 45

ით, თელავის ბოქაულ მოლოდოვთან წასულან, რომელსაც დენტის მიღებაზე ასევე უარი უთქვამს. ამის შემდეგ დასახელებულ პირებს დენთი სოფელ მერეში ზაქრო ჩიკვაიძის ბინაში შეუნახავთ, საიდანაც როგორც ირკვევა, იმავე ღამით 30-მდე შეიარაღებულმა პირმა გაიტაცა. ამიტომ, თბილისის გუბერნიის ხელმძღვანელობამ თელავში მაზრის და საქალაქო პოლიციის ბრალეულობის დასადგენად შესაბამისი წარმომადგენელი გააგზავნა.<sup>32</sup>

ქალაქ თელავში, არც 1905-1907 წლების რევოლუციის დამთავრების შემდგომ ყოფილა „მშვიდი“ სიტუაცია. 1908 წლის 6 მარტით დათარიღებულ ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში, რომელიც თბილისის გუბერნატორს ეგზავნება, ნათქვამია – „თელავის მაზრაში რევოლუციურმა პროპაგანდამ ფეხი მყარად მოიკიდა და მისი ცენტრი ქალაქი თელავია“. მოხსენებაში ასევე აღნიშნულია, რომ „თელავში პერიოდულად ვრცელდება პროკლამაციები, რაც ბუნებრივად აჩენს რწმენას, რომ ქალაქში არსებობს საიდუმლო სტამბა“.<sup>33</sup>

1908 წლის სექტემბრით დათარიღებულ დოკუმენტში თელავის მაზრის უფროსი ივანე გიორგის ძე ყარალოვი აღნიშნავს, რომ რევოლუციურ მოძრაობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის აუცილებელია საიდუმლო თანამშრომლების – აგენტების ყოლა და თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსისგან მათ შესანახად თანხებს ითხოვდა. აღსანიშნავია, რომ საპასუხო წერილში მას თანხმობა მისწერეს, ანუ ფაქტობრივად თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველო დათანხმდა, რომ სრულიად სხვა უწყების აგენტის ხელფასი აენაზღაურებინა. ასეთი რამ თითქმის არ ხდებოდა, და, სავარაუდოდ, ამ „გულუხვობის“ მიზეზი იმ პერიოდში თელავში ძლიერი რევოლუციური მოძრაობის არსებობა იყო.<sup>34</sup>

მართლაც, ქალაქ თელავს რევოლუციის ბუდედ მიიჩნევდა თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ერიომინი. იგი თბილისის გუბერნატორისადმი მიწერილ, 1908 წლის 11 ივნისით დათარიღებულ წერილში აღნიშნავდა: „ქალაქი თელავი რევოლუციური მოძრაობის ბუდეა და იქ საიდუმლო სტამბა არსებობს, სწორედ თელავიდან ვრცელდება მაზრაში პროკლამაციები“.<sup>35</sup>

1909 წლის 9 იანვარს თელავის მაზრის უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელი თავადი ბარათოვი თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსს წერდა, რომ „თელავში 9 იანვარს მართალია სახელოსნოები გაიღო, მაგრამ იქ არავინ მუშაობდა“. როგორც ჩანს აქ საუბარია თელაველი მუშების მიერ 1905 წლის 9 იანვრის მოსკოვში მომხდარი მოვლენების ე.წ. სისხლიანი კვირის მოვლენების გახსენებაზე და ამიტომ მის უქმედლედ მიჩნევაზე. ბარათოვის სიტყვებით „მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ნამქებებლები კასრების სახელოსნოს ოსტატის თანაშემწეები ზაქრო ჩეკურიშვილი, ივანე ბრეგვაძე, რომან რუსიშვილი და სოფრომ არუდოვი იყვნენ, რომლებიც იმავე დღეს დააპატიმრეს.“<sup>36</sup>

ჩემს მიერ მოძიებული საარქივო მასალების გაანალიზების შედეგად ირკვევა, რომ თელავში მაზრის უფროსები რევოლუციური მოძრაობის გამოვლინებებს ვერც შემდგომ წლებში უმკლავდებოდნენ. აღნიშნულს ადასტურებს თელავის მაზრის უფროს თავად ირაკლი ბარათოვისადმი 1911 წლის 2 იანვარს მიწერილი წერილი: „თქვენ ორი წლის გან-

<sup>32</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 5869, გვ. 29, 39, 40-41

<sup>33</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ. 1

<sup>34</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ. 16-17

<sup>35</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ. 18-19

<sup>36</sup> სსცა, ფონ. 156, აღ. 3, საქ. 124, გვ. 3

მავლობაში ვერ შეძელით ჯარის გამოგზავნის, ეგზეკუციების ჩაყენების მიუხედავად „გოგას და ლეკის“ ბანდის ლიკვიდაცია. მეტიც დუშეთიდან და სხვა მაზრებიდან, გადმოვიდნენ ყაჩაღები – ნიკა კასრაძე, ფორია, ზალიკო სვიმონიშვილი და ისინი თელავის მაზრაში თავს დაცულად გრძნობენ.<sup>37</sup>

## 2.2. პოლიტიკური პარტიები და ცნობილი თელაველი რევოლუციონერები

თელავში აღნიშნულ პერიოდში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორივე ფრთის – მენშევიკებისა და ბოლშევიკების, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტიის, ასევე სომხური „დაშნაკცუტუნის“ ადგილობრივი ორგანიზაციები ფუნქციონირებდა.

საარქივო მასალები საკმაოდ მდიდარია ინფორმაციებით თელავში „მოღვაწე“ რევოლუციონერებისა და რევოლუციური მოძრაობაში ჩაბმული ქალების შესახებაც. ზემოთ როგორც უკვე აღვნიშნე, საარქივო დოკუმენტების მიხედვით ქალაქი თელავი არა მარტო სამაზრო ცენტრი, არამედ კახეთში მიმდინარე რევოლუციური მოძრაობის სათავეში მდგომი ქალაქი იყო.

თელავის მაზრასა და ქალაქ თელავში ყველაზე უფრო დიდი გავლენით რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია სარგებლობდა. ამ პარტიის თელავის ორგანიზაციის აქტიური წევრები იყვნენ – მიხეილ ჟღენტი, გიორგი ხირსელი, ანტონ ყაზახოვი, ნინა და ვალერია ნანუკოვები, სერგო დანდუროვი და სხვები.

1905-1907 წლებში თელავის მაზრაში „მოღვაწე“ ძველი ბოლშევიკი რევოლუციონერის,<sup>38</sup> კოტე გურგენიშვილის დღემდე გამოუქვეყნებელ ავტობიოგრაფიაში აღწერილია თელავის მაზრაში მიმდინარე რევოლუციური პროცესები.<sup>39</sup> მისი სიტყვებით – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თელავის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე მიშა ჟღენტი იყო. იგი სამაზრო კომიტეტის წევრებად სერგო დანდუროვს, ვანო კალესნიკს, კირო გელოვანს, ვანო პროლეტარს და აქვსენტი სიდამონიძეს ასახელებს.<sup>40</sup>

იმ დროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცნობილი წევრის, მენშევიკის, ხოლო 1937 წელს, როგორც „ხალხის მტერის,“ ისე დახვრეტილი მიხეილ კლიმიაშვილის დღემდე გამოუქვეყნებელ ავტობიოგრაფიაში ნათქვამია, რომ როდესაც რევოლუციის პერიოდში იგი ქალაქ თელავში იმყოფებოდა, „სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ მაყაანთ სოფელში“<sup>41</sup> გააგზავნა, სადაც მიშა ჟღენტის სახლში თავს აფარებდნენ თელავიდან გაქცეული რევოლუციონერები – გიორგი ხირსელი და სხვა ამხანაგები, რომლებსაც ნითელრაზმელები იცავდნენ.“<sup>42</sup>

<sup>37</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 7205, გვ. 2

<sup>38</sup> ასე ახასიათებს კოტე გურგენიშვილი თავის თავს

<sup>39</sup> შსსპა, ფონ. 8, აღ. 2(1), საქ. 1, გვ. 103

<sup>40</sup> ეს პირები რამოდენიმე ათეულ საარქივო საქმეებში და თანამედროვეების მოგონებებში იხსენიებიან. მაგალითად, ვანო კალესნიკი ნახსენებია ვერა სიდამონიძის მოგონებაში „აქვსენტი სიდამონიძის შესახებ“ – საქართველოს ახალი და უსახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 2417, აღწერა 1, საქმე 364, გვერდი 3

<sup>41</sup> ალბათ იგულისხმება სოფელი რუისპირი

<sup>42</sup> შსსპა, ფონ. 2, აღ. 2(1), საქ. 26, გვ. 39

ზემოთ ჩამოთვლილი პირები სხვა საარქივო მასალების მიხედვითაც ქალაქ თელავში მიმდინარე რევოლუციურ პროცესებში დიდ როლს თამაშობდნენ. შესაბამისად, მიინდა მკითხველს რამდენიმე სიტყვით მათზე ინფორმაცია მივანოდო.

მიხეილ კაციას ძე ჟღენტი, როგორც ირკვევა წარმომოხობით თელაველი არ იყო. იგი გურიიდან გახლდათ და თელავის მაზრის სოფელ რუისპირში ცხოვრობდა. მას ადგილობრივი ხელისუფლება თელავში მოქმედი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის აქტივისტად და ერთ-ერთ ლიდერად მოიხსენიებდა. მიხეილ ჟღენტი 1906 წლიდან ძებნაში იყო და 1910 წლის 17 ივლისს დააკავეს. ჟღენტს ჩხრეკისას მიმოწერა აღმოუჩინეს, რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თელავის ორგანიზაციის წევრების დასადგენად საინტერესო ინფორმაციას შეიცავდა.

საარქივო მასალების მიხედვით ჟღენტი თბილისი-სიღნაღის გზაზე ჩადენილ ბევრ ექსპროპრიაციაში (შეიარაღებული თავდასხმა) მონაწილეობდა. თელავის მაზრის უფროსის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებლის, ბარათოვის 1908 წლის იანვრის მოხსენებიდან დასტურდება, რომ თელავში მოქმედი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი სწორედ მიხეილ ჟღენტი იყო. იგი რევოლუციის დაწყებამდე სოფელ გრემში მემამულე ფონ შტეინთან მებაღედ მუშაობდა. ბარათოვის სიტყვებით – რევოლუციის დაწყებამდე მიხეილ ჟღენტი გურიაში წასულა და უკან უკვე ჩამოყალიბებული რევოლუციონერი დაბრუნებულა.<sup>43</sup>

ვალერია დავითის ასული ნანუკოვა, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს პროფესიით სახლის მასწავლებელი ყოფილა. იგი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის თელავის ორგანიზაციის აქტიური წევრი იყო. ვალერია ნანუკოვა 1906 წლიდან ძიებაში იმყოფებოდა და როგორც, თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს მასალებიდან ჩანს, იგი ქალაქ პეტერბურგში 1909 წელს 4 დეკემბერს დაუპატიმრებიათ.<sup>44</sup> როგორც 1908 წლის სექტემბრით დათარიღებულ თელავის მაზრის უფროსის წერილში ნათქვამი „ვალერია და ნინა ნანუკოვები სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნიანო.“<sup>45</sup> ვალერია ნანუკოვა ზოგიერთი ცნობით, იმ დროს თელავში მოღვაწე ცნობილი რევოლუციონერის და სოციალ-დემოკრატიული პარტიის „გამოჩენილი“ წევრის კირო (კირილე) გელოვანის ცოლი ყოფილა.

ერთ-ერთ საარქივო საქმეში მითითებულია, რომ „ვალერია ნანუკოვა 1906 წლის რევოლუციური მოძრაობის დროს დადიოდა სოფლებში და გლეხებს ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებისაკენ მოუწოდებდა, ანტისახელმწიფოებრივ აგიტაციას ეწეოდა“.<sup>46</sup> 1910 წლის 3 თებერვლით დათარიღებულ თბილისის გუბერნატორის წერილიდან მეფისნაცვლისადმი ირკვევა, რომ ვალერია ნანუკოვას ხელისუფლება 1905-1907 წლებში თელავის მაზრაში მიმდინარე რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ ხელმძღვანელად მიიჩნევა.

საინტერესოა, რომ მამამისი თელავის მაზრის სამმართველოს ჩინოვნიკი ყოფილა. სწორედ ამ გარემოებას აქვს ხაზი გასმული, როდესაც მეფის ხელისუფლების წარმომადგენლები წერენ ვალერია ნანუკოვას რევოლუციურ საქმიანობაზე. დოკუმენტების მიხედვით, ამ უკანასკნელს მამამისის სახლი 1905-1906 წლებში თელავის მაზრაში მიმდინარე რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილე პირების – აგიტატორების და ტერორისტების თავშესაფრად

<sup>43</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 31, საქ. 422, გვ.1-2; სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ.59

<sup>44</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 1674, გვ. 12

<sup>45</sup> სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 12081, გვ. 24

<sup>46</sup> სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 12081, გვ. 25

უქცევია. ირკვევა, რომ ვალერია ნანუკოვას რევოლუციური მოღვაწეობის გამო კავკასიაში ცხოვრება აკრძალული ჰქონდა და იგი 1914 წელს კვლავ პეტერბურგში ცხოვრობდა.<sup>47</sup>

მღვდლის შვილი კირილე, იგივე კირო ოთარის ძე გელოვანი, წარმოშობით თიანეთის მაზრიდან იყო.<sup>48</sup> იგი თელავის მაზრასა და ქალაქ თელავში მიმდინარე რევოლუციურ პროცესებში აქტიურად მონაწილეობდა.<sup>49</sup> 1908 წლის 7 ნოემბერით დათარიღებული დადგენილების მიხედვით ორენბურგის გუბერნიაში იქნა გასახლებული. გელოვანი გადასახლებიდან გამოიქცა და როგორც მისი დედის, ელიზავეტა გელოვანის 1910 წლის 10 აპრილის თბილისის გუბერნატორის სახელზე გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, ამავე წელს მეორედ იქნა დაპატიმრებული.<sup>50</sup> აღნიშნულს ადასტურებს კირო გელოვანზე შედგენილი 1908 და 1910 წლით დათარიღებული ჟანდარმერიის კართოტეკის ბარათები, სადაც დატანილია დასახლებულ წლებში გადაღებული ამ პიროვნების ფოტოები. კირო გელოვანის გადასახლებაზე საუბარია ასევე სხვა მასალებშიც.<sup>51</sup>

მისი ძმის შაქრო გელოვანის დღემდე გამოუქვეყნებელი მოგონების მიხედვით, რომელიც დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ე.წ. პარტიული არქივის ყოფილი „იმელის“ (მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი) ფონდებში, კირო გელოვანი საბჭოთა ხელისუფლების დროს სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა, ანუ, იგი მეორე გადასახლებიდან ცოცხალი და სალსალამათი დაბრუნებულა. აღსანიშნავია, რომ შაქრო გელოვანის მოგონებაშიც აღნიშნულია „თელავის მაზრაში მოქმედ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციაში შედიოდნენ გიორგი ხირსელი, მიშა ჟღენტი, ვალია ნანუკოვა, აქვსენტი სიდამონიძე, კირილე გელოვანი და სხვები.“<sup>52</sup> იგი ასევე ადასტურებს ქალაქ თელავში რევოლუციურ მოძრაობაში და გაფიცვებში თელავის სასწავლებლების მოსწავლეების აქტიურა მონაწილეობას.

თელავში „მოღვაწე“ რევოლუციონერთა შორის გამორჩეული ადგილი ეკავა სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიურ წევრს გიორგი კონსტანტინეს ძე ხირსელს. თბილისის ჟანდარმთა საგუბერნოო სამმართველოს საქმეებიდან ირკვევა, რომ იგი ჯერ კიდევ თბილისის სემინარიის ყოფილი მოსწავლე, რევოლუციის დასაწყისშივე თელავში მიმდინარე გაფიცვების აქტიური მონაწილე ყოფილა.<sup>53</sup> მასთან ერთად რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმული იყო მისი და – ანა კონსტანტინეს ასული ხირსელიც.<sup>54</sup> გიორგი ხირსელის შესახებ ჩვენ ინფორმაცია მოგვეპოვება ცნობილ რევოლუციონერის, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ისიდორე რამიშვილის მოგონებებში. ისიდორე რამიშვილი წერს: „თელავში ორგანიზაციის ხელმძღვანელად იყო გიორგი ხირსელი, კაცი დიდი საქმეებისათვის გაჩენილი და რევოლუციონერი, კარგი მოლაპარაკე და ტაქტიკოსი. მან

<sup>47</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 27, საქ. 5225, გვ. 3

<sup>48</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 733, გვ. 10

<sup>49</sup> ერთ-ერთ საარქივო საქმეში აღმოჩნდა კირილე, იგივე კირო გელოვანის დაბადების მონაწილის ასლი, რომელსაც „ილურთის საზოგადოების მწერალი სიმონ ჯიბუტი“, ანუ ხარება ჯიბუტის ძმა აწერს ხელს – სსცა, ფონ. 156, აღ. 1, საქ. 104, გვ. 31

<sup>50</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 31, საქ. 378

<sup>51</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ. 58

<sup>52</sup> შსსპა, ფონ. 2, აღ. 2(2), საქ. 434, გვ. 2

<sup>53</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 692 გვ. 10

<sup>54</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 5601, გვ. 9

ჯერ თვით ქალაქ თელავში მოაწყო დიდი კრება, რომელზეც თვითონ გამოვიდა ადგილობრივი მდგომარეობის შესახებ მოხსენებით და მერე სიტყვა მე მომცა, როგორც კრების თავმჯდომარემ.“ რამიშვილის სიტყვებით ხირსელმა მას დაატარა თავისი რაიონი და ბევრგან კრებები გამართა.<sup>55</sup>

ჟანდარმერიის ფონდებში დაცული მასალების მიხედვით გიორგი ხირსელი თელავის მაზრასა და ქალაქ თელავში აქტიური რევოლუციური საქმიანობით გამოირჩეოდა. თელავის მაზრის მცხოვრები აზნაური რევაზ მაჭავარიანი ხელისუფლების წარმომადგენლებს აცნობებდა, რომ – თბილისის სემინარიის გარიცხული სტუდენტი გიორგი ხირსელი და კირილე გელოვანი სოფელ შალაურში სიტყვით მოტივებზე გამოდიოდნენ.<sup>56</sup> მეფის რუსეთის საიდუმლო პოლიციის თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების ე.წ. „ამონაწერი ცნობების“ მიხედვით, რომელიც დათარიღებულია 1908 წლის 29 დეკემბრით – „ხირსელი გიორგი კონსტანტინეს ძე 1906 წელს სერგო დანდუროვთან ერთად თელავის რევოლუციური წრის წევრი იყო, რომელიც დაკავებული იყო პროპაგანდით. ორივე მათგანი ეჭვმიტანილი არიან მთელი რიგი ტერორისტული აქტების ჩადენაში.“<sup>57</sup> აქვე აღნიშნულია, რომ ხირსელი 1906 წლის აგვისტოში მიიმალა. გიორგი ხირსელს როგორც თელავში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ ხელმძღვანელს „ძველი“ ტერორისტი არშაკა არუთინოვი და ვერა სიღამონიძეც ასახელებენ.<sup>58</sup> თავის საკმაოდ საინტერესო მოგონებაში ივანე პაატაშვილი წერს: „მონაფეობის დროიდანვე დავუახლოვდი თბილისის სასულიერო სემინარიის მონაფეთ, რომლებიც ზაფხულობით თელავში მოდიოდნენ ერ. სირბილაძე, გ ხირსელი, ძმები ახმეტელები და სხვები, შემდეგ ს.დ. პარტიის წევრები.“<sup>59</sup>

როგორც მასალებიდან ირკვევა, გიორგი ხირსელი 1909 წელს მეტეხის ციხეში იჯდა.<sup>60</sup> აღნიშნული დასტურდება საარქივო მასალებში დაცული, თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსისადმი გაგზავნილი მისი თხოვნით. 1909 წლით დათარიღებული ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით გიორგი კონსტანტინეს ძე ხირსელს – ახლა უკვე იურევის უნივერსიტეტის სტუდენტს, თბილისის გუბერნიიდან სამი წლით ასახელებენ, ანუ მას ფაქტობრივად მძიმე სასჯელს არ უფარდებენ. იგი საცხოვრებლად ჩადის ქუთაისში, საიდანაც საცხოვრებლად მალევე ხარკოვში გადადის. 1912 წელს კი, ხირსელს უხსნიან ადმინისტრაციულ სასჯელს და თბილისის გუბერნიაში დაბრუნების უფლებას აძლევენ.<sup>61</sup>

1913 წელს იგი თელავშია და ექიმად იწყებს მუშაობას. აღნიშნულს ადასტურებს რამოდენიმე ათეული დოკუმენტი. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ინფორმაცია შემონახულია თელავში მყოფი ჟანდარმერიის პუნქტის უნტერ-ოფიცრის მოხსენებაში.<sup>62</sup> აქვე საუბარია გიორგი ხირსელზე, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერზე და ხაზგასმულია, რომ იგი იყო მენშევიკი და იმ ხანად ექიმად მუშაობდა. საინტერესოა, რომ მას

<sup>55</sup> რამიშვილი, ისიდორე, „მოგონებები“, თბილისი, 2012 წელი

<sup>56</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 733, გვ. 3

<sup>57</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 964, გვ. 37-45

<sup>58</sup> შსსპა, ფონ. 93, აღ. 2, საქ. 35, გვ. 2; საქართველოს ახალი და უსახლესი ისტორიის არქივი, ფონ-დი 2417, აღწერა 1, საქმე 364, გვერდი 3

<sup>59</sup> შსსპა, ფონ. 93, აღ. 2, საქ. 712, გვ. 3

<sup>60</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 964, გვ. 52, 63

<sup>61</sup> სსცა, ფონ. 84, აღ. 3, საქ. 1146, გვ. 3-7

<sup>62</sup> სსცა, ფონ. 156, აღ. 3, საქ. 272, გვ. 3

1913 წლის დეკემბერში სოფელ ველისციხეში ლექციები წაუკითხია. თელავის, სიღნაღის, თიანეთის მაზრებში თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსი თელავში პუნქტის უნტერ-ოფიცერს სწერდა, რომ „მიღებული საიდუმლო ცნობებით სოფელ ველისციხეში ექიმი გიორგი ხირსელი წაიკითხავს ლექციას. გიბრძანებ დაუყოვნებლივ მაცნობო ხირსელი რა სახის ლექციას წაიკითხავს და ლექციის წაკითხვაზე მას ნებართვა მიცემული აქვს თუ არა, და თუ აქვს ვისგან.“<sup>63</sup>

1913 წლით დათარიღებულ ჟანდარმერიის ფონდებში დაცულ ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „ხირსელი ამ ეტაპზე დაპატიმრებას არ ექვემდებარება.“<sup>64</sup> ამავე საქმეში არსებობს დოკუმენტში, სადაც მითითებულია მისი პარტიული კუთვნილება – „ექიმი ხირსელი ეკუთვნის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.“<sup>65</sup>

გიორგი ხირსელი ჩანს თავის რევოლუციურ „საქმიანობას“ კვლავინდებურად აგრძელებდა. 1913 წლის ოქტომბერში ჟანდარმერიას ცნობები მიუღია, რომ „თელავის ინტელიგენცია, ჩინოვნიკები, სამღვდლოება საღამოობით ცისკაროვის აფთიაქში იკრიბება და მათ შორის არის ხირსელიც.“<sup>66</sup>

გიორგი ხირსელის ბედის შესახებ ინფორმაცია ჩვენ თანამედროვეების მოგონებებშიც მოგვეპოვება. ერთ-ერთის მიხედვით, თელავში „მოღვაწე“ რევოლუციონერების უმეტესობა ან მოკლეს, ანდა გადასახლების დროს გარდაიცვალნენ – „ყაველაშვილი სანდრო (ძია)<sup>67</sup> დახვრიტეს ყაზარმასთან. მიშა ჟლენტი მოკვდა საკატორლო ციხეში...“, რაც შეეხება გიორგი ხირსელს იგი გარდაცვლილია ავადმყოფობით.“

საარქივო მასალების ანალიზიდან ირკვევა, რომ რევოლუციურ მოძრაობაში მთელი ოჯახები იყო ჩართული. მაგალითად, ქალაქ თელავში აივაზოვების, იგივე აივაზაშვილების რევოლუციური ოჯახის ყველა წევრი რევოლუციაში აქტიურად მონაწილეობდა. ამ ოჯახის ორი წევრის დღემდე გამოუქვეყნებელი მოგონებები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ე.წ პარტიული არქივის ფონდებშია დაცული – საუბარია სოსო და დარია აივაზოვებზე.

დარია დიმიტრის ასული აივაზოვის ქალიშვილობის გვარი ყოფილა ჩხუბიანაშვილი. საბჭოთა პერიოდში დაწერილი მისი მოგონების მიხედვით, მეუღლე 1904 წელს გარდაცვლია. ჰყოლია ხუთი შვილი – გიორგი, სოსო, ელო, ნატო და თამარი. დარია აივაზოვის სიტყვებით, მისი ვაჟი გიორგი სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, საიდანაც რევოლუციური მოღვაწეობისათვის გაურიცხავთ და განჯაში წასულა, სადაც რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმულა. იგი სხვა ქალაქებშიც განაგრძობდა რევოლუციურ საქმიანობას და შემდეგ თელავში დაბრუნებულა. დარია აივაზოვას სიტყვებით: „მათ ოჯახში სადაც გიორგი თავის ამხანაგებთან ერთად ცხოვრობდა, მას და მის ამხანაგებს შემდგარი ჰქონდათ ბიურო. ეს ბიურო მოხერხებულად და ფარულად სჭრიდა სხვადასხვა საკითხებს.“<sup>69</sup> ჩანს აქ

<sup>63</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 8, გვ. 118

<sup>64</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 8, გვ. 74

<sup>65</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 160, გვ. 81

<sup>66</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 160, გვ. 103

<sup>67</sup> საუბარია „ხარებას და გოგიას“ დაჯგუფების წევრ სანდრო ყაველაშვილზე, რომელიც 1918 წლის გაზაფხულზე მენშევიკებმა თელავში სამხედრო ყაზარმებთან დახვრიტეს

<sup>68</sup> შსსპა, ფონ. 93, აღ. 2, საქ. 1123, გვ. 2

<sup>69</sup> შსსპა, ფონ. 93, აღ. 2, საქ. 9

საუბარია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკების თელავის ორგანიზაციის შესახებ. საქმე იმაშია, რომ გიორგი აივაზოვი მასალების თანახმად სწორედ ბოლშევიკი იყო.

დარია აივაზოვას სიტყვებით, მათთან ოჯახში თავს აფარებდნენ რევოლუციონერები – არშაკა არუთინოვი, სუხიტაშვილი, აქვსენტი სიდამონიძე, ხარება, ვანო ალიხანაშვილი, გ. ძულიაშვილი და კ. გელოვანი, მესხიშვილი და ბადრიძე, გიორგი ხირსელი.<sup>70</sup>

დარია აივაზოვას მოგონებაში საკმაოდ საინტერესო მასალებია თავმოყრილი ქალაქ თელავში რევოლუციური მოძრაობის პერიპეტიების შესახებ. დარიას თავისი სახლის ეზოში ჩაფლული ჰქონია სტამბა, იარაღი. როგორც ამ მოგონებიდან ირკვევა, ხშირი იყო პოლიციის მიერ აივაზოვების ოჯახის ჩხრეკა. აქვე მითითებულია სხვადასხვა ფაქტი რევოლუციონერების დევნის, დაპატიმრების შესახებ, საიდანაც ასევე ჩანს, თუ როგორი იყო იმ პერიოდის პოლიციის მუშაობის მეთოდები, ხერხები და ა.შ.<sup>71</sup>

საკმაოდ საინტერესო ინფორმაციაა თავმოყრილი ქალაქ თელავში რევოლუციური მოძრაობის პერიპეტიებზე გიორგი აივაზოვის ძმის სოსო აივაზოვის მოგონებებშიც. როგორც მათი ანალიზიდან ჩანს, მას და დედამისს ეს მოგონებები, 1930-იან წლებში დაუწერიათ. სოსო აივაზოვიც დანვრილებით აღწერს, თელავში რევოლუციური მოძრაობის პერიოდს.<sup>72</sup> იგი ახსენებს ხარებას, კ. გელოვანს, ა. სიდამონიძეს, ქ. ზარაფოვს (ზარაფიშვილი)<sup>73</sup> და 1905-1907 წლების რევოლუციაში აქტიურად ჩაბმულ სხვა პირებს.

დედის და ძმის მოგონებების მიხედვით გიორგი აივაზოვი 1906 წლის 14 იანვარს, როდესაც სოფელ პატარძლეულიდან ბრუნდებოდა ხაშმის გზაზე, სავარაუდოდ, პოლიციის „სტარჟნიკების“ მიერ იქნა მოკლული. გიორგი აივაზოვს ასევე ახსენებს „ძველი“ რევოლუციონერი ვანო, მეტსახელად „ტურა“ მაისურაძეც. იგი თავის გამოუქვეყნებელ წიგნში კახეთში რევოლუციური მოძრაობის შესახებ ამბობს, რომ თელავის რაზმმა გიორგი აივაზოვი ჩვენს რაზმთან მოკავშირედ გამოგზავნაო.<sup>74</sup> გიორგი აივაზოვის შესახებ ინფორმაციები ასევე მოიძიება მისი თანამედროვეების, რევოლუციონერების კოტე გურგენიშვილის და გიორგი ხელაშვილის მოგონებებშიც.<sup>75</sup>

ქალაქ თელავში რევოლუციური მოძრაობის შესახებ საუბრისას ასევე უნდა შევეხო პროკლამაციების ბეჭდვის საკითხსაც. საქმე იმაშია, რომ იმ პერიოდში, როდესაც არ არსებობდა ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები პოლიტიკურ ბრძოლაში პროკლამაციების გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული. მეფის ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლები არალეგალური სტამბების მომწყობებს სასტიკად დევნიდნენ. ხელისუფლებისათვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო ეს საკითხი, რომ ჯილდოებს ძალისმიერი სტრუქტურების წარმომადგენლებს, ხშირად სწორედ „აღმოჩენილი“ სტამბების მიხედვით აძლევდნენ.

<sup>70</sup> შსსპა, ფონ. 93, აღ. 2, საქ. 9

<sup>71</sup> შსსპა, ფონ. 93, აღ. 2, საქ. 9

<sup>72</sup> შსსპა, ფონ. 93, აღ. 2, საქ. 11

<sup>73</sup> საუბარია სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრ ქეთევან ზარაფიშვილზე, რომელიც ილია ზარაფიშვილის ძმის შვილი იყო

<sup>74</sup> შსსპა, ფონ. 8, აღ. 6, საქ. 309, გვ. 67; შსსპა, ფონ. 8, აღ. 2(1), საქ. 11, გვ. 97-100

<sup>75</sup> შსსპა, ფონ. 8, აღ. 2(1), საქ. 11, გვ. 97-100; საქართველოს ახალი და უსახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 2417, აღწერა 1, საქმე 236, გვერდი 3-9



1907 წლის თებერვალში თელავის მაზრის უფროსმა ანტონოვმა აგენტურული შეტყობინება მიიღო, რომ ქალაქ თელავში ე.წ. „ქვემო ბაზრის“ ტერიტორიაზე მდებარე საზენკლო სახელოსნოს მფლობელ არჩილ სავას ძე ფარსადანოვს სახლში საიდუმლო სტამბა ჰქონდა გახსნილი. ფარსადანოვი რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის თელავის ორგანიზაციის წევრი ყოფილა.<sup>76</sup>

ანტონოვის მიერ შედგენილი ოქმის მიხედვით, მან 1907 წლის 21 თებერვალს მიღებული აგენტურული ინფორმაციის გადამოწმება ქალაქ თელავის პრისტავ ბაგირ-ბეკს, თავის თანაშემწე კოსტინს და პოლიციის „სტრაჟნიკების“ ოფიცერ განმგებლოვს დაავალა, რომლებმაც არჩილ ფარსადანოვის სახლი გაჩხრიკეს.

ფარსადანოვის სახლის ჩხრეკისას რუსულ და ქართულ ენებზე დაბეჭდილი პროკლამაციები აღმოუჩინათ. როგორც მასალებიდან ირკვევა, ფარსადანოვმა დანაშაული აღიარა და თქვა, რომ სტამბის შრიფტი მას ქორ-ოლიმ<sup>77</sup> გადასცა. მას ასევე მიუთითებია სახლის ეზოში მდგარი სხვა ოთახი, სადაც ქართულ ენაზე დაბეჭდილი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თელავის ორგანიზაციის სახელით გამოცემული პროკლამაციები, ასევე გრიაზნოვის მკვლელების ათამდე გრავიურა, ილიკო ხირსელის<sup>78</sup> ფოტო და რევოლუციური შინაარსის შემცველი სხვა დოკუმენტები აღმოჩნდა.

არჩილ ფარსადანოვის ჩვენების თანახმად, 1906 ივლისში, როდესაც თელავის მაზრა სამხედრო მდგომარეობაზე გადავიდა, მასთან სტუდენტი გიორგი ხირსელი მისულა და დახმარება უთხოვია. ფარსადანოვის სიტყვებით, ხირსელმა იგი სოფელ კურდღელაურში იმერელ ქორ-ოლის შეახვედრა, რომელმაც ბინაში სტამბის განთავსება და ანაზღაურება – თვეში 15 მანეთი შესთავაზა. მისი თანხმობის შემდეგ კი, დაავალა პროკლამაციების 1000 ეგზემპლარის დაბეჭდვა. საარქივო საქმეში ჩამოთვლილია ფარსადანოვს ქორ-ოლიმ თუ რამდენი და რა შინაარსის პროკლამაცია დააბეჭდინა.<sup>79</sup>

ფარსადანოვის სიტყვებით, ის ღამით ბეჭდიდა პროკლამაციებს. აღსანიშნავია, რომ ფარსადანოვის ბინაში ასევე აღმოაჩინეს „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თელავის რაიონის ხელმძღვანელი კოლექტივის“ სახელით დაბეჭდილი კვიტანციები. ამ და სხვა საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს სტამბა ეკუთვნოდა „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თელავის მაზრის ხელმძღვანელ კოლექტივს“.<sup>80</sup>

თვითონ არჩილ ფარსადანოვზე აღნიშნულია, რომ ის იყო სოციალისტ-რევოლუციური პარტიის თელავის ორგანიზაციის წევრი.<sup>81</sup> თუმცა, სხვა მასალები ადასტურებენ, რომ იგი სწორედ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თელავის ორგანიზაციაში შედიოდა. აღნიშნული სტამბის აღმოჩენის ისტორიას და მის სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი კუთვნილებას ადასტურებს სხვა წყაროც. ესაა თელაველი აბრია ლამქარამ-

<sup>76</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 964

<sup>77</sup> სავარაუდოდ იგი ცნობილი მენშევიკი ილია (ილარიონ) მგელაძე იყო

<sup>78</sup> ილიკო, იგივე ილია ხირსელი, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დროს მოსკოვში ბარიკადებზე იქნა მოკლული

<sup>79</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 964

<sup>80</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 964, გვ. 19-24

<sup>81</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 964, გვ. 6

ვილის საბჭოთა პერიოდში დაწერილი, დღემდე გამოუქვეყნებელი ბიოგრაფია, სადაც აღნიშნულია ამ სტამბის პოლიციის მიერ აღმოჩენის ფაქტი.<sup>82</sup>

საარქივო მასალებში გაბნეულია ინფორმაციები თელავში „მოღვაწე“ სხვა რევოლუციონერების შესახებაც. კერძოდ, 1910 წელს თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსი პასტრულინი წერდა, რომ მიღებული აგენტურული ცნობების თანახმად თელავის მცხოვრები ოლგა ოგანეზოვა ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრებთან და თელავში პროკლამაციების და მოწოდებების გავრცელებას ხელს უწყობდა. თელავში მისი ბინის ჩხრეკისას რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თელავის ორგანიზაციის კვიტანცია უპოვიათ, რომელშიც ეწერა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თელავის ორგანიზაციამ ზაქრო იგივე შაქრო ოგანეზოვისგან მიიღო ორი მანეთი.<sup>83</sup>

გარდა ამისა, როგორც ირკვევა, თელავში არსებული რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრები იყვნენ ივანე სოლომონის ძე როსტომოვი და გიორგი პეტრეს ძე მრელოვი. 1909 წლის 3 იანვარს თელავში დასახლებული პირები გაუჩხრეკიათ და მათთვის რევოლუციური შინაარსის დოკუმენტი, სათაურით „მოხსენება თელავიდან“ აღმოუჩინიათ. სხვა დოკუმენტები უპოვიათ, მათ შორის მოცულობით საკმაოდ დიდი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თელავის ორგანიზაციის წესდება. იგი საკმაოდ საინტერესოა, რადგან მასში აღწერილია პარტიის ადგილობრივი თელავის ორგანიზაციის სტრუქტურა და მოთავსებულია სხვა ინფორმაციები.<sup>84</sup>

სხვა საარქივო საქმეებშიც ვხვდებით მასალებს თელავში „მოღვაწე“ რევოლუციონერების შესახებ.<sup>85</sup> კერძოდ, პოლიციის ნაწილის განსაკუთრებული განყოფილება 1907 წლის იანვარში წერდა, რომ „თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს მიერ წარმოებული მიმოწერით „თელავის ორგანიზაცია სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიას“ მიეკუთვნებიან გიორგი ბურჭულაძე, ნოე რამიშვილი და სხვები.<sup>86</sup>

საარქივო მასალებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ თელავში არსებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები საკმაოდ აქტიურად მოქმედებდნენ. ისინი არა მარტო ქალაქ თელავში, არამედ თელავის მეზობლად განლაგებული გარნიზონის ჯარისკაცებშიც ეწეოდნენ აგიტაციას. კერძოდ, თელავის მაზრის უფროს ანტონოვს 1907 წლის 27 თებერვალს თელავის გარნიზონის უფროსის შეტყობინება მიუღია იმის შესახებ, რომ „156-ე ელიზავეტოპოლის ფეხოსანი პოლკის ჯარისკაცები, 1906 წლის დეკემბერში ესწრებოდნენ ქალაქ თელავში კერძო სახლებში გამართულ არალეგალურ კრებებს.“<sup>87</sup>

ამ დოკუმენტის მიხედვით შეკრებები თელავის მცხოვრებლების – ლაზარე დავითის ძე გოგიევის სახლში, ეგორ მიხეილის ძე ჯმუხაძის აბანოში და სხვაგან იმართებოდა. ადგილობრივი მაცხოვრებლების მხრიდან შეკრებების ერთ-ერთ მონაწილედ ახალგაზრდა ქალია დასახლებული, რომელიც ხელისუფლების დასკვნით თელავის მაზრის სამმართვე-

<sup>82</sup> შსსპა, ფონ. 93, აღ. 2, საქ. 1124, გვ. 10

<sup>83</sup> სსცა, ფონ. 156, აღ. 3, საქ. 183, გვ. 1

<sup>84</sup> სსცა, ფონ. 156, აღ. 3, საქ. 126, გვ. 2-10

<sup>85</sup> სსცა, ფონ. 84, აღ. 2, საქ. 2534, გვ. 59

<sup>86</sup> დოკუმენტში შეცდომითაა მითითებული, რომ ისინი სოციალისტ-რევოლუციური პარტიის წევრები იყვნენ, სინამდვილეში დასახლებული პირები სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდნენ

<sup>87</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 5869, გვ.10

ლოს ჩინოვნიკ ნარეკლიევას ქალიშვილი უნდა ყოფილიყო. დოკუმენტის ავტორის დახასიათებით ეს ქალბატონი – თმაშეკრეჭილი და კოჭლი ყოფილა.<sup>88</sup>

როგორც ჩანს, სწორედ ამ პიროვნების შესახებ წერდა 1912 წელს თელავის მაზრის უფროსი ჟანდარმერიის თელავის პუნქტის უნტერ-ოფიცერს, რომ ვინმე ნინა ნარეკლიევა უნდა გავჩხრიკოთ და საურველია თქვენი დასწრებაო.<sup>89</sup>

სხვადასხვა საარქივო დოკუმენტებში, აქა-იქ კრთება ინფორმაციები ქალაქ თელავში რევოლუციის შემდგომ პერიოდში 1905-1907 წლების რევოლუციის დროს „მოღვაწე“ პირების „საქმიანობის“ შესახებ. მაგალითად, 1910 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სერგო დანდუროვი ბაქოში ნავთობის, რომელიღაც სამრეწველო უბანზე მუშაობდა.<sup>90</sup> მომდევნო დოკუმენტში კი ნათქვამია, რომ თბილისში მყოფი „ექსპროპრიატორი“ მიხეილ ჟღენტი წინანდლის მცხოვრებ ვინმე მესხიევს ყალბი ფულის გავრცელების თაობაზე შეუთანხმდა.<sup>91</sup>

ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება „თელავის რაიონის ძველი რევოლუციონერების თათბირის ოქმის“ ამონაწერის გაცნობა. ოქმი 1935 წლის 22 სექტემბრითაა დათარიღებული და ჩანს, რომ ამ სხდომას თელავიდან და თელავის რაიონიდან ოთხმოცდათხუთმეტი (95) ადამიანი დასწრებია. საინტერესოა თათბირზე არჩეული პრეზიდიუმის წევრების ჩამონათვალი: „1. ვანო ალიხანაშვილი (ხუნხუზა, გურული) 2. გიორგი ხელაშვილი 3. არშაკა არუთინოვი 4. ფილო მსუქნიშვილი 5. ვანო ღვინიაშვილი 6. მათე ისაკოვი (წითელი) 7. ანი ჯავახიშვილი.“<sup>92</sup>

დასახელებული სხდომის ოქმის ამონაწერში სხვადასხვა საკითხებთან ერთად რევოლუციის დროს მოქმედი თელავის „წითელი რაზმის“ მიერ ჩადენილი ტერორისტული და ექსპროპრიაციული აქტების შესახებაცაა საუბარი. ფურცელზე, სათაურით „ტერორისტული აქტები“ ვკითხულობთ: „წინანდლის მამულში გაგზავნილ იქნა ასი ათასი (100 000) მანეთი. ეს უკვე იცოდა რაზმმა. რაზმელები ექვსი (6) კაცით შემდგარი „ხუნხუზას“ მეთაურობით გაემგზავრნენ წინანდლის მიმართულებით და ნასომხრის ბოგირთან, როდესაც ფოსტის ტროიკა მიუახლოვდა ბოგირს და კაზაკების ასეული 100 ნაბიჯის მანძილზე მისდევდა ატყდა სროლა. დაჭრილ იქნენ ტროიკის ცხენები და ფული მთლიანად გატაცებულ იქნა ხარებას და ყაველაშვილის მიერ, კაზაკებთან სროლის დროს დაიჭრა ოფიცერი, ხუნხუზა და ა. არუთინოვი. ოთხმა რაზმელმა სროლით შეაფარა თავი ტყეს. ფული ათი ათასი (10 000) მანეთი გადატანილ იქნა რუისპირში ამხ. მ. ჟღენტის ოჯახში, ხოლო დანარჩენი ორი ფულის ჩანთა, რომელიც დალუქული იყო უნდა ყოფილიყო სამასი ათასი (300 000) მანეთი მიიტანეს სერგო დანდუროვთან, რომელმაც განაცხადა, რომ მხოლოდ აღმოჩნდა ოთხმოცდაექვსი (86000) ათასი მანეთი, დანარჩენი ორას თოთხმეტი (214000) მანეთი უკვალოდ დაიკარგა.“<sup>93</sup> ვერაფერს იტყვი – როგორც ჩანს, იმ დროს თელავის „წითელი რაზმის“ წევრები საკმაოდ „მსხვილ“ თანხებზე „ნადირობდნენ“.

<sup>88</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 5869, გვ.13

<sup>89</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 5, გვ. 64

<sup>90</sup> სსცა, ფონ. 97, აღ. 2, საქ. 51, გვ.70

<sup>91</sup> სსცა, ფონ. 97, აღ. 2, საქ. 51, გვ.71

<sup>92</sup> საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 2417, აღწერა 1, საქმე 236, გვერდი 3

<sup>93</sup> საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 2417, აღწერა 1, საქმე 236, გვერდი 7

ფულის გატაცების, ანუ ექსპროპრიაციის ამ ფაქტს თავის 1930-იან წლებში დანერ-  
ილ და დღემდე გამოუქვეყნებელ ავტობიოგრაფიაში ასევე ეხება, ქალაქ თელავის მკვიდ-  
რი „ძველი ტერორისტი“ არშაკა არუთინოვი: „ვანო ალიხანაშვილის მეთაურობით წავედ-  
ით ფოსტაზე დასაცემად. დავუხვდით კისისხევის ბოლოზე და გავიტაცეთ ფოსტა. ესენი  
ვიყავით: ალიხანაშვილი ვანო, ძია ყაველაშვილი, არშაკა არუთინოვი – თვით მე, გიო ძუ-  
ლიაშვილი, ნიკო ღვინიაშვილი, ვანო ავაქოვი, მიშა ჟღენტი, ერთი პირი მეტსახელით პრო-  
ლეტარი.“<sup>94</sup>

თავის ბიოგრაფიაში არშაკა არუთინოვი, აქვსენტი სიდამონიძეს როგორც თელავში  
შექმნილი პირველი წითელი რაზმის მეთაურს ისე მოიხსენიებს – „1905 წელს ხაშმიდან  
ჩამოვიდა ვანო ალიხანაშვილი, რომელმაც უფრო დაამკვიდრა რაზმის მეთაურობა. რაზმის  
მეთაურად ითვლებოდნენ ვანო ალიხანაშვილი და აქვსენტი სიდამონოვი.“ არშაკა არუთი-  
ნოვი აქვე აღწერს სხვადასხვა ტერორისტულ აქტებს, რომლების განხორციელებაშიც იგი  
უშუალოდ მონაწილეობდა. მისი სიტყვებით წინანდლის პრისტავ აპუშკინის მკვლელობა  
აქვსენტი სიდამონიძესთან ერთად ჩაიდინა: „1905 წელს გადაწყდა წინანდლის პრისტავის  
მოკვლა, რომელიც აწუხებდა გლეხებს... გაგვაგზავნეს მოსაკლავად მე და აქვსენტი, რო-  
მელიც შემოგვხვდა ნადიკურის გზაზე პატარა ეკლესიასთან თავის ქალიშვილთან ერთად  
და ესროლა აქვსენტიმ და მოარტყა... ეს იარაღი რომლითაც მოვკალით ჩავაბარეთ დათა  
ნიკოს ძე ბურჭულაძეს, რომელიც ითვლებოდა ჩვენი პარტიის წევრად.“<sup>95</sup>

აპუშკინის მკვლელობის შესახებ ინფორმაცია მოიპოვება რევაზ გაბაშვილის, იმ დროს  
სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის აქტიური წევრის მოგონებებშიც. იგი წერს „თელ-  
ავში კიდევ ერთი კვირა დავრჩი და ფრიად უსიამოვნო ამბის მოწმეც გავხდი. ნასადილევის  
5-6 საათი იქნებოდა, ნაცნობ ოჯახში ჩაის ვსვამდით, რომ ქუჩაში თოფმა იგრიალა... რამ-  
დენიმე წუთში შემოვარდა ვიღაც და აღელვებით გვახალა „აპუშკინი მოკლესო“. ყველანი  
წამოვხტით და გავცვივდით ქუჩაში და ასიოდე მეტრში დავინახეთ გაჭიმული პრისტავი,  
სისხლში მცურავი... ჩემი მასპინძლის ქალებმა და სტუმრებმა, რამდენჯერმე ტაშიც კი  
შემოკრეს და შეიკუნტრუშეს... „შეგნებულმა“ „სოციალ-ფედერალისტებმა“. მე სრულიად  
არ ვიცნობდი აპუშკინს, მხოლოდ მინახავს და არაფერი გამეგონა მასზედ განსაკუთრებუ-  
ლი სიბოროტე. ამიტომ სრულიად გულგრილად შევხვდი ამ მკვლელობას, მაგრამ რა ახ-  
არებდათ თელაველებს და რა აცეკვებდა ნინა რ-ს, დღესაც არ მესმის. ლაპარაკი ბევრი  
იყო, თუ ვინ მოჰკლა? (მერე გვიან, „ს.დ.“<sup>96</sup> და „ს.ფ.“<sup>97</sup> ყველა ითვისებდა ამ .. ვაჟკაცო-  
ბას“),<sup>98</sup> მაგრამ იმავე საღამოს, როცა ჩვეულებისამებრ, ხალხი ბაღში დასეირნობდა და მეც  
ვიღაცასთან – ჩემთან მოვიდა უცნობი ახმახი კაცი, გრძელ თოფ-გადაკიდებული მხარზედ,  
ჩემზე იმდენად მაღალი, რომ ზევიდან დამყურებდა და საიდუმლოდ, ხმის კანკალით მე-  
კითხება: ბატონო მე მოვკალი აპუშკინი და ახლა რა უნდა ვქნაო“... მართლა იმან მოჰკ-

<sup>94</sup> შსსპა, ფონ. 93, აღ. 2, საქ. 35

<sup>95</sup> შსსპა, ფონ. 93, აღ. 2, საქ. 35, გვ.1

<sup>96</sup> სოციალ-დემოკრატიული პარტია

<sup>97</sup> სოციალისტ-ფედერალისტური პარტია

<sup>98</sup> რევაზ, გაბაშვილი; ვალოდია, გოგუაძე, მოგონებები, 1992, გამომცემლობა „გულანი“, თბილისი, გვერდები 70-72

ლა, თუ ტრაბახობდა, ან ვისი დავალებით, პირადად, თუ ისე... ადამიანის ფასი მაშინ გრო-ში იყო... ველარასოდეს ვერ გავიგე. ან ვინ იყო? და მის მაგიერ სხვები ტრაბახობდნენ.“<sup>99</sup>

ვერა სიდამონიძის, სავარაუდოდ, აქვსენტიის დის დღემდე გამოუქვეყნებელი მოგონების მიხედვით, რომელიც ახალი და უახლესი ისტორიის არქივის ფონდებშია დაცული, მითითებულია, რომ თელავში პირველი „ნითელი რაზმი“ აქვსენტი სიდამონიძემ ჩამოაყალიბა. ვერა სიდამონიძე წერს, „აქვსენტიმ 1905 წელს კობასი“<sup>100</sup> და ვანო ალიხანაშვილის დავალებით შეადგინა ნითელი რაზმი.... მოკლა ბოქაული აპუშკინი, ოფიცერის გააზი.“<sup>101</sup>

ივანე პაატაშვილის მოგონებაში ოფიცერ გააზის მკვლელობა ასეა აღწერილი: „1905 წელს საჭირო იყო ჯარში მუშაობა. თელავში იდგა ბაშკადიკლარის რეზერვნი პოლკი.... პოლკში გაჩნდა შავრაზმელთა ჯგუფი ოფიცრების გააზის და პაულის მეთაურობით... გად-ანყდა შავრაზმელი ოფიცრების გააზის და პაულის მოკვლა. ტერორისტთა ჯგუფში მონაწილეობას იღებდა აქვსენტი სიდამონიძე, ჩემი კარგი მეგობარი. დამავალა დამენახვებინა ეს ოფიცრები და გადმომცა რა მიზნისთვის უნდოდა ეს. ესენი ხანდახან თელავის კლუბიდან ყაზარმაში მიდიოდნენ ღამე და გზაში უნდა მოეხდინათ ტერაქტი. 13 აგვისტოს 1906 წელს, როცა ეს ორი ოფიცერი, რომლებიც რუსულ წარმოდგენას უნდა დასწრებოდნენ უკან ბრუნდებოდნენ, მათ თეთრიანის ზემოთ უნდა დასხმოდნენ თავს. მოხდა ისე, რომ ეს ორი ოფიცერი წინ მიდიოდა 5-6 მეტრის მანძილზე. მე და ჩემი ორი დით უკან. ჩვენი ეზოს კარების წინ მოხდა თავდასხმა კუთხიდან. მისცეს ზალპი და გაიქცნენ. საპასუხოდ ამ ორმა ოფიცერმა ჩვენ დაგვიწყო სროლა. ერთი და თამარა ბარნოვისა (ქმარშვილიანი) მომიკლეს.“<sup>102</sup> მეორე ქეთევანი მძიმედ ორივე ფეხებში დაჭრეს და მე მსუბუქად მარჯვენა ფეხში.“<sup>103</sup>

აქვსენტი სიდამონიძის შესახებ თავის დღემდე გამოუქვეყნებელ მოგონებაში ქეთევან იაშვილიც წერს: „1905 წელს დაიწყო ტერორი. ერთ ტერორისტს ვიცნობდი აქვსენტი სიდამონიძეს. მან ბევრი დახოცა პარტიის დავალებით. იტყოდა ხოლმე „როდესაც დავაგვიანებ ტერორს სისხლი ისე მომანვება თითქოს ვიხრჩობიო... იგი გვეუბნებოდა პარტია რასაც დავავალეებს ჩვენი მოვალენი ვართ ავასრულოთ.“<sup>104</sup>

საინტერესოა, რომ ქეთევან იაშვილის სიტყვებით, პრისტავ აპუშკინის მოკვლა მისი ამხანაგისთვის, ლოლია ნანუკოვასათვის დაუვალებიათ, რომელიც იმ დროს 21 წლის ყოფილა. ქეთევან იაშვილი წერს, რომ ლოლიას დას უმეგობრია პრისტავ აპუშკინის ქალიშვილთან, ამიტომ ლოლია ნანუკოვას ეს არ გაუკეთებია და თავი მოუკლავს.“<sup>105</sup>

<sup>99</sup> მე შეგნებულად მოვიყვანე ეს ნაწყვეტი რევან გაბაშვილის მოგონებიდან, რათა მკითხველმა უკეთ გაიაზროს იმდროინდელი ვითარება თელავში

<sup>100</sup> იგულისხმება იოსებ ჯულაშვილი – სტალინი

<sup>101</sup> საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 2417, აღწერა 1, საქმე 364, გვ. 3-4

<sup>102</sup> თელავში ე.წ. ქართველების სასაფლაოზე თამარ ბარნოვას (პაატაშვილი) საფლავზე დღესაც დგას შესანიშნავი ქანდაკება წარწერით – „თამარა (თაფლო) ბარნოვისა, ასული დიმიტრი პაატაშვილისა, უდანაშაულო მსხვერპლი განმათავისუფლებელი მოძრაობისა

<sup>103</sup> შსსპა, ფონ. 93, აღ. 2, საქ. 712, გვ. 3-4

<sup>104</sup> ამის ნაკითხვისას უნებლიედ გახსენდება სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკური ფრთის მემკვიდრის კომუნისტური პარტიის „ღირსეული წარმომადგენლის“ „პროლეტკულტელი“ პოეტის კალე ფედოსიშვილის ლექსიდან ეს სიტყვები: „მე მოვკლავ დედას, დავახრჩობ მამას თუ რევოლუცია მიბრძანებს ამას...“

<sup>105</sup> ქეთევან იაშვილის გამოუქვეყნებელი მოგონებები, ხელნაწერი, დაცულია პროფესორ გიორგი ჯავახიშვილის ოჯახში, ქალაქ თელავში

აქვსენტი სიდამონიძის შესახებ ჩვენ სხვა მასალებიც მოგვეპოვება. არქივებმა არა მარტო მისი ტერორისტული საქმიანობის, არამედ მეგობრული და ნათესაური ურთიერთობების ამსახველი დოკუმენტებიც შემოინახეს. მაგალითად, მათი მიხედვით აქვსენტი სიდამონიძე ახლოს ყოფილა სოფელ გრემში მცხოვრებ ლოქაფოვების ოჯახთან, რომელიც ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით „იმ დროს რევოლუციონერების თავშესაფარს წარმოადგენდა. სხვა თელაველ რევოლუციონერებთან – მიხეილ მაყაყვი, გელოვანი, ძულიაშვილი, ეგოროვი და სხვებთან ერთად აქ ხშირად დაიარებოდა სიდამონიძეც, რომელიც ლოქაფოვების ოჯახის წევრზე იყო დანიშნული.“<sup>106</sup> სხვა მასალაში კი ნათქვამია, რომ „ლოქაფოვების ოჯახის ჩხრეკისას აღმოჩნდა ტერორისტ აქვსენტი სიდამონიძის – ცნობილის მეტსახელით „ნადირი“ ფოტო, ასევე სიდამონიძის მიერ გაგზავნილი ცხრა წერილი. ერთ-ერთში, რომელიც ჩვიდმეტ გვერდიანია და მისი საცოლისადმია მიწერილი, ბევრი რევოლუციური მოსაზრებებია.“<sup>107</sup>

არსებობს საარქივო მასალები, საიდანაც იკვეთება, რომ თელაველი ახალგაზრდები რევოლუციურ იდეებს აქტიურად თანაუგრძნობდნენ და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში თელავის ფარგლებს გარეთაც იყვნენ ჩაბმული. მაგალითად, 1908 წლის 11 ივლისით დათარიღებული თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის სახელზე გაგზავნილი, თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების უფროსის წერილიდან ირკვევა, რომ „თელავის მიძინების ტაძრის მღვდლის შვილი ეკატერინე ივანეს ასულ შიუკოვა რევოლუციურ იდეებს იზიარებდა.“ თელაველი 18 წლის თამარა ბალასანოვა 1908 წლის 18 ოქტომბრის ბაქოს გენერალ-გუბერნატორ კოზინცევის დადგენილების მიხედვით კი ეჭვმიტანილი იყო ბაქოს პოლიციის ზედამხედველზე თავდასხმაში. 1913 წლის სექტემბერში თელაველი 29 წლის ივანე პეპანიანცი, შემდგომში „ცნობილ“ ბოლშევიკ არკადი ელბაქიძესთან ერთად გემ „პეტრე“-ზე თავდასხმის გამო იყო დაპატიმრებული.<sup>108</sup> ამ შინარსის დოკუმენტები მასალები საკმაოდ ბევრია და მეტყველებს, რომ იმ დროს თელაველები ეპოქის „სუთქვას“ არ ჩამორჩებოდნენ.

### **სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის თელავის ადგილობრივი ორგანიზაცია**

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ქალაქ თელავში არსებული პოლიტიკური პარტიებიდან თავისი გავლენითა და რიცხოვრივი მარჯვენებლებით მეორე პარტია, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტია იყო.

თელავის მაზრაში მოქმედი ამ პარტიის აქტიური წევრები ძირითადად, „ეროვნულ ნიადაგზე“ მდგომი თელაველი მასწავლებლები, საზოგადო მოღვაწეები და თავადაზნაურობის წარმომადგენლები იყვნენ. საარქივო მასალებში, თელავში მოქმედი სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ხელმძღვანელად ილია აბრამის ძე ზარაფოვი – იგივე ზარაფიშვილი დასახელებული. გარდა ამისა, ამავე დოკუმენტის მიხედვით პარტიის ხელმძღვანელი პირები კონსტანტინე ყაზახოვი, თავადი ლევან ვახვახოვი და სხვები იყვნენ.<sup>109</sup>

თელავის მაზრის უფროსი ყარალოვი წერდა: „ჩემ მიერ შეგროვებული ცნობებით ილია აბრამის ძე ზარაფოვი სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას ეკუთვნის, რომლის იდეებ-

<sup>106</sup> ქეთევან იაშვილის გამოუქვეყნებელი მოგონებები, ხელნაწერი, დაცულია პროფესორ გიორგი ჯავახიშვილის ოჯახში, ქალაქ თელავში

<sup>107</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ. 61

<sup>108</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 44, გვ. 104; სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 157, გვ. 104; სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 259, გვ. 161

<sup>109</sup> სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 12081, გვ.25

შიც ძირითადად ნაციონალისტური მიზნებია“. ყარალოვის წერილიდან ირკვევა, რომ ილია ზარაფოვი (ზარაფიშვილი) 1906 წლის აგვისტოში იქნა დაპატიმრებული და თელავში ცხოვრება აეკრძალა. ენის კიბოთი დაავადებული ილია ზარაფოვი თელავში 1909 წელს დაბრუნებულა და 27 ოქტომბერს იგი კვლავ დაპატიმრეს. ყარალოვის სიტყვებით: „როგორც ჩანს მისი მეუღლე და ნათესავები „ჩაერივნენ“ და მიძიმედ დაავადებული ზარაფოვი გაანთავისუფლეს. ამის შემდეგ იგი თელავში ცხოვრობდა და განთავისუფლებიდან ერთ თვეში გარდაიცვალა.“<sup>110</sup>

საბჭოთა პერიოდში ივანე პაატაშვილის მიერ დაწერილი მოგონების მიხედვით: „1900-1905 წლებში თბილისიდან ჩამოსული პოლიტიკური მუშაკები მაშინდელ მოღვაწე მასწავლებელ ილია აბრამის ძე ზარაფიშვილთან (ნადიკვრელი) სახლში იკრიბებოდნენ.<sup>111</sup> 1906 წელს ილია ზარაფიშვილი გადაასახლეს. მეც ვიღებდი მონაწილეობას, ზარაფიშვილის ნამონაწერი ვიყავი და სოფლებიდან სანდო გლეხები მომყავდა.“<sup>112</sup>

1907 წლის 25 სექტემბერს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის თელავის ორგანიზაციის წევრებს თელავში პროკლამაციები გაუფრცვლებიათ. მასში სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნული იყო, რომ პარტია სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებს ბოიკოტს უცხადებდა.<sup>113</sup>

ქალაქ თელავში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის საქმიანობის შესახებ, საინტერესო მასალებია თავმოყრილი თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების აგენტის, აგენტურული მეტსახელით „სლუჩანინი“ – დიმიტრი სოფრომის ძე ჯაშის მიერ საიდუმლო პოლიციისათვის მიწოდებულ, 1910 წლით დათარიღებულ „აგენტურულ ცნობებში.“<sup>114</sup>

1910 წლის 17 იანვრით დათარიღებულ ერთ-ერთ „აგენტურულ ცნობაში“ ნათქვამია, რომ „სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის შიდა პარტიულ კონფერენციაზე გასული წლის დეკემბერში სხვადასხვა საკითხი განიხილეს, მათ შორის რაიონული კომიტეტების წევრების არჩევნები.“ პარტიის ადგილობრივ კომიტეტებს შორის დიმიტრი ჯაში გორის, სოხუმის, თელავის და სხვა ქალაქების კომიტეტებს ასახელებს.

როგორც ამ ინფორმაციიდან ირკვევა, 1909 წელს ჩატარებულ პარტიულ კონფერენციაზე სოციალისტ-ფედერალისტებს ე.წ. „მფრინავი იურიდიული განყოფილების“ შექმნის შესახებ საკითხი განუხილავთ. ამ პროექტის ავტორი თელავიდან ყოფილა, ვინმე აქვსენტი ნადირაძე.<sup>115</sup> კონფერენციის სხვა მონაწილეებს აღნიშნული საკითხის განხილვაზე უარი უთქვამთ, რის გამოც აქვსენტი ნადირაძეს წინადადება შეუტანია დეპუტატის მოვალეობიდან განთავისუფლების შესახებ, ასევე უთქვამს, რომ პარტიის რიგებიდანაც გადიოდა.<sup>116</sup>

<sup>110</sup> სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 12081, გვ. 24

<sup>111</sup> შსსპა, ფონ. 93, აღ. 2, საქ. 712, გვ. 5

<sup>112</sup> ერთ-ერთი საარქივო საქმის მასალებში, რომელიც ეხება თელავის მაზრაში რევოლუციურ მოძრაობას, დევს იმ პირთა სია, ვისაც საბჭოთა პერიოდში, 1930-იან წლებში, როგორც რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის მიმღებებს უარი ეთქვათ. ერთ-ერთი მათგანი ივანე პაატაშვილია, მეორე კი ხარება ჯიბუტის ძმა სიმონ ჯიბუტი – შსსპა, ფონ. 93, აღ. 2, საქ. 1124, გვ. 5-6

<sup>113</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 5869, გვ.101

<sup>114</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 42

<sup>115</sup> ეს გვარ-სახელი თითქოსდა ნამდვილია, მეორეს მხრივ კი თელავში და თელავის მაზრაში მოღვაწე სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრებს შორის აქვსენტი ნადირაძე არ შემხვედრია. შესაძლებელია ფევდონიძეა. ერთი ეგაა, რომ ეს სახელი და გვარი წააგავს 1907 წელს მოკლულ აქვსენტი სიღამონიძის სახელს და მეტსახელს. სიღამონიძის მეტსახელი „ნადირი“ იყო

<sup>116</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 42, გვ. 10

დიმიტრი ჯაშის მიერ მიწვდილ სხვა „აგენტურულ ცნობაში“, რომელიც 1910 წლის 22 იანვრით თარიღდება აღნიშნულია, რომ თბილისიდან თელავის მაზრაში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი საშა (ალექსანდრე) ვახვახოვი უნდა ჩასულიყო. ამ მასალის მიხედვით იგი თელავის მაზრის პოლიციის სამმართველოს თარჯიმანი ყოფილა.<sup>117</sup>

აღნიშნულ პერიოდში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის საქმიანობაზე თბილისის „ოხრანკის“ განყოფილებას აგენტურულ ცნობებს სხვა აგენტიც აწვდიდა – ივანე პოლიექტივოს ძე კარბელაშვილი, რომლის აგენტურული მეტსახელი „დვარიანინი“ იყო. ამ უკანასკნელის მიერ მიწვდილ აგენტურულ ცნობებში თელავში მოქმედი სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის აქტიურ წევრად ნიკოლოზ ზედელაშვილია დასახელებული, რომელიც აგენტ „დვარიანინის“ სიტყვებით: „ახლოსაა ტერორისტ პატარა ნიკასთან“. „დვარიანინის“ მიერ თბილისის „ოხრანკის“ განყოფილებისათვის მიწვდილი ინფორმაციის საფუძველზე ვიგებთ, რომ ამ დროს თელავის მაზრაში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მხოლოდ ერთი განყოფილება არსებობდა და ისიც ქალაქ თელავში. მას პარტიის თავმჯდომარედ (1910 წელი) დასახელებული ჰყავს ივანე პაატაშვილი.

საინტერესოაქალაქ თელავში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის საქმიანობის შესახებ აგენტ „დვარიანინის“ მიერ მიწვდილი სხვა ინფორმაციებიც. მაგალითად, ერთ-ერთ მათგანში იგი მიუთითებს, რომ თელავში მოქმედი პარტიის განყოფილება და სხვა პროვინციული განყოფილებები მიმართავენ სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ხელმძღვანელობას, „რადგანაც პარტიის საქმიანობის გასაგრძელებლად არაა საკმარისი თანხები აუცილებელია, რომ მათ სახაზინო დაწესებულებების ძარცვა და ასევე მდიდარი კახელებისათვის ფულის გამოძალვა დაიწყონ.“<sup>118</sup>

დასახელებული პარტიების გარდა, თელავში არსებობდა სხვა პარტიებიც. საარქივო მასალების მიხედვით თელავში მოქმედებდა სოციალისტ-რევოლუციური პარტია, რომლის აქტიურ წევრად ერთ-ერთ დოკუმენტში ილარიონ ყაზახოვი, კონსტანტინე ყაზახოვის ძმაა დასახელებული.<sup>119</sup> ილარიონ ყაზახოვზე, როგორც რევოლუციონერზე საუბარია სხვა საარქივო დოკუმენტებშიც,<sup>120</sup> თუმცა ქვემოთ მოყვანილ ერთ-ერთი საარქივო საქმის მასალებში, რომელიც ეხება თავად სულხან ვახვახოვის მკვლელობას, თელავის მაზრის უფროსის თანაშემწე თავადი ირაკლი ბარათოვი წერს, რომ მისი ინფორმაციით ილარიონ ყაზახოვი სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი იყო.<sup>121</sup>

### **სომხური ნაციონალისტური პარტია „დამნაკცუტუნის“ თელავის ადგილობრივი ორგანიზაცია**

ქალაქ თელავში ასევე არსებობდა, სოციალისტური იდეოლოგიით ნაწილობრივ „შეფერილი“, სომხური ნაციონალისტური პარტიის „დამნაკცუტუნის“ ადგილობრივი ორგანიზაცია. ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, ქალაქ თელავში 1907 წლის ზაფხულში მოუკლავთ ვინმე ეფრემ ახპატელოვი, რომელიც დოკუმენტის მიხედვით შესაძლებელია სოციალისტ-რევოლუციური პარტიის წევრი იყო. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ იგი

<sup>117</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 42, გვ. 38

<sup>118</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 42, გვ. 196

<sup>119</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 1143

<sup>120</sup> სსცა, ფონ. 156, აღ. 1, საქ. 124, გვ. 12

<sup>121</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 21



საკმაოდ პოპულარული პიროვნება ყოფილა. თუმცა, ამავე დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ ეს ადამიანი შესაძლებელია „დაშნაკცუტუნის“ პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის წევრი იყო. მასალაში აღნიშნულია, რომ მის დაკრძალვაზე 1600-მდე ადამიანი შეკრებილა.<sup>122</sup> აქვე ისიც მინდა მივუთითო, რომ რევოლუციონერ გიორგი ხელაშვილის ფონდში ეს პიროვნება როგორც მოკლული ტერორისტი ისე იხსენიება.<sup>123</sup>

საარქივო მასალების ანალიზიდან ირკვევა, რომ ქალაქ თელავში „დაშნაკცუტუნის“ პარტიის რიგებში ძირითადად ადგილობრივი სომხური მოსახლეობის შეძლებული და საშუალო ფენის წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებული. მათ შორის სომეხი სამღვდელოების შვილები, ასევე ერივნენ პროფესიით ექიმები და მასწავლებლები. როგორც ზემოთ აღვნიშნე, თელავის ღარიბი სომხური მოსახლეობის წარმომადგენელი ახალგაზრდები კი „დაშნაკცუტუნის“ პარტიას არ წყალობდნენ – ისინი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრთის ადგილობრივ ორგანიზაციებში იყვნენ გაერთიანებული.

მეფის ხელისუფლების ჩინოვნიკები ქალაქ თელავში „დაშნაკცუტუნის“ პარტიის წევრებს გარკვეულ მფარველობას უწევდნენ. ამის საილუსტრაციოდ მინდა მოვიყვანო, ანონიმური წერილი, სადაც თელავის მაზრის ექიმი თუმაჯანოვი „დაშნაკცუტუნის“ პარტიის აქტიურ წევრადაა დასახელებული. მასში ნათქვამია, რომ „თელავში თუმაჯანოვის ჩამოსვლის შემდეგ დასახელებულმა პარტიამ ღრმად გაიდგა ფესვები.“<sup>124</sup> თელავის მაზრის უფროსი ამ ანონიმური წერილის შინაარსის გაქარწყლებას ცდილობდა და თბილისის გუბერნატორს სწერდა: „თელავის მაზრის ექიმი თუმაჯანოვი უნაკლო ქცევისა და მორალური თვისებების მატარებელი პიროვნებაა, ასევე იგი პოლიტიკურად კეთილსაიმედოა. მაზრის მოსახლეობა მისი ყურადღებიანი და უანგარო (!?) დამოკიდებულების გამო საქმისადმი მას აღმერთებს.“<sup>125</sup>

ჩემი აზრით ეს შეფასება, საკმარისზე მეტად გადაჭარებული და მიკერძოებულია, რადგან იმ დროს მაზრის ექიმობა ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი და მატერიალურად „მომგებიანი“ საქმიანობა იყო. როგორც ვიცით, მეფის რუსეთის ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებს თანამდებობების ყიდვა-გაყიდვა, ქრთამის აღება „კანონის“ რანგში ჰქონდათ აყვანილი. შესაბამისად, მაზრებში ასეთი თანამდებობები არაოფიციალურად „იყიდებოდა“, ამიტომ, მოსახლეობისადმი თუმაჯანოვის „უანგარო დამოკიდებულება“ საფუძვლიან ეჭვს იწვევს. სავარაუდოდ, ასეთი დახასიათება მაზრის უფროსმა მას ზემოდასახელებული მიზეზის გამო მისცა.

„დაშნაკცუტუნის“ პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის წევრების თელავში საქმიანობის შესახებ აქ შევწყვეტ, რადგან იგი ამ გამოკვლევის მიზანს სცდება.<sup>126</sup>

აღსანიშნავია, რომ თელავში სხვა რევოლუციური პარტიების, მათ შორის „სოციალისტ-რევოლუციური პარტიის“ შესახებ საკმაოდ მწირი მასალებია შემორჩენილი.<sup>127</sup>

<sup>122</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 1012, გვ. 5

<sup>123</sup> შსსპა, ფონ. 2, აღ. 2(1), საქ. 26, გვ. 39

<sup>124</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 7205 გვ. 157

<sup>125</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 7205 გვ. 156

<sup>126</sup> ამ თემით დაინტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ არქივებში მასალები საკმაოდ მოიძიოთ. მით უმეტეს, რომ თელავში „დაშნაკცუტუნის“ პარტიის ადგილობრივი კომიტეტი თავის არსებობას, როგორც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პერიოდში, ასევე გარკვეულწილად საბჭოთა ხანაშიც აგრძელებდა

<sup>127</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 5557, გვ. 18

# თავი 3

## სტალინი, ტერორისტები და თელავი

### 3.1. რევოლუციური მოძრაობის უკიდურესი გამოვლინებები თელავში

ტერორი – ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა და მისი გამოვლენის სხვადასხვა სახეები ძალადობრივი აქტების სახით, ყველაზე მეტ დეზორგანიზაციას უკეთებს სახელმწიფოს სისტემას. 1905-1907 წლების რევოლუციის დროს სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდათ საქართველოში არსებულ პარტიებს, როდესაც აქტიურად მიმართეს მას.

1905 წლის 9 იანვრის შემდეგ ყველა რევოლუციურმა პარტიამ დაიწყო სოფლად, თავის ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის საწარმოებლად „წითელი რაზმების“ ჩამოყალიბება. სოციალ-დემოკრატებმა ამ საქმეშიც შეძლეს პირველობის შენარჩუნება.

1905 წლიდან ტერორისტულ თავდასხმებს უშუალოდ სოციალ-დემოკრატების პარტიული კომიტეტები ხელმძღვანელობდნენ. რევოლუციის წლებში, ქალაქად ტერორის განხორციელების მიზნით, სოციალ-დემოკრატების პარტიულ კომიტეტებთან შეიქმნა სამხედრო ორგანიზაციები. მისი წევრები ხელისუფლებასთან შეიარაღებულ ბრძოლას, წითელრაზმელების მსგავსად, ტერორისტული მეთოდების და ხერხების გამოყენებით აწარმოებდნენ.

ტერორისტები თავდასხმებს ძირითადად ხელისუფლების იმ წარმომადგენლებზე აწყობდნენ, ვისზეც იოლი იყო – არმიის, პოლიციის, „ოხრანკის“ დაბალ ჩინებზე, სამთავრობო დაწესებულებების ჩინოვნიკებზე, მამასახლისებზე, სასამართლოს გამომძიებლებსა და სხვა. ცხადია, მათ ისევე, როგორც კრიმინალებს არ სურდათ საკუთარი თავის აფიშირება და ტერორს ანხორციელებდნენ პრინციპით: დაარტყი და გაიქეცი.

1906 წლის აპრილში სტოკჰოლმში, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობის ჩატარების შემდეგ სოციალ-დემოკრატების ორივე ფრთამ ტერორის წარმოების საქმეშიც გააერთიანა თავისი საქმიანობა. მათის წითელრაზმელები ქალაქად თუ სოფლად მიზანმიმართულად მიმართავდნენ ტერორს, ადგილობრივი ადმინისტრაციის იმ წარმომადგენლების მიმართ, ვინც ხელისუფლებას ერთგულად ემსახურებოდა.

თვით, ეროვნული იდეოლოგიის მატარებელი სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მიერ ტერორი, როგორც მეფის ხელისუფლებასთან ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება, აქტიურად იყო გამოყენებული. ამ პარტიას ტერორის საწარმოებლად 1905-1907 წლებში შექმნილი ჰქონდა სამხედრო ორგანიზაცია, მაზრებში კი – „წითელი რაზმები“.<sup>1</sup> დასახელებული პარტიების გარდა ტერორს აქტიურად მიმართავდნენ სხვა, ნაკლებგავლენიანი პარტიები, მათ შორის ანარქისტები.

თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების აგენტურული მონაცემებით „1906 წელს ქალაქში მოქმედებდა კარგად ორგანიზებული და შეიარაღებული ანარქისტების, მძარცველებისა და შანტაჟისტების ბანდა, იგივე „ჯგუფისტების“ ორგანიზაცია“. სწორედ ასე არიან

<sup>1</sup> დიმიტრი, შველიძე, „პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში“ (ფედერალისტები) 1993, თბილისი, გვერდები 298-302

ისინი პოლიტიკური პოლიციის ოპერატიულ ინფორმაციაში მოხსენიებული. „ჯგუფისტები“ ძარცვებს, გამოძალავებს და მკვლელობებს სისტემატურად ჩადიოდნენ არა მარტო თბილისში, არამედ სხვა ქალაქებშიც. აგენტურული ინფორმაციის მიხედვით მას შემდეგ, რაც ეს ბანდა 1906 წლის თებერვალში სიღნაღის მაზრაში საყაჩაღოდ გამგზავრებულია, თბილისში ძარცვებისა და გამოძალავების ფაქტები მნიშვნელოვნად შემცირებულია.<sup>2</sup>

ცნობილი ბოლშევიკი ტერორისტ-ექსპროპრიატორის, ბაჭუა (სამუელ) კუპრაშვილის მოგონებებში ვკითხულობთ, რომ 1906 წელს მთელ საქართველოში არსებობდა რევოლუციონერთა პარტიზანული რაზმები – „თბილისში ეგრეთ წოდებული მთანმინდის ჯგუფი, ვერის ჯგუფი, ხარფუხის. იმერეთში მერკვილადის რაზმი, სამტრედია-ვანში წითელაშვილის, ქართლში გიორგი წერეთელის, თავუნას (პატარა გოგია), ფორია და სხვა.“

მისი სიტყვებით „სტალინის ინიციატივითა და განკარგულებით 1906 წლის პირველ ნახევარში კავკასიის ბოლშევიკთა ბიუროსთან შექმნილ იქნა ბოლშევიკური „სამხედრო ჯგუფი“ (ბოევია დრუჟინა), რომელსაც დაევალა აჯანყების შემდეგ ხალხში გაფანტული იარაღის მოკრება და მოვლა, ქალაქად და სოფლად იარაღქვემ გავარდნილი ხალხის პატრონობა, მათ პარტიზანულ მოქმედებაში რევოლუციონური ბოლშევიკური სისტემის შეტანა, მათგან საუკეთესოების გამორჩევა და ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან დაკავშირება.“<sup>3</sup>

ბოლშევიკების „სამხედრო ჯგუფს“, რომელსაც ხან „ბოლშევიკ-ექსპროპრიატორთა კლუბის“, ხან „დრუჟინის“, ხან „ჯგუფის“, ხან კი „შეიარაღებულების“ სახელით იხსენიებდნენ, ასევე ევალებოდა „ციხეებში დაპატიმრებული ბოლშევიკების გამოქცევის მოწყობა, იარაღის გატაცება, სახაზინო ფულის ექსპროპრიაცია და სხვა.“<sup>4</sup>

ბაჭუა კუპრაშვილი წერს, რომ „შეისწავლეს ყველა ქალაქსა თუ სოფლად მოქმედი მოანარქისტო ჯგუფების შემადგენლობა, თანახმად დირექტივის ამ ჯგუფებიდან უნდა გამოგვეყვანა საუკეთესოები... თბილისის მოქმედი მოანარქისტო ჯგუფებიდან ყველაზე უფრო ძლიერი იყო მთანმინდის ჯგუფი, შემდეგ ვერის, მთანმინდის ჯგუფიდან გადმოვიყვანეთ დათიკო ჭიაბერაშვილი, არკადი ელბაქიძე (აგორდია), სამსონ ტომარაძე და ჩიქოვანი.“<sup>5</sup>

ჩემს ხელთ არსებული სხვადასხვა მასალები პირდაპირ ადასტურებენ ბოლშევიკების მიერ „გადაბირებული“ „მთანმინდის ჯგუფის“, იგივე „ჯგუფისტების“ წევრების ახლო ურთიერთობას ბოლშევიკ-ექსპროპრიატორ ბაჭუა კუპრაშვილთან, კამოსთან (ტერ-პეტროსიანი) და სხვებთან. მაგალითად, კახეთში „მოღვანე“ ძველი რევოლუციონერის კოტე გურგენიშვილის მოგონების მიხედვით, 1906 წლის 12 იანვარს „საშა ობოლაძე, დათიკო ჭიაბრიშვილი, არკადი ელბაქიძე, კამო, ილიკო იმერლიშვილი, ვასო ფარესიშვილი, თარაშვილი, დიმიტრი ბაცანკალიშვილი წავიდნენ კახეთში ქართლ-კახეთის გაერთიანებულ წითელ რაზმელთა უფროს ხუნხუზ ვანო გურულთან<sup>6</sup> მოსალაპარაკებლად.“<sup>7</sup>

თავის მხრივ, კახელ „წითელ რაზმელებსა“ და „მთანმინდის ჯგუფის“ წევრების მჭიდრო კავშირს 1905-1907 წლებში კახეთში „მოღვანე“ ზემოდასახელებული რევოლუციონერ-ტერორისტის ვანო მაისურაძის (ტურა) მოგონება ადასტურებს. იგი წერს, რომ

<sup>2</sup> სსცა, ფონ. 95, აღ. 1, საქ. 13, გვ. 2

<sup>3</sup> შსსპა, ფონ. 8, აღ. 2(1), საქ. 25, გვ. 52

<sup>4</sup> Simon Sebag Montefiore, `Yong Stalin~, 2008, Vintage Books, New York, Page 151

<sup>5</sup> შსსპა, ფონ. 8, აღ. 2(1), საქ. 25, გვ. 69

<sup>6</sup> ვანო გურული – იგივე ვანო ალიხანაშვილი

<sup>7</sup> შსსპა, ფონ. 93, აღ. 2, საქ. 376, გვ. 3

კახელი წითელრაზმელები იარაღს იღებდნენ „მთანმინდიდან ავალიანის ჯგუფის მიერ წართმეულს გორადავოებისგან.“<sup>8</sup> ვანო მაისურაძე ასევე აღნიშნავს, რომ კახეთში „ჯგუფისტებთან“ ერთად ჩადენილი ერთ-ერთი ექსპროპრიაციისას გატაცებული ფულით მათ იარაღი შეიძინეს, რომელიც მთანმინდაზე „ჯგუფისტების“ იგივე – „მთანმინდის ჯგუფის“ კუთვნილ იარაღთან ერთად გადამალეს. მაისურაძის ცნობით „ამ თავდასხმაში მონაწილეობდნენ: კ. ლორთქიფანიძე, ვ. მაისურაძე (ტურა), იმერლიშვილი, ქორიძე, ელბაქიძე, მამაცაშვილები, ბუჩაშვილი, ჭიკჭიკელაშვილი“.<sup>9</sup>

როგორც ჩანს, სწორედ „მთანმინდის ჯგუფს“ გულისხმობდა ალექსანდრე (საშა) ობოლაძე, რომელიც 1922 წლის 13 ოქტომბერს რევოლუციური მოძრაობის შესახებ თავის მოგონებაში წერდა – „იმის გამო, რომ ჩვენი ფრაქცია მაშინ მენშევიკებთან ერთად მუშაობდა, მე არ დავემორჩილე განიარაღებას და ცალკე ჯგუფი შევქმენი... ჯგუფს გააჩნდა საკუთარი სტამბა და თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული 60 კაცი ჰყავდა. ჩვენს ჯგუფში მუშაობდა ამხანაგი დათო ჭიაბეროვი. თვითონ კობა – სტალინი გვიჭერდა მხარს. ერთ-ერთ კონფერენციაზე მან შეიტანა რეზოლუცია ჩვენი უკან მიღების შესახებ.“<sup>10</sup>

ამრიგად, სწორედ კახეთში და როგორც საარქივო მასალების ანალიზი გვიჩვენებს, კონკრეტულად ქალაქ თელავში მოქმედებდა „მთანმინდის ჯგუფთან“, იგივე „ჯგუფისტებთან“ კავშირში მყოფი ორგანიზაცია, რომელიც „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ჯგუფისტების თელავის ორგანიზაციის“ სახელწოდებით იყო ცნობილი.

### 3.2. სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი „ჯგუფისტები“ თელავში

საარქივო მასალების მიხედვით, კახეთში მოქმედი ცნობილი „წითელ რაზმელები“ და თბილისელ „ჯგუფისტებთან“ დაკავშირებული პირები იყვნენ: აქვსენტი სიდამონიძე, ხარება ჯიბუტი, გოგია კენკიშვილი, სოლია (სოლკა) ბინკინაშვილი, ზალიკო სვიმონიშვილი, გიორგი ბერძენიშვილი (ჟორჟიკა), ვანო მაისურაძე (ტურა), კოტე გურგენიშვილი და სხვები.

კოტე გურგენიშვილის დღემდე გამოუქვეყნებელ მოგონებაში ვკითხულობთ: „1905 წლის ოქტომბრის დამლევის, ამხანაგ სტალინის დავალებით მოხდა თბილისის გუბერნიის ყველა წითელი რაზმის გაერთიანება, სადაც არჩეულ იქნა შტაბი. ამ შტაბს დაერქვა ქართლ-კახეთის გაერთიანებული წითელ რაზმელთა შტაბი. ამ შტაბის უფროსად ხელმეორედ არჩეულ იქნა ამხ. ვანო ალიხანაშვილი (ვანო გურული, ხუნხუზა), შტაბში თელავის მაზრიდან შეყვანილ იქნენ აქვსენტი სიდამონიძე და სანდრო ყაველაშვილი, გორის მაზრიდან ვანო ქრისტესიაშვილი და გიორგი მაჩაბელი, სიღნაღის მაზრიდან ნიკო ქადაგიშვილი, დუშეთის მაზრიდან ილიკო იმერლიშვილი.“<sup>11</sup>

სხვადასხვა საარქივო ფონდებში არსებულ მასალებში პირდაპირაა აღნიშნული, რომ თელავის მაზრასა და ქალაქ თელავში აღნიშნულ პერიოდში ყველაზე „აქტიურად“ სწორედ

<sup>8</sup> შსსპა, ფონ. 93, აღ. 2, საქ. 555, გვ. 4

<sup>9</sup> ირიბად „მთანმინდის ჯგუფის“ მიერ იარაღის საწყობის ქონას ადასტურებს რევაზ გაბაშვილის მოგონებაში არსებული მცირე ქვეთავის „ავალიანი და სხ.“ შინაარსი, რევაზ, გაბაშვილი; ვალოდია, გოგუაძე, მოგონებები, 1992, გამომცემლობა „გულანი“, თბილისი, გვერდი 57-59

<sup>10</sup> შსსპა, ფონ. 93, აღ. 2, საქ. 704, გვ. 1-2

<sup>11</sup> შსსპა, ფონ. 8, აღ. 2(1), საქ. 11, გვ.97-100

ქართლ-კახეთის გაერთიანებულ წითელ რაზმელთა შტაბთან დაკავშირებული ტერორისტები და კერძოდ – „ჯგუფისტები“ მოქმედებდნენ. დოკუმენტების მიხედვით, 1906 წელს თელავში „ჯგუფისტების ტერორისტული ბანდის წევრი“ იყო თელავის სასამართლო განყოფილების მდივნის ყოფილი თანაშემწე გიორგი მიხეილის ძე აბულაძე.<sup>12</sup> ინფორმაცია, რომ აბულაძე მონაწილეობდა ფოსტის ძარცვაში, იყო ჯგუფისტი-ტერორისტი და რევოლუციური მიზნებისათვის აგროვებდა იარაღს, სხვა მასალაშიც მეორდება.<sup>13</sup> 1907 წლის თებერვალით დათარიღებული დოკუმენტის მიხედვით თელავში „ჯგუფისტების“ ტერორისტული ორგანიზაციის წევრი დათიკო სიმონის ძე კურდღელაშვილი იყო, რომელიც მოსახლეობიდან ფულის გამოძალვას აქტიურად ეწეოდა.<sup>14</sup>

თელავის მაზრის მდგომარეობის შესახებ მაზრის უფროსის მიერ დაწერილ 1907 წლის წლიურ ანგარიშში მითითებულია, რომ ქალაქ თელავში 1905-1906 წლებში რევოლუციური მოძრაობის დროს სისტემატურად ხდებოდა ძარცვა, ყაჩაღობა და ტერორისტული აქტები, რომლებსაც ძირითადად სწორედ „ჯგუფისტები“ ჩადიოდნენ.<sup>15</sup> აქვე აღნიშნულია, რომ „მაზრის მდგომარეობის ამსახველ გასული წლის ანგარიშში (1906) მართალია ნათქვამია, რომ „ჯგუფისტებთან“ დაკავშირებით სიტუაცია უკეთესობისკენაა შეცვლილი, მაგრამ საქმე მთლად კარგად არაა. არა მხოლოდ მიხეილ ჟღენტი, მიხეილ მაყაევი, ალექსანდრე მათიკოვი არიან „ჯგუფისტების“ ლიდერები არამედ სხვებიც. „ჯგუფისტების“ ორგანიზაციის ბევრი წევრი დაჭერილია – ძულიაშვილი, ეგოროვი, ბერძენოვი, ცინცაძე, ზურაბოვი, ყაველაშვილი, მოძღვრიშვილი, ინაევი, მურადაშვილი, ცინხისთავი. „ჯგუფისტების“ ორგანიზაცია მართალია შესუსტდა, მაგრამ ის, რომ ტერორისტული აქტების ჩადენაში დამნაშავე ყველა პირი არაა დაპატიმრებული ჩანს იქიდანაც, რომ 1906 წელს მკვლევლობები და ძარცვები არ შემცირდა და თელავის მაზრაში სამხედრო მდგომარეობის მოხსნის შემდეგ „ჯგუფისტების“ შემცირებული რაოდენობა გაათმავდა და შესაძლებელია, ახალი მსხვილი ბანდა ჩამოყალიბდეს.“<sup>16</sup>

„ჯგუფისტების“ ოპერირების ადგილებად ქალაქი თელავი და მისი მიმდებარე სოფლები – ვარდისუბანი, კურდღელაური, გულგულაა დასახელებული. მასალაში ჩამოთვლილია „ჯგუფისტების“ მიერ ჩადენილი მკვლევლობები და განხორციელებული თავდასხმები – პოლიციის აგენტ ჯოხარაძის, ბაშკადიკლარის სარეზერვო ბატალიონის რიგითი ჯარისკაცის, უმცროსი ცხენოსანი „სტრაჟნიკ“ თათულიშვილის მკვლევლობები. ასევე მითითებულია ქალაქის ყოფილ „გოროდოვოი“ მიხეილ ტერტეროვზე, თელაველ ვაჭარ იოსებ იარალოვზე, მაზრის ყოფილ უფროს ანტონოვზე, თელავის „მიროვოი ატდელის“ მდივან ბარსკიზე, მემამულე ოჭარენკოზე და სხვებზე განხორციელებული თავდასხმები.<sup>17</sup> მოხსენების ავტორები ხაზს უსვამენ, რომ „ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა ვერც ერთი „ჯგუფისტის“ „დააგენტურება“, ანუ გადაბირება, რაც ხელს უშლის მათ წინააღმდეგ ბრძოლა-

<sup>12</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 21, საქ. 167, გვ. 3-5

<sup>13</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 5869, გვ. 26

<sup>14</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 5869, გვ. 8

<sup>15</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 6341, გვ. 33

<sup>16</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 6341, გვ. 33-34

<sup>17</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 6341, გვ. 34

სო.“როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემს მიერ მოძიებულ ზემონახსენებ ერთ-ერთ ანონიმურ წერილშიც საუბარია ქალაქ თელავში „ჯგუფისტების“ აქტიურ „მოღვაწეობაზე.“<sup>18</sup>

ამრიგად, 1905-1907 წლების რევოლუციის დროს და შემდგომ წლებშიც თელავში, როგორც ხელისუფლების, ასევე მოსახლეობისათვის „ჯგუფისტების“ აქტიურობა საყოველთაოდ იყო ცნობილი.

თელავში „ჯგუფისტები“ საკმაოდ აქტიურად მოქმედებდნენ 1907-1908 წლებშიც. 1908 წლის ნოემბერით დათარიღებულ თელავის მაზრის უფროსის მოხსენებაში თბილისის გუბერნატორისასდმი ვკითხულობთ – „თელავში რევოლუციური მოძრაობის წამმართველი თელავის კოლექტივია, რომელიც შედგება თელაველი ივანე ცინცაძის (მეტსახელი – ღორი კრეჭიას ბიჭი), ტიგრან ნარიმანოვის, ბუღდან ეგოროვის, თაზო ერმილეს ძე სვიმონოვის, ბაგრატ ვანელის, გრიგორ ბუიშვილის, მიხეილ ამონაშვილის, ტატო დიასამიძის, გრიგოლ ფირანაშვილის, ბაგრატ სტეპანოვის, გიორგი კურდღელოვის, სარქის ყაზახოვის, ანისიმე და გრიგოლ ჩიკვაძეების, სავვა ჩიდრაშვილისა და ივანე ჯავახიშვილისგან.“

ამავე მოხსენების მიხედვით „თელავის მაზრაში ორი მოქმედი ბანდა იყო: 1. პირველი ჯგუფი, ტერორისტების ხარებასა და გოგიას ხელმძღვანელობით. მასში შედიოდნენ ზალიკო სვიმონიშვილი. თელავის მცხოვრები არშაკ არუთინოვი (მეტსახელი – ბეგიას ბიჭი), სოფელ კურდღელაურის მცხოვრები ალექსანდრე სუხიტაშვილი (მეტსახელი – პეტუშოკ), მიხეილ მაყაევი 2. მეორე ჯგუფი - „შანტაჟისტების შაიკა“, რომელიც ოპერირებული იყო თელავის მაზრაში და წარმოადგენდა იმ ბანდის ნარჩენებს, რომელიც ფიგურირებდა თელაველი ვაჭრების იარაღოვის და სისოევის გატაცებაში.“<sup>19</sup> ამავე ბანდის წევრად იხსენიება გიორგი ბერძენიშვილიც, იგივე „ჟორჟიკა“.

საარქივო მასალაში ნახსენებია ვინმე არონ ბარძიმაშვილიც, რომელიც „თავს ეძახდა სოციალ-დემოკრატს, ხან „ჯგუფისტების“ პარტიის წარმომადგენელს და თელაველ შეძლებულ მოქალაქეებს ფულის მოთხოვნის შინაარსიან წერილებს, ზედ დარტყმული ბეჭდით „ჯგუფი ანარქისტი კომუნისტების“ უგზავნიდა.“<sup>19</sup> არონ ბარძიმაშვილი ნახსენებია სხვა საარქივო საქმეში, როგორც სოფელ გრემის მცხოვრები და სოციალისტ-რევოლუციური პარტიის წევრი, რომელიც თანასოფელელ გლეხებს მემამულეების მიწების ხელში ჩაგდებასკენ მოუწოდებდა.<sup>20</sup>

ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით კი თელავის მცხოვრები, ვინმე ფირუზ გიორგელაშვილი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის და კერძოდ „ჯგუფისტების“ ლიდერი<sup>21</sup> და პარტიის მოსამართლე ყოფილა.<sup>22</sup> სხვა საარქივო საქმეში ნათქვამია, რომ სოფელ კურდღელაუ-

<sup>18</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 5557, გვ. 14

<sup>19</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ. 61

<sup>20</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 5869, გვ. 167

<sup>21</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ. 65

<sup>22</sup> ზემოაღნიშნულ იმ პირთა სიაში, ვისაც საბჭოთა პერიოდში – 1930-იან წლებში უარი ეთქვათ, როგორც რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის მიმღებებს ფირუზ გიორგელაშვილიცაა დასახელებული – შსსპა, ფონ. 93, აღ. 2, საქ. 1124, გვ. 6

რის მცხოვრები თეოდორ, იგივე ფირუზ გიორგელაშვილი, კოლექტივისტია<sup>23</sup> არის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკების, იგივე ჯგუფისტების წევრი.<sup>24</sup>

აღსანიშნავია, რომ ამავე „ტიტულით“ – „სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოსამართლე“, ქალაქ თელავში „მოღვაწე“ კიდევ ერთი რევოლუციონერი „სარგებლობდა“ – სოსია, იგივე სოლკა ბინკინაშვილი, რომელიც 1906-1907 წლებში „სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტის უფროსი“ ყოფილა.<sup>25</sup> ეს უკანასკნელი, როგორც პროფესიით კასრების ხელოსანი იხსენიება სხვა საარქივო საქმეებში.<sup>26</sup> ერთ-ერთ დოკუმენტში იგი, როგორც „ბევრი მკვლელობის მონაწილე კასრების ხელოსანი და ტერორისტი“ არის მოხსენიებული. თელავის მაზრის უფროსის წერილში, რომელიც 1910 წლის 28 ივნისითაა დათარიღებული ვკითხულობთ: „ცნობილი ტერორისტი რუსეთის სოციალ დემოკრატიული პარტიის თბილისის კომიტეტის თელავის ორგანიზაციის სოსია ბინკინაშვილი, თბილისში სხვისი პასპორტით დაიჭირეს და გაუშვეს, იგი არის კასრების ხელოსანი. თელავის მაზრიდან ორი წლის წინ მიიმალა“. ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელსაც თბილისის სამძებრო პოლიციის განყოფილების უფროსი 1910 წლის ივნისში უგზავნის თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსს სოლკა, იგივე სოლია ბინკინაშვილის შესახებ აღნიშნულია, რომ იგი „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტის თელავის ორგანიზაციის მსხვილი მოღვაწე და ცნობილი ტერორისტი იყო“.<sup>27</sup>

ამ წლებში „ჯგუფისტების“ წევრებად ასევე დასახელებული არიან კახეთში მოქმედი ცნობილი ტერორისტები ხარება ჯიბუტი, გოგია კენკიშვილი, ზალიკო სვიმონიშვილი და სხვები. თუმცა, როგორც მასალების ანალიზიდან ჩანს ეს ადამიანები 1908 წლიდან „ჯგუფისტების“ ორგანიზაციის დაშლის შემდეგ, თელავის მაზრას რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ტერორისტებად მოეწოდებინ. ვფიქრობ პარტიული კუთვნილება მათ „პოლიტიკურ ორიენტაციაში“ ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს თამაშობდა, რადგან უკვე 1909 წლის 5 ივნისს თელავის მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი ბარათოვი წერდა – „ხარება და გოგია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ტერორისტები არიანო.“<sup>28</sup>

იმავე წლით დათარიღებულ სხვა მასალაში კი ნათქვამია „ზალიკო სვიმონიშვილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრია და პარტიის მიერ გამოტანილ განაჩენებს ასრულებს – ანხორციელებს ტერორისტულ აქტებს.“<sup>29</sup>

<sup>23</sup> სიტყვა კოლექტივისტის მნიშვნელობა გაშიფრულია თვით თავად ბარათოვის მიერ ერთ-ერთ დოკუმენტში. იგი ჩამოთვლის თელაველ „ჯგუფისტებს“ და მათ ნაწილზე ამბობს რომ „ესენი არიან კოლექტივისტები სოციალ-დემოკრატიული პარტიის, ანუ მთავარი წამმართველები“ – სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ. 65

<sup>24</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 14

<sup>25</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 7217, გვ. 11

<sup>26</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ. 57

<sup>27</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 2, საქ. 634 გვ. 28

<sup>28</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 1582, გვ. 4

<sup>29</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 27, საქ. 726, გვ. 30

### 3.3. სტალინი და თელავი

ახლად მოძიებული სხვა დოკუმენტების მიხედვით იოსებ ჯუღაშვილი – სტალინი 1906 წლის იანვარში კახეთში, კერძოდ თელავში იმყოფებოდა. ეს ის პერიოდია, როდესაც ახალგაზრდა სტალინი ორგანიზებას უწევდა თბილისის გუბერნიაში მოქმედი „წითელი რაზმების“ საქმიანობას. სტალინის ოფიციალურ ბიოგრაფიებში მისი კახეთში ყოფნის ფაქტი არსად არაა აღნიშნული.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, აღმოსავლეთ საქართველოში – კახეთში აქტიურად მოქმედებდნენ ე.წ. „წითელი რაზმები“, რომლებიც იყვნენ სხვადასხვა რევოლუციური პარტიის, მათ შორის, სოციალ-დემოკრატების გავლენის ქვეშ და აქტიურად ეწეოდნენ ტერორისტულ და ექსპროპრიაციულ საქმიანობას.

რევოლუციონერი კოტე გურგენიშვილი თავის მოგონებაში აღნიშნავს ასეთ ფაქტს: „1906 წლის 6 იანვარს ველისციხის კონფერენციაზე სტალინს თან მოყვნენ ალიხანაშვილი, მიშა ჟღენტი, აქვსენტი სიდამონიძე, გიორგი აივაზოვი. თელავში კრება სანდრო სუხიტაშვილის<sup>30</sup> სახლში გაიმართა.“<sup>31</sup>

მართლაც, სხვადასხვა საარქივო მასალების ანალიზიდან ირკვევა, რომ პროვინციებში ტერორისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და რევოლუციური აგიტაციის წარმოების მიზნით იოსებ ჯუღაშვილი 1906 წლის იანვარში აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე სოფლებში და ქალაქ თელავშიც ჩასულა.<sup>32</sup>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული არქივის ფონდებში დაცულია ქალაქ თელავის მაცხოვრებლების, ძველი რევოლუციონერების დღემდე გამოუქვეყნებელი მოგონებები. ისინი ეხება 1906 წლის დასაწყისში ქალაქ თელავში და მის მეზობლად მდებარე სოფლებში იოსებ ჯუღაშვილის (სტალინი) ყოფნას.

ერთ-ერთ ასეთ დღემდე გამოუქვეყნებელ დოკუმენტში, რომელიც ეკუთვნის თელავის მაზრის სოფელ იყალთოს მცხოვრებ ნიკოლოზ ზაქროს ძე ზამუკაშვილს, აღწერილია იოსებ ჯუღაშვილის მონაწილეობა თელავის მაზრის სოფელ ოსიაურში გამართულ მიტინგზე: „ამხანაგი კობა მიტინგზე შეეხო თვითმპყრობელობის რეპრესია-რეაქციას და შავი რაზმების მოქმედებას. მწვავედ დასვა საკითხი წითელი რაზმების შექმნისა და მათი ხელმძღვანელების გამოყოფის შესახებ. და მართლაც, მიტინგის დამთავრებისთანავე გამოყოფილ იქნენ თელავისა და სიღნაღის მაზრის წითელი რაზმების ხელმძღვანელები.“<sup>33</sup>

სხვა დოკუმენტში კი, რომლის ავტორებიც არიან ქალაქ თელავის მცხოვრებნი, ნათქვამია: „იოსებ ჯუღაშვილი თელავში 1906 წლის გაზაფხულზე ჩამოვიდა და რამდენადაც გვახსოვს ამხანაგი კობა თელავში დარჩა ორ თვეზე მეტ ხანს. იგი უფრო მეტად ღამეებს ჩხუბიანაშვილის ქალებთან ათევდა, ხან კი ამხანაგ ალექსა ყარაულაშვილთან და სხვებთან. ამხანაგი კობა მუდმივად თელავში არ იყო. იგი ხშირად... ხარება ჯიბუტთან, ბინკინაშვილ სოლიასთან ერთად დადიოდა თელავის მაზრის სხვადასხვა სოფლებში, სადაც ინვევდნენ გლეხთა არალეგალურ კრებებსა და მიტინგებს... ამხანაგ კობას ხელმძღვანე-

<sup>30</sup> ჩანს საუბარია ხარება ჯიბუტის და გოგია კენკიშვილის თანამებრძოლ, ზემოთ უკვე რამოდენიმეჯერ ნახსენებ ალექსანდრე, იგივე სანდრო სუხიტაშვილზე

<sup>31</sup> შსსპა, ფონ. 8, აღ. 2, ნაწ. 1, საქ. 11, გვ. 97-100

<sup>32</sup> შსსპა, ფ. 8, აღ. 2, ნაწ. 1, საქ. 310, გვ. 307; შსსპა, ფ. 8, აღ. 2, ნაწ. 1, საქ. 17, გვ. 38-82

<sup>33</sup> შსსპა, ფ. 8, აღ. 6, საქ. 17, გვ. 38-40



ლობით თავად-აზნაურთა შავი რაზმების სანინაალმდეგოდ შედგა წითელი რაზმი თელავში. რაზმის ხელმძღვანელად გამოყოფილ იქნენ ალექსა ყარაულაშვილი, ხარება ჯიბუტი, სოლია ბინკინაშვილი, მელიტონა, აქვსენტი სიღამონიძე და სხვები. წითელ რაზმებს მოუხდათ შეტაკება შავ რაზმებთან.<sup>34</sup>

ერთ-ერთი დღემდე გამოუქვეყნებელი მოგონების მიხედვით, რომლის ავტორი ეკატერინე აფშინაიძეა, 1906 წელს იოსებ ჯულაშვილი ქალაქ თელავში მასწავლებელ ილია ზარაფიშვილის ოჯახს სტუმრობდა. ეკატერინე აფშინაიძე წერს, რომ იგი თელავში ილია ზარაფიშვილის სახლში, როგორც ზარაფიშვილის ნაშვილები ისე იზრდებოდა. მისი სიტყვებით, „ილია ზარაფიშვილს ჰყავდა ძმისწული ქეთო ზარაფიშვილი... მასწავლებელი ქალი, რომელიც იყო აქტიური სოციალ-დემოკრატი.“<sup>35</sup> ეკატერინე აფშინაიძე მასთან საკმაოდ დაახლოებული ყოფილა და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა, იგი ქეთო ზარაფიშვილს იარაღის ტყვიებსაც კი უნახავდა თურმე?!

ეკატერინე აფშინაიძის სიტყვებით, ილია ზარაფიშვილთან სახლში პირადად უნახავს კობა ჯულაშვილი, რომელსაც იქ ღამე გაუთევია. მასზე ილია ზარაფიშვილს უთქვამს, რომ ძალიან კარგი ადამიანიაო. აფშინაიძის დახასიათებით ზარაფიშვილთან სახლში მის მიერ ნანახი პიროვნება ყოფილა „შავგვრემანი, ჩოფურა სახის კაცი.“ ამ პირის ვინაობა შესახებ კი გაუგია ქეთო ზარაფიშვილისგან, რომელსაც უთქვამს „ეს ჯულაშვილი არის, კობას რომ უძახიანო... დასავლეთ საქართველოდან მოვიდაო.“<sup>36</sup> აფშინაიძის მოგონების მიხედვით თელავში იმ დღეს „დილით მიტინგი ყოფილა მუხიანში. ეს ამბავი მოხდა შუა გაზაფხულზე.“ მასალების ანალიზიდან გამომდინარე საუბარია 1906 წლის გაზაფხულზე, თელავის მახლობლად ე.წ. „მუხიანში“, მიტინგის ჩატარებისა და მასზე სტალინის დასწრების შესახებ.

ზემონახსენებ სოსო აივაზოვის ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ: „1906 წლის იანვარში (რიცხვი არ მახსოვს) კობა (იოსებ სტალინი) მოდიოდა თბილისიდან გურჯაანში კონფერენციებზე, რადგან იმას დასდევდა პოლიცია დასაჭერად – ვერ დაესწრო კონფერენციას, ამოვიდა თელავში. ჩემმა ძმამ გიორგიმ და ვანო ალიხანაშვილმა (ხუნხუზა) მოიყვანეს ჩვენსა, საიდანაც გავაპარეთ თბილისში.“<sup>37</sup> მისი სიტყვებით „ველისციხის კონფერენციის გადანყვეტილების თანახმად თელავში დაარსდა სამაზრო შეიარაღებული რაზმები ამხ. ხუნხუზის, მ. ჟღენტის და ა. სიღამონიძის ხელმძღვანელობით.“<sup>38</sup>

გარდა ამისა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე საარქივო მასალებში შემორჩენილია სოსო აივაზოვის დედის – დარია დიმიტრის ასულ აივაზოვი-ჩხუბიანაშვილის ავტობიოგრაფია, სადაც იგი მისი ოჯახის წევრებს, მათ შორის ქალიშვილებს რევოლუციონერებად ახასიათებს.<sup>39</sup> თელაველების მიერ დაწერილ ზემონახსენებ ერთ-ერთ მოგონებაში იოსებ ჯულაშვილის (სტალინი) თელავში ყოფნის შესახებ კი, ნათქვამია, რომ თელავში ჩამოსული სტალინი ღამეს ათევდა ჩხუბიანაშვილების ქალებთან. შესაძლებელია მათში სწორედ დარია აივაზოვი-ჩხუბიანაშვილის ოჯახი იგულისხმება.

<sup>34</sup> შსსპა, ფ. 8, აღ. 6, საქ. 17, გვ. 41-42

<sup>35</sup> შსსპა. ფონდი 8. აღწერა 2(1). საქმე 3, გვ. 273

<sup>36</sup> შსსპა. ფონდი 8. აღწერა 2(1). საქმე 3, გვ. 274

<sup>37</sup> შსსპა, ფ. 93, აღ. 2, საქ. 11, გვ. 6

<sup>38</sup> შსსპა, ფ. 93, აღ. 2, საქ. 11, გვ. 7

<sup>39</sup> შსსპა, ფ. 93, აღ. 2, საქ. 9

1945 წლის იანვარში დანერგილი თელავის მაზრის სოფელ კურდღელაურის მკვიდრის, ვანო დიმიტრის ძე ებელაშვილის დღემდე გამოუქვეყნებელ მოგონებაში ვკითხულობთ, რომ იგი „ესწრებოდა კრებას სოფელ ოსიაურში, სადაც სიტყვით გამოვიდა კობა“. აღნიშნული პიროვნება ასევე დასწრებია „კრებას თვითმპყრობილების წინააღმდეგ“ თელავის მახლობლად, ძველ შუამთაში, სადაც კვლავ გამოსულა „კობა“ სიტყვით.<sup>40</sup>

ზემონახსენებ ნიკო ზამუკაშვილის სიტყვებით „სოფლებში მოდიოდნენ როგორც თელაველი ასევე, ისე თბილისელი ორატორები – თელავიდან მოდიოდა ვასო რაზმაძე, ნასყიდა თანდილაშვილი, ექიმი ხირსელი, თბილისიდან ჩამოდიოდა ხოლმე ორატორი ქოროლლი. იმართებოდა გლეხთა მიტინგები. 1906 წელში მიტინგი მოეწყო მაზრის მაშტაბით თელავის მთაში, მანანარაზე – მუხიანში. ე.ი. ზასტაოზე, აჩინებულში და სხვაგან... ამხანაგი კობა რამდენიმე ხნის შემდეგ ხელმეორედ ჩამოვიდა თელავში... შევედით დათიკო კოჭლამაზაშვილის ოთახში და იქ ვნახე ამხანაგი კობა.“<sup>41</sup>

ქალაქ თელავში იოსებ ჯუღაშვილის ჩასვლას ადასტურებს ზემომოყვანილი „თელავის რაიონის ძველი რევოლუციონერების თათბირის“ მასალებიც. 1935 წლის სექტემბრით დათარიღებულ ოქმში ვკითხულობთ „1906 წელს 7/1 და 8/1 ამხანაგი სტალინი დაესწრო კონფერენციებს ველისციხეში, თელავში, მუკუზანში, ნაფარეულსა და ყვარელში. 7/1 ქალაქ თელავში სუხიტაშვილის (გლეხის) სახლში ამხ. სტალინი მწყემსის ტანსაცმელში დაესწრო კონფერენციას და იყო მოწვეული სამაზრო კომიტეტი. აღნიშნულ კრებას დაესწრნენ შემდეგი ამხანაგები: თვით „ხუნხუზა“, მიშა ჟღენტი, კირო გელოვანი, გიგლო ხელაშვილი, აქესენტი სიდამონიძე, გიორგი ხირსელი, დათა ბურჭულაძე, კატო ნასიძე, ნიკო სუხიტაშვილი (გლეხი), მარო სუხიტაშვილი, გიორგი აივაზაშვილი, ალექსი ჭურღულაშვილი, ალექსი თუშიშვილი, ვალია ნანუკოვი, ა. ყავილაშვილი და აბრია ლაშქარაშვილი. 8/1 ამავე წელს თელავის კლუბში მოწვეულ იქნა კონფერენცია სადაც ამხ. სტალინი მოუწოდებდა მხანაგებს შეიარაღებული აჯანყებისაკენ.“<sup>42</sup> ამავე დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ „ამხანაგმა სტალინმა ორი ღამე გაათია დათა ბურჭულაძისა და გიორგი აივაზაშვილის სახლში, საიდანაც გაემგზავრნენ ცივზედ.“

კახეთში იოსებ ჯუღაშვილის (სტალინი) ჩასვლისა და რევოლუციური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას გავარკვიე, რომ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში დაინტერესებულან ამ საკითხით. შინაგან საქმეთა სამინისტროს ე.წ. პარტიულ არქივში დაცულია „საქ.კპ.(ბ) ცეკასთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტრუქციის საქართველოს ფილიალის ი. ბ. სტალინის ცხოვრების და მოღვაწეობის შემსწავლელი სექტორის“ 1945 წლის თებერვლით დათარიღებული ცხრა გვერდიანი კვლევა თუ „ნაშრომი“ სათაურით – „ცნობები ი. ბ. სტალინის კახეთში ყოფნის შესახებ 1905-1907 წლებში“, რომელიც მთლიანად ეძღვნება იოსებ ჯუღაშვილის (სტალინი) კახეთში „მოღვაწეობას.“<sup>43</sup>

მასში მითითებულია, რომ – „მასალებით კარგადაა დადასტურებული, გამოკვლეული სტალინის დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ჩასვლა და რევოლუციური საქმიანობა.“ ამიტომ, ამ „ნაშრომის“ ავტორებმა მიზნად დაისახეს, „გამოკვლევა თუ

<sup>40</sup> შსსპა, ფონ. 8, აღ. 2, ნან. 1, საქ. 58, გვ. 10

<sup>41</sup> შსსპა, ფონ. 8, აღ. 2, ნან. 1, საქ. 17, გვ. 38-40

<sup>42</sup> საქართველოს ახალი და უსახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 2417, აღწერა 1, საქმე 236, გვ. 3-5

<sup>43</sup> შსსპა, ფონ. 8, აღ. 2, ნან. 2, საქ. 24, 38-45

სტალინს კახეთის რომელ სოფლებში და ადგილებში მოუწია ყოფნა და საქმიანობა. უკვე შეკრებილი ცნობების საფუძველზე, რაც მხოლოდ მოგონებების სახით არის, იკვეთება, რომ ტამერფორსიდან დაბრუნებული სტალინი გამგზავრებულა კახეთის სხვადასხვა სოფლებში... 1905 წელს კახეთის სოფლებში შედარებით ნაკლებად ჰქონდა ადგილი მასიურ რევოლუციურ გამოსვლებს, შეიარაღებულ ბრძოლას... პარტიული მუშაობის საწარმოებლად. გლახთა მასების დასახმარებლად... ი. ბ. სტალინს პირადად მოუხდა გამგზავრება კახეთის სხვადასხვა ადგილებში... კახეთში ი. ბ. სტალინის ჩასვლის შესახებ მრავალი პირი გვაძლევს ცნობას. (35 კაცი) უფრო მეტი მასალა მოცემულია თელავის მაზრაზე, არის მასალა სიღნაღის მაზრაზეც, მაგრამ ჯერჯერობით ეს ცნობები არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ და დადასტურებულად.“

ამ „ნაშრომის“ ავტორებს ჩამოთვლილი აქვთ კახეთის ის ქალაქები და სოფლები სადაც სტალინი ჩადიოდა. მითითებულია, რომ – თელავში სტალინი სხვადასხვა დროს, მათ შორის 1906 წლის იანვარში, თითქოს ორჯელ ყოფილა. თელავსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე – გორიჯვარი, მანანწარა, მუხიანი, ნადიკვარი და სხვაგან იგი ესწრებოდა კრებებსა და მიტინგებს, თვითონაც გამოდიოდა სიტყვით, შედიოდა კამათში მენშევიკებთან, სოციალისტ-ფედერალისტებთან. დასახელებულია თელავის მაცხოვრებელი სხვადასხვა პირები, ვის ბინებშიც სტალინს ღამე გაუთევია – დათა ბურჭულაძე, სანდრო სუხიტაშვილი, გიორგი და სოსო აივაზაშვილები (აივაზოვი) და სხვები.<sup>44</sup>

დასახელებული დოკუმენტის მიხედვით სტალინი თელავში ჩასულა და მიტინგებსა და კრებებზე დადიოდა ილია (ილარიონ) მგელაძესთან ერთად, რომელიც თელავის მაზრაში ცნობილი იყო „ქოროღლის“ მეტსახელით. ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ „რამდენიმე პირის ცნობით პირველად ი. ბ. სტალინი ჩავიდა თელავში ვანო ალიხანაშვილთან ერთად, მეტსახელებად „გურული“, „ხუნხუზი“ და თელავიდან გაბრუნდა გომბორის გზით ხარება ჯიბუტთან, ვანო ალიხანაშვილთან, გიორგი აივაზაშვილთან ერთად.“<sup>45</sup>

აქვე ჩამოთვლილია საკმაოდ ბევრი ადამიანი, მათ შორის ქალაქ თელავის მცხოვრებლები, რომლებიც ადასტურებდნენ სტალინის თელავში ჩასვლას – აბრამ ნიკოლოზის ძე ზამუკაშვილი, მიხა გლახას ძე ზამუკაშვილი, ნიკო ზაქარიას ძე ზამუკაშვილი, ნასყიდა გიორგის ძე ბალუაშვილი, ვანო პაპოს ძე სომხიევი, იოსებ თევდორეს ძე ჯავახიშვილი, თინათინ სიმონის ასული ბურჭულაძე, სოსო სტეფანეს ძე აივაზაშვილი, დიანოზ დავითის ძე კოჭლამაზაშვილი, ვანო დიმიტრის ძე ებელაშვილი, აბრია მიხეილის ძე ლაშქარაშვილი, ვანო გიორგის ძე სოზაშვილი, შაქრო მიხას ძე ჩხუბიანაშვილი, ალექსი ოქრუას ძე რუსიაშვილი, ვანო ალიხანაშვილი და სხვები.

სტალინის ყოფნის ადგილად კახეთში ასევე მითითებულია სოფელი წინანდალი, რის შესახებ ინფორმაცია „ნაშრომის“ ავტორებს ამ სოფლის მაცხოვრებლების – ანდრია საბას ძე ვეფხიშვილის, საქულა არუთინას ძე ლუარსაბოვის, არჩილ მეგრელიშვილის მოგონებებიდან ამოუღიათ. ამ პირების მოგონებების მიხედვით სტალინი, რომელიც თელავში მიდენილა, სოფელ წინანდალში გზად გავლისას დასწრებია წინანდლის ეკლესიასთან მიტინგს და მესხიშვილების ოჯახში გამართულ ფარულ კრებას. სტალინი ასევე ჩასულა თელავის მაზრის სოფელ რუისპირში, ხოლო ილარიონ მგელაძესთან ერთად ძველ შუამთაში გლახების შეკრებას დასწრებია და სიტყვითაც გამოსულა.

<sup>44</sup> შსსპა, ფონ. 8, აღ. 2, ნან. 2, საქ. 24, გვ. 43

<sup>45</sup> შსსპა, ფონ. 8, აღ. 2, ნან. 2, საქ. 24, გვ. 45

სავარაუდოდ, ეს დოკუმენტები გარკვეულწილად ადასტურებენ, რომ იოსებ ჯულაშვილი (სტალინი) სწორედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ტერორისტებთან ჩადიოდა კახეთში. ზემომოყვანილი ამ და სხვა საარქივო დოკუმენტებიდან ასევე ირკვევა, რომ იოსებ ჯულაშვილი აქტიურად იყო ჩართული 1905-1906 წლებში მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის გამართულ დისკუსიაში – უნდა გაეგრძელებინათ თუ არა შეიარაღებული ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ, თუ დაეშალათ „წითელი რაზმები“. დოკუმენტების მიხედვით 1906 წლის დასაწყისში, კახეთში მენშევიკების მხრიდან წარმომადგენლად გაგზავნილი იქნა ცნობილი მენშევიკი ისიდორე რამიშვილი, ხოლო ბოლშევიკებიდან – იოსებ ჯულაშვილი (სტალინი).

ზემოთ ნახსენები რევოლუციონერის კოტე გურგენიშვილის მოგონებებით, 1906 წლის 6 იანვარს, ველისციხეში გამართულა „მენშევიკური კონფერენცია“. მასზე განუხილავთ ისიდორე რამიშვილისა და იოსებ ჯულაშვილის რეზოლუციები – გაეგრძელებინათ თუ არა შეიარაღებული ბრძოლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. გურგენიშვილის სიტყვებით კონფერენციას პირადად უნდა დასწრებოდა ტამერფორსის კონფერენციიდან დაბრუნებული იოსებ ჯულაშვილი, მაგრამ დაპატიმრების შიშის გამო „მენშევიკური კონფერენციის“ გამართვის ადგილთან ახლოს მდებარე სოფელში გადასულა ღამის გასათევად. სწორედ იქიდან გაუგზავნია შესაბამისი გადაწყვეტილების – რეზოლუციის ტექსტი, სადაც ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის გაგრძელებაზე იყო საუბარი. კონფერენციის მონაწილეებს გაუზიარებიათ სტალინის მოსაზრება და გადაუწყვეტიათ შეიარაღებული ბრძოლის გაგრძელება.<sup>46</sup>

კოტე გურგენიშვილი წერს, რომ კონფერენციის ჩატარებიდან ერთი კვირის შემდეგ „წითელრაზმელების თანხლებით, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, სოფელ საგარეჯოში მოეწყო ქართლ-კახეთის წითელრაზმელთა სამხედრო შტაბის თათბირი.“<sup>47</sup> ამ თათბირზე დაუგეგმიათ ხელისუფლების წარმომადგენლებზე თავდასხმების განხორციელება, ექსპროპრიაციების წარმოება.

ქართლ-კახეთის წითელრაზმელთა სამხედრო შტაბის ამ თათბირზე ასევე წერს ვანო (ტურა) მაისურაძე: „თათბირზე კვლავ განიხილეს ორი წინადადება: 1) კობასი (ი. ჯულაშვილი) – შეიარაღებული აჯანყება, 2) ისიდორე რამიშვილის – მოცდა და თავის შეკავება შეიარაღებულ აჯანყებაზე.“<sup>48</sup> საგარეჯოშიც კვლავ სტალინის წინადადებას გაუმარჯვია. ვ. მაისურაძის სიტყვებით, ამის შემდეგ კახეთში მოქმედ სოციალ-დემოკრატი ტერორისტებს აქტიურად დაუწყიათ ტერორისტული აქტებისა და ექსპროპრიაციების განხორციელება: „გადავწყვიტეთ თავს დავსხმოდით სახელმწიფო ფოსტებს – ზოგმა წინანდალში<sup>49</sup> მოაწყო. ჩვენ კი კაჭრეთის ბოლოზე ორჯელ ზედიზედ გავტყუეთ ფოსტა. იქ იმ მოსაზრებით, რომ მახლობელი სოფლები ჩაგვეთრივნა რევოლუციაში, ძველ რეჟიმს ემხრობოდნენ. ჩვენს რაიონს ვუფრთხილდებოდით რეპრესიების გამო. ფოსტაზე თავდასხმაში მონაწილენი იყვნენ: 1. გარე კახეთიდან ალიხანაშვილი ვანო; 2. მაისურაძე ვანო „ტურა“;

<sup>46</sup> შსსპა, ფონ. 8, აღ. 2, ნან. 1, საქ. 11, გვ. 97-100

<sup>47</sup> შსსპა, ფონ. 8, აღ. 2, ნან. 1, საქ. 11, გვ. 97-100

<sup>48</sup> შსსპა, ფონ. 93, აღ. 2, საქ. 554, გვ. 9-10

<sup>49</sup> იგულისხმება 1906 წელს თელაველი ტერორისტების მიერ „ნასამხრალის ბოგირთან“ „ფოსტაზე“ თავდასხმის მოწყობა

3. ლორთქიფანიძე კოლია; 4. სერგო ქორიძე; 5. არტემ მიქელოვი; 6. იმერლიშვილი ილიკო (მცხეთელი); 7. ჟღენტი, ჯაში;<sup>50</sup> 8. ძმები მამაცაშვილები ვასო, გარსო და გრიშა.<sup>51</sup>

კახეთში მოქმედ ტერორისტებთან სტალინის „გრძელვადიანი“ ურთიერთობის დასადასტურებლად მიიღო მოვიყვანო, ჩემს მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული არქივის ერთ-ერთ ფონდში მოძიებული ტერორისტ გიორგი მაისურაძის მეუღლის – ნინა მაისურაძის ბიოგრაფია. დოკუმენტის ბოლოს დადებულია შემდეგი შინაარსის რეზოლუცია – „სადგური მცხეთა, აზნეფტი, მათიაშვილი. გამოიძახეთ ნინა გიორგის ასული მაისურაძე“. გამოიძახების მიზეზი სავარაუდოდ აღნიშნული მასალის შინაარსია. ეს დოკუმენტი თითქმის სრულად უკვე გამოვიყენე სხვა კვლევაში, ამიტომ მხოლოდ იოსებ ჯუღაშვილთან დაკავშირებით არსებულ ინფორმაციას მოვიტან.<sup>52</sup>

დოკუმენტის მიხედვით, ნინა მაისურაძე და მისი მეუღლე გიორგი მაისურაძე საკმაოდ კარგად იცნობდნენ იოსებ ჯუღაშვილს – „ჩემმა ქმარმა დაინყო რევოლუციური მუშაობა 1905 წელს. 1905, 1906, 1907 წლებში დაკავშირებული იყო ვანო სტურუასთან, ილია იმერლიშვილთან (მუშა ტიპოგრაფიიდან), ვასილ ფარემიშვილთან, ჩუგუაშვილი, ვალიკო გურული, ზალიკო სვიმონიშვილი – იგივე კახელი, ჯუღაშვილი კობა... მცხეთაში ჩვენთან ორჯერ იყო ჯუღაშვილი კობა. ის მოდიოდა (ჩემს) ქმართან – აძლევდა მას დავალებებს – შეეკრიბა გლეხები, რომლებიც თანაუგრძნობდნენ რევოლუციურ მოძრაობას. ღამით ამხანაგი კობა მოდიოდა ამ შეკრებებზე, შემდეგ ლაპარაკობდა გლეხებთან, ღამის გასათევად მიდიოდა ტყეში... მოდიოდა ის ღამით, (ჩემს) ქმართან ერთად, ისაუბრებდა და მიდიოდა შეკრებაზე... ეს იყო ერთხელ 1907 წლის ზაფხულში და 1907 წლის შემოდგომაზე... 1908 წელს ჩვენ გადავედით ყვირილის ქუჩაზე №12, სადაც სარდაფში ვცხოვრობდით. აქ 1908 წლის შემოდგომაზე (ჩემმა) ქმარმა ჯუღაშვილი თავისთან ერთად ორჯერ მოიყვანა. მოდიოდნენ საღამოთი. მე მათ ვასაუბრებდი და მიდიოდნენ. მათთან ერთად არავინ მოდიოდა. ამ დროს ქმარი უკვე სახლში აღარ ცხოვრობდა, ის იმალებოდა და კვირაში ერთხელ, თვეში ერთხელ მოდიოდა სახლში.“<sup>53</sup>

ამავე დოკუმენტიდან ჩანს, რომ ნინა მაისურაძე ესწრებოდა რევოლუციონერთა იმ კრებას, სადაც იმყოფებოდა იოსებ ჯუღაშვილი და თათბირობდნენ ექსპროპრიაციული აქტის ორგანიზებაზე: „1910<sup>54</sup> წელს, ზამთარში, ჩვენს ბინაში იმერლიშვილის მხრიდან შეიკრიბა იატაკქვეშა კრება იმერლიშვილის ბავშვის ნათლობის სახით. ამ შეკრებაზე იყო ამხანაგი კობა ჯუღაშვილი, მოვიდა ქართულ ქუდში, ახლალუხში და ზემოდან პალტოთი. მე მოვუშხადე მათ სადილი, ვახშამი. ისინი იყვნენ ბინაში მთელი დღე, და გაათენეს ყველა თხუთმეტმა (15) კაცმა ჩემს ბინაში შეკრების დამთავრებამდე. დილით ადრევე ისაუბრეს და დაიშალნენ სათითაოდ. ამ დღეს ვარლამ გურულმა – რევოლუციური ორგანიზაცი-

<sup>50</sup> იგულისხმება იმ დროს ცნობილი ტერორისტი ტიტოკო ჯაში

<sup>51</sup> იგულისხმება 1906 წელს თელაველი ტერორისტების მიერ „ნასამხრალის ბოგირთან“ „ფოსტაზე“ თავდასხმის მოწყობა

<sup>52</sup> თ. სიმაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მეოთხე მონაწილის დაფარვის მიზეზები საბჭოთა პერიოდში“ (ილიკო იორდანეს ძე იმერლიშვილის და იოსებ ჯუღაშვილის კავშირები), „ცისკარი“, №11-12, 2012

<sup>53</sup> შსსპა, ფ. 93, აღ. 2, საქ. 553

<sup>54</sup> დოკუმენტის დედანში ბეჭდვისას შეცდომაა დაშვებული. ვიზუალურად ემჩნევა, რომ ციფრი 3 გადაკეთებულია 0-ად. უნდა იყოს 1913 წელი

ის წევრმა ნაიყვანა ჩემი შვილი პეტრე თავისთან ფოსტაში, რომ ეჩვენებინა, ის მიდიოდა საქმეზე 10 წლის ბავშვთან ერთად რათა დაემალა თავისი ნამდვილი მიზანი.

სალამოთი იმერლიშვილი, ფარეშიშვილი, გედევანიშვილი (ილიკო იმერლიშვილის რაზმის წევრი) და სხვები მოვიდნენ ჩვენთან და მოგვიყვინენ, რომ მოხდა თავდასხმა ფოსტაზე (მდებარეობდა ალექსანდრეს ბაღის წინ) და თავდასხმისას სროლაში დაიხოცნენ ვარლამ გურული და ზალიკო სვიმონიშვილი, რომლებიც იყვნენ იატაკქვეშა კრებაზე იმ 15 კაცს შორის ჩვენს ბინაში<sup>55</sup>.

ზემოდასახლებული პირები იმ პერიოდში ქართლსა და კახეთში მოქმედი „ნითელი რაზმების“ აქტიური წევრები იყვნენ და სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე მათ კავშირზე იოსებ ჯუღაშვილთან ცნობილი არ იყო. ცხადია, რომ ეს დოკუმენტები, როგორც მოგონებები მეორადი წყაროებია, მაგრამ სხვა საარქივო დოკუმენტებთან, პირველად წყაროებთან მათი შეჯერებით, ვფიქრობ, კვლევის ამ ეტაპზე კახეთში მოქმედი „ნითელი რაზმების“ ხელმძღვანელებთან და რიგით წევრებთან იოსებ ჯუღაშვილის კავშირები გარკვეულწილად დასტურდება. ამრიგად, ეს და სხვა მასალები საკმაოდ მნიშვნელოვანია და ჩემი აზრით, ისინი უტყუარი დასკვნების გამოტანის საშუალებას არა, მაგრამ იოსებ ჯუღაშვილის და ზალიკო სვიმონიშვილის ბიოგრაფიების მიმართ ახალი კითხვების დასმის უფლებას ნამდვილად იძლევა.

საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდებში არსებობს დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ მასალებს პოლიციის მიერ, თბილისში 1913 წლის 8 იანვარს ტერორისტ ზალიკო სვიმონიშვილის მოკვლის შესახებ<sup>56</sup>. აღმოჩნდა, რომ თავდაპირველად პოლიციას ეგონა ტერორისტ ზალიკო სვიმონიშვილთან ერთად ტერორისტი გიორგი ბერძენიშვილი, იგივე „ჟორჟიკა“ მოკლა<sup>57</sup>. ანუ, ნინა მაისურაძის მიერ დასახელებული დუშეთელი ტერორისტების დაჯგუფების წევრი ვარლამ გურული, რომლის ნამდვილი გვარი ბერძენიშვილი იყო, პოლიციას მის მოგვარეში შეეშალა.

ვფიქრობ, აღნიშნულ საკითხს ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მნიშვნელოვანია თვითონ ის ფაქტი, რომ ე.წ. „ხარება და გოგიას“ დაჯგუფების წევრი გიორგი ბერძენიშვილი, მეტსახელად „ჟორჟიკა“ წარმოშობით თელავის მაზრის სოფელ იყალთოდან იყო. ეს სოფელი მდებარეობს იმ პერიოდში ოსიაურის<sup>58</sup> სახელით ცნობილი სოფლის სიახლოვეს, სადაც ზემოთ მოყვანილი თანამედროვეების მოგონებების მიხედვით იოსებ ჯუღაშვილი 1906 წლის პირველ ნახევარში, სავარაუდოდ იანვრის პირველ რიცხვებში, დაესწრო და გამოვიდა მიტინგზე. ჩემს ხელთ არსებული სხვა მასალებიდან კი ჩანს, რომ 1906 წლის იანვრის მეორე ნახევარში იოსებ ჯუღაშვილი კახეთიდან თბილისში დაბრუნდა. ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ იოსებ ჯუღაშვილი და მასთან დაახლოებული რევოლუციონერი გიორგი აივაზოვი ერთმანეთს დაშორდნენ საგარეჯოს მახლობლად – იოსებ ჯუღაშვილი თბილისში, ხოლო გიორგი აივაზოვი თელავში წავიდა ე.წ. გომბორის გზით. ზე-

<sup>55</sup> შსსპა, ფ. 93, აღ. 2, საქ. 553

<sup>56</sup> ეს მასალები ავსებს ზემოდასახლებული ავტორის ნინა მაისურაძის მონათხრობს, მაგრამ ისინი შეიცავენ გარკვეულწილად ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს, რაც დამატებითი კვლევის ჩატარებას ითხოვს

<sup>57</sup> სსცა, ფ. 17, აღ. 1, საქ. 7915, გვ. 3

<sup>58</sup> დასახელებული ადგილი ამჟამად სოფელ ქისტაურის შემადგენლობაშია

მოთ უკვე აღვნიშნე, რომ ამ გზაზე გიორგი აივაზოვს თავს პოლიციელები, თუ „სტრაჟნიკები“ დაესხნენ და მოკლეს.

რაც შეეხება იოსებ ჯულაშვილს, ცნობილია, რომ იგი 1906 წლის 28 იანვარს, რადგან ავად იყო თბილისში, ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაში იწვა და სამხედრო პატრულმა ბინის ჩხრეკისას კინალამ არ დააპატიმრა.<sup>59</sup> ეს ბინა ზოგიერთი ცნობით ვასო ბერძენიშვილს ეკუთვნოდა.<sup>60</sup> იოსებ ჯულაშვილს თან აღმოაჩნდა პასპორტი გიორგი ბერძენიშვილის სახელზე.<sup>61</sup> ვფიქრობ, შესაძლებელია გამოითქვას ვარაუდი, რომ მან პასპორტი 1906 წლის იანვარში თელავის მაზრაში ყოფნის დროს ტერორისტ გიორგი ბერძენიშვილისგან მიიღო, თუმცა ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იოსებ ჯულაშვილთან კავშირში სხვადასხვა პირების მოგონებებში დასახელებულია ვინმე გიორგი ბერძენიშვილი, რომელიც იმ დროს თბილისში ცხოვრობდა. იყო თუ არა ეს ადამიანი და ტერორისტი გიორგი ბერძენიშვილი ერთი და იგივე პირი, რეალურად ვისი პასპორტით ისარგებლა ამ დროს – 1906 წლის იანვარში იოსებ ჯულაშვილმა, ჯერ კიდევ დასადგენია.

#### 4.4. ტერორისტების მიერ თელავში ჩადენილი გახმაურებული თავდასხმები და მკვლელობები

##### ნიკოლოზ ჩოლოყაევზე თავდასხმა

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ჯერ ბოლშევიკების, შემდეგ კი მენშევიკების გავლენის ქვეშ მოქცეული ყოფილი „ჯგუფისტების“ – ხარება ჯიბუტის, გოგია კენკიშვილის, ზალიკა სვიმონიშვილისა და სხვების მიერ ჩადენილი სასტიკი თავდასხმებიდან და მკვლელობებიდან მინდა თელავში განხორციელებული ორი თავდასხმა გამოვყო.

პირველი ქალაქ თელავში, 1908 წლის 8 იანვარს ურიათუბნის სახელმწიფო „სტარშინაზე“ ნიკოლოზ აბელის ძე ჩოლოყაევზე თავდასხმას ეხება, რომელიც სალამოს 6 საათზე დაჭრეს – ტერორისტებმა მას თავისი „ჩვეულებისამებრ“ ზურგიდან ესროლეს.<sup>62</sup> მეფის ხელისუფლების აზრით, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილზე თავდასხმის მოტივი ჩოლოყაშვილის, როგორც ურიათუბნის სახელმწიფო „სტარშინის“ გლეხებზე სასტიკი მოპყრობა და მის მიერ გადასახადების ამოღებისას გამოჩენილი თვითნებობა იყო. ხელისუფლების ინფორმაციით, 1908 წლის 2 იანვარს სოფელ კალაურში შემდგარა მიტინგი, სადაც კალაურის და მეზობელი სოფლის გლეხებმა მოითხოვეს ჩოლოყაშვილის „დასჯა“.

კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის პოლიციის ნაწილის განსაკუთრებული განყოფილება 1908 წლის 18 იანვარს აცნობებდა პოლიციის დეპარტამენტს, რომ „ჩოლოყაშვილზე თავდასხმა ჩადენილია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივი კომიტეტის ტერორისტების მიერ. კომიტეტმა ცოტა ხნის წინ გამოუშვა პროკლამაცია ქართულ ენაზე მოსახლეობისათვის მოწოდებით სახელმწიფო „სტარშინის“ წინააღმ-

<sup>59</sup> არსებობს ასევე ინფორმაცია, რომ ამ დროს იოსებ ჯულაშვილი თბილისში „კონკიდან“ გადმოვარდა და სახეზე დაზიანებები მიიღო, ზოგი ცნობით კი პოლიციამ თუ ჟანდარმებმა სცემეს. არის ასევე მასალები, რომლებიც იძლევა ამ ფაქტის სხვა კუთხით ინტერპრეტაციის საშუალებას

<sup>60</sup> შსსპა, ფ. 8, აღ. 2-1, საქ. 5, გვ. 91

<sup>61</sup> შსსპა, ფ. 558, აღ. 4, საქ. 658, გვ. 222-223

<sup>62</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 27, საქ. 726, გვ. 3-16

დეგ. 1908 წლის 2 იანვარს, სოფელ კალაურში ჩატარდა მეზობელი სოფლების ურიათუბნის, შაშიანის და სხვების მაცხოვრებლების მიტინგი და ჩოლოყაშვილზე ტერორის დანიშვნა იქ გადაწყდა.<sup>63</sup>

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილზე თავდასხმა განხორციელდა მაშინ, როდესაც იგი თავის მოგვარე ნინა ჩოლოყაევასთან, თავად გიორგი ჯანდიერთან, წმინდა ნინოს სასწავლებლის მასწავლებელ თამარ ყაზახოვასთან და ურიათუბნის სკოლის მასწავლებელ ნინა ლაშხაურთან ერთად ბულვარში, ბატონის ციხის გალავანთან სეირნობდა.<sup>64</sup>

აღნიშნული პირების ჩვენებების მიხედვით, როდესაც ისინი ბატონის ციხის აღმოსავლეთით მდგარ ბურჯს გასცდნენ გაისმა იარაღის სროლის ხმა და მსროლელებიც დაინახეს. ერთი, მაღალი კაცი შავი ყაბალახით და ყავისფერი პალტოთი, რომელიც სავარაუდოდ, მაუზერის სისტემის პისტოლეტით იყო შეიარაღებული – იგი მსხვერპლს ფეხზე მდგომი ესროდა. მასთან ერთად იმყოფებოდა ორი სხვა პირი, რომლებიც ჩოლოყაევას მუხლებზე დაჩოქილები ესროდნენ. როგორც კი ნაქცეულმა ჩოლოყაევამ იარაღი ამოიღო შავპალტოიანი მაშინვე დაფრთხა და ქვევით „ბატონის წყლის“ უბნისკენ გაიქცა.<sup>65</sup>

ამრიგად, როგორც მასალებიდან ჩანს თავდამსხმელები არ მოერიდნენ იმას რომ, ნიკოლოზ ჩოლოყაევას გვერდით ნინა ჩოლოყაევა ახლდა და იმის მიუხედავად, რომ შესაძლებელია ტყვია უდანაშაულო ადამიანს, თან ახალგაზრდა ქალს მოხვედროდა მაინც ესროდნენ. როგორც მოწმეების ჩვენებებიდან ირკვევა, თავდამსხმელებმა მსხვერპლს სროლა ზურგის მხრიდან მოულოდნელად დაუწყეს და არ შეწყვიტეს მაშინაც კი, როცა ჩოლოყაშვილი ნაიქცა.

ჩოლოყაშვილს ზურგის მხრიდან მოხვედრილი ორი გამჭოლი ჭრილობა აღმოაჩნდა. იმ დროს თელავის მაზრის უფროსის თანაშემწე ირაკლი ბარათოვის ჩვენებიდან ირკვევა, რომ მის მიერ გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ერთ-ერთი ტერორისტის ვინაობა დადგინდა. ჩოლოყაშვილზე თავდასხმის მოწმეს თავდამსხმელი ზალიკო სვიმონიშვილი და ამ დროს შორიახლოს მყოფი პირები – ფეხსაცმელების ხელოსანი ფირუზ გაგნიძე და ნიკოლოზ ნადიბაიძე ამოუცვნიან.

თელავის მაზრის უფროსის თანაშემწე ბარათოვმა გაჩხრიკა ფირუზ გაგნიძის სახლი და აღმოაჩინა ორი ფოტოსურათი – პირველზე გაგნიძის და სვიმონიშვილი, მეორე ფოტოზე კი ნიკოლოზ ნადიბაიძე, ლევან ბაბუხაძე, გიორგი იმერელი და ვილაც ოგანეზოვი ყოფილან გამოსახული, რომლებიც ბარათოვის სიტყვებით, სოციალ-დემოკრატიული პარტიის თელავის ორგანიზაციის აქტიური წევრები იყვნენ.

ბარათოვის ინფორმაციით, ჩოლოყაშვილს „ტერორი დაენიშნა“ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი კომიტეტის გადაწყვეტილებით<sup>66</sup> და ზალიკო სვიმონიშვილის გარდა, თავდასხმაში უშუალოდ მონაწილე პირები სოციალ-დემოკრატიული პარტიის

<sup>63</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 27, საქ. 726, გვ. 15

<sup>64</sup> ეს პირები 1919 წლით დათარიღებულ დოკუმენტში თელავში სკოლის მასწავლებლებად არიან დასახელებული

<sup>65</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 27, საქ. 726, გვ. 13

<sup>66</sup> აქვე ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ ჩოლოყაშვილზე თავდასხმისა და მისი მოკვლის შესახებ ინფორმაცია, მოსახლეობაში მასზე თავდასხმამდე ორი დღით ადრე გავრცელებულა. აღნიშნული პირდაპირ მეტყველებს, რომ იმ დროს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თელავის ადგილობრივი ორგანიზაცია აქტიურად მუშაობდა და მისთვის „საჭირო“ ინფორმაციასაც მოსახლეობას წინსწრებით „ანვდიდა“



ის ტერორისტები – ხარება ჯიბუტი, ნადიბაიძე და გაგნიძე იყვნენ.<sup>67</sup> აღსანიშნავია, რომ პოლიციის მიერ მიღებული აგენტურული ცნობების მიხედვითაც თავდამსხმელები სოციალ-დემოკრატიული პარტიის ტერორისტები ყოფილან.

თავის მოგონებაში „ძველი რევოლუციონერი“ კოტე გურგენიშვილი ასე იხსენებს ამ ტერორისტულ აქტს: „რაზმელები ყაველაშვილი, ჯიბუტი ხარება და ბეგიას ბიჭი მოსაკლავად თავს დაესხნენ მამასახლის ჩოლოყაშვილს, მაგრამ ის სასიკვდილოდ დაჭრილი გაექცათ“, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.<sup>68</sup> პირიქით, საარქივო მასალების შინაარსი ადასტურებს, რომ ტერორისტები თავს ჩოლოყაშვილს ზურგიდან დაესხნენ და როგორც კი ძირს დაგდებული, მძიმედ დაჭრილი ჩოლოყაშვილის ხელში იარაღი დაინახეს, სწორედ თავდამსხმელები გაიქცნენ.

მკითხველის საყურადღებოდ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ეროვნების მიუხედავად, იმდროინდელ კავკასიაში „მოქმედი“ ტერორისტები არად დაგიდევდნენ მორალის ნორმებსა და ასევე, კავკასიელების ვაჟკაცობის დაუნერეელ კანონებს – ისინი მსხვერპლს პირისპირ არ ხვდებოდნენ და თავს უმეტესწილად ზურგიდან ესხმოდნენ. ამასთან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე ამ თავდასხმის დროს ჩოლოყაშვილს გვერდით თან ქალი ახლდა.

აღნიშნულის მაგალითად, მინდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და იმ დროს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის აქტიური წევრის რევაზ გაბაშვილის მოგონებიდან პატარა მონაკვეთი მოვიყვანო. იგი ბოქაულ, ჩინით „პორუჩიკ“ ლოლაძეზე თავდასხმებს ეხება. გაბაშვილი აღნიშნავს, რომ მან ლოლაძე ვაჟკაცობისა და ასევე, როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს – „რასიული, ქართული სილამაზისათვის“ ერთხელ სიკვდილსაც კი გადაარჩინა. ლოლაძის მოკვლა „დაშნაკუტუნის“ პარტიის წევრებს სურდათ, რადგან ლოლაძემ „ჯერ კიდევ კადეტობის დროს „დააჭერინა“ მეფის მოადგილე გოლიცინის დამჭრელი და გაქცეული დაშნაკები.“<sup>69</sup> გაბაშვილის სიტყვებით, იგი თბილისში შეესწრო ლოლაძეზე ტერორისტების მიერ განხორციელებულ ერთ-ერთ მორიგ თავდასხმას. ტერორისტებმა ეტლში მჯდომ ლოლაძეს ყუმბარა ესროლეს, რომელმაც ეტლი დააზიანა, მაგრამ იგი არ დაიზინა და თავდამსხმელებს გამოეკიდა, ერთი მათგანი დაიჭირა და როგორც გაბაშვილი წერს: „მიათრია, ჩააგდო ფაეტონში, მოაბრუნებინა ეტლი და „გოლოვინსკისკენ“ წაიყვანა. არა მგონია, ბევრი „ტერორისტი“ მოქცეულიყო ასე ვაჟკაცურად, ბომბი რომ მისთვის ესროლათ.“<sup>70</sup>

ლოლაძეზე განხორციელებულ ამ თავდასხმას იმ დროს სიღნაღში ჟანდარმერიის პუნქტის უნტერ-ოფიცერი იაკობ კრუგლიაკოვი შეესწრო. მის მიერ გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველომ შეადგინა დოკუმენტი, სადაც ვკითხულობთ: „1907 წლის 9 იანვარს, საღამოს 5 საათზე თადარიგის პორუჩიკ ლოლაძეზე თბილისში ერევნის მოედანზე თავდასხმა განხორციელდა. როდესაც კრუგლიაკოვი ელოდებოდა ტრამვაის ვაგონს მისგან 15-20 ნაბიჯში გაისმა გამაყრუებელი ხმა და

<sup>67</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 27, საქ. 726, გვ. 15

<sup>68</sup> შსსპა, ფონ. 8, აღ. 2(1), საქ. 26, გვ. 39

<sup>69</sup> 1903 წლის 14 ოქტომბერს „დაშნაკუტუნის“ პარტიის წევრები მეფისნაცვალ გენერალ—ადიუტანტ თავად გრიგოლ გოლიცინს, რომელიც მეუღლესთან ერთად ბრუნდებოდა ქალაქგარეთ სეირნობიდან, თბილისის შესასვლელში, ბოტანიკურ ბაღთან დაესხნენ თავს

<sup>70</sup> რევაზ, გაბაშვილი; ვალოდია, გოგუაძე, მოგონებები, 1992, გამომცემლობა „გულანი“, თბილისი, გვერდები 73-74

კრუგლიაკოვმა ბოლის სქელი ღრუბელი დაინახა. აფეთქების მხრიდან 18-19 წლის ახალგაზრდა გამოიქცა, რომელსაც კრუგლიაკოვი გაეკიდა და ოთხჯერ უშედეგოდ ესროლა.<sup>71</sup>

ლოლაძეზე 1907 წლის 23 იანვარს განხორციელებული სხვა თავდასხმა, რომელიც „დაშნაკუტუნის“ პარტიის წევრებმა, უფრო სწორედ ამ პარტიის რევოლუციური არმიის „ხულიბი“-ებმა,<sup>72</sup> მაუზერებით შეიარაღებულმა ორმოცდაათზე მეტმა?! პირმა ჩაიდინა,<sup>73</sup> მათთვის „წარმატებით“ დამთავრდა.<sup>74</sup> ლოლაძე მოკლეს, მაგრამ თუნდაც ამ ფაქტის აღწერა, რომ ფაეტონში მჯდარ თადარიგის პორუჩიკ ტარიელ ლოლაძეს ამ რაოდენობის ადამიანი დაესხა თავს და იგი საფეთქელში მძიმედ დაჭრილი, ჭრილობის სიმძიმის მიუხედავად ეტლიდან გადავიდა და თავდამსხმელების მიმართულებით, რომლებიც პირველივე ზალპის შემდეგ გაიფანტნენ, იარაღიდან შეუჩერებლად ისროდა, სანამ სისხლისგან არ დაიცალა, ბევრ რამეზე მეტყველებს.<sup>75</sup> ვფიქრობ, ეს ისტორია კიდევ ერთხელ ადასტურებს იმდროინდელი ტერორისტების „ვაჟაკაობის“, „რაინდობის“, „ჰუმანურობის“ და ა.შ. შესახებ შექმნილი მითების სიცრუეს.

დავუბრუნდეთ ჩოლოყაევზე თავდასხმას. ირაკლი ბარათოვმა ერთ-ერთი მოწმის ჩვენებაში ნახსენები ინფორმაცია გაითვალისწინა და ზალიკო სვიმონიშვილი დააპატიმრა. საქმე იმაშია, რომ ამ მოწმის ჩვენებით მას ზალიკო სვიმონიშვილი ადრეც ჰყავდა თელავში ნანახი. კერძოდ, მოწმის სიტყვებით სვიმონიშვილი თელავში ერთ-ერთ ქუჩაზე მდებარე სახლში ძალიან ხშირად დადიოდა. მართლაც, ამ სახლზე პოლიციის მეთვალყურეობამ შედეგი გამოიღო და სვიმონიშვილი იქ მაცხოვრებლებთან მორიგი „სტუმრობისას“ დააპატიმრეს. როგორც გაირკვა, ეს სახლი სოფელ ფშავლის მღვდელ ლონგინოზ ბერიევს ეკუთვნოდა.<sup>76</sup> აღმოჩნდა, რომ სვიმონიშვილი მღვდლის ქალიშვილ სალომე (სალომეა) ბერიევასთან დაიარებოდა, რომელიც იმ დროს თელავში მდებარე წმინდა ნინოს სასწავლებლის მოსწავლე ყოფილა.

ვფიქრობ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება აღნიშნული ინფორმაციის ცოტა ვრცლად მიწოდება, 1911 წლის 25 ნოემბერს სოფელ კალაურთან „სტრაჟნიკებთან“ შეჯახებისას ზალიკო სვიმონიშვილს წერილების შეკვრა ამოუვარდა, რომელიც პოლიციამ შეტაკების ადგილას იპოვა. ჩანს მათ სვიმონიშვილი თან დაატარებდა. წერილების შეკვრაში იმჟამად, ქუთაისის ქალთა დაწყებითი სასწავლებლის წმინდა ნინოს სახელობის მოსწავლის, ქალაქ თელავის მაცხოვრებლის 20 წლის სალომე ბერიევას და ზალიკო სვიმონიშვილის სასიყვარულო მიმონერა აღმოჩნდა

ირკვევა, რომ მშობლებმა სალომე ბერიევა ზალიკო სვიმონიშვილთან კავშირის გამჟღავნების გამო, აღმოსავლეთ საქართველოს გაარიდეს და ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავ-

<sup>71</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 7913, გვ. 11

<sup>72</sup> ასე იწოდებიან ეს შეიარაღებული პირები დოკუმენტში

<sup>73</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 7913, გვ. 56-57

<sup>74</sup> ერთ-ერთი წყაროს მიხედვით პორუჩიკი ლოლაძის სასიკვდილო განაჩენი სომეხი არქიმანდრიტის კორიუნის მიერ იქნა გამოტანილი, რომელიც ასევე „დაშნაკუტუნის“ პარტიის ელიზავეტოპილის კომიტეტის წევრი იყო – *Островский, А. В. "Кто стоял за спиной Сталина?"*  
<http://www.rulit.me/books/kto-stoyal-za-spinoj-stalina-read-200675-1.html>

<sup>75</sup> აღვნიშნავ, რომ არსებობს ასევე დოკუმენტი, სადაც პორუჩიკ ლოლაძის მკვლელებად სხვა პირები, მათ შორის ილიკო იმერლიშვილი და პავლე ფშავლიშვილი არიან დასახლებული

<sup>76</sup> მღვდელი ბერიევი ნახსენებია 1912 წლით დათარიღებულ სხვა დოკუმენტშიც – სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 13206, გვ. 4

ლებელში გადაიყვანეს. ეს დასტურდება წერილების პოვნის მიზეზით, ქუთაისში პოლიციის მიერ დაკითხული სალომე ბერიევას ჩვენებებით. ბერიევა აღნიშნავს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში თელავში არ იყო ნამყოფი, რადგან მის მშობლებს ეშინოდათ ის ზალიკო სვიმონიშვილს არ მოეტაცებინა. წერილების შეკვრაში ასევე აღმოჩნდა დასახელებული სასწავლებლის მოსწავლის, სალომე ბერიევას ახლო მეგობრის ქეთევან (ქეთო) წულუკიძის წერილები ზალიკო სვიმონიშვილისადმი.

ირკვევა, რომ სალომე ბერიევა და ზალიკო სვიმონიშვილი სასიყვარულო კავშირში ხუთი წლის განმავლობაში ყოფილან – იმ დროიდან, როცა სალომე თელავში წმინდა ნინოს სასწავლებელში იწყებს სწავლას. სალომეს სიტყვებით ეს უკანასკნელი მის საქმროდ ითვლებოდა. საინტერესოა, რომ ბერიევას მეგობარი ქეთო წულუკიძე ზალიკო სვიმონიშვილს ერთ წერილში ხარება ჯიბუტზე ეკითხებოდა როგორი პიროვნებააო და ზალიკოს გულუბრყვილოდ, „ბავშვურად“ აფრთხილებდა – „ყაჩაღი გოგია მხეცია და მასთან არ იმეგობროო“?!<sup>77</sup> საიდან იცოდა ქეთო წულუკიძემ გოგია კენკიშვილი კახეთში რა „საგმირო საქმეებით“ იყო ცნობილი მასალებიდან არ ჩანს. ინფორმაციის სავარაუდო წყარო, ალბათ, მისი მეგობარი სალომე ბერიევა<sup>78</sup> იყო, რომელიც იმის მიუხედავად, რომ პოლიციას დაკითხვისას უჩვენებდა – „სვიმონიშვილს მხოლოდ ერთხელ შევხვდი სოფელ ფშაველში და სხვა პირისპირი კონტაქტი არ მქონიაო“, რეალურად ამ უკანასკნელს, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ საკმაოდ ხშირად ხვდებოდა თელავში, თავის სახლში და ვინ იცის, იქნებ გოგია კენკიშვილის „ამბებს“ ამ შეხვედრებისას პირადად ზალიკოსგან ისმენდა.

ზემოთ უკვე ნახსენები ცნობილი თელაველი მასწავლებელი, საზოგადო მოღვაწე, იმ დროს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის აქტიური წევრი ვანო პაატაშვილი თავის მოგონებებში წერს: „თელავის რაიონის სოფელ კისისხევის მცხოვრები და მგზნებარე რევოლუციონერი ზალიკა სვიმონიშვილს ისე ახლოს ვიცნობდი, რომ მე ვიყავი მისი მესაიდუმლე და ის თავისი ინტიმური ცხოვრების ზოგიერთ მოვლენებსაც კი მანდობდა. სხვათა შორის მისი სატრფო იყო ფშაველის მღვდლის ქალი თ. ბ-ძე,<sup>79</sup> რომელიც ცხოვრობდა თელავში, სახლი ჰქონდათ პლენანოვის ქუჩაზე, სადაც ხვდებოდნენ ხოლმე“.<sup>80</sup> ანუ, პაატაშვილის მოგონების ეს ნაწყვეტიც ადასტურებს, რომ საარქივო მასალებში ასახული ისტორია რეალობას შეესაბამება და ჩვენ თელაველი სალომე ბერიევას „უცნობი სიყვარულის ამბავი“, მართალია ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც „გავიგეთ“ თუ „გამოვარკვიეთ“.

თუმცა, ამ ისტორიას, საკმაოდ „პროზაული“ გაგრძელება აქვს – ზალიკო სვიმონიშვილმა წერილების დაკარგვის შემდეგ, რომლებიც პოლიციას ჩაუვარდა ხელში, სალომე ბერიევასთან კავშირი განწყვიტა, თუ თავისდა უნებურად განწყდა. როგორც სხვა მასალებიდან ირკვევა, წერილების დაკარგვიდან ერთ წელში მან გიორგი ბერძენიშვილის, იგივე „ჟორჟიკას“ ცოლის, თუ საყვარლის ელენე ბაჩიაშვილის ღვიძლი და ანიჩკა ბაჩიაშვილი მიიყვანა ცოლად, ჯვარი დაინერა მასზე.<sup>81</sup>

<sup>77</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 7205, გვ. 163-166

<sup>78</sup> იმდროინდელი ტყეში გასული ყაჩაღების თუ თანამედროვე კრიმინალების „თავგადასავლებით“ გატაცებული თინეიჯერი გოგონების „შეხედულებები“ ჩანს ერთია

<sup>79</sup> სინამდვილეში სალომე ბერიევა

<sup>80</sup> გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ივანე პაატაშვილის ფონდი 4315, საქმე 7-8, გვერდი 11. აღნიშნული დოკუმენტის მოწვედისთვის მადლობას ვუხდით პროფესორ თეიმურაზ ვახტანგიშვილს

<sup>81</sup> საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 2417, აღწერა 1, საქმე 435, გვერდი 13

ერთ-ერთი თანამედროვის მოგონებიდან ვიგებთ, რომ დები – ელენე და ანიჩკა ბაჩიაშვილები მათმა ბიძაშვილმა ლადო ბაჩიაშვილმა თელავიდან, სადაც ისინი იმ დროს ცხოვრობდნენ და სწავლობდნენ „სამკერვალოზე“, 1912 წლის აგვისტოში დედის ავადმყოფობის მიზეზით „გაიტყუა“ და იყალთოში მიმავლებს, გზად გიორგი ბერძენიშვილი, ზალიკო სვიმონიშვილი და სხვა ტერორისტები, თუ უკვე გაყარალებული „ხარება და გოგია“ სხვა რაზმელები დაახვედრა. ბერძენიშვილმა და მისმა „მეგობრებმა“ დები ბაჩიაშვილები გაიტაცეს და მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმავე ღამით ერთ დაზე ბერძენიშვილმა, მეორეზე კი სვიმონიშვილმა ჯვარი დაინერეს. დასახელებული მოგონების მიხედვით, სვიმონიშვილს პირველად ნანახი ანიჩკა ბაჩიაშვილი ძალიან მოსწონებია. აღსანიშნავია, რომ ასეთი „ერთგულება“ ტერორისტებმა ლადო ბაჩიაშვილს დაუფასეს – ამის შემდეგ იგი როგორც ზალიკო სვიმონიშვილის ბანდის წევრი ისეა ნახსენები,<sup>82</sup> რადგან სხვადასხვა პირებს, მათ შორის რუისპირის მცხოვრებ თავად მაყაევს ზალიკოს სახელით ფულს სძალავდა.<sup>83</sup>

ხელისუფლებისათვის მოგონების გატაცებიდან მალევე ცნობილი გახდა, რომ ელენე ბაჩიაშვილი გიორგი ბერძენიშვილის ან ცოლი ან საყვარელი იყო. 1916 წელს თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის მოადგილე, თელავში მყოფ პუნქტის უნტერ-ოფიცერს წერდა, რომ უკან უბრუნებდა „ყარად“ „ჟორჟიკას“ ცოლის – ელენე ივანეს ასული ბაჩიაშვილის ფოტოს. იმავე წლით დათარიღებული სხვა დოკუმენტის მიხედვით კი „საიდუმლო აგენტის ინფორმაციით ჟორჟიკა ბერძენიშვილი თელავის მაზრიდან თბილისში მიდის, სადაც მისი საყვარელი ელენე ივანეს ასული ბაჩიაშვილი ცხოვრობს.“<sup>84</sup>

დაპატიმრებული ზალიკო სვიმონიშვილი თელავის მაზრის უფროსის თანამემნის მოვალეობის შემსრულებელმა თავადმა ირაკლი ბარათოვმა დაკითხა. სვიმონიშვილმა უჩვენა, რომ „პარასკევს მას ფეხსაცმელების ხელოსანი გაგნიძე შეხვდა, რომელმაც უთხრა, რომ ტერორისტული აქტის ჩადენის მოსამზადებლად ეძებდა.“ გაგნიძეს ასევე უთქვამს, რომ პარტიამ მათ – გაგნიძეს, სვიმონიშვილს და სხვებს ურიათუბნის „სტარშინის“ ჩოლოყაშვილის მოკვლა დაავალა. სვიმონიშვილის სიტყვებით – „ამის შემდეგ გაგნიძემ იგი თელავის ბულვარში მიიყვანა, სადაც შეხვდა ლეკი – ხარება ჯიუტი, ნიკოლოზ ნადიბაიძე, გიორგი იმერელი და გოგია. ასევე ვილაცა იმერელი მეტსახელით ბუკან(კ)ა.“<sup>85</sup>

დაპატიმრებული ზალიკო სვიმონიშვილი თელავის სამაზრო სამმართველოს შენობის ერთ-ერთ ოთახში იქნა მოთავსებული, ანუ თელავის ციხეში არ გადაიყვანეს. ალბათ მაზრის ხელმძღვანელობას მისი დაკითხვის გაგრძელება სურდა. თუმცა, მათ ეს ვერ შეძლეს – სვიმონიშვილი ტუალეტში გაყვანის დროს გაიქცა. საქმე იმაშია, რომ მაზრის პოლიციის „სტრაჟნიკმა“ იგი იარაღის გარეშე გაიყვანა და ეს უკანასკნელიც იოლად დაუსხლტა ხელიდან. ვფიქრობ, უფრო სავარაუდოა, რომ „სტრაჟნიკმა“ სვიმონიშვილი გააპარა, რასაც

<sup>82</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 7910, გვ. 18

<sup>83</sup> სწორედ დებ ბაჩიაშვილებს ბრალდებოდათ 1913 წლის 8 იანვარს თბილისში მოკლული ზალიკო სვიმონიშვილის გაცემა. დები ბაჩიაშვილები იმ დროს თბილისში დედასთან ერთად ცხოვრობდნენ. საინტერესოა, რომ ჩემს მიერ მოძიებული დოკუმენტების მიხედვით ზალიკო სვიმონიშვილის თბილისში ყოფნის შესახებ ინფორმაციის მინვდისთვის ორ აგენტს გადაუხადეს თანხა. თუმცა, ეს მხოლოდ არსებული მასალის კონსტატაციაა და მეტი არაფერი, რადგან პირდაპირი მტკიცებულება, თუ ვინ გასცა სვიმონიშვილი, ჯერ კიდევ ვერ მოვიძიე

<sup>84</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 21, გვ. 14; სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 8692, გვ. 68;

<sup>85</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 27, საქ. 726, გვ. 14-15

მისი სამსახურიდან დათხოვა მოყვა.<sup>86</sup> აღსანიშნავია, რომ ამის შემდეგ ზალიკო სვიმონიშვილი საარქივო მასალებში როგორც „გაქცეული ტერორისტი“ ასე იხსენიებოდა.<sup>87</sup>

### სულხან ვახვახოვზე თავდასხმა

1908 წლის 12 თებერვალს ქალაქ თელავის ცენტრში, ბულვარში სოფელ ყვარლის მცხოვრები ივანე ზაუტაშვილი თავს დაესხა თავად სულხან ვახვახოვს, მაგრამ გასროლა ვერ შეძლო – იარაღმა უმტყუნა. 1908 წლის 19 თებერვალს, ანუ ერთი კვირის შემდეგ, ივანე ზაუტაშვილი თელავში ვაჭარ დავით სიმონოვის მალაზიაში შევიდა და ესროლა. აღსანიშნავია, რომ ეს თავდასხმაც წარუმატებელი იყო – ვაჭარ სიმონოვს ტყვია ასცდა. ზაუტაშვილი თელავში მოქმედი სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკების ადგილობრივი ორგანიზაციის, ეგრეთ ნოდებული „ჯგუფისტების“ აქტიური წევრი ყოფილა.<sup>88</sup>

აღნიშნულ თავდასხმებთან დაკავშირებით დაწყებული ძიების საქმეების მიხედვით, ზაუტაშვილის გარდა „ჯგუფისტების“ რიგებში გაერთიანებული ყოფილან – თელაველი ალექსანდრე ეგოროვი, ივანე ზურაბოვი, მიხეილ ცინცაძე, გიორგი ძულიაშვილი, იყალთოელი გიორგი ბერძენიშვილი – „ჟორჟიკა“ და სხვები. როგორც ვაჭარ სიმონოვის დაკითხვის ოქმიდან ირკვევა, ზაუტაშვილი მის მალაზიაში შევიდა, სიგარეტი იყიდა და გარეთ გავიდა. ამის შემდეგ უკან მალაზიაში შებრუნდა და ესროლა.<sup>89</sup>

დაახლოებით ასეთივე „მშვიდ“ სიტუაციაში მოახდინა ზაუტაშვილმა თავდასხმა სულხან ვახვახოვზე, რომელსაც საერთო ჯამში „ჯგუფისტები“ 1908 წლის თებერვალში ორჯერ – 12 და 18 რიცხვში დაესხნენ თავს. პირველი თავდასხმისას – 1908 წლის 12 თებერვალს ივანე ზაუტაშვილი თელავის მაზრის პოლიციის სამმართველოს თავისუფლად დაქირავებულ მწერალ სულხან ვახვახოვს უკანიდან მიეპარა, იარაღი ზურგზე მიბრუნით მიადო და ესროლა, უფრო სწორედ იარაღი არ გავარდა. ვახვახოვმა, თავის მხრივ ამოიღო იარაღი და გაქცეულ თავდამსხმელს ესროლა, მაგრამ ააცდინა და მსროლელი უვნებლად გაიქცა.<sup>90</sup>

თელავის მაზრის უფროსის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებლის ირაკლი ბარათოვის სიტყვებით, მას ამ თავდასხმის შესახებ თელავის სარეზერვო პოლიციის „სტრაჟნიკმა“ ათანასე სოლოპმა<sup>91</sup> მაშინვე აცნობა.<sup>92</sup> შესაბამისად, იგი დანაშაულის ადგილზე დროულად გამოცხადდა და იქვე მოტრიალე ახალგაზრდა დააკავა, რომელიც გიორგი მესაბლიშვილი აღმოჩნდა.

დაკითხვისას ამ უკანასკნელმა უჩვენა, რომ თავდამსხმელი ივანე ზაუტაშვილი იყო. დაკითხულ იქნა სულხან ვახვახოვიც, რომელმაც განაცხადა, რომ იგი თელავის ცენტრში სეირნობდა. შეამჩნია მესაბლიშვილი და ვილაც უცნობი თუ თვალს როგორ ადევნებდნენ. ამასთან, კიდევ ორი ახალგაზრდა – გიორგი ყიფიანი და მიხეილ შიუკოვი მისგან შორიას-

<sup>86</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 27, საქ. 726, გვ. 7

<sup>87</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 27, საქ. 2218

<sup>88</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 44, გვ. 14

<sup>89</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 44, გვ. 15

<sup>90</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 13

<sup>91</sup> ათანასე სოლოპი 1919 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტშიც დასახელებულია, როგორც მილიციის რეზერვში მყოფი პირი

<sup>92</sup> ათანასე სოლოპი 1919 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტშიც დასახელებულია, როგორც მილიციის რეზერვში მყოფი პირი

ლოს დადიოდა. როდესაც მიუხლოვდა ღვთისმშობლის ეკლესიას მან იგრძნო, რომ ზურგიდან უბიძგეს და ორჯელ ჩხაკუნის ხმა გაიგო. მოიხედა და დაინახა შავ ბლუზაში ჩაცმული პიროვნება, რევოლვერით ხელში. ვახვახოვმა თქვა, რომ ამის შემდეგ მანაც ამოიღო იარაღი და თავდამსხმელს ესროლა. მინდა მოვიყვანო მესაბლიშვილის ჩვენებიდან ერთი მონაკვეთი, კერძოდ, მისი სიტყვებით, როდესაც სროლის ხმა გაიგონა მას მოჰყვა ვახვახოვის ხმა – „შე ნადირალა იარაღში მარტო ერთი ტყვია მაქვს თორემ სეირს გიჩვენებდიო.“<sup>93</sup>

დაკავებულმა გიორგი ყიფიანმა და მიხეილ შიუკოვმა ამოიცივეს ზაუტაშვილი, როგორც ვახვახოვზე თავდამსხმელი. აქვე ბარათოვი იოსებ მესაბლიშვილზე საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას იძლევა. მისი სიტყვებით მან „ფარულად“ შეაგროვა ინფორმაცია ამ უკანასკნელზე, რომელიც მიღებული ცნობების თანახმად „ცნობილი კოლექტივისტია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკების, ასე ვთქვათ „ჯგუფისტების“ და თელავში რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილეა.“<sup>94</sup>

ბარათოვი ვახვახოვს საკმაოდ ფიცხ და თავშეუკავებელ<sup>95</sup> ადამიანად მოიხსენიებს და მასზე თავდასხმის შესაძლო მოტივზე საუბრობს. მისი სიტყვებით, ვახვახოვმა თავდასხმამდე ცოტა ხნით ადრე თელავში ფირუზ გიორგელაშვილი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკების თელავის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი დააკავა. ვახვახოვი მაზრის სამმართველოს შენობაში, მის კაბინეტში ხმამაღლა, პირში აგინებდა გიორგელაშვილს. გარდა ამისა, იგი ამის თაობაზე თელავის ბულვარში ტრაბახობდა და გიორგელაშვილის დაპატიმრებას თავის თავზე იწერდა. ბარათოვი წერს, რომ ვახვახოვი გიორგელაშვილზე ხშირად ამბობდა, რომ იგი თელავში ყველაზე საშიში ტერორისტი და ყაჩაღი იყო.

თავდასხმის ადგილიდან გაქცეული ზაუტაშვილი ბარათოვმა მალევე დაპატიმრა.<sup>96</sup> მან საიდუმლო ცნობები მიიღო, რომ ზაუტაშვილი ქალაქ თელავში ყოველ დილით მანანწრის გავლით ვარდისუბნის მხრიდან შედიოდა. ვახვახოვზე განხორციელებული მეორე თავდასხმიდან ცოტა ხანში, დილით ადრე მანანწრის ხევთან ჩასაფრება მოაწყო და ზაუტაშვილი დაიჭირა. ჩანს, რომ ამ უკანასკნელს პოლიციის „სტრაჟნიკებმა“ კარგად სცემეს და მანაც „გულწრფელი“ აღიარებითი ჩვენებები მისცა. მათში სადაც დეტალურადაა აღწერილი როგორც ზაუტაშვილის, ასევე სხვა ტერორისტების მიერ ჩადენილი ტერორისტული აქტები.

ზაუტაშვილის სიტყვებით, 1908 წლის თებერვლის დასაწყისში, თელავში, ე.წ. მანანწარაზე მას შეხვდნენ ცნობილი ტერორისტი ხარება ჯიბუტი – მესტსახელით ლეკი, ასევე მისი ნაცნობი ტერორისტები გოგია კენკიშვილი, ზალიკო სვიმონიშვილი და ალექსანდრე სუხიტაშვილი. შეხვედრაზე ხარებამ დიდი სახაზინო ტიპის რევოლვერი მოიხსნა, მისცა და უთხრა, რომ სულხან ვახვახოვი უნდა მოეკლა.

ზაუტაშვილი თავის ჩვენებაში ამ თავდასხმის დეტალებს დანვრილებით აღწერს. საინტერესოა, რომ როგორც ზაუტაშვილის ჩვენებიდან ირკვევა, ვახვახოვზე წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ იგი თელავის მახლობლად, ე.წ. ზუზუმბოს ტყეში მისულა, სადაც დასახლებული ტერორისტები ელოდებოდნენ. როდესაც მათ გაუგიათ, რომ მან ვახ-

<sup>93</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 6

<sup>94</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 14

<sup>95</sup> ჩემი აზრით, ვახვახოვის დასახასიათებლად ალბათ უფრო „თავზეხელაღებული ვაჟკაცი“ თუ გამოდგება, რადგან მისი საქციელი ტერორისტების პირველი თავდასხმის შემდეგ – ქალაქში მარტო და თავისუფლად სიარული, იმ დროს მხოლოდ უმამაცეს და თავზეხელაღებულ ადამიანს თუ შეეძლო

<sup>96</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 15

ვახოვი ვერ მოკლა გოგია კენკიშვილს იგი მაგრად უცემია. ზაუტაშვილი კიდევ ორი დღე ყოფილა ზუზუმბოზე მათთან ერთად და კენკიშვილს მისთვის ახალი დავალება მიუცია – ვაჭარ დავით სიმონოვის მკვლელობის ჩადენა. თუმცა, როგორც აღვნიშნე ზაუტაშვილმა სიმონოვს კი ესროლა, მაგრამ ტყვია ააცილა.

ამის შემდეგ, ზაუტაშვილი კვლავ შეხვდა ჯიბუტს, კენკიშვილს, სუხიტაშვილს და სვიმონიშვილს და აცნობა, რომ სიმონოვი გადარჩა. მათ კი უთქვამთ, რომ „ისინი ასე არ „მუშაობენ“ და რომ წინა დღეს ვახვახოვი მოკლეს“.<sup>97</sup>

როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, „სულხან ვახვახოვზე ზაუტაშვილის მიერ პირველი წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ „ჯგუფისტებმა“ შეკრება მოაწყეს და ვახვახოვზე ტერორის განსახორციელებლად გამოცდილი ტერორისტები – ჯიბუტი, კენკიშვილი, სვიმონიშვილი, არუთინოვი აირჩიეს.“<sup>98</sup>

აღსანიშნავია, რომ თუ ჩოლოყაშვილზე თავდასხმა, დასახელებულმა ტერორისტებმა სოფლის მიტინგზე გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ განახორციელეს, ვახვახოვზე თავდასხმა სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტების, ე.წ. „ჯგუფისტების“ მიერ უშუალოდ ყოფილა გადაწყვეტილი. კერძოდ, როგორც ვახვახოვის მკვლელობის შემდეგ დაპატიმრებული ნარიმანოვის, ეგოროვის და სტეპანოვის ჩვენებით ირკვევა, ისინი „ჯგუფისტების პარტიის“ წევრები იყვნენ და გამოძალვას, ტერორს, ძარცვას ეწეოდნენ. ამ დოკუმენტის მიხედვით „15 თებერვალს პირველი თავდასხმის შემდეგ ამ და სხვა პირებმა – 24 კაცმა შეადგინეს კოლექტივი და განიხილეს ვახვახოვის საქმე, რომელსაც დაუნიშნეს ტერორი.“<sup>99</sup> აქვე ჩამოთვლილია ეს პირები: „თელავის მცხოვრებლები – ტიგრან ნარიმანოვი, ბულდან ეგოროვი, ბაგრატ სტეპანოვი, მიხეილ ამონაშვილი, მკერავი გიორგი კურდღელოვი, ნავთით მოვაჭრე სარქის კახახელი, უნაგირების ოსტატები ძმები ანისიმ და გიორგი ჩიკვაიძეები, ხეზე მომუშავე ხელოსანი გიორგი ბუიშვილი, ტატო სარმანიძე, რკინის ხელოსანი ეგორ ფირანიშვილი მეტსახელით „ტაკვილა“, ფეხსაცმელების ხელოსანი იოსებ ლეკიშვილი, ქვის ოსტატი საბა ჩიდრაშვილი და სვიმონოვი.“ აქვე მითითებულია, რომ „ცნობების მიხედვით დასტურდება, ჩამოთვლილი ნარიმანოვი, ეგოროვი, სტეპანოვი, ამონაშვილი და სხვები შედიან „ჯგუფისტების“ პარტიაში და არიან მასში საკმაოდ მსხვილი ფიგურები, ხელმძღვანელობენ გამოძალვებს, ძარცვებს, ტერორისტული აქტების ჩადენას.“<sup>100</sup>

სხვა საარქივო საქმის მიხედვით – „ვახვახოვის მკვლელობა ტერორისტებმა თელავის ორგანიზაცია „ჯგუფისტების“ სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკები პარტიის ორგანიზაციის დადგენილებით ჩაიდინეს.“<sup>101</sup> ასევე, არსებობს დოკუმენტი, სადაც წერია, რომ სულხან ვახვახოვი სოციალ-დემოკრატიული პარტიის თელავის ორგანიზაციის დადგენილებით იქნა მოკლული. ჩემი აზრით, კონკრეტულად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რომელ ფრთას – ბოლშევიკებს თუ მენშევიკებს ეკუთვნოდნენ დასახელებული ტერორისტები მნიშვნელოვანი არაა. ფაქტია, ამ დროს რომ ისინი ტერორისტულ აქტებს სწორედ

<sup>97</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 22

<sup>98</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 22

<sup>99</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 22

<sup>100</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 22; სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 1143, გვ. 20

<sup>101</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 1143, გვ. 20

პარტიული ნიშნით ანყობდნენ. ყოველ შემთხვევაში ხელისუფლება მათ ამ დროს სწორედ „ბოლშევიკ-ჯგუფისტებად“<sup>102</sup> მოიხსენიებდა.<sup>103</sup>

პარტიის თუ ტერორისტების ჯგუფის მიერ სასიკვდილო განაჩენის გამოტანის საბა-  
ბი, ვახვახოვისგან „ამ პარტიის ხელმძღვანელის ფირუზ გიორგელაშვილის და ტერორისტ  
ზაალ სვიმონიშვილის, „ჯგუფისტების“ ტიგრან ნაიმიანოვის, ბულდან ეგოროვის, ბაგრატ  
სტეპანოვისა და თაზო სვიმონოვის დაჭერა“ ყოფილა.“<sup>104</sup> მასალაში ასევე მითითებულია,  
რომ – ვახვახოვი თელავის ბოქაულის მოვალეობას ცოტა ხნით ასრულებდა და ამ დროს  
დაპატიმრებული სვიმონოვი, ნარიმანოვი, არშაკა არუთინოვი – ბეგიას ბიჭი და ვილაც  
პარტიული მეკასრე<sup>105</sup> სასტიკად სცემა.<sup>106</sup> აქვე აღნიშნულია, რომ ხარება ჯიბუტის ტერორ-  
ისტული ჯგუფისათვის ოთხი მაუზერი სწორედ ნარიმანოვს და ეგოროვს გამოუწერიათ.<sup>107</sup>

ზაუტაშვილის ჩვენების მიხედვით მას ტერორისტებმა ასევე უთხრეს, რომ ვახვახოვს  
„ბეგიას ბიჭი“ ზურგიდან მიეპარა და პირველმა ესროლა, ანუ საუბარია არშაკა არუთი-  
ნოვზე, რომელიც თავის მოგონებებში<sup>108</sup> ადასტურებს ვახვახოვის მკვლელობაში მონაწილ-  
ეობას. იგი წერს: „1908 წელს მდევნიდნენ იმისთვის, რომ მოვკალით პრისტავის პომოშნი-  
კი სულხან ვახვახოვი, მოვკალით ოთხმა კაცმა – მე, გოგია კენკიშვილმა, ზალიკო სვიმო-  
ნიშვილმა, სანდრო სუხიტაშვილმა.“<sup>109</sup>

თელავის მაზრის სამმართველოს მწერალი, თავადი სულხან ვახვახოვი, 1908 წლის 21  
თებერვალს თელავის ცენტრში ზემოდასახელებულმა პირებმა: ხარება ჯიბუტმა, გოგია  
კენკიშვილმა, ზალიკო სვიმონიშვილმა, არშაკა არუთინოვმა და ალექსანდრე (სანდრო) ილ-  
იას ძე სუხიტაშვილმა მოკლეს.<sup>110</sup> მასალების ანალიზიდან ჩანს ვახვახოვს თავს მოულოდ-  
ნელად, ზურგიდან დაესხნენ. მას მაუზერიდან იმ დროს ხმარებაში ახლად შემოსული ე.წ.

<sup>102</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 20; სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 1143, გვ. 20

<sup>103</sup> კუროიზია, მაგრამ ჩანს, რომ მეფის რუსეთის საიდუმლო პოლიციის ორგანოებს შორის „კარგი კო-  
ორდინაცია“ არ იყო. 1908 წლის აგვისტოში კავკასიის რაიონული ოხრანკის განყოფილების ერთ-  
ერთი თანამშრომელი, თიანეთის მაზრის უფროსს სწერდა, რომ „ეცნობებინა მისთვის ხარება ჯი-  
ბუტი, გოგია კენკიშვილი, ზალიკო სვიმონიშვილი, მიხეილ მაყაევი რომელიმე რევოლუციური ორ-  
განიზაციის წევრები იყვნენ, თუ ძარცვებით და ფულის გამოძალვით დაკავებული უბრალო ყაჩა-  
ღები – სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 44, გვ. 155

<sup>104</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 7

<sup>105</sup> შესაძლებელია იგულისხმება სოსია (სოლკა) ბინკინაშვილი, რომელიც პროფესიით მეკასრე იყო

<sup>106</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 15-16

<sup>107</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 22

<sup>108</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 4

<sup>109</sup> არშაკა არუთინოვი თავის მოგონებაში წერს, რომ ამ მკვლელობის ჩადენის შემდეგ იგი საქართვე-  
ლოდან წავიდა და მხოლოდ 1918 წელს დაბრუნდა. აქ კი, როგორც „ძველი პარტიული“ და ტერო-  
რისტი მენშევიკების მიერ დაპატიმრებულ იქნა. მისი სიტყვებით: „დაიჭირეს ძველი მომუშავე პარ-  
ტიულები და მეც დამიწყეს ძებნა ჩემი ამხანაგები დახვრიტეს.“ სავარაუდოდ, მისი დაპატიმრება  
უკავშირდება 1918 წლის გაზაფხულზე თელავში განლაგებული ე.წ. მე-8 პოლკის აჯანყებას, რო-  
მელსაც „ძველი“ რევოლუციონერის ვანო ქისტაურის მოგონების მიხედვით „ბოლშევიკურ პოლკს“  
უნოვდებდნენ – შსსპა, ფონ. 8, აღ. 2, ნაწ. 2, საქ. 4149, გვ. 10. რაც შეეხება „ძველ ამხანაგებს“, მათ-  
ში ალბათ ერთ-ერთი ტერორისტი და ყაჩაღი სანდრო ყაველაშვილი იგულისხმება, რომელიც მენ-  
შევიკებმა დახვრიტეს. არშაკა არუთინოვის „ბოლშევიკი“ „ჯგუფისტობა“ კი ლოგიკურად გაგრძელ-  
და, მისი სიტყვებით – „1924 წელს შედგა რაზმი შალვა წერეთლის მიერ, მეც ვმუშაობდი რაზმში,  
რომელიც იბრძოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ“ – შსსპა, ფონ. 93, აღ. 2, საქ. 35, გვ. 4

<sup>110</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 38



ფეთქებადი (სახეთქი) ტყვიები ესროლეს, რომლის მოხვედრის შედეგად ვახვახოვს თავის ქალა ახდია. თავდასხმის შემდეგ ტერორისტები ქვემოთ დაეშვნენ და დაადგნენ გზას, რომელიც მიდიოდა სოფლების გულგულის და კურდღელაურისკენ. აღნიშნულ სოფლებში პოლიციის „სტრაჟნიკების“ მიერ ტერორისტების ძებნამ შედეგი არ გამოიღო.

მსხვერპლის ბიძაშვილის გიორგი რევაზის ძე ვახვახოვის სიტყვებით იგი ბულვარზე საპარიკმახერო „ჟოზეფ“-ში პირს იპარსავდა, როდესაც მასთან მივიდა სულხან ვახვახოვი და უთხრა, რომ მიდიოდა ფეხსაცმელების ხელოსან კიკნაძესთან ჩექმებისთვის. მისი საპარიკმახეროდან გასვლიდან რამოდენიმე წუთში ზალპებად გაისმა ძლიერი სროლის ხმა. გიორგი ვახვახოვი საპარიკმახეროდან გარეთ გამოვარდა და დაინახა ოთხი ადამიანი, რომლებიც იარაღის ჰაერში სროლით ბულვარზე მირბოდნენ. მათ შორის ცნობილი ტერორისტი არშაკ არუთინოვი ამოიცნო, რომელიც „გოროდოვოი“ ტერტეროვის მკვლელობაში, ფეხსაცმელების ხელოსან ალექსანდრე ლაზარიაშვილის დაჭრაში იყო ბრალდებული.<sup>111</sup> გიორგი ვახვახოვმა უჩვენა, რომ არუთინოვი სირბილისას თან ხტებოდა, ტრიალდებოდა, რევოლვერით ჰაერში ისროდა და ყვიროდა „ჰოპ, ჰოპ, ჰოპ“. არუთინოვის გარდა თავდასხმელებს შორის მან ზაალიკო სვიმონიშვილიც ამოიცნო.<sup>112</sup>

მონმეების დაკითხვის ოქმიდან ჩანს, რომ მსხვერპლის ძმა ალექსანდრე გიორგის ძე ვახვახოვიც იქვე შორიახლოს, ბულვარზე მდებარე სასტუმრო „საოჯახო ნომრებში“ თავადის ასულ ვარვარა მაყაევასთან იყო სტუმრად, როდესაც გაიგო სროლის ხმა. გარეთ გამოვიდა და დაინახა გურგენოვის საკონდიტროსთან ძირს მწოლიარე ადამიანი. მასში თავდაპირველად თავისი ძმა ვერ ამოიცნო. თავისგან ოც ნაბიჯში კი დაინახა ოთხი გაქცეული ადამიანი, ვინც ჰაერში ისროდნენ. ერთ-ერთში, რომელიც რევოლვერს ისროდა, დაბალი ტანის იყო და ფეხები თავისებურად დაგრეხილი ჰქონდა, მან მისთვის ნაცნობი თელაველი ტერორისტი ბეგიას ბიჭი – არშაკა არუთინოვი ამოიცნო.<sup>113</sup>

ოქმის მიხედვით, სხვა მონმემ თავადმა ვახტანგ თარხანოვმა უჩვენა, რომ „თავდასხმელებს შორის იყვნენ თელაველი ტერორისტი, ბეგიას ბიჭი, რომელიც ყვიროდა და ჰაერში ისროდა რევოლვერს,<sup>114</sup> სოფელ გულგულის მცხოვრები ყაჩაღი გოგია კენკიშვილი, ასევე სოფელ კურდღელაურის მცხოვრები სუხიტოვი“.<sup>115</sup>

სულხან ვახვახოვზე თავდასხმის მონაწილეების ვინაობის შესახებ ჩვენ სხვა წყაროდანაც მოგვეპოვება ინფორმაცია. კერძოდ, ზემოდასახელებული ტერორისტები ამ მკვლელობიდან ცოტა ხანში თავის ნაცნობ მენისქვილესთან მისულან, რომლისთვისაც ხარება ჯიბუტს უთქვამს რომ: „ვახვახოვი როგორც „შპიონი“ და ხულიგანი ამიტომ მოვკალითო.“<sup>116</sup>

მენისქვილის სიტყვებით სვიმონიშვილი მოჰყვა მკვლელობის ჩადენის დეტალებს და თქვა, რომ „ვახვახოვს ჯერ კენკიშვილმა ესროლა და ააცდინა, შემდეგ ხარებამ ესროლა და თავში მოარტყა ტყვია, ვახვახოვი დაეცა. სხვებმაც – სვიმონიშვილმა, სუხიტაშვილმა და კიდევ ერთმა (ბეგიას ბიჭი) მიირბინეს და ორ ჯერი მისცეს ახლოდან. ამას რომ ყვებო-

<sup>111</sup> ალექსანდრე ლაზარიაშვილზე თავდასხმას არშაკა არუთინოვი თავის მოგონებაშიც ადასტურებს

<sup>112</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 20

<sup>113</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 21

<sup>114</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 21

<sup>115</sup> ალექსანდრე სუხიტაშვილი

<sup>116</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 22

და სვიმონიშვილი იცინოდა და ამბობდა, რომ ასეთი წარმატებული ტერორისტული აქტი მათ ჯერ არ ჩაედინათ.<sup>117</sup>

სხვა მოწმეების – თელავის ბაშკადიკლარის სარეზერვო ბატალიონის ეფრეიტორ ვოლხოვსკის, ასევე რიგითების – პეტრენკოსა და ლენკის სიტყვებით ისინი იმყოფებოდნენ ბაზარში, როდესაც გაიგეს ბულვარიდან სროლის ხმა. მათ ბულვარის ახლოს ქალაქის ბალის კიდესთან სამი მუხლებზე მდგარი ადამიანი<sup>118</sup> დაინახეს, რომლებიც ისროდნენ და შემდეგ სხვადასხვა მხარეს გაიქცნენ.

ამავე საარქივო მასალაში არის მოყვანილი თელავის მაცხოვრებლის ქრისტეფორე ტერ-კირაკოზოვის ჩვენება. ამ უკანაკნელის სიტყვებით მას მარქაროვის მაღაზიის „პრიკაზნიკმა“ ტიგრან ნარიმანოვმა მოუყვა, რომ დაინახა როგორ მოკლეს ვახვახოვი. ნარიმანოვის სიტყვებით „თავდამსხმელები იყვნენ ექვსი – ხარება ჯიბუტი, გოგია კენკიშვილი, ბეგას ბიჭი (არუთინოვი), ალექსანდრე სუხიტაშვილი (მეტსახელით პეტუშოკ), ზაალ სვიმონიშვილი და სოფელ ყვარლის მცხოვრები ივანე ზაუტაშვილი.“ შემდეგ აღწერილია მკვლელობა, თუმცა მნიშვნელოვანი უფრო სხვა გარემოებაა, როგორც ამ მასალაშია აღნიშნული „ტერ-კირაკოზოვმა იცოდა, რომ ნარიმანოვი პარტიულია და მას ამ საქმეში აუცილებლად უნდა მიეღო მონაწილეობა, ამიტომ დაანამუსა, ახალგაზრდა კაცი ასე სასტიკად რატომ მოკლეს, რაზეც ნარიმანოვმა უპასუხა, რომ მისი მკვლელობა იმიტომ გადანიშნა, რომ მან ბევრი პრობლემა შეუქმნა მათ, პოლიციაში დაათრევდა და შპიონი და ხულიგანი იყო. თქვა რაც ნაკლები იქნებოდა ასეთი ადამიანები მით უკეთესიაო.“<sup>119</sup> თუმცა, თავის მხრივ ტიგრან ნარიმანოვმა, როგორც მოწმემ პოლიციას ჩვენების მიცემისას, თავდამსხმელებში მხოლოდ ზალიკო სვიმონიშვილი დაუსახელა, რაც შესაძლებელია შეგნებულად, წინასწარ განზრახვით გააკეთა. ისე კი, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე ტიგრან ნარიმანოვი სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტების, ე.წ. „ჯგუფისტების“ აქტიური წევრი იყო და სავარაუდოდ, ვახვახოვის მკვლელობის ადგილზე მისი ყოფნა, ალბათ უფრო სიტუაციის „კონტროლის“ სურვილით იყო გამოწვეული.

აქვე მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ვახვახოვის თავდასხმას შემთხვევით შეესწრო ილარიონ ყაზახოვი, რომელიც ზემოდასახლებულმა ბაშკადიკლარის ბატალიონის წევრებმა დააპატიმრეს, მაგრამ თელაველი, პატარა მაღაზიის მფლობელი გასპარ მოსიაშვილისა და სხვა მოწმეების ჩვენების საფუძველზე, როგორც მკვლელობის შემთხვევითი შემსწრე მალევე გაათავისუფლეს.<sup>120</sup>

1914 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში<sup>121</sup> კი ვკითხულობთ – „ხარება და გოგიას“ ბანდა, როგორც უნდოდა ისე იქცეოდა კახეთში თითქმის 8 წლის განმავლობაში. მათ მიერ ჩადენილი მკვლელობებიდან ყურადღებას იქცევს პრისტავ აპუშკინის მკვლელობა თელავში, სტრაჟიკების ოფიცერ პორუჩიკ ცელმანის მკვლელობა ნაფარეულში, თელავის მაზრის ჩინოვნიკ ვახვახოვის მკვლელობა ქალაქ თელავში, ასევე მასობრივი მსხვერპლი სახელმწიფო სტარშინების, სტრაჟნიკების, ურიადნიკების, პოლიციის აგენტები-

<sup>117</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 22

<sup>118</sup> ჩოლოყაშვილზე თავდასხმისასაც მოწმეები ტერორისტების სროლის ამ თავისებურ მანერას, ანუ მუხლზე დგომას და ისე სროლას აღწერდნენ

<sup>119</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 23

<sup>120</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 21

<sup>121</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 7915, გვ. 56

სა და კერძო პირების. ამ ბანდის ხელით მოკლულთა რაოდენობა ორმოცდაათს აჭარბებს. ბანდამ მოაწყო თავდასხმა წინანდლის მამულის ხაზინაზე და გაიტაცა მსხვილი თანხა, მოაწყო თავდასხმა სახელმწიფო ფოსტაზე და სხვა. ბანდის თავხედობას არ ჰქონდა საზღვარი – პრისტავი აპუშკინი და თავადი ვახვახოვი დღისით-მზისით ჩაცხრილეს. თელავის მაზრის უფროსს ანტონოვს თელავიდან 7-8 ვერსის მანძილზე დაესხნენ თავს, დაჭრეს თუში ზარიძე, 1912 წელს ხორხელის მცხოვრები გავარდაშვილი დახვრიტეს ადგილობრივი მოსახლეობის თვალწინ და სხვა.<sup>122</sup>

თავისთავად ცხადია, რომ დღისით-მზისით, სახალხოდ, ასე ღიად და დაუსჯელად ჩადენილი ტერორისტული აქტები უარყოფითად აისახებოდა თელავის მოსახლეობის განწყობაზე. მეტიც, ამ დროს მომხდარი ტერორისტული აქტები გარკვეულწილად ზრდიდა მოსახლეობაში რევოლუციური პარტიების, მათ შორის სოციალ-დემოკრატების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას. მაგალითად, თბილისში 1908 წლის 28 მაისს საქართველოს ეგზარხოსი ნიკონი მოკლეს. მართალია, ხელისუფლებამ რეპრესიების ტალღა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის და ამ პარტიასთან დაახლოებულ ე.წ ავტოკეფალური მოძრაობის წევრებს დაატეხა თავს, მაგრამ ერთ-ერთი ვერსიით ნიკონის მკვლელობა 1908 წელს 11 მაისს მეტეხის ციხიდან გაქცეული 18 სოციალ-დემოკრატი ტერორისტების ნაწილმა ჩაიდინა.<sup>123</sup> ამ მკვლელობამ, გარკვეულწილად უარყოფითი გამოძახილი პოვა თბილისში.

გარდა ამისა, ხელისუფლება ზემოდასახელებულ ტერორისტებს და ყაჩაღებს სხვადასხვა დროს მომხდარ მკვლელობებსაც მიაწერდა. დოკუმენტების მიხედვით, ხარება ჯიბუტს და გოგია კენკიშვილს ერთობლივად მოუკლავთ ნაფარეულის „სტარშინა“ ბონუხ ტიმიევი და „სტრაჟნიკი“ ალი შახტიევი, ასევე დაუხოციათ „შანტაჟისტები“<sup>124</sup> ალექსანდრე ეგოროვი და იოსებ ზურაბოვი, მოუკლავთ სოფელ ართანის მკვიდრი აბელ ბეჟინაშ-

<sup>122</sup> თელავის მაზრის უფროსს განბერგის სიტყვებით, 1913 წლის იანვრის თვის პირველ რიცხვებში „გოგია და ლეკის“ დაჯგუფების ერთ-ერთი წევრი, როგორც დოკუმენტშია ნახსენები „თელაველი ყაჩაღი“ ვლადიმერ ჯუგ(ლ)აშვილი ბანდის წევრების დავალებით უნდა მისულიყო თელავში სხვადასხვა პირებისათვის ფულის მოთხოვნის წერილების გადასაცემად. მაზრის პოლიციის მიერ მოეწყო ჩასაფრება და ჯუგ(ლ)აშვილი დაჭერილ იქნა. მან დაადასტურა რომ „გოგია და ლეკი“-ს ბანდის წევრები კვლავ თელავის მაზრაში იყვნენ. მაზრის პოლიციის და სტრაჟნიკების რიცხოვნობად დიდმა ქვეგანაყოფებმა დაიწყეს ბანდის ძებნა თელავის მიდამოებში, რის გამოც ყაჩაღები წინანდლის და ქვემო ხოდაშნის ტერიტორიიდან ალაზნის მეორე მხარეს სოფელ ფშავლის მიდამოებში გადავიდნენ და შემდეგ სოფელ ჯულაანის ზემოთ მაჭარაულის ხეობაში ავიდნენ. 1913 წლის 12 იანვარს თიანეთის მაზრის ჩინოვიკის ეკო დარჩიევის ხელმძღვანელობით უმცროსმა „სტრაჟნიკებმა“: როსტომ ფარეულიძემ, გიორგი ნიკლაურმა, სიმონ ლეკაიძემ, ალექსი არენდაულმა, პარი ხუციევა, ბონუხო ფარეზაულმა, „სტარშინა“ იოსებ არშენაულმა, სოფლის დარაჯებმა სიმონ ბურკიაშვილმა, გაბრიელ აბაიძემ, სტეფანე ტეპიძემ ყაჩაღები: გოგია კენკიშვილი, ხარება ჯიბუტი (ლეკი), ილია ბეჟურიშვილი, ნიკო ბეჟუაშვილი, მიხეილ ბუზალაძე, ივანე ჯავახიშვილი და სამი დუშეთელი ყაჩაღი, ასევე სოფელ მალრანის მცხოვრები გლეხები – გიო შიშმანაშვილი, გიო ლომსაური და სოფელ პანკისის მცხოვრები გიორგი ჩოფიკაშვილი დახოცეს. რაც შეეხება ზალიკო სვიმონიშვილს, როგორც ზემოთ

<sup>123</sup> საუბარია თბილისში მეტეხის ციხიდან ილია ჭავჭავაძის მკვლელების – ილიკო იმერლიშვილის, პავლე ფშავლიშვილის, ასევე ტერორისტ-ექსპროპრიატორების: ზაქრო თურქიანცის, ალექსანდრე ქართველიშვილის, ვასილ დათუნაიშვილის, იგივე ერასტი ჯორბენაძის და სხვების გაქცევაზე, რომელზეც თავის მოგონებებში თავის მხრივ წერს ვანო (ტურა) მაისურაძე. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ამ გაქცევის შესახებ თავის მოგონებებში ასევე წერს ცნობილი მენშევიკი ისიდორე რამიშვილი. იგი გაქცეულებს ალექსანდრე ობოლადის ზემოდასახელებული ტერორისტული ჯგუფის – „მთანმინდის ჯგუფის“ სახელით მოიხსენიებს

<sup>124</sup> ჩანს ფულის გამომძალველები იგულისხმებიან, ყოველ შემთხვევაში იმ პერიოდში სიტყვა „შანტაჟისტები“ ამ მნიშვნელობით გამოიყენებოდა

ვილი. გოგია კენკიშვილს 1908 წლის 19 თებერვალს სოფელ კურდღელაურის სახელმწიფო „სტარშინა“ გოჯიევიც მოუკლავს.

აგენტურული მონაცემებით გოგია კენკიშვილსვე ბრალდებოდა თანასოფლელების, სოფელ გულგულის მკვიდრების – ალექსანდრე ჩაველაშვილის, მიხეილ ოხანაშვილის და სოლომონ გიგაურაშვილის მკვლელობები. ხარება ჯიბუტს კი ივანე და ზაქრო რამაზაშვილების, ნაფარეულის „სტარშინა“ ბაქრაძის, ფშავლის მცხოვრებ ჯაჭვადის, თელავში განლაგებული ბაშკიდოკლარის ბატალიონის რიგითი ჯარისკაც გურსკის და სხვების მკვლელობები. ხელისუფლების აზრით<sup>125</sup> ზალიკო სვიმონიშვილს რამაზაშვილის და ჯაჭვადის მკვლელობებშიც ჰქონდა მონაწილეობა მიღებული.<sup>126</sup>

სხვა მიზეზებთან ერთად, სოციალ-დემოკრატიული პარტიის რეპუტაციაზე, თბილისსა და პროვინციებში მომხდარი ტერორისტული აქტების უარყოფითი გავლენის შესასუსტებლად, 1908 წლის ივნისში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტმა გამოუშვა პროკლამაცია „ტერორის შესახებ“.<sup>127</sup> მასში, ერთის მხრივ, სოციალ-დემოკრატები „გმობდნენ“ ტერორს და აცხადებდნენ, რომ სხვა რევოლუციური პარტიებისაგან განსხვავებით, მხოლოდ სოციალ-დემოკრატები გამოდიოდნენ ტერორის წინააღმდეგ – „ახლა მხოლოდ საზოგადოების ნაძირლები – ლუმენ-პროლეტარები მიმართავენ ტერორს“, მეორე მხრივ, კი ემიჯნებოდნენ ეგზარხოს ნიკონის მკვლელობას.

რაც შეეხება თელავს, 1908 წლის 19 ივნისს, თელავში გავრცელდა პროკლამაცია, რომელშიც ეწერა:

„რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გლახების და მოქალაქეების საყურადღებოდ

თელავის ორგანიზაცია რ.ს.დ.მ.პ. საქვეყნოდ აცხადებს – თანახმად ლონდონის პარტიული სიეზდის გადაწყვეტილებისა წინააღმდეგია ყოველგვარი პარტიზანული მოქმედებისა, ამ მიზნით კიდევაც გააუქმა ყოველგვარი ტექნიკური და ბოევიკური ორგანიზაციები და არ შეადგენს მათ, სანამ ამის საჭიროებას მოძრაობა არ გამოიწვევს.

ორგანიზაციისვე წინადადებით აიყარეს იარაღი ყველა ყოფილმა ბოევიკებმა და მათ შორის გოგიამ და ლეკმა, რომლებიც უკვე გავიდნენ თელავის მაზრიდან.

ორგანიზაცია ამცნობს ყველა თავის თანამგრძობ გლახებსა და მოქალაქეებს, რომ დღეიდან მას (ორგანიზაციას) არ ყავს ბოევიკები და თუ ვინმემ იარაღ-ასხმულმა დაიწყო თარეში და აგრეთვე მოითხოვოს ფული, ის იქნება შანტაჟისტი და არა ახალთაობის კაცი.

მოგიწოდებთ ყოველგვარი საშუალებით ვებრძოლო ამ ვაჟბატონებს

თელავის რ.ს.დ.მ.პ. 1908 წელი 19 ივნისი“<sup>128</sup>

<sup>125</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 44, გვ. 273

<sup>126</sup> 1911 წლის მარტში თელავში, ცივი იარაღით, ფშავლის „სტაჟნიკების“ პოსტის რიგითი თუთაშვილი მოკლეს, რომელსაც ხელები დააჭრეს და მისი გვამი დაამახინჯეს. თელავში მყოფი ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცრის ცნობით ეს ადამიანი, ჯერ მაზრის უფროს ბარათოვთან მსახურობდა საიდუმლო თანამშრომლად – აგენტად და შემდეგ „სტრაჟნიკი“ გახდა. სავარაუდოდ, ეს მკვლელობაც „ხარება და გოგიას“ ბანდამ ჩაიდინა

<sup>127</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 44, გვ. 174

<sup>128</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 44, გვ. 91

### 3.5. ფულის გამოძალვა

ზემომოყვანილი დოკუმენტი თითქოსდა ასახავდა რეალურ ვითარებას – ანუ ფულის გამოძალვაზე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის წევრების უარყოფით დამოკიდებულებას. როგორც თელავის მაზრის უფროსის მოადგილის თავად ბარათოვის მიერ 1908 წლის 3 ივლისით შედგენილი ოქმიდან ირკვევა ფულის მოთხოვნა კვლავ გრძელდებოდა. ქვემო მოყვანილი მასალის ანალიზიდან გამომდინარე დარწმუნდებით, რომ „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს“ პრინციპის გამოყენება სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებისათვის უცხო ნამდვილად არ იყო.

1908 წლის 21 ივნისს ბარათოვმა თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს პუნქტის უნტერ-ოფიცრის მიხეილ რომანენკოს დახმარებით თელავში დააპატიმრა ვინმე ივანე ჯავახიშვილი – სოფელ კურდღელაურის მცხოვრები გლეხი, ტერორისტი, თელავის საფოსტო-სატელეგრაფო სადგურის ყოფილი დარაჯი. მას უპოვეს, უფრო სწორედ ჯავახიშვილმა დააპატიმრებისას გადააგდო რალაც ქალაქი, რომელსაც ზედ შტამში ჰქონდა წარწერით – „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტის თელავის ორგანიზაცია“. ქალაქს ქართულ ენაზე ეწერა, რომ ეს იყო ტერორისტების – გოგია კენკიშვილისა და ხარება ჯიბუტის მგზავრობისათვის საჭირო შეწირული თანხის სია. შემდეგ მოსდევდა ტექსტი: „იმის გამო რომ პოლიცია ისედაც დატანჯულ მოსახლეობას უფრო მეტად სტანჯავს, აბრალებს რა მათ ლეკის (ჯიბუტი) და გოგია (კენკიშვილი) მფარველობას, პარტიამ გადაწყვიტა ისინი სხვა გუბერნიაში გააგზავნოს და ესაა ლეკის და გოგიას გამგზავრებისათვის საჭირო სამგზავრო თანხა“.

ტექსტს კი თანხის შემწირველების, როგორც დოკუმენტშია აღნიშნული – ფსევდონიმები მოსდევდა: პატარა-კახი, ღვინო, ზონტიკა, ლატიანი, კოფეინიკა, ენგელა, ჩაჩიკა, კუჭია, დარცო, ილასი, ალი, გიორგი, გიგოლა, დათია, თეთრადე, არაბი, დარჩო, და ა.შ. სიაში სულ ორმოცდაათოთხმეტი მეტსახელი და გვარი იყო ჩამოწერილი. ზოგ მათგანს მიწერილი ჰქონდა „შეწირული“ თანხის ოდენობა. აღნიშნული იყო ე.წ. შეწირული თანხის ჯამი – 60 მანეთი და 40 კაპიკი.

მკითხველს რომ არ ეგონოს, რომ ეს ადამიანები შესაძლებელია დასახელებული პარტიის წევრები, ანდა იმ სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ, ვინც სოციალ-დემოკრატებს, თუ ტერორისტებს თანაუგრძნობდნენ, აღნიშნულ დოკუმენტებს ცოტა ფართოდ განვიხილავ. ივანე ჯავახიშვილმა უჩვენა, მან ეს სია მიიღო თავისი ბიძაშვილის – ალექსანდრე სუხიტაშვილისგან. აქვე მითითებულია, რომ „ალექსანდრე სუხიტაშვილი ცნობილი ტერორისტი, სულხან ვახვახოვის ერთ-ერთი მკვლელი, გოგია კენკიშვილის და ხარება ჯიბუტის მუდმივი ამხანაგი, თანამგზავრია.“ ჯავახიშვილის ჩვენებაში წერია, რომ ალექსანდრე სუხიტაშვილი ვილაც თბილისელ ახალგაზრდა კაცთან ერთად, რომელსაც ერვანდი ერქვა ჯავახიშვილთან მისულა და დასახელებული ფურცელი გადაუცია. ჯავახიშვილის სიტყვებით იგი ალექსანდრე სუხიტაშვილის – თავისი ბიძაშვილის წყალობით, არც თუ ისე დიდი ხნის წინ შევიდა ანტისახელმწიფოებრივ ორგანიზაცია – რ.ს.დ.რ.პ.-ში.<sup>129</sup> თავის მხრივ, თელავის მაზრის უფროსი თავადი ყარალოვი ასევე ადას-

<sup>129</sup> რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

ტურებდა,<sup>130</sup> რომ ივანე ჯავახიშვილი „თელავის საიდუმლო ორგანიზაციის რ.ს.დ.რ.პ. წევრი იყო.“<sup>131</sup>

სუხიტაშვილს შეუგროვებია 60 მანეთი, რომელიც ორმოცდათორმეტი (52) პირისგან აუკრეფია.<sup>132</sup> ჯავახიშვილის თქმით, მან მხოლოდ ორი ადამიანს – ვაჭარ ბაგრატ კობტიევს და აბრეშუმის ქარხნის გამგე ზორიევს გამოართვა თანხა. ჯავახიშვილის მეშვეობით გაირკვა თუ ფსევდონიმების ქვეშ თელავის რომელი მაცხოვრებლები იგულისხმებოდნენ: ალი – მედუქნე ალექსანდრე ალიაშვილი, დათა – „პრიკაზნიკი“ დავით გარეჯიშვილი, ილიკო – ილია აბესაძე, გიორგი და გიგოლა – ხელოსნები გიორგი არჯევანიძე და გიგოლა რაზმაძე, კუჭია – ალექსანდრე გოცირიძე, არაბი – მედუქნე არაბიშვილი და სხვები.<sup>133</sup>

ალექსანდრე ალიაშვილმა თავის მხრივ უჩვენა, რომ მან ფული გადასცა ალექსანდრე სუხიტაშვილს, რომელიც „ანახებდა იარაღს, სავარაუდოდ, მაუზერს, ემუქრებოდა და ითხოვდა პარტიული ახალგაზრდებისთვის დაუყოვნებლივ მიეცა ფული.“ ანუ, ეს ფაქტობრივად თანხის წართმევა და არა ნებაყოფილობითი „შენიშნულობა“ იყო. ალიაშვილის სიტყვებით, „მან თანხა მისცა და შემდეგ ფურცელზე ხელის მონერითაც დაადასტურა.“ ზემოდასახელებულმა სხვა პირებმაც აღიარეს, რომ, მათ სუხიტაშვილს და კიდევ ერთ უცნობ პირს<sup>134</sup> ფული მისცეს, რადგან ემინოდათ ტერორისტების შურისძიების. ანუ, როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნული პროკლამაციის გამოშვების მიუხედავად, თელავში სოციალ-დემოკრატები, თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმაროთ – ფულის „შენერას“ მაინც აგრძელებდნენ.

აღსანიშნავია, რომ საქართველში 1905-1907 წლების რევოლუციის დროს და შემდგომ პერიოდში რევოლუციონერები ხშირად ჩადიდნენ ძარცვებს, რომლებსაც ლენინმა, ასე ვთქვათ სახელი გაულამაზა და „ექსპროპრიაცია“ უწოდა. ძარცვა-ექსპროპრიაციები, ასევე მოსახლეობის სხვადასხვა ფენებიდან, ვგულისხმობ როგორც შეძლებულ ადამიანებს, ასევე მასწავლებლებს, ექიმებს და სხვებს ფულის გამოძალვა არა მარტო 1905-1907 წლების რევოლუციის, არამედ შემდგომ პერიოდშიც თელავის მაზრაში მოქმედი რევოლუციური პარტიების წარმომადგენლებისათვის „დამახასიათებელი“ ნიშანი იყო. იმისათვის, რომ მკითხველს მათზე შეექმნას წარმოდგენა, მინდა მოვიყვანო რამოდენიმე საარქივო დოკუმენტი.

ერთ-ერთი იმდროინდელი სისხლის სამართლის საქმიდან ირკვევა, რომ 1906 წლის 15 დეკემბერს თელავის მოქალაქე ნიკო ღვინიაშვილს<sup>135</sup> მოქალაქეებისათვის არაერთხელ ფულის გამოძალვის, ასევე ჩადენილი ძარცვების გამო თელავში გამართულმა სამხედრო-საველე სასამართლომ მიუსაჯა სიკვდილი ჩამოხრჩობით, რომელიც შემდეგ უვალო კატორღით შეუცვალეს.<sup>136</sup>

<sup>130</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 44, გვ. 99

<sup>131</sup> ამავე დოკუმენტში დასახელებულია თელაველი ტერორისტი მეტსახელად „მოლა“, რომლის გვარსახელიც ვერ გავარკვიე

<sup>132</sup> სსცა, ფონ. 156, აღ. 1, საქ. 101, გვ. 2-3

<sup>133</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 44, გვ. 95-98

<sup>134</sup> სავარაუდოდ, ეს იყო „თბილისელი ახალგაზრდა“ სახელად ერვანდი

<sup>135</sup> ნიკო ღვინიაშვილი იხსენიება არშაკა არუთინოვის მოგონებებშიც, როგორც ფოსტაზე ერთ-ერთი თავდამსხმელი და ტერორისტი

<sup>136</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 913, გვ.9

1906 წლის 5 დეკემბერს ნიკო ღვინიაშვილი, იოსებ ებიტაშვილი, ვანო ზატეკაშვილი<sup>137</sup> შევიდნენ თელაველი შეძლებული სომეხი ვაჭრის ბაღდია სულხანოვის მანუფაქტურულ ფარდულში, მიუშვირეს რევოლვერები და 30 მანეთი მოსთხოვეს. იმავე დღეს ღვინიაშვილი, ებიტაშვილი, ზატეკაშვილი შევიდნენ ნიკოლოზ სეხნიაშვილის ღვინის ფარდულში და მუქარით ოცი მანეთი წაართვეს. იმავე წლის 9 დეკემბერს კი თელაველი შეძლებული ვაჭრის, სანდრო გურგენოვის ღვინის ფარდული გაძარცვეს – მის მფლობელს 5 მანეთი და სამი ვერცხლის საათი წაართვეს.<sup>138</sup>

ღვინიაშვილი საკუთარ სახლში დააკავეს და საწოლში, ბალიშის ქვეშ სამი რევოლვერი უპოვეს. ასევე დააპატიმრეს მისი თანამზრახველებიც და ისინი თელავის ციხეში ჩასვეს. საინტერესოა, რომ ტერორისტებისგან დაშინებულმა ვაჭარმა ბაღდია სულხანოვმა „ვერ ამოიციო“ ღვინიაშვილი, მაგრამ ამ უკანასკნელის ბრალი სხვა პირების ჩვენებებიდან და ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლოს მიერ დამტკიცებულ იქნა.<sup>139</sup>

საარქივო მასალებში ხშირად ძარცვებში მონაწილე პირების პარტიული კუთვნილება მითითებული არაა. საქმე იმაშია, რომ რევოლუციური პარტიის წევრები, მათ მიერ ჩადენილი ძარცვებისთვის უმეტესწილად რუსეთის იმპერიის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად სამართლდებოდნენ. შესაბამისად, ჩვენ გვესაჭიროება დამატებითი დოკუმენტების მასალების მოძიება, რომ გავარკვიოთ თუ რომელ პარტიას ეკუთვნოდნენ მძარცველ-ექსპროპრიატორები. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტია საბჭოთა პერიოდში, დახლოებით 1930-იან წლებში თელაველი „ძველი“ რევოლუციონერების მიერ შედგენილ სიებში, რომლებიც დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ე.წ. პარტიული არქივის ფონდებში, სადაც ნიკო ღვინიაშვილი თელავის მაზრაში დახოცილ რევოლუციონერებს შორისაა დასახელებული.<sup>140</sup> აღსანიშნავია, რომ საბჭოთა პერიოდში ე.წ. რევოლუციონერების სიები ძველი სოციალ-დემოკრატების მიერ დგებოდა. ასევე თუ გავითვალისწინებთ არშაკა არუთინოვის მოგონებებსაც, რომლის მიხედვითაც 1906 წელს ნიკო ღვინიაშვილი, მიშა ჟღენტი, ვანო ალიხანაშვილი, გიო (გიორგი) ძულიაშვილი და სხვები მასთან ერთად მონაწილეოდნენ „ფოსტის გატაცებაში“, სავარაუდოდ, ღვინიაშვილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და ერთ-ერთი ტერორისტ-ექსპროპრიატორი იყო.

1906 წლით დათარიღებული საარქივო მასალის მიხედვით, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მიხეილ ჟღენტი თელავსა და თბილისს შორის მოძრავ დილიჟანსებზე, ფოსტაზე თავდასხმებში პირადად მონაწილეობდა. ამის შესახებ ხელისუფლებას საფუძვლიანი მონაცემები გააჩნდა. როგორც დოკუმენტებშია აღნიშნული სწორედ თელავის მაზრაში განხორციელებული ძარცვების შემდეგ ჟღენტს ვალები გადაუხდია, ცხენი უყიდა, ცოლისა და ბავშვებისათვის ბევრი ტანსაცმელი შეუძენია. ანუ, მან არა მხოლოდ პარტიის, არამედ პირადი მატერიალური მდგომარეობაც საგრძნობლად „გამოასწორა“.<sup>141</sup>

მინდა აღვნიშნო, რომ რევოლუციონერების მიერ ფულის შეგროვება მხოლოდ „რევოლუციური მიზნებისათვის“ არ ხდებოდა. მაგალითად, როგორც თბილისის გუბერნიის და თელავის მაზრის წარმომადგენლების მიმონერაშია ნათქვამი, გურიიდან ჩამოსულ

<sup>137</sup> ზოგან წერია ზატეკაშვილი

<sup>138</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 913, გვ. 27

<sup>139</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 913, გვ.60

<sup>140</sup> შსსპა, ფონ. 93, აღ. 2, საქ. 1124

<sup>141</sup> სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 8595, გვ. 39

ვინმე კარპეზ მოდებოდა, რომელიც ატარებდა გამოგონილ გვარ-სახელს ავთანდილ ლაშხის სახელზე. მას თელავის მაზრაში 1905 წელს შეუგროვებია გარკვეული თანხა თითქოსდა იარაღის შესაძენად. ამის შემდეგ ამ თანხიანად იგი საზღვარგარეთ – პარიზში თუ ბრიუსელში გაპარულა.<sup>142</sup> აღნიშნულს გარკვეულწილად ადასტურებს, ცნობილი ბოლშევიკი ტერორისტისა და „ექსპროპრიატორის“ კოტე ცინცაძის მოგონება. იგი წერს, რომ დასახელებულ პერიოდში მენშევიკებმა თელავის გზატკეცილზე თავდახმისას გაიტაცეს ფული, მაგრამ მეტი ნაწილი თვითონ მიითვისეს და ორგანიზაციას ცოტა მისცეს.<sup>143</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ თელავში რევოლუციური მოძრაობის ზემოაღნიშნული „უკიდურესი“ გამოვლინებები, რომლებიც რევოლუციონერების სისხლის სამართლის დამნაშავეებთან იგივეობაზე უფრო მეტყველებს, 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგაც არ შეწყვეტილა.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, 1908 წლის 19 თებერვალს ხარებასა და გოგიას ბანდის წევრმა ივანე ზაუტაშვილმა მათი დავალებით თელაველ ვაჭარ სიმონოვს ესროლა, მაგრამ ააცდინა. ამ თავდასხმის მოტივი ვაჭარ სიმონოვის მიერ ტერორისტებისაგან შეწერილი ფულის გადაუხდელობაში მდგომარეობდა.<sup>144</sup> სხვა საარქივო მასალების მიხედვით კი „1908 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკების იგივე „ჯგუფისტების“ წევრმა ალექსანდრე ეგოროვმა შეკრიბა თელავში ვაჭრები და მათ მოსთხოვა პარტიის სასარგებლოდ შვიდი მანეთის გადახდა თითოეულს.“<sup>145</sup> აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ძულიაშვილი, ბერძენოვი, ეგოროვი, ცინცაძე, გაგნიძე ასევე გოგია კენკიშვილი, ხარება ჯიბუტი და სხვები ენეოდნენ ყაჩაღობებს და ძარცვებს. სწორედ, მათი თანამზრახველი და „ჯგუფისტების“ წევრი ყოფილა ზემოდასახელებული ალექსანდრე ეგოროვი, ვისაც თელაველ ვაჭარ შინგაზრდილოვისათვის 50 მანეთი „შეუწერია“.<sup>146</sup>

1908 წლის იანვარში, თავადი ბარათოვის მიერ შედგენილ ოქმში, კვლავ საუბარია თელაველი ვაჭრებისათვის ფულის „შეწერებზე“. მაგალითად, თელაველი შეძლებული სომეხი ვაჭრის ალექსანდრე სტეფანეს ძე კირაკოზოვის ჩვენებით, 1907 წლის აგვისტოში გიორგი ძულიაშვილი და ალექსანდრე ეგოროვი მასთან მისულან პარტიის სახელით, იგულისხმება სოციალ-დემოკრატიული პარტია და სიკვდილის მუქარით გამოუძალიათ 50 მანეთი. დოკუმენტებში ასევე აღნიშნულია, რომ გარკვეული დროის შემდეგ ალექსანდრე ეგოროვი რაღაცა მიზეზის გამო ხარებამ და გოგიამ მოკლეს, ხოლო გიორგი ძულიაშვილი დააპატიმრეს და ოლონეცკის გუბერიაში გადაასახლეს.<sup>147</sup>

საარქივო მასალებში ასევე გვხვდება თელაველი შეძლებული სომეხი ვაჭრის გრიგოლ გრიქულოვის ჩვენებაც, რომ გასული წლის, ანუ 1907 წლის დეკემბერში, რადგან „სავაჭრო საქმეები“ ჰქონდა იგი თბილისში იმყოფებოდა. ცხოვრობდა ჩულურეთში კერძო სასტუმროში, კვეზერელი-კოპაძის ნომრებში. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ამ დაწესებულებაში ჩვეულებრივ თელაველები ჩერდებოდნენ. აქ მასთან გიორგი ძულიაშვილი ორი სხვა პირის თანხლებით მისულა და პარტიის საჭიროებისათვის 50 მანეთი მოუთხოვია,

<sup>142</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ. 57

<sup>143</sup> „რევოლუციის მათიანე“, თბილისი, №4, 1923, გვ. 57

<sup>144</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 18

<sup>145</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ. 64

<sup>146</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ. 64

<sup>147</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ. 58



თან დამუქრებია, რომ თუ ფულს არ მისცემდა მაშინ სიკვდილით დაისჯებოდა. გრიქულოვის ჩვენებით ამ შეხვედრისას მან ძულიაშვილს უარი უთხრა, მაგრამ ძულიაშვილმა მეორე დღესაც მიაკითხა და აიძულა ფული მიეცა.

დოკუმენტებში ასევე არის სხვა თელაველი შეძლებული სომეხი ვაჭრის გასპარ თათუზოვის ჩვენება, სადაც ის ამბობს, რომ 1907 წლის მარტში, თბილისში სასტუმრო „ფრანციაში“ გაჩერდა. თბილისში ყოფნის მესამე თუ მეოთხე დღეს, მას ქუჩაში თელავიდან მისთვის ნაცნობი „მანტაჟისტი“ გიორგი ძულიაშვილი შეხვდა. ამ უკანასკნელს თათუზოვისათვის „უხარებია“, რომ „ხუნხუზების“<sup>148</sup> პარტიამ მას, როგორც თელავის ყოფილ „სტაროსტას“ სიკვდილი მიუსაჯა. თათუზოვის თქმით ძულიაშვილს უთქვამს, რომ მათ სიკვდილი ასევე მიუსჯიათ სხვა თელაველი ვაჭარების – გიორგი პოპოვის, ალექსანდრე ტერ-სარქისოვისთვისაც, რადგან ისინი აბიზღებდნენ ადამიანებს. ჩანს აქ საუბარია გამომძაღველების შესახებ პოლიციისთვის ინფორმაციის მიწვდაზე. მეორე დღეს მასთან ნომერში ძულიაშვილი კვლავ მისულა და გადაუცია წერილი „ტერორისტი ხუნხუზების“ სახელით, სადაც ეწერა, რომ პარტია შევიდა თათუზოვის მდგომარეობაში და სიკვდილი შეუცვალა ოთხას (400) მანეთიანი გადასახადით. ძულიაშვილი კიდევ რამდენჯერმე მისულა თათუზოვთან, მაგრამ ის უარს ამბობდა დიდი თანხის გადახდაზე და მხოლოდ სამი მანეთი შეუძლევია – ფაქტობრივად გამომძაღველთან ვაჭრობა დაუნყია. მისი სიტყვებით „ნადირალა ძულიაშვილისათვის ბოლოს 50 მანეთი მაინც მიუცია“.<sup>149</sup>

საინტერესოა, რომ ერთ-ერთი მდიდარი თელაველი ვაჭარი, რომლისთვისაც ასევე შეუწერიათ ფული, თავის ჩვენებაში ახსენებს ზემოთ დასახელებულ „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკების – „ჯგუფისტების“ გვარებს და მათ შორის ფირუზ გიორგელაშვილს. ეს უკანასკნელი, მისი სიტყვებით – „სოციალ-დემოკრატიული პარტიის „კოლექტივისტი“ და მოსამართლე იყო, გამოჰქონდა სასიკვდილო განაჩენები.“<sup>150</sup> ვაჭარი დავით სიმონოვიც ასევე ადებდა ხელს გიორგი ძულიაშვილს, როგორც გამომძაღველს. მისი სიტყვებით, 1907 წლის 30 აგვისტოს რევოლუციით შეიარაღებული გიორგი ძულიაშვილი მასთან მაღაზიაში შესულა და 200 მანეთი მოუთხოვია. სიმონოვს ყვირილი აუტეხია და ძულიაშვილი გაქცეულა. ვაჭარ სიმონოვს ფული, რომ ვერ გამოსძალეს, ეს ჩანს იქიდანაც, რომ ზემონახსენები ზაუტაშვილი, სწორედ გიორგი ძულიაშვილის თანაპარტიელი გოგია კენკიშვილის დავალებით დაესხა სიმონოვს თავს.<sup>151</sup>

აღსანიშნავია, რომ თელავში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სახელით ფულის გამოძაღვას, არც სხვა პირები ერიდებოდნენ. როგორც თელავის პოლიციის ჩინებმა მოიკვლიეს, 1910 წლის 20 მაისს თელავის მაცხოვრებელმა რევაზ ბადრიძემ ორი მუქარის წერილი გაუგზავნა თელაველ სომეხ ვაჭარ ბოგდან მიკირტუმოვს ორასი (200) მანეთის მოთხოვნით. წერილში ეწერა, რომ ფული საჭირო იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის ორგანიზაციისათვის.<sup>152</sup>

<sup>148</sup> ეს ტერმინი 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში დამკვიდრდა საქართველოში. ხუნხუზებს მანჯურისა და ჩრდილოეთ ჩინეთში მოქმედი შეიარაღებული ჯგუფების მონაწილეებს ეძახდნენ. ქართველი რევოლუციონერები კი იყენებდნენ მეტსახელებადაც, მაგალითად ვანო ალიხანაშვილის ერთ-ერთი მეტსახელი სწორედ ხუნხუზი იყო

<sup>149</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ. 63

<sup>150</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 7

<sup>151</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 45, გვ. 57

<sup>152</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 31, საქ. 392, გვ. 3

უკვე აღვნიშნე, რომ ფულის გამოძალვას „ხარებას და გოგიას“ დაჯგუფების ტერორისტებიც აქტიურად მისდევდნენ. თელავში მყოფი ჟანდარმერიის პუნქტის ოფიცერი ხელმძღვანელობას მოახსენებდა, რომ 1911 წლის სექტემბერში თელაველ სომეხ ვაჭარ ბაგრატ ტერ-კარაპეტის ძე ბიგიანოვს საკუთარი სახლის სადარბაზოში მიგდებული წერილის მეშვეობით ხუთას (500) მანეთს სძალავდნენ და სიკვდილით ემუქრებოდნენ. წერილს ხელს ხარება, გოგია და ჟორჟიკა აწერდნენ.<sup>153</sup>

ერთ-ერთი დოკუმენტში ვკითხულობთ – „ტერორისტების მეთაური, ცნობილი ყაჩაღი, სოფელ ართანის მკვიდრი ხარება ჯიბუტი მეტსახელით ლეკი (ლეკი ქართულად ნიშნავს ლეკს და ასე ეძახიან ჩვეულებრივ ადამიანებს – უშიშრებს და სასტიკებს, სავარაუდოდ, იმის სამახსოვროდ თუ რა მხეცობებსაც სჩადიოდნენ ოდესღაც ლეკები კახეთის მოსახლეობის მიმართ) და რომელიც თავის თავს წარმოსახავს როგორც რაინდს შიშის და სინანულის გარეშე (სინამდვილეში ასეთი არაა)... მან გაძარცვა თავად ყარალოვის სახლი ართანში, ხოლო თიანეთის მაზრაში ძალიან ხშირად გამვლელებს ლამის უკანასკნელ პერანგსაც კი ართმევდა.“<sup>154</sup>

თიანეთის მაზრაში „ხარება და გოგიას“ დაჯგუფების ასეთი სახის საქმიანობას, 1908 წლის 12 აგვისტოთი დათარიღებული თბილისის გუბერნატორის მიერ თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის სახელზე გაგზავნილი წერილიც ადასტურებს: „თიანეთის მაზრის უფროსის შეტყობინების თანახმად სოფლებში ახმეტა, მატანი, ალვანი დროდადრო თელავიდან ჩნდებიან შემდეგი ტერორისტები -1) ხარება ჯიბუტი 2) გოგია კენკიშვილი 3) ზალიკო სვიმონიშვილი 4) თავადი მიხეილ მაყაევი. ყველა ეს პირი ბრალდებულია სხვადასხვა დანაშაულებებში და უპირატესად ვაჭრებისგან ეწვეიან ფულის გამოძალვას, ასევე მოსახლეობას დაშინების გზით აიძულებენ საქმეების გასარჩევად თელავის რევოლუციურ კომიტეტს მიმართონ. ეს ტერორისტები თელავის ადმინისტრაციისათვის ცნობილია.“<sup>155</sup>

სხვა დოკუმენტების მიხედვითაც ფულის გამოძალვა ამ დაჯგუფების ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა იყო. მაგალითად, პოლიციის „სტარჟნიკების“ იმ ჯგუფის ხელმძღვანელი ეკო დარჩიევი, ვინც სოფელ მალრანის ზემოთ მაჭარულას ხეობაში 1913 წლის იანვარში „ხარება და გოგიას“ დაჯგუფების წევრები ამოხოცა, 1914 წლის ივნისში წერდა – „კახეთში ხარება და გოგიას ბანდის წევრების მხრიდან დამაშინებელი წერილების მეშვეობით გამოძალვები მნიშვნელოვანო მოვლენა გახდა და კახეთის მოსახლეობისგან ამ გზით 40-50 ათასი მანეთი შესდიოდა ბანდას. ზედმეტი იყო იმაზე ფიქრი რომ ეცნობებინათ პოლიციისათვის და მოსახლეობა სიტყვა შეუბრუნებლად ასრულებდა ბანდის მოთხოვნას. ვისაც არ შეეძლო გადახდა ტოვებდა საცხოვრებელ ადგილებს. ეს ბედი უმთავრესად თელავის, სიღნაღის, დუშეთის და თბილისის მაზრებში სავაჭრო და შეძლებულ კლასს ეწია.“<sup>156</sup>

როგორც ჩანს, „ხარება და გოგიას“ დაჯგუფების განადგურების შემდეგ, მათთან კავშირში მყოფი, ანდა გადარჩენილი ყოფილი ტერორისტები უფრო „ნაკლები მადით“ გამოირჩეოდნენ. მაგალითად, 1913 წლის 10 მაისს დილით, თელავის მაზრის უფროსის უმცროსმა თანაშემწე ათაბეგოვმა ქალაქ თელავის მცხოვრები, „აზიაცკების“ სახელოსნოს

<sup>153</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 7205, გვ. 150

<sup>154</sup> სსცა, ფონ. 115, აღ. 1, საქ. 2590, გვ. 14

<sup>155</sup> სსცა, ფონ. 94, აღ. 1, საქ. 44, გვ. 153

<sup>156</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 7915

მფლობელ სერგო სახივეთან მომუშავე ზაქრო ნიკოლოზის ძე ვაშაყმაძე დააპატიმრა. ზაქრო ვაშაყმაძის ძმა გიორგი თელავის მაზრაში ოპერირებული ყაჩაღებთან კავშირში და ფულის გამოძალვაში შუამავლობის გამო, 1912 წელს რუსეთის შიდა გუბერნიაში ყოფილა გადასახლებული.<sup>157</sup> ამიტომ, როდესაც ვაშაყმაძემ დილაუთენია ფუთით ხელში თელავში ერთ-ერთ ქუჩაზე გადაირბინა და ლევან როსტომოვის სახელოსნოში სწრაფად შევიდა და მასზე ეჭვი შეიტანა.

თელავის მაზრის უფროსის თანაშემწე ლიკოვმა დაპატიმრებულ ვაშაყმაძის ფუთაში შავი აზიური ქსოვილი, სავარაუდოდ საჩოხე მატერია იპოვა. ვაშაყმაძემ უჩვენა, რომ 1913 წლის 7 მაისს იგი ე.წ. „ჯვარ-პატიოსნის“<sup>158</sup> სახელწოდების ეკლესიაში დღესასწაულზე წასულა, რომელიც თელავიდან 3 ვერსის მანძილზე მდებარეობდა. მას აქ ზალიკო სვიმონიშვილის ბანდიდან დარჩენილი ერთ-ერთი ადგილობრივი ყაჩაღი – გიგო სესიკაშვილი, მეტსახელით „ზამბილას ბიჭი“ შეხვედრია. მან თელავში, ვილაცა ბაგრატიან ნერილი გაატანა და უთხრა, რომ რასაც ეს ბაგრატი მისცემდა „ჯვარ-პატიოსანთან“ აეტანა. ვაშაყმაძეს 8 მაისს ნერილი გადაუცია ბაგრატიანის, რომელიც როგორც გაირკვა, თელაველი ვაჭარი ბაგრატი ეგორის ძე ბეგიანოვი ყოფილა. ბეგიანოვს უთქვამს, რომ ყაჩაღების დავალების შესრულება არ შეეძლო, მაგრამ 10 მანეთი მაინც მისცა.<sup>159</sup>

ვაშაყმაძე 9 მაისს ყაჩაღებს „ჯვარ-პატიოსნის“ ეკლესიათან კვლავ შეხვედრია. აქ ყოფილან გიგო სესიკაშვილი, ჟორჟიკა ბერძენიშვილი და მესამე ყაჩაღი მეტსახელით „ჩორტ ეგო ზნაეტის ბიჭი“. მათ სხვა დავალება მიუციათ, კერძოდ ვინმე ისააკ იარემოვთან მისვლა, ვისთვისაც ვაშაყმაძეს საჩოხე მატერია გამოურთმევია.

აქვე აღმოჩნდა ყაჩაღების მიერ ბაგრატი ბეგიანოვისათვის გაგზავნილი ნერილის დედანი, რომელსაც ხელს ჟორჟიკა, ანუ გიორგი ბერძენიშვილი აწერს. მასში ვკითხულობთ:

„გამარჯობა ძმაო ბაგრატი!  
მოგიკითხავ დიდი სიყვარულით,  
ძმაო ბაგრატი რას გეხვეწებით

თუ ძმა ხარ ძალიან ქესატათ ვართ და ჩუსტები შეგვიკერე ექვსი წყვილი, ნასკები, 1/2 დუჟინი (ნანერი გაურკვეველია) კონვერტები და ქალაღები, სავარცხელი (ნანერი გაურკვეველია)

თუ ძმა ხარ უარი არ გვითხრა (ნანერი გაურკვეველია)  
შენი ჟორჟიკა“<sup>160</sup>

ვაშაყმაძემ თელავის მაზრის პოლიციას დაკითხვისას განუცხადა, რომ იმ ადგილს უჩვენებდა, სადაც ყაჩაღებისათვის ზემოაღნიშნული ფუთა უნდა მიეტანა. თელავის მაზრის უბნის ბოლიციის პრისტავი თავადი ჭავჭავაძე და პოლიციის „სტრაჟნიკები“ ვაშაყმაძესთან ერთად წასულან, მაგრამ გზაში ვაშაყმაძეს გაქცევა უცდია. ალელოვმა და „სტრაჟნიკმა“ სიმონ გაზაშვილმა ესროლეს და გაქცევის მცდელობისას ვაშაყმაძე მოკლეს. 1913 წლის დეკემბერში თბილისის საგუბერნიო მმართველობამ ვაშაყმაძის მკვლელობის საქმე განიხილა და თელავის მაზრის პოლიციის ქმედებებში დანაშაულის ნიშნები ვერ აღმოაჩინა.

<sup>157</sup> სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 14092, გვ. 18

<sup>158</sup> ეს ეკლესია ახლაც თელავის სამხრეთით რამოდენიმე კილომეტრის დაშორებით ტყეში მდებარეობს

<sup>159</sup> სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 14092, გვ. 2-7

<sup>160</sup> სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 14092, გვ. 8

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს ამ დროს თელავსა და თელავის მაზრაში მოქმედი ყაჩაღები რაოდენობრივად შემცირებული იყვნენ. ამას ადასტურებს, 1914 წლის დეკემბერში თიანეთის მაზრის პოლიციის, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ „სპეცოპერაციის“ ანგარიში. სხვანაირად არ შეიძლება მოვიხსენიოთ თიანეთის მაზრის უფროსის მიერ „საიდუმლო თანამშრომლის“, ანუ აგენტის და ორი გადაცმული სტრაჟნიკის გაგზავნა თელავის მაზრაში, სადაც ისინი თელავის მაზრაში მოქმედ ყაჩაღებს, ან მათ ხელშემწყობებს ინფორმაციის მიღების მიზნით უნდა დაახლოებოდნენ. მართლაც, ეს პირები სოფლების მალრანის და ბაბანეურის გზაზე შემხვედრ თელავის მაზრის სოფელ ვარდისუბნის მცხოვრებ გიო სოზაშვილს და სოფელ ოჟიოს მკვიდრ თედო მეზვრიშვილს, თითქოსდა დუშეთის ტერიტორიაზე მოქმედი ყაჩაღები იყვნენ ისე გაეცნენ. ეს უკანასკნელები 15-16 წლის ბიჭები ყოფილან და თიანეთის მაზრის უფროსის მიერ გაგზავნილმა აგენტმა მოახერხა მათი ნდობის მოპოვება. ბიჭებს უთქვამთ, რომ ხშირად ხვდებოდნენ თელავის მაზრაში მოქმედ, ე.წ. კახელ ყაჩაღებს, რომლებიც იმ დროსათვის მხოლოდ ხუთნი იყვნენ: ჟორჟიკა (გიორგი ბერძენიშვილი), ზამბილას ბიჭი (გიგო, გიორგი სესიკაშვილი), უტრუხუნე (გიორგი მახნიაშვილი) და ნაბია (სანდრო, იგივე ძია ყაველაშვილი).<sup>161</sup>

შეძლებული თელაველი ვაჭრები გამომძალველებისაგან თავის დაცვას აქტიურად ცდილობდნენ. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, მათ 1912 წელს თელავში „გოროდოვების“ რიცხვის გაზრდა მოითხოვეს და თანახმა იყვნენ მათი ხელფასის, შენახვის, ასევე იარაღის შესყიდვის ხარჯიც კი წინასწარ დაეფარათ. მინდა აღვნიშნო, რომ „ხარებას და გოგიას“ ჯგუფს იმ დროს არ ჩამოუფარდებოდა ზალიკო სვიმონიშვილის დაჯგუფებაც. მაგალითად, ზემოთ უკვე ვახსენე, რომ 1912 წელს თავად მაყაევს სახლში თავს დაადგა სვიმონიშვილის დაჯგუფების წევრი, ზემონახსენები ლადო ბაჩიაშვილი და ზალიკოს წერილი გადასცა 500 მანეთის მოთხოვნით. თავადი ძალიან შეშინებულა და 140-თუ 150 მანეთი მაშინვე მიუცია.<sup>162</sup>

ტერორისტებმა სწორედ „შენწერილი“ ფულის გადაუხდელობის გამო 1912 თელავში მოკლეს მდიდარი სომეხი ვაჭარი ბოგდან მიკირტუმოვი, რომელიც საარქივო მასალებიდან გამომდინარე ზემოდასახელებულმა გიორგი სესიკაშვილმა მოკლა.<sup>163</sup>

აღსანიშნავია, რომ ხდებოდა პირიქითაც. მაგალითი, თუ როგორ „ზომებს“ იღებდა მოსახლეობა ტერორისტებისა და გამომძალველების წინააღმდეგ, არის გამომძალველ ილია ფარადაშვილის მკვლელობა. 1914 წლის თებერვლით დათარიღებული დოკუმენტის მიხედვით, თელავის მეზობლად მდებარე სოფლის კურდღელაურის მცხოვრებ დავით სამადაშვილს, ამავე სოფლის მცხოვრებმა ილია ფარადაშვილმა გადასცა თითქოსდა ყაჩაღების მიერ გაგზავნილი წერილი 200 მანეთის მოთხოვნით. ამ დროს „ხარება და გოგიას“ დაჯგუფება ძირითადად განადგურებულია. სავარაუდოდ, ამ ყაჩაღებში სესიკაშვილი და ბერძენიშვილი მოიზრებოდნენ. სამადაშვილს 30 მანეთი მიუცია გამომძალველისათვის და შეპირებია, რომ დანარჩენ თანხას მოგვიანებით გადასცემდა. მას მაზრის უფროსისათვის შეუტყობინებია ეს ამბავი და თავის დასაცავად მისგან „ბერდანის“ (ე.წ. ბერდენკა) სისტემის შამხანა მიუღია. 1914 წლის 22 იანვარს ფარადაშვილი კვლავ მისულა სამადაშვილთან, რომელიც სახლში არ იმყოფებოდა. სახლში მყოფ დავით სამადაშვილის მეუღ-

<sup>161</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 8479, გვ. 46

<sup>162</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 7910 5, გვ. 18

<sup>163</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 5, გვ. 5

ლე მარიას<sup>164</sup> გამომძალველისათვის ფანჯრიდან დასახელებული იარაღი უსვრია და მოუკლავს.<sup>165</sup> ასეთი ფაქტების მიუხედავად ყაჩაღების მხრიდან თელავში ფულის გამოძალვები გრძელდებოდა.

1914 წელს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და რუსეთის იმპერიაში, ნელ-ნელა თავს იჩენს მიჩუმებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, იწყება კრიმინოგენული ვითარების გაუარესება. ამ პერიოდში კავკასიაში, გარკვეულწილად 1905-1907 წლების რევოლუციის მახასიათებელი ფაქტორების – ადგილობრივი ხელისუფლების დასუსტება და სისხლის სამართლის დანაშაულებების, ხელისუფლების წარმომადგენლებზე თავდასხმების რიცხვის ზრდა ხდება. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები კვლავ „დაშინდნენ“. სხვას ვერაფერს იტყვი, როცა ნაიკითხავ 1916 წლის 4 პრილით დათარიღებულ თელავის მაზრის უფროსის წერილს თბილისის გუბერნატორის სახელზე „სანდო აგენტურული ცნობების თანახმად, კახელი ყაჩაღების მეთაურმა გიორგი სესიკაშვილმა, მეტსახელით „ზამბილას ბიჭი“, მასთან მყოფი თერთმეტი ყაჩაღის გარდა, ესენია: ალექსანდრე ყაველაშვილი, გიორგი (ჟორჟიკა) ბერძენიშვილი, გიგლა სესიკაშვილი, ილო (ილია) ფირანაშვილი – მეტსახელით „ჩორტ ეგო ზნაეტის ბიჭი“, გიო მახნიაშვილი, მეტსახელით „უტრუხუნე“, ზაქარია ბინკინაშვილი, ნიკოლოზ მეზერიშვილი, იოსებ (ომანა) ოხანაშვილი და ესტატე შანშიევი, თავისთან ბანდაში მიიწვია კიდევ ექვსი ადამიანი, ძირითადად სამხედრო დეზერტირები, მათ შორის სამხედრო ხელისუფლებისგან ძებნილი ფირუზ ხვთისიაშვილი და ქალაქ თელავის მცხოვრები ბაღდასარ სპირიდონოვი. მან ამდაგვარად ორგანიზება გაუკეთა ჩვიდმეტ (17) კაციან კარგად შეიარაღებულ ბანდას. სესიკაშვილი აპირებს გრანდიოზულ თავდასხმას თელავზე და პოლიციის ჩინების ამონყვეტას, შემდეგ კი შერჩეული პირების გაძარცვას, რომლებსაც უკვე ახლა დაეგზავნა წერილები ფულის მოთხოვნით სიკვდილის შიშის ქვეშ.“<sup>166</sup>

საინტერესოა, რომ აქვე თელავის მაზრის უფროსი წერდა – ყაჩაღების ამ ბანდას მაზრის თითქმის მთელი მოსახლეობა უჭერს მხარს და მათ არსებობისათვის საჭირო ნივთებს, პროდუქტს, იარაღს და საბრძოლო მასალასაც კი აწვდიანო.<sup>167</sup> სხვა დოკუმენტში, რომელიც ეხება თელავის მცხოვრებს, სოფელ ენისელში სავაჭრო ფარდულის მქონე ალექსანდრე ეგოროვს ნათქვამია, რომ მან გიორგი მახნიაშვილის, იგივე უტრუხუნეს მიერ დანერგული წერილი მიიღო, სადაც იგი 2000 მანეთს სთხოვდა.<sup>168</sup> ამრიგად, კახეთში მოქმედ ყაჩაღებს „ხარებას და გოგიას“ ჯგუფის ლიკვიდაციის შემდეგ შემცირებული „მადა“, როგორც კი რუსეთის იმპერიაში გაჩნდა შესაბამისი ვითარება მაშინვე „გაეზარდათ“.

თელავის მაზრაში ამ დროს, მხოლოდ „ხარებას და გოგიას“ ბანდის წარჩენები არ მოქმედებდნენ. მაგალითად 1916 წლის დეკემბერში დეზერტირები ფოთოლაშვილი და ბრეგვაძე, ვინმე მწყერაძის მეშვეობით თელაველ ვაჭარ მარკოზ კველიევს 600 მანეთს სძალავდნენ.<sup>169</sup>

<sup>164</sup> ამ ქალბატონის ქალიშვილობის გვარი გვარი ორკოდაშვილი იყო

<sup>165</sup> სსცა, ფონ. 156, აღ. 3, საქ. 274, გვ. 3

<sup>166</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 8692, გვ. 22

<sup>167</sup> დოკუმენტების მიხედვით გიგო, გიორგი სესიკაშვილს თელავის მაზრის გლეხებში საკმაოდ კარგი რეპუტაცია ჰქონდა. მას ვიღაც ყაჩაღიც კი მოუკლავს, რადგან იგი გლეხებს აწუხებდა

<sup>168</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 21, საქ. 2925, გვ. 97

<sup>169</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 21, საქ. 2925, გვ. 172

აღსანიშნავია, რომ ამ დროს თელავში საკმაოდ ბევრი დეზერტირი გაყარალებულა. 1916 წლის 14 დეკემბერს თელავში, ზემო ბაზართან სალამოს 7 საათზე ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცერი სტეპკინი მიძიმედ დაჭრეს. თავდაპირველად ეგონათ, რომ იგი სოფელ ახმეტის მცხოვრებმა ვასილ ლოლაძემ დაჭრა, რადგან მას ადრე სტეპკინმა თელავში სავაჭროდ წაღებული არაყი წაართვა. შემდეგ კი დეზერტირობისათვის სდევნიდა და თავდასხმამდე სამი დღით ადრე თელავში, ახალქალაქელოვის სასტუმროში მყოფი ლოლაძე კინალამ არ დააპატიმრა.<sup>170</sup>360

ძიებისას კი გაირკვა, რომ სტეპკინს თელავის მცხოვრებმა, მძარცველების ბანდის მეთაურმა გიგლო სარქისის ძე ხითაროვმა, მეტსახელად „ტუგას ბიჭი“ ესროლა. პოლიციამ გიგლო ხითაროვის დაჯგუფებას მალევე მიაგნო და თელავის ბოქაულის თანაშემწე გოლოვანოვის და „სტრაჟნიკ“ გოტაძის მონაწილობით ეს პირები, სამხედრო დეზერტირები: თელაველები – გიგლო ხითაროვი და გრიგოლ ებიტაშვილი, მეტსახელად „უბატას ბიჭი“, ასევე ლეჩხუმელი თამო ბა...რაძე,<sup>171</sup> სოფელ რუისპირის მცხოვრები სოლომონ ტარუაშვილი დახოცა.<sup>172</sup>

ამ პერიოდში, კახელი ყაჩაღები, საუბარია სესიკაშვილის დაჯგუფებაზე, იმდენად გაძლიერდნენ, რომ როგორც 1916 წლის 9 მაისით დათარიღებული თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის წერილიდან თბილისის გუბერნატორისადმი ირკვევა მათ პოლიციის „სტრაჟნიკების“ გამოჩენის შეტყობინებისთვის თავისი აგენტებიც კი აუყვანიათ, რომელსაც თვეში 30 მანეთს ხელფასის სახით აძლევდნენ.<sup>173</sup>

დასახელებული პირების გარდა შემდგომ პერიოდში გიგო სესიკაშვილის ბანდას სიკო დალაქიშვილი, სოფელ ხორხლის მცხოვრებლები ნიკოლოზ მეზვრიშვილი, ფირუზ მოსიაშვილი, თელავის მცხოვრები ესტატე შიშნიევი, ბაგრატ ნადირაძე, ილია მედულაშვილი, იგივე შანატაშვილი, ფირუზ პაპიაშვილი,<sup>174</sup> ვლადიმერ პეტრიაშვილი, ვარდან მოსესოვი (ბუზებიანის ბიჭი) და სხვები შემატებიან.<sup>175</sup>

1916 წლის ზაფხულში ეს ბანდა რამოდენიმე ნაწილად დაყოფილა და ისე მოქმედებდა. ამავე წლის 15 მაისს თელავის პრისტავ ახვლედიანის და თელავის პოლიციის „სტრაჟნიკების“ მიერ მოკლულ იქნა გიგო სესიკაშვილი – „ზამბილას ბიჭი“. ცოტა ხანში – 27 მაისს კი ზაქრო ბინკინაშვილი, იგივე ლურჯაშვილი. ამიტომ, თბილისის გუბერნატორმა თელავის მაზრის უფროსი მატიაკინი, თელავის ბოქაული ახვლედიანი, თელავის „სტრაჟნიკების“ რეზერვის „ურუიადნიკი“ არსენ ქობულაშვილი, „სტრაჟნიკები“ ლევან ვალიშვილი, მაგომ ოსმანოვი, იორდანე კობისაშვილი, ნიკოლოზ კოზაშვილი, იოსებ ხუკაშვილი, მალაქია ბაკურაძე და ნიკოლოზ ბესტავაშვილი დასაჯილდოებლად წარადგინა.<sup>176</sup>

მინდა აღვნიშნო ერთი გარემოება, როგორც დოკუმენტების ანალიზიდან ჩანს გიგო სესიკაშვილი – „ზამბილას ბიჭი“, თავისი საქმიანობის გამო, იმ დროს ქალაქ თელავის და თელავის მაზრის მოსახლეობაში საკმაოდ პოპულარული იყო და დიდი პატივისცემითაც

<sup>170</sup> 360 სსცა, ფონ. 13, აღ. 21, საქ. 2925, გვ. 166

<sup>171</sup> გვარი დოკუმენტის სიძველის გამო ვერ იკითხება

<sup>172</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 21, საქ. 2925, გვ. 168

<sup>173</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 8692, გვ. 44

<sup>174</sup> სსცა, ფონ. 17, აღ. 1, საქ. 8692, გვ. 61

<sup>175</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 21, საქ. 2925, გვ. 53

<sup>176</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 21, საქ. 2925, გვ. 105

სარგებლობდა. ჩანს, რომ დროთა განმავლობაში, ხალხმა ამ ადამიანის მიერ ჩადენილი „კეთილი საქმეები“ „ხარება და გოგია“ ბანდას, როგორც ყველაზე უფროს სასტიკ და შესაბამისად საზოგადოებაში ცნობილ დაჯგუფებას მიაწერა.<sup>177</sup>

თელავის მოსახლეობაში გიგო სესიკაშვილი უდავო პოპულარობას ადასტურებს, თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის მოადგილის წერილი თელავის უნტეროფიცერ სტეპკინისადმი: „გიბრძანებ გაიგო და მომახსენო თუ ვინ გააკეთა მოკლული სესიკაშვილის საფლავი და გაარკვიო იმ თავადის ასულის სახელი და გვარი, ვინც მისი სიკვდილის გამო სინანული გამოხატა.“<sup>178</sup>

უნტერ-ოფიცრ სტეპკინის საპასუხო წერილში წერია: „სესიკაშვილის საფლავი გააკეთეს თელავის მცხოვრებლებმა: 1. ვანო იშხანოვმა, რომელიც ახლა არმიაშია განწეული, 2. „აზიაცკების“ მკერავმა თელაველმა სიმონ მწყერაძემ, ასევე მოსახლეობის დიდმა მასამ, ვინც ვერ გამოვარკვიეთ. რაც შეეხება თავადის ასულის შესახებ ინფორმაციას, მაზრის უფროსმა მატიაკინმა თქვა,<sup>179</sup> რომ მას ეს უთხრა მაზრის ყოფილმა უფროსმა პოდპოლკოვნიკმა ოლხოვსკიმ.“<sup>180</sup>

მალევე კახელ ტერორისტებს ახალი ლიდერი გაუჩნდათ და ეს გიგა სესიკაშვილი იყო. ისინი კვლავ „აქტიურდებიან“ და იწყებენ ფულის მოთხოვნით წერილების დაგზავნას. მეტიც, 1916 წლის აგვისტოში ფულის გამოძალვის მიზნით მათ – გიგა სესიკაშვილმა, ილია შატანაშვილმა, გიორგი ბერძენიშვილმა (ჟორჟიკა) და სხვებმა, სოფელ გურჯაანის მცხოვრები ვინმე ბეჟიტაშვილი გაიტაცეს. ეს გატაცება არ იყო ერთჯერადი შემთხვევა, მანამდე მათ სოფელ ახაშენის მცხოვრები გაიტაცეს და მის ნათესავს გამოსასყიდის სახით 2000 მანეთი მოსთხოვეს.<sup>181</sup> ამის შემდგომაც კახელ ყაჩაღებად წოდებული – გიორგი ბერძენიშვილი (ჟორჟიკა), გიო მახნიაშვილი (უტრუხუნე), ალექსანდრე ყაველაშვილი (ძია) და სხვები თავის „ჩვეულ“ საქმიანობას კვლავინდებურად აგრძელებდნენ. თუმცა, 1918-1920 წლებში, ისინი სხვადასხვა შემთხვევამ „იმსხვერპლა“.

### 3.6. პოლიციის ჩინების მკვლელობები

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ თელავში 1905-1907 წლების რევოლუციური მოძრაობა საკმაოდ დიდი სიმძაფრით გამოვლინდა. ამ გამოვლინებებმა კი თავი თელავის პოლიციის ჩინების მკვლელობებშიც იჩინა.

რევოლუციის პერიოდში თელავის პოლიციაში უფროსი გოროდოვოს თანამდებობაზე მსახურობდა დარჩო გიორგის ძე ამირგულაშვილი. იგი, როგორც საარქივო მასალაშია აღნიშნული „1906 წლის 2 ოქტომბრის ღამით მოკლულ იქნა ცნობილი პარტიული ტერორისტების მიხეილ კაკატუნის და მიხეილ ლაჩაშვილის მიერ. დარჩო ამირგულაშ-

<sup>177</sup> შორს წასვლა არცაა საჭირო, ვფიქრობ საკმარისია ფილმის „ხარება და გოგია“ ნახვა

<sup>178</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 21, გვ. 3

<sup>179</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 21, გვ. 10

<sup>180</sup> ეს ფაქტი ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ თელავში აღნიშნულ პერიოდში დაპირისპირება არა სომხებსა და ქართველებს, შორის არამედ შეძლებულ სომხებთან იყო, რაც სესიკაშვილის ზემოდასახელებული სომეხი და ქართველი ჭირისუფლების არსებობითა დასტურდება

<sup>181</sup> სსცა, ფონ. 13, აღ. 21, საქ. 2925, გვ. 127-128

ვილი რევოლუციონერებმა იმიტომ მოკლეს, რომ იგი არ ეპუებოდა მათ და ანტისახელმწიფოებრივი პარტიების წინააღმდეგ განხორციელებულ საპოლიციო ხასიათის ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდა“.<sup>182</sup> აქვე ნათქვამია, რომ „ამირგულაშვილი ღიად მიდიოდა პარტიული მებრძოლების წინააღმდეგ. იმ დროს პარტიული მებრძოლები დაუნდობლად კლავდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებს. ისინი ხშირად მკვლევლობებს სჩადიოდნენ არა შერჩევით, არამედ განურჩევლად. დადგენილია, რომ ამირგულაშვილი პოლიტიკურ ნიადაგზეა მოკლული.“<sup>183</sup>

1930-იან წლებით დათარიღებულ „საბჭოთა პერიოდში მოკლული რევოლუციონერებისა და შპიონების სია“-ში, რომელიც შედგენილია თელაველი ცოცხლად დარჩენილი „რევოლუციონერების“ მიერ აღნიშნულია – „მოკლულია უფროსი პოლიციელი დარჩო ამირგულაშვილი (ყვავი)<sup>184</sup>მიხა კიკნაძის მიერ 1906 წელს“.<sup>185</sup> როგორც ირკვევა, ტერორისტი მიხეილ ლაჩაშვილი მეორე გვარსაც – კიკნაძე ატარებდა. „ძველი რევოლუციონერის“ კოტე გურგენიშვილის მოგონებებში ვკითხულობთ: „1906 წელს წითელრაზმელმა მიხა კიკნაძემ თელავში მოკლა უფროსი გოროდოვოი შაბოიანცი (ყვავი)“.<sup>186</sup> ჩანს, რომ ერთსა და იმავე პიროვნებაზეა საუბარი.

საარქივო მასალებმა ასევე შემოგვინახა აღნიშნულ მკვლევლობაზე წარმოებული ძიების მასალებიც. ზემონახსენები „პარტიული ტერორისტები“ კაკატუნიძე და ლაჩაშვილი სოციალ-დემოკრატები იყვნენ და მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ თავდასხმა ამირგულაშვილზე იმდროინდელი ტერორისტების „კლასიკური“ სქემით იქნა განხორციელებული – ვგულისხმობ სამიზნეზე მოულოდნელ თავდასხმას და ზურგიდან სროლას.

როგორც თელავის მაზრის უფროსის, 1907 წლის 6 თებერვლით დათარიღებული მოხსენებითი ბარათიდან ვიგებთ, ამირგულაშვილი სამსახურებრივი მორიგეობის დროს მოკლეს, თუმცა მან მძიმედ დაჭრილმა მოასწრო ერთ-ერთი თავდამსხმელის, კერძოდ კაკატუნიძის ფეხში დაჭრა. როგორც ხშირად ხდებოდა მისმა „თანამზრახველმა“ ტერორისტმა იგი იქვე მიატოვა და გაიქცა. კაკატუნიძე დააკავეს და სამხედრო-საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით თელავის ციხეში სიკვდილით დასაჯეს.<sup>187</sup>

თელაველი ტერორისტები თელავის მეზობელ სოფლებშიც არ ერიდებოდნენ პოლიციელებზე თავდასხმებს. როგორც თელავის პუნქტის უნტერ-ოფიცერი რომენენკო მოახსენებდა ხელმძღვანელობას, 1907 წლის 14 ივნისს თელავის მაზრის სოფელ კურდელაურში ტერორისტებმა დაჭრეს თელავის მაზრის პოლიციის სამმართველოს „ურიადნიკი“ რევაზ სარდიონის ძე მაჭავარიანი.<sup>188</sup>

ხელისუფლების აზრით, 1908 წლის 14 მაისს თელავის პოლიციის უფროსი „გოროდოვოი“ აბრამ გიგოს ძე კაპანაძის მკვლევლობის მოტივიც „პოლიტიკური ნიადაგი“ იყო.<sup>189</sup> თბილისის გუბერნატორის სიტყვებით – „კაპანაძე ტერორისტების მიერ სამსახურებრივი

<sup>182</sup> სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 10830, გვ. 6

<sup>183</sup> სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 10830, გვ. 6

<sup>184</sup> სავარაუდოდ მეტსახელია

<sup>185</sup> შსსპა, ფონ. 93, აღ. 2, საქ. 1124, გვ. 4

<sup>186</sup> შსსპა, ფონ. 8, აღ. 2(1), საქ. 11, 110

<sup>187</sup> სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 10830, გვ. 5

<sup>188</sup> სსცა, ფონ. 153, აღ. 1, საქ. 913. გვ. 242

<sup>189</sup> სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 10845, გვ. 4-7



მოვალეობის კარგად შესრულების გამო იქნა მოკლული“.<sup>190</sup> მასალებიდან ჩანს, რომ კაპანაძე დილის ხუთ საათზე მოკლეს. ამ დროს კაპანაძე თელავში, საკუთარი სახლის მეზობლად მდებარე ტყეში ე.წ. მუხიანში წყაროზე იყო წასული. რაც შეეხება მკვლელების პარტიულ კუთვნილებას, დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ისინი თელავში არსებული „დაშნაკცუტუნის“ პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ტერორისტები – ვარლამ მამულოვი, ერვანდ აკოპოვი და ყაზარ მკალავიშვილი იყვნენ. მკვლელობის მოტივი კი ის გარემოება იყო, რომ აბრამ კაპანაძემ ამ პარტიის ტერორისტები დააპატიმრა. როგორც აღნიშნულ საქმეზე არსებული გამოძიების მასალებიდან ჩანს, სასამართლოს მამულოვი გაუმართლებია.<sup>191</sup>

თელავის მაზრის უფროსის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებლის თავად ბარათოვის მიერ შედგენილ, 1908 წლის 18 მაისით დათარიღებულ ოქმში ნათქვამია, რომ კაპანაძის უშუალო მკვლელი „ყაზარ მკალავიშვილი მეტსახელით „მუსას ბიჭი“ – „დაშნაკცუტუნის“ პარტიის ტერორისტია.“<sup>192</sup>

მინდა აქვე აღვნიშნო, რომ „ძველი რევოლუციონერი“ კოტე გურგენიშვილის მოგონებაში წერს: „1908 წელს „ნითელრაზმელებმა“ თელავში მოკლეს გოროდოვოი აბრამა“,<sup>193</sup> საარქივო მასალებით კი ეს არ დასტურდება. მათი მიხედვით, აბრამ კაპანაძის მკვლელები არა „ნითელი რაზმის“, არამედ სომხური ნაციონალისტური პარტიის „დაშნაკცუტუნის“ ადგილობრივი ორგანიზაციის წევრები იყვნენ, რაზეც დაპატიმრებულმა ყაზარ მკალავიშვილმა მაშინვე განაცხადა.

თუ როგორი იყო „გოროდოვოი“ კაპანაძის მკვლელობის წინაისტორია და მოტივი ამის შესახებ ჩვენ საკმაოდ ბევრი დოკუმენტი მოგვეძიება. მკალავიშვილის ჩვენებებიდან ჩანს, რომ იგი ქალაქ არმავირში მუშაობდა და „არეულობების“ დანაშაულის შემდეგ თელავში დაბრუნდა, სადაც თელაველ „პარტიულ ახალგაზრდებს“ დაუახლოვდა. მკალავიშვილის სიტყვებით, ერვანდ აკოფოვს მისთვის კაპანაძის მოკვლა შეუთავაზებია, რადგან „გოროდოვოი“ აბრამ კაპანაძეს „დაშნაკცუტუნის“ პარტიის აქტიური წევრები – ალექსანდრე მუნჯიევი და ვართან მამულოვი დაუპატიმრებია. ერვანდ აკოფოვს მისთვის სამი „ბერდანის“ სისტემის შაშხანა და საბრძოლო ტყვიები უჩვენებია. აკოფოვს უთქვამს, რომ მათივე უსაფრთხოების გამო კაპანაძისთვის საფრიდან უნდა ესროლათ. კერძოდ, კაპანაძე ყოველ დილით თავისი სახლის მეზობლად წყაროზე უიარალოდ მიდიოდა, ამიტომ, სწორედ ამ დროს უნდა ჩასაფრებოდნენ კაპანაძეს და მაშინ მოეკლათ, როცა ეს უკანასკნელი წყაროდან უკან გამობრუნდებოდა. სავარაუდოდ, გათვლა გაკეთებული იყო იმაზე, რომ წყაროდან მომავალ კაპანაძეს ორივე ხელი წყლის ჭურჭლებით დაკავებული ექნებოდა და თავდასხმას თუ გადაურჩებოდა, სროლაზე სწრაფ რეაგირებას ვერ მოახდენდა. საბოლოო ჯამში ასეც გამოვიდა – კაპანაძე დილით ადრე ორი თიხის ჭურჭლით ხელში წყაროდან უკან ბრუნდებოდა, როდესაც საფარში მჯდომმა ტერორისტებმა ზურგიდან ესროლეს და მოკლეს.

საინტერესოა, რომ ყაზარ მკალავიშვილის ჩვენებით იარაღი „დაშნაკცუტუნის“ პარტიის თელავის ორგანიზაციას ეკუთვნოდა. მისი სიტყვებით, იარაღი და ტყვიები ამ პარტიის თელავის ორგანიზაციის ხელმძღვანელის მამულოვისაგან მიიღეს. ანუ, ეს ნიშნავს, რომ ამ პარტიას თელავში იარაღის საწყობი, ანდა გარკვეული შეიარაღება ჰქონდა. მკალავიშვილის

<sup>190</sup> სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 10845, გვ. 18

<sup>191</sup> სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 10845, გვ. 21

<sup>192</sup> სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 10845, გვ. 25

<sup>193</sup> შსსპა, ფ. 8, აღ. 2, ნაწ. 1, საქ. 11, გვ. 97-100

ალიარებითი ჩვენების მიხედვით, „ისიც და კაპანაძეზე სხვა თავდამსხმელები – მამულოვი და მღვდლის შვილი ერვანდი პარტია „დაშნაკცუტუნს“ ეკუთვნოდნენ.“<sup>194</sup> აქვე ასახულია ვილაც კარაპეტ ტერ-კრიკუროვის მკვლელობის შესახებ ინფორმაციაც, რომელსაც „დაშნაკცუტუნის“ პარტიის თელაველი ტერორისტების გაუცია. ისინი დაუპატიმრებიათ და კაზაკებს პატიმრობაში მყოფები მოუკლავთ. ამიტომ, შურისძიების მიზნით სხვა ტერორისტებს – ალექსეი მუნჯიევს, ზაქრო ეფრემის ძე არუთინოვსა და მელქო სისოევს თელავში ე.წ. სომხების სასაფლაოზე ტერ-კრიკუროვი საქეიფოდ მიუტყუებიათ, ღვინის სმის დროს კი იარაღი დაუხლიათ. ყაზარ მკალავიშვილის ჩვენების მიხედვით „კარაპეტ ტერ-კრიკუროვი „დაშნაკცუტუნის“ პარტიამ მოკლა“, ანუ პარტიის გადანყვეტილებით იქნა მოკლული.<sup>195</sup>

საარქივო მასალებიდან ისიც ჩანს, რომ თელაველი სომხები თელავის გარდა სხვა ადგილებშიც, საკმაოდ აქტიურ პოლიტიკურ „მოღვაწეობას“ ეწეოდნენ. მართალია ქალაქ თელავში მაცხოვრებელი სომხების ძირითადი საქმიანობა ვაჭრობა იყო, მაგრამ სომეხი ახალგაზრდობა ჩართული იყო კავკასიის ტერიტორიაზე მოქმედი „დაშნაკცუტუნის“ და სხვა სომხური რევოლუციური პარტიების ტერორისტულ საქმიანობაში. მაგალითად, თელაველი მიხეილ იოსების ძე ბაბოევი სხვა პირებთან ერთდ ზემოდასახელებულ პორუჩიკ ტარიელ ლოლაძის მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი და 1907 წლის მარტში თბილისის დროებითი გენერალ-გუბერნატორის გენერალ ტიმოფეევის დადგენილებით ვოლოგდის გუბერნიაში იქნა გადასახლებული.<sup>196</sup>

პოლიციელების მკვლელობები და მათზე თავდასხმის მცდელობები შემდგომ პერიოდშიც ხდებოდა. მაგალითად, 1915 წლის 8 ივნისს გამოძალავებებსა და ტერორისტებს მოუწოდომებიათ თელავის პოლიციის უფროსი „გოროდოვოის“ მარკოზ გიოშვილის მოკვლა.<sup>197</sup>

## P.S.

ძვირფასო მკითხველო, უკმაყოფილობის გრძნობა, რომ თითქოს ისტორია განწყდა ნუ დაგრჩებათ,

ეს ჩემს მიერ დაწერილი ქალაქ თელავის ისტორიის მცირე მონაკვეთია, და თუ ჩათვლით, რომ მე თელავის ისტორიის ამ მონაკვეთის ობიექტური დაწერა ვერ შევძელი, მაშინ დაწერეთ ახალი ისტორია...

და თუ მოგეწონათ, იცოდეთ, რომ არქივებში თელავის შესახებ დღემდე უცნობი უამრავი დოკუმენტი ინახება და გააგრძელეთ ამ ულამაზესი და უმშვენიერესი ქალაქის ისტორია...

*გისურვებთ წარმატებებს!!!*

*პატივისცემით,  
თენგიზ სიმაშვილი*

*2017 წლის 7 ივლისი*

<sup>194</sup> სსცა, ფონ. 26, აღ. 2, საქ. 10845, გვ. 21

<sup>195</sup> ასე რომ, თელავში „დაშნაკცუტუნის“ პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის წევრები, მათი ქართველი რევოლუციონერი „ამხანაგების“ მსგავსად, არც საკუთარი ეროვნების ადამიანებს ინდობდნენ.

<sup>196</sup> სსცა, ფონ. 84, აღ. 3, საქ. 783, გვ. 2

<sup>197</sup> სსცა, ფონ. 160, აღ. 2, საქ. 12, გვ. 10

## დამატება

### თელავში ბესარიონ (ბესო) ჯულაშვილის საჯარაუდო საფლავის არსებობის შესახებ

ვითვალისწინებ რა თელაველების ინტერესს, აღნიშნულ ნაშრომს თან ვურთავ ჩემს კვლევას თელავში იოსებ ჯულაშვილის – სტალინის მამის ბესო ჯულაშვილის საჯარაუდო საფლავის შესახებ.

ოფიციალურად ცნობილია, რომ ბესარიონ (ბესო) ჯულაშვილი 1909 წლის 12 აგვისტოს, თბილისის ე.წ. „მიხეილის საავადმყოფოში“ ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიულ არქივში დაცულ ერთ-ერთ მოგონებაში ვკითხულობთ: „1906 წელს მეგაზეთემ გაზეთი მოგვიტანა... ვანქის ქუჩაზე ბესო ჯულაშვილი მოკლესო. სოსო შენუხდაო“.<sup>1</sup> თანამედროვის მოგონებაში ავტორი ასაბუთებს, რომ თბილისში ბესარიონ ჯულაშვილის გასვენებას საავადმყოფოდან, ე.წ. კუკიის სასაფლაოზე უშუალოდ ესწრებოდა.<sup>2</sup>

სტალინის – იოსებ ჯულაშვილის ბიოგრაფიის ზოგიერთი მკვლევარი თუ მწერალი ბესარიონ ჯულაშვილის გარდაცვალებისა თუ მკვლელობის ადგილად ქალაქ თელავს ასახელებს. მაგალითად, რომან ბრაქმანი წერს, რომ ბესარიონ ჯულაშვილი 1906 წლის მარტში თელავში მოკლეს.<sup>3</sup> ბესარიონ ჯულაშვილის თელავში გარდაცვალებაზე წერს ანატოლი რიბაკოვი ნიგნში „არბატის შვილები“: „შემდეგ მოვიდა წერილი, რომ მამა თელავში მთვრალეების ჩხუბში მოკლეს და იქვე თელავში დაკრძალეს, თუ სად არავინ იცის.“ თუმცა, ეს ორივე ინფორმაცია არანაირი დოკუმენტური მასალით არაა დადასტურებული, მით უმეტეს, რომ ისინი ლიტერატურული თხზულებებია და არა სამეცნიერო ხასიათის ნაშრომები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია 1954 წლით დათარიღებული დოკუმენტები – ანონიმური წერილები, რომლის ავტორი ასაბუთებს, რომ სტალინის მამის ბესარიონ (ბესო) ჯულაშვილის საფლავი ქალაქ თელავში იყო. მართლაც, თელავში ე.წ. „ქართველების სასაფლაოზე“, ჩრდილო-აღმოსავლეთით, სასაფლაოს კედელთან ახლოს მდებარეობს საფლავი სურათით და წარწერით – ბესო ჯულაშვილი.

აღნიშნული ანონიმური წერილები კი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის და აგიტაციის განყოფილებას მიუღია:

„ცეკის პროპაგანდის აგიტაციის გამგეს ამხ. გუნიას,

ეს ყველასათვის გასაგებია, რომ სტალინი გარდაიცვალა და არა მოკვდა. რატომ მისი მამის ნამდვილი საფლავი იმალება, რატომ ჩემ მიერ მიტანილი ბესოს სურათი – სტალინის მამის დამალეს და არსად აჩენენ, რატომ ხმას არ იღებენ და არ ჰკითხავენ ფილიალის მოსამსახურეებს მაგ. ამხანაგ ნადია სტურუას, ჯაშიაშვილსა და დანარჩენ თანამშრომლებს, .. რატომ არ არკვევენ, რატომ მალავენ, რაკი ღარიბი კაცი იყო არ კადრულობენ გამოაჩინონ. ამოიღეთ ხმა გამოიკვლიეთ, იმის საფლავი არის თელავში და კიდევ არიან მოხუცეები, რომლებიც იცნობდნენ კარგად და ერთად მუშაობდნენ...“

წერილში ავტორი „პარტიულ ხალხს“ ადანაშაულებს, რომ ისინი მალავენ სტალინის მამის საფლავს და მტრობდნენ – „აფუჭებდნენ მისი დედის სახელს“. წერილში, ავტორი უთითებს, სტალინის მეჯვარე გიორგი ელისაბედაშვილზე და ამბობს: „ელისაბედაშვილს

<sup>1</sup> შსსპა, ფ. 8, აღ. 2, ნან. 1, საქ. 8, გვ. 88

<sup>2</sup> შსსპა, ფ. 8, აღ. 2, ნან. 1, საქ. 34, გვ. 184

<sup>3</sup> Р. Я. Бракман, `Секретная папка Иосифа Сталина: Скрытая жизнь~, Москва, 2004, Страница 43-44

ვუთხარი ასეა საქმე, კეკეს ნათქვამი გადავეცი, მომიბრუნდა და მითხრა – სტალინის მამას ნურსად გამოაჩენთო, მოსპეთ ყველაფერი გაჩერდითო... ერთხელ სტურუას ვესაუბრე ეტყობოდა არც კი უნდოდა მოესმინა“.

ავტორი აქვე წერს, რომ „ბესო ახსოვს ჩემს მშობელს რომელიც 80 წლის მყავს, თვითონაც ამბობს შვილო თელავში არის დამარხული, მის ნათესავთან ნავიდა, ნალოგი შეანერეს და ნაიყვანესო. მე თვითონ დავესწარი როცა ეხვეწებოდაო ვიცი იქ მიდიხართ, თელავში ჩემი დისშვილის ოჯახში მინდა ნავიდეო და მესამე დღეს ნაიყვანესო. კიდეც გაგვეზარდა რომ ფეხებს ვერ მოჭამენო. იქვე მოკვდა ... იქ არის დასაფლავებულიო, მამას უკვირს რათ მალავენო. მართლაც იმალება, შეეკითხეთ მიზეზი რათ იმალება სურათი ან საფლავი თელავში.“

ჩემს მიერ მოძიებული სხვა დღემდე გამოუქვეყნებელი მოგონების ავტორი სტალინზე, გვაძლევს ინფორმაციას, თუ სავარაუდოდ რა „ნალოგზე“, ანუ გადასახადზე შეიძლება იყოს საუბარი. აღნიშნული მოგონება დათარიღებულია 1949 წლის ივნისით. მისი ავტორია სოფელ დიდი ლილოს მცხოვრები ნინა ივანეს ასული ჯულაშვილი, სანდრო ჯულაშვილის რძალი. ეს უკანასკნელი ყოფილა ბესო ჯულაშვილის ბიძაშვილი – ანუ ბესო ჯულაშვილის მამა ივანე და მოგონების ავტორის მამამთილის გიორგი ჯულაშვილის მამა ნიკოლოზი ძმები იყვნენ.

დოკუმენტში ვკითხულობთ: „ჩემი მამამთილის მონათხრობით ბესარიონ სოფელ დიდი ლილოდან წასვლის შემდეგ დიდხანს ითვლებოდა სოფლის მცხოვრებლად. მას აიძულებდნენ გადაეხადა ყოველწლიური გადასახადები და „სტარშინები“ ეძებდნენ მას გადასახადის ამოსაღებად თბილისში... ჩემი მამამთილი გიორგი ყველას ეუბნებოდა, რომ მათი წინაპრები გამოსული იყვნენ გერიდან, გადასახლდნენ დიდ ლილოში. გიორგი გაკვირვებული ამბობდა თუ რატომ გადასახლდნენ გერიდან, რადგან დიდი ლილოდან შვიდი სოფელი გაიქცა აქ არსებული მუდმივი ქარის გამო სხვა ადგილებში. ზუსტად არ შემიძლია ვთქვა თუ ვინ გადასახლდა ბესოს მამა გერიდან ივანე თუ გიორგის მამა ნიკოლოზი თუ მათი მამა, მაგრამ ორივე დაიბადნენ დიდ ლილოში. ისინი ცხოვრობდნენ სოფლის აღმოსავლეთით... ერთ მიწურში.“

ზემოდასახელებულ ანონიმურ წერილში მითითებულია მიზეზიც თუ ბესარიონ ჯულაშვილი ქალაქ თელავში რატომ დამარხეს: „თვითონ კეკე ამბობდა, რომ თავისი დიშვილის ოჯახში მოკვდა და იქვე დამარხესო. მე როგორც ღარიბი ვერ ნავედიო... ჩემი ქმარი სივდებოდა ხოლმეო.“

როგორც ჩანს, ამავე ანონიმავტორს მეორე წერილიც გაუგზავნია, რადგან ის პირველი წერილის მსგავსი ხელწერიტაა დაწერილი და ხელმოწერილი – „სიმართლის მთქმელი“. მეორე ანონიმურ წერილში უკვე ლაპარაკია ბესარიონ ჯულაშვილის ნათესავი ქალის შესახებ, რომელიც იმ დროს ცოცხალი ყოფილა, და რომელსაც თითქოს დანამდვილებით სცოდნია, რომ სტალინის მამა დასაფლავებული იყო თელავში. ავტორის სიტყვებით, ეს პიროვნება იმის გამო, რომ ამბობდა სტალინის მამის საფლავი თელავში იყო, დევნას განიცდიდა და „სტურუას და ჯაშიაშვილის ცულლუტმა აზრებმა და ლალატმა იმოქმედა და თავი მოინამლა.“ წერილში აღნიშნულია, რომ ბესოს საფლავის თელავში არსებობის დასადასტურებლად მოწმეებიც კი მოუყვანია, მაგრამ დამუქრებიან, უთქვამთ: „ნუ გაჰქექამ ამ საქმეს ისე გამოდის ჩვენ ხახა ღია ვმსხდარვართო, ხმა არ ამოიღოო, თორემ პასუხისგებაში მიგცემთო ... ყველა დაარწმუნეთ როგორმე რომ ჩავაჩუმოთო, ვითომ ქალაქში მარხიაო“. წერილის ანალიზიდან ჩანს, რომ ავტორი თბილისის მაცხოვრებელი იყო, რომელიც

პირადად იცნობდა ეკატერინე გელაძეს, იოსებ ჯულაშვილის დედას. საინტერესოა ასევე ბესარიონ ჯულაშვილის დისშვილის თელავში ცხოვრების შესახებ ინფორმაცია, რაც სხვა წყაროებში არ შემხვედრია. საქმე იმაშია, რომ ბესარიონ ჯულაშვილს ჰყავდა ერთი ძმა გიორგი, მას ღვიძლი და არ ჰყოლია.

